


მზა



„სისოცხლა შვილის გზაზე დაყენებას შევალთ...“

2


ქართული ბრავადია სპორტულ არენაზე



1168
2010



ნოდარ ქუმარიტაშვილის ცხოვრების გზა



რვა — ჯანმრთელობისა და ბედნიერების ქვა



მამის ნებიარა ანუ როდის ჯიუბოვს სოფი ბადია



რა სემეფი აიყოლია ნებელია დავით ბაქრაძის მუცლა



ქველმოქმედი ფოტოგრაფი — პრისტონის დატოვებული ბანძი



„ქართული ჩრთბის სკანბყრი“

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის



სულ მალე, ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად
თქვენ შეძლებთ შეიძინოთ ცნობილი
ქართველი მწერლების თითო ტომი.

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები.

ყოველკვირს ერთი ჩიკნი,
ერთი ჩელოჩაძე - მთელი სკანბყრი!

...და თქვენი აზრით რა ეღირება ერთი ტომი?...

**ფასი სასიამოვნოდ
გაგაოცებთ...**

ქვეყანა



„ქართული პროზის საბანკური“ — ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად

გამომცემლობა „პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „გზის“ ახალი პროექტის შესახებ პირველი ცნობების გავრცელების დღიდანვე რედაქციაში სატელეფონო ზარები გაისმა. გვეკითხებიან — როდის დაიწყება პროექტი და რომელი ავტორების ნაწარმოებები გამოიცემა?

12

სახე



როგორ გახდა აფრასიონ რაჭველიშვილი ყველაზე პოპულარული „ხმა“

„კინოში რამდენიმე როლი მაქვს ნათამაშები. ყველაზე გამორჩეული მართლაც, „რაჭველების კინო“, მაგრამ ახლა ვერაფრით იხსენებენ ხოლმე, იქ რომელი პერსონაჟი ვარ, იმდენად შევიცვალე...“

19



ცხოვრება

ჩვენ ასლანბაევა გათხოვილი ქართველი „თაბუნის“ აბაჟი



ქართულ, ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი ეკა ბეგაშვილი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მუსლიმან მამაკაცს გაჰყვებოდა ცოლად — ასეთი რამ მისთვის მიუღებელი იყო. მოგესხენებათ, ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე: დღეს ეკას ჩეჩენი, მუსლიმანი მეუღლე ჰყავს და ქმრის ნათესაეების გასაცნობად, გროზნოში გამგზავრების სამზადისშია.


31



- **ვინიატიურები** 5
ნიჭიერები, როცა გვძინავს...
- **ინფორმაცია** 6
- **ტრაგედია** 7
- **პროექტი** 12
„ქართული პროზის საბანკური“ — ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად
„ჩემი ოჯახის წევრები „გზას“ წაიკითხავენ, მე კი წიგნს გავეცნობი“
- **ფანჯა** 14
- **პერსონა** 16
პოეტთა მეფის მოკრძალებული შთამომავალი და სიმბოლიკა, რომელიც დიდ ისტორიას ინახავს
- **ფსიქოპორტრეტი** 19
მამის ნებიერა შვილი — როდის ჯიუტობს სოფო ბედი
- **მსახიობი** 21
როგორ გახდა აფრასიონ რაჭველიშვილი ყველაზე პოპულარული „ხმა“
- **მოღა** 23
ქართული მოდის სათავეები...
- **კარიერა** 27
„ბაჩო ახალაია ჩემი მეგობარია“
- **პარსკვლავები** 29
- **ვინირომანი** 31
- **სიჭაუხია** 35
ნიჭიერი
- **თქვენთვის, ქალბატონებო!** 37
- **კვანი** 42
ქველმოქმედი ფოტოგრაფი ანუ ობოლი ბიჭის წარმატება
- **ეს სამყაროა** 44



„XXI საუკუნის ტანდესია — ინტერნეტით გათხოვება“



„გოგონა გვერდა: „ის მთვის წინ, ინტერნეტით გავიცანი, მერე სახლშიც მესტუმრა, ჩემი ოჯახი გაიცნო; ერთ დღეს კი დედამისმა დამირეკა და საშინლად გამლანძლა — თურმე, ორსული ცოლი ჰყოლია.“

85

■ ავტო	46
■ ისტორიის ლაბირინთები	47
■ საკითხავი ქალბისათვის	50
კლასიკური თუ ორიგინალური	
■ ანტიდაკრისანი	52
■ შუახრობელი	52
■ ტაქარი	54
სლავების გაქრისტიანება, ათონის მთის ქართული მონასტრები და ტაო-კლარჯეთის აღმავლობის ხანა	
■ ჯანმრთელობა	56
გული და მისი მუშაობა	
■ კრიმინალი	60
სიძის მკვლელობაში გადახდილი 3 დოლარი და 6 წლის შემდეგ გაცხადებული საიდუმლო	
■ ემიგრანტი	62
სოხუმელი ბიჭის სიზმრები	
■ თინეიჯერული პოეზია	64
როგორ ხვდებიან მოზარდები სიყვარულის დღეს	
■ წვეთი პოეზია	67
■ ავტობიოგრაფია	68
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)	
■ ქართული ღებავები	72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)	
■ რომანი	76
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)	
■ ნოველა	80
ეჭვი ანუ სიყვარულისთვის გაჩენილი	
■ რეალური	82
■ გზავნილები	85
სხვის მაგივრად მიღებული გადაწყვეტილება	
■ ყველა ერთისათვის	
„XXI საუკუნის ტენდენცია — ინტერნეტით გათხოვება“	
■ მოგილი-ზაყანა	92
■ მოზაიკა	97
■ პრუდიტი	100
მსხიობი, რომელიც ქალებს არ ენდობა	
■ გასართობი	102
■ ასტროლოგია	104
■ სკანდორდი	105
■ საფირმო კროსორდი	106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
 გამომდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
 გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
 ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
 პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
 მენეჯერი: მათე კბილაძე
 დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
 რეზო თხილიშვილი
 მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ბიჭუნა, რომელსაც პრასდროს სძინავს

არავინ იცის, რამდენ ხანს შეძლებს ბავშვის ორგანიზმი მსგავს რეჟიმში ფუნქციონირებას, ამიტომაც პრობლემაზე მუშაობა ერთდროულად, რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს.

41

ადამიანი



რუსული „კოედი ქაბის“ ქართული ნაწილი

„ჩემი აზრით, ჯერ პოპულარობის პიკისთვის არ მიმიღწევია, თუმცა კარგად მცნობენ, ტაშსაც მიკრავენ, ესე იგი, მაყურებელს მოგწონვარ კიდევ“.

59

ბიბლუსი




— აფხაზი ტყვეები გუმისთის ხიდზე მიიყვანეს და მათი ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცეს.
 — ესე იგი...
 — ესე იგი, შენ კიდევ კარგა ხანს ვერ შეხვდები იმ გოგოს, — არ დაამთავრებინა ერეკლე, — ვიდრე ბრძოლები არ დამთავრდება, ის გაგრაში ველარ დაბრუნდება, შენ კი გუდალთაში ვერ ჩახვალ. ასე რომ, ახლა, გინდა თუ არ გინდა, მხოლოდ ერთ რამეზე მოგინებს ზრუნვა — ჯანმრთელობაზე!..

67

ბაიბ-აუბი



მსახიობი, რომელიც ქალებს არ ენდობა

მსახიობი ბიძინა მახარაძე აღიარებს, რომ წიგნების კითხვა სტუდენტობის შემდეგ დაიწყო: „მანამდე უნივერსიტეტში ვიყავი, ფეხბურთის შესახებ თუ ნავიკითხავდი რამეს, თორემ სხვა არაფერი მაინტერესებდა“. ახლა ყველაზე ხშირად იუმორისტულ ნაწარმოებებს კითხულობს, გატაცებულია ფილოსოფიითაც და მისთვის განსაკუთრებით საინტერესო ნიშნებს წაშრომები.

97

ნიჭიერები, როცა გვძინავს...



შესავლის ნაცვლად ქართველები, საერთოდ, ნიჭიერები ვართ, მაგრამ ზარმაცები... ტელეპროექტ „ნიჭიერები“ რომ „ნიჭიერები“ გამოდიან, მხოლოდ მათზე არ ვამბობ. ვინც „მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო“ ვერ მოახერხა იქ მისვლა, მათ უფრო ვგულისხმობ. ჰოდა, რომ არ „დაჩაგრულიყვნენ“, გადავწყვიტე, წარმოსახვაში ალტერნატიული კონკურსი მომეწყო და ერთობ სახალისო სანახაობა გამოვიდა...

მამ ასე, კომისია: მიშა (თავმჯდომარე) და ნევრები — „რკინის ნინო“ და მე!
სცენაზე ვინვეთ პირველ კონკურსანტს და კულისებიდან კარგად ფერხორცინი ახალგაზრდა გამოდის, ხელში ოხშივარადენილი სინით.
— აბა, კობა, რით გაგვაკვირვებ? — ეკითხება კომისიის მანდილოსანი ნევრი.
— აქ 100 ხინკალია, ათ წუთში შევჭამ...



— მეორე ტურში რომ გადაგიყვანოთ, იქ რითი გაგვოცებ?

— მეორე ტურში 10 შამფურ „ასატრინა ნავერტელეს“ შევჭამ და თითო შამფურ 1.000 დოლარს „დავაცოლებ“, რომელსაც ამ ხელისუფლების დასამხობად გამოვიყენებ.
— მე ვამბობ „კი“-ის.

— მე „არა“-ს ვაფიქსირებ.

მაგრამ ჟიურის თავმჯდომარე კატეგორიულია:

— რამე ისეთი უნდა გააკეთო, რასაც ჩვენ ვერ შევძლებთ. დავიჯერო, შენი გაბარიტების მიუხედავად, მე მაჯობებ გინდ ჭამაში და გინდ — დოლარების „დაყოლებაში“?! — მოკლედ, არა!

მეორე კონკურსანტი პატრულის მანქანით შემოვიდა სცენაზე. თავმჯდომარე გამოცოცხლდა:

— აბა, ვანო, დღეს რა მოგვიმზადებ?

სცენაზე მდგომმა აშკარად რაღაც თქვა. თავმჯდომარემ „გვითარგმნა“:

— კულისებში ჩემი „მოცეკვავეთა“ ჯგუფი დგას, ახალი ცეკვები გვაქვს: „დუბინკური“ და „პანჩურული“, შემოვიყვანო?

— არ გვინდა, ნანახი გვაქვს! — კატეგორიულია ქ-ნი ნინო.

— მეც „არა“-ს ვამბობ.

— რას იზამ, ვანო, ხომ იცი, მე მაინც მიყვარხარ. ჰო, ამ ორს შენს „მოცეკვავეებთან“ ერთად ქვევით დაელოდე. აქ არ გინდა, ხომ იცი, მაინც...

— აბა, შემდეგი!

სცენაზე ცისფერთვალემა ქალბატონი გამოდის და

ფრანგული პარფიუმის სურნელი დარბაზამდე აღწევს. ბურჯანაძე უხერხულად იშმუშნება, სააკაშვილი ჭერში იყურება, ვითომ ვერ ამჩნევს, მაგრამ კონკურსანტი ამას ყურადღებას არ აქცევს და გაუფრთხილებლად ინყებს სიმღერას. ცოტა ხანში ხვდები, რომ ქართულად მღერის: „ძიალოგო, არ გვინდაო...“

— არა! — ჭერისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე ამბობს თავმჯდომარე.

— მეც „არა“-ს ვადასტურებ, არ მომეწონა სიმღერა და რა ვქნა?!

ქ-ნი ნინო გახარებული ამბობს მნიშვნელობადაკარგულ „კი“-ს და თვალებით ეუბნება იძულებით „თანამებრძოლს“: — რა ვქნა, ხომ ხედავ, ჩემი ბრალი არ არისო...

— აბა, ვინ არის კიდე?

სცენაზე ბლანჟეიანი ახალგაზრდა შემოდის, ხელში ციყვი უჭირავს.

— ოჰ, გოგა, შენ მაინც გვიმღერე ნორმალურად! — გახალისდა მიშა-უფროსი.

— არა... ისა... მე... აი, ციყვი მოვიყვანე...

— მერე, რა არის აქ საკვირველი?

— რა, და... ტყე აღარ არის და რაც არის, ჩვენი არ არის, ეს კი მაინც ცოცხალია!..

— კარგია, მე „კი“-ს ვამბობ, ოღონდ, მეორე ტურში ახალგაზრდა ყვავი უნდა გვაჩვენო.

— არა! — მოკლედ მოჭრა „რკინის ოპოზიციონერმა“!

— მეც, როგორც ყოველთვის — „არა“!..

...ამასობაში დამძინებია, კიდე უამრავი ადამიანი შეიცვალა სცენაზე... დაღლილ-დაქანცულს გამომეღვიძა, ყველაზე მეტად ის დამამახსოვრდა იმ კომმარინდან, რომ ისე ჩათავდა „კონკურსი“, არც ერთი „კი“ არ მითქვამს...

P.S.

ერთი ჩვენი კოლეგის მიერ უცხოეთში თავშესაფრის მოთხოვნამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია — მთაწობამ, ვინ რას ერჩოდაო?!

არადა, ჩემთვის ჯერ არ „დაუზადიებდებიათ“, მაგრამ დარეკვით გუშინწინაც კი დამირეკა ვილაც ძალიან გაბრაზებულმა და „ტკბილად“ გამაფრთხილა: ენაზე ფეხი არ დაიდგაო. ცხადია, ვერავის დავადებ ხელს, მაგრამ მასაც და მის გამომგზავნსაც მიინდა ვუთხრა: სანამ აზრზე არ მოხვალთ, მაინც „არა“-ს თქმა მომიწევს „იქეთურებისთვისაც“ და „აქეთურებისთვისაც“...

პროპოკატორი

ოპოზიცია ნოლაიდელის წინააღმდეგ ერთიანდება(?!)



„ალიანსი საქართველოსთვის“ ოპოზიციას გაერთიანების ფორმულას სთავაზობს — „ყველა პარტიას მინუს ერთი“ ანუ მინუს ნოლაიდელის პარტია. „გარდა იმისა, რომ ნოლაიდელს ქართულ პოლიტიკაში გაურკვეველი როლი აკისრია, კრიმინალური წარსულიც აქვს, ამიტომ მასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას

ვერ მივუსდებით“, — აცხადებენ დავით უსუფაშვილი და დავით საგანელიძე. „ალიანსის“ წევრები თავიანთ კანდიდატებად ირაკლი ალასანიასა (მერობის კანდიდატი) და სოზარ სუბარს (თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი) ასახელებენ, მაგრამ ამბობენ, — თუკი ოპოზიციური ძალებიდან ვინმე ამ ორ პოლიტიკურ ფიგურაზე ძლიერ კანდიდატებს დაასახელებს, „ალიანსი საქართველოსთვის“ მათ დაუჭერს მხარს.

პუტინის მოკავშირე ნოლაიდელი „ალიანსის“ წევრების ინიციატივას ოპოზიციური ძალების დაქსაქსვის მცდელობად აფასებს და ირწმუნება, რომ ირაკლი ალასანია სააკაშვილის სასარგებლოდ მოქმედებს. ნოლაიდელი დარწმუნებულია, რომ პარტიებმა, რომლებმაც მის გუნდს უკვე დაუჭირეს მხარი და პრაიმერის საორგანიზაციო კომიტეტში არიან ჩართულები, ალასანიას ახალი ინიციატივის გამო მასთან კავშირზე უარს არ იტყვიან.

შოტლანდიური წყლის ავტობუსები ივლიან

შოტლანდიელმა მეცნიერებმა ამფიბია-ავტობუსები შექმნეს, რომლებსაც მოძრაობა შეუძლიათ როგორც ხმელეთზე, ასევე — წყალში. ავტობუსის კორპუსის წყალში ჩაშვებისთანავე საჭე მაღლა იწევა და ორი წყალქვეშა ძრავა იწყებს მუშაობას. როგორც ამბობენ, „ამფიბუსი“ გლაზგოსა და შოტლანდიის ქალაქების დამაკავშირებელი ბორნის შემცველი გახდება.



მიხეილ სააკაშვილი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადეს


მიხეილ სააკაშვილი რუსეთის ფედერაციისთვის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადდა, — ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა კრემლში, სერგეი ბაღაფშთან ერთად გამართული პრესკონფერენციისას განაცხადა. „ჩვენ, ადრე თუ გვიან, ისევ აღვადგენთ ნორმალურ ურთიერთობებს საქართველოსთან, მაგრამ საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტთან ლაპარაკს არც ერთ საკითხზე არ ვაპირებ“, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.



არაბი ელჩი ჩადრიანი ქალის მსხვერპლი გახდა

არაბული ქვეყნის ერთ-ერთი ელჩისთვის საკუთარი ქორწინების ცერემონია სკანდალით დასრულდა — სასიძომ მხოლოდ ქორწილის დღეს შეიტყო, რომ მისი რჩეული წვერიანი და ელამი იყო. „ელჩს მომავალი მეუღლე ქორწილამდე მხოლოდ რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი და ისიც, მხოლოდ ჩადრით, ფოტო კი, რომელიც მას უჩვენეს, დედოფლის დის აღმოჩნდა“, — წერს გაზეთი Gulf News. დაზარალებულმა და გულგატეხილმა სასიძომ ქორწინების ორგანიზებაში ნახევარი მილიონი დირჰამი (135 ათასი დოლარი) დახარჯა, მაგრამ მისი ბედნიერება მაშინვე დასრულდა, როდესაც ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ პატარძალთან საკოცნელად მივიდა. მოტყუებულმა სასიძომ ქორწილი დაუყოვნებლივ ჩაშალა და განქორწინება მოითხოვა. ისლამურმა სასამართლომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ დედოფლისთვის მირთმეული საჩუქრებისა და ფულის უკან დაბრუნებაზე უარი მიიღო.

ლა-მანშის ყურეში ბრინჯაოს ხანის ხომალდი გამოჩნდა



არქეოლოგებმა ლა-მანშის ყურეში, ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დევონის საგრაფოს სანაპიროსთან ჩაძირული ხომალდი აღმოაჩინეს. The Daily Telegraph-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ხომალდი, რომელსაც კუნძულზე სპილენძის 260 და კალის 27 ზოდი მიჰქონდა, სავარაუდოდ, ძვ.წ.ალ-ით 900 წელს ჩაიძირა. როგორც ცნობილია, იმ პერიოდის ევროპაში საბრძოლო იარაღს, შრომის ხელსაწყოებსა და სხვადასხვა მოსართავ აქსესუარს ძირითადად, ბრინჯაოსგან ამზადებდნენ.

2 ქართული ტრაგედია სპორტულ არენაზე

საბედისწერო მოთაღვა

„ღღამღე ყურაში მიღვას ჩემი შვილის სიტყვაში...“

განკუვერი, საქართველო, ბაკურიანი და ახალგაზრდა სპორტსმენის ტრაგიკული აღსასრული — ამ თემით გასულ კვირას საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოხვდა. კანადაში, ოლიმპიადაზე დატრიალებულ ტრაგედიას მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებები გამოუდგებით გადმოსცემდნენ... რედაქციის დავალებით, ნოდარ ქუმარიტაშვილის მშობლიურ ბაკურიანში მიმავალი, გზაში ძაღლებს ვიკრებდი — როგორმე მის ახლობლებთან გასაუბრება რომ შემძლებოდა...

ღაღი პაპასკირი

ბაკურიანში თოვლი იდო. დამსვენებელიც მრავლად შემხვდა, მაგრამ ყველა, კანადაში დაღუპულ 21 წლის „ჩველებურ ბიჭზე“ ლაპარაკობდა, რომელსაც სამშობლო და პატარა ბაკურიანი უნდა ესახელებინა...

ერთ-ერთ სასტუმროში უცნობი ახალგაზრდა აღელვებული ჰყვებოდა რალაცას, ცრემლებიდან დანითლებულ თვალებს ხელის ზურგით ინშენდდა... ჩერდებოდა და მოყოლას განაგრძობდა... აღმოჩნდა, რომ დაღუპული სპორტსმენის ბავშვობის მეგობარი იყო. ვთხოვე, მეგობარზე ჩემთვისაც მოეყოლა. თავი უსიტყვოდ დამიქნია... მერე კი მანქანაში ჩავსხედით და დაღუპული სპორტსმენის სახლისკენ მიმავალ თოვლიან გზას აუყევით.

— ამ უბანში გავიზარდე. ვინ იცის, მე და ნოდო ამ აღმართზე რამდენჯერ დავშვებულვართ ციგებთი! ის სულ მასწრებდა და ქვემოდან ამომხედავდა თავისებური ღიმილით, — გაბზარული ხმით მიყვება დაღუპული სპორტსმენის ბავშვობის მეგობარი, ყოფილი მოციგავე ალბერტ მიკირტიჩიანი და ცრემლიან სახეს ქუჩისკენ აბრუნებს: — ეს ჩვენი საყვარელი ადგილი იყო, „სადგურის ბირჟას“ ვეძახდით; აქ გამ-

ოვდიოდით ძმაკაცები და „დიდი ფიქრისა და მსჯელობის“ შემდეგ, გასართობ ადგილს ვარჩევდით, — დახშული ხმით განაგრძობს და ხელს ბაკურიანის სადგურისკენ იშვერს. — აღარ ვიცი, მის გარეშე ამ უბანში ცხოვრებას როგორ გავაგრძელებ, ყველა ადგილი მის თავს მახსენებს. პირველად დავეკარგე ასეთი ახლობელი ადამიანი და ასე მგონია, განახევრებული ვარ... მე და ნოდო საბავშვო ბაღიდან ერთად მოვდიოდით, ერთად გავიზარდეთ, ერთ კლასში ვსწავლობდით, ერთ მერსზე... ჩვენი მამებიც ძმაკაცები იყვნენ და ჩვენც ძმებივით გავგზარდეს... სკოლაში იმდენად ცელქი და ცოცხალი ბავშვი იყო, მასწავლებლები სიყვარულით საყვედურობდნენ: ქუმარიტაშვილო,

ნოდარის ღელა — დოდო ხარამიშვილი შვილის ჩამოსვენებამდე მის ფოტოსურათებს დასტვიროდა



ყველა პედაგოგს ქუმარიტაშვილის „მოთვინიერების“ პრობლემა ჰქონდა, მაგრამ მაინც ყველას უყვარდა; საყვედურზე იუმორით პასუხობდა

სად შეგიძლია ამდენი, ენერჯის გენერატორი ხარო?! ყველა პედაგოგს ქუმარიტაშვილის „მოთვინიერების“ პრობლემა ჰქონდა, მაგრამ მაინც ყველას უყვარდა; საყვედურზე იუმორით პასუხობდა. კლასში შემოსულ მასწავლებელს თუ სირჩემე დახვდებოდა, გვეტყოდა: რა ხდება, ხომ კარგად ხართ? ალბათ ნოდო არ არის დღეს და იმიტომ არის სინყნარეო... ნოდო ჩემთვის ძმასავით იყო. ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთის შესახებ... ბავშვობაში მეც მოციგავე ვიყავი და ერთ-მანეთთან სპორტული ინტერესიც გვაკავშირებდა. ორივე ამ ექსტრემალურ სპორტს მივდევდით, მაგრამ მე მერე თავი დავანებე. ნოდო კი ამ სპორტით ცხოვრობდა, უსაზღვროდ უყვარდა. რამდენჯერმე ევროპის ჩემპიონატში



მონანილეობდა. გული, იცით, რაზე მწყდება?... ამ წარმატებას თავისით მი-
აღწია, თავდაუზოგავი შრომის ხარ-
ჯზე; მშობლებს რაც შეეძლოთ,
უკეთებდნენ, მაგრამ მატერიალურად
არ გადასდიოდათ და უცხოეთში წასას-
ვლელ ხარჯებს გაჭირვებით აგროვებდ-
ნენ... ნოდო კი თავს არ ზოგავდა...
სერიოზულ თემებზე თითქმის არას-
დროს ვსაუბრობდით, მაგრამ ერთხელ
საფრანგეთში ყოფნისას მითხრა: ჩემი



„ნებისმიერ სპორტში სიჩ-
ქარე სულ უფრო იზრდება,
რაც სპორტული აზარტით
არის განპირობებული. მა-
გრამ უისტლერში ნაჩვენები
სიჩქარეები აზარტის ზღვარს
გადასცდა. სამწუხაროდ,
სპორტი ამგვარ მძიმე გაკვეთილებზე სწავლობს...
გარდა ამისა, ტრასა შეიძლება, ძალიან სწრაფი
იყოს, მაგრამ ტექნიკურად სირთულეს არ წარ-
მოადგენდეს და წლები ისე გავიდეს, რომ ამ
ტრასაზე არანაირი ინციდენტი არ მოხდეს. ეს
რთული ტრასა იყო. ვფიქრობ, საციგაო სპორტი
უნდა დაუბრუნდეს ტექნიკურად რთულ ტრასებს,
ოღონდ ისეთს, სადაც ნაკლები სიჩქარე იქნება...
ვფიქრობ, პრეზიდენტი სააკაშვილი მართალია
— საქმე ციგაობასთან გვაქვს: ავტობოლასა და
მოტობოლისას შეცდომის დაშვება შესაძლებე-
ლია, სპორტსმენის სიკვდილით დასრულდეს, მა-
გრამ ციგაობაში 3 ათწლეულზე მეტია, ასეთი
რამ არ მომხდარა. ამ სპორტისას დაშვებული
შეცდომა სიკვდილით არ უნდა სრულდებოდეს“.

*დაიპან კენელი, ყოფილი მოციგავე,
ოლიმპიური თამაშების სამგზის მონაწილე,
ტელეკომპანია NBC-ის სპორტული კომენტატორი.*

დედ-მამის იმედი უნდა გავამართლო...
— საზღვარგარეთ ხშირად და-
დიოდა?

— დიას. სავარჯიშოდ დადიოდა და
ერთ ან ორ თვეს რჩებოდა. თითქმის
მთელი მსოფლიოს კურორტული ზონები
მოიარა. რადგან საქართველოში სპორ-
ტის ამ სახეობისთვის საჭირო სანვრთ-
ნელი ბაზა არ არსებობს, ნოდოს ოჯახი
ყველაფერს იკლებდა, რომ შვილს კარ-
გი სპორტული მომზადება ჰქონოდა.
გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა
და ესპანეთში ხშირად უწევდა ყოფნა.
მერე საქართველოს ოლიმპიურმა კო-
მიტეტმა ხელფასიც დაუნიშნა, მაგრამ
ეს ზღვაში ნვეთი იყო, ხარჯებთან შე-
დარებით... ჯერ ევროპის ჩემპიონატის
შესარჩევ შეჯიბრებაში მიიღო მონაწი-
ლეობა და საკმარისი ქულები დაა-
გროვა. როცა ოლიმპიადაში მოხ-
ვედრის თანხმობა მიიღო, დამირეკა
და ბედნიერი ხმით მითხრა: ახლა
ნახე, რას ვიზამო!.. მას შემდეგ,
საქართველოშიც იყო ჩამოსული და
მამინ მითხრა, — ოცეულში მოვხვდი
და აწი მე ვიცი; მოციგავეებს შორის,
ყველაზე ძლიერი დეჩენკოა და იმ-

დენს ვივარჯიშებ, რომ მას მოვუგო...
— ვანკუვერში ყოფნის დროს
თუ დაგიკავშირდათ?

— კი, როგორ არა?! გახარებული
მიყვებოდა, იქაურ მწვრთნელს უთქ-
ვამს: ეს ქართველი ბიჭი კარგად არის
მომზადებული, რა მაგრად დადისო!..
ციგას თავისებური მართვა უნდა,
მოციგავე ძალიან სწრაფი და მობი-
ლიზებული უნდა იყო, ნოდოს ეს
ყველაფერი კარგად გამოსდიოდა. ეტყ-
ობა, სისხლში ჰქონდა
სპორტის ამ სახეობისად-
მი სიყვარული, მამამისიც
მოციგავეა, ბიძებიც და
ნათესავებიც. ნოდოს მამა
თავის დროზე სპარტაკია-
დებში მონაწილეობდა და
მედლებიც აქვს აღებული.

— ნოდარს ადრე
თუ მიუღია ტრამა?

— კი, რამდენიმე წლის
წინ, გერმანიაში ვარჯიშის
დროს, ფეხი დაიზიანა და
კოჭთან კანი ათლილი ჰქონ-
და. მწვრთნელისთვის არ
გაუშეხლია, — ვარჯიშს შე-
მანწყვეტინებსო, უთქვამს, —
და დაუჩირქდა. მამინ კი-
ნაღამ ფეხი დაკარგა. აქედან
ვეჩუბებოდი, — ბიჭო, ბავშ-
ვი ხომ არა ხარ, ხომ არ
გადაჰყვები-მეთქი?! მერე,
როგორც იქნა, ექიმთან მივი-
და და იმკურნალა. ნეტავ
უფრო მაგრად დეზიანები-
ნა ფეხი, იქნებ ამ საქმეს
აღარ გაპყლოდა... როცა
მისი ამბავი გავიცი, არ ვი-
ცოდი, რა გამეკეთებინა, ვერ ვიფერებ-
დი... ყველაზე მეტად მის ოჯახში მისვ-
ლა გამიჭირდა, — მისი მშობლები-
სთვის რა უნდა მეთქვა?! ჩვენ ერთმანე-
თის სახლებში ისე ვიყავით, როგორც
საკუთარ ოჯახებში. მის სახლში მისუ-
ლი, დედამის საკუთარი დედასავით ვთხ-
ვოდი, — საქმელი მაჭამე-მეთქი... ნო-
დოს მამა არ ჰყავდა და ამბობდა, — შენ
აგერ არა ხარო?! როგორი შვილი იყო,
იცით?.. დედ-მამის მუდმივი ყურადღების
ქვეშ იყო, მაგრამ თანატოლებიდან ვერ-
ავინ აკადრებდა რაიმე „გადაკრულს“...
არასდროს დამავიწყებდა მათი ბედნიერი
სახეები, როცა ნოდომ ოლიმპიადაში
მონაწილეობის მიწვევა მიიღო...

— ალბერტ, ლევან გურუში-
ძეც თქვენი მეგობარია?

— დიას. ამ ტრაგედიის შემდეგ,
ვანკუვერიდან რომ დამირეკა, ისე ცუდ-
ად იყო, ვერ მელაპარაკებოდა: ჩემს
თავში ძალას ვერ ვმოულობ, შეჯი-
ბრებაზე რომ გამოვიდეთ... კიდევ
იცით, რა მახსოვს?.. სანამ ვანკუვერ-
ში გამგზავრებოდა, ნოდომ წინაღამეს
დამირეკა და მითხრა: ჩემთან ამოდი,
ხომ იცი, რომ წასვლამდე ეკლესიაში

უნდა ავიდეთ: ტრადიციად ჰქონდა
— უცხოეთში წასვლამდე და იქიდან
ჩამოსვლის შემდეგ, ტაძარში ადიო-
და. იმ საღამოსაც ბაკურიანში, წმინ-
და სამების სახელობის ტაძარში ავედით
და სანთლები დაანთო. მიუხედავად
იმისა, რომ სპორტის ძალიან სარის-
კო სახეობას მისდევდა, იმდენად სი-
ცოცხლით სავსე ადამიანი იყო, მშვი-
დობით დაბრუნებაზე არასდროს
ლაპარაკობდა, სიკვდილის შიში არ
ჰქონდა — უფალს მხოლოდ წარმატე-
ბას შესთხოვდა... მეორე დღეს, სანამ
წავიდოდა, ისევ გამომიარა სახლში,
თავის მწვრთნელთან მივედით; ნოდო
დარჩა, მე კი წამოვედი. მას შემდეგ
აღარ მინახავს... მერე ვანკუვერიდან
დამირეკა... სიცოცხლით ტკბებოდა...
2007 წელს, აქ ბაკურიანში, დი-
დოელისკენ არის სასრილო ადგილი
და თხილამურებით სრილის დროს
კიდევ ერთი მძაკაცი, მახო თედიამ-
ვილი დაგველუბა. ნოდარი და მასო
სასრილოდ ერთად იყვნენ წასული;
მამინ ნოდოს მძაკაცი ხელებში ჩააკ-
და. დიდხანს ჭკუაზე არ იყო, ნერვი-
ულობდა, — ვერაფერი ვუშველო...
*ეზოში შესულს, სახლის კედლებს
მიღმა გოდება შემომესმა, ჭიშკართან
კი — მხრებში მოხრილი მამაკაცი
იღვა და სამძიმარს უსიტყვოდ იღებ-
და... მწუხარების გაზიარებისთვის მად-
ლობა გადამიხადა. ლაპარაკს დრო-
დადრო ნოდარის დედის მოთქმა გვან-
ყვეტინებდა: როგორ ვიცხოვრო უშე-
ნოდ, შვილოო?!*

ნოდარის მეგობარი ლევან გურუშიძე
ნოდარის დაღუპვის ადგილზე რამდენ-
ჯერმე ანგარიშიუწყებლად მივიდა





ალარ ვიცი, რა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას ნოდარის გარეშე...

დავით ძუგარიაშვილი:

— ჩემი სიცოცხლე და ენერჯია შვილის გზაზე დაყენებას შევალე... უბანში, თავის თანატოლებთან გვიანობამდე რომ დარჩებოდა, ჩავაკითხავდი, ამდენ ხანს სად ხარ-მეთქი?! მთელმა საქართველომ დამირეკა, პრეზიდენტმაც მომისამძიმრა, შემპირდა, ამ საქმეს ბოლომდე მიყვებით და ნოდარის გარდაცვალების მიზეზს დავადგენთო. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამაც დამირეკა, დაამიბედა, ყველაფერს გავაკეთებთო... სიმართლის გამოძიება შვილს ვერ გამოცოცხლებს, შვილო, მაგრამ არ მინდა, სხვა სპორტსმენების მშობლებიც ჩემსავით გამწარდნენ, არ მინდა, სხვების დედ-მამასაც ჯოჯოხეთად ექცეს სიცოცხლე.

— ნოდარის მწვრთნელი თქვენი ძმა არის?

— არა, ჩემი ბიძაშვილია. მას ჩემი ნოდარი შვილივით ჰყავდა გაზრდილი და ახლა ჩემზე უარეს დღეშია. ვანკუვერიდან რომ დამირეკა, ხმაშემაღლა ტიროდა და ქალღვივთ მოთქვამდა: რა გითხრა, დავდივარ, მაგრამ მკვდარი ვარო... ფელიქსი საკუთარ თავზე მეტად მეცოდება: მე შვილი მომიკვდა, მაგრამ მისი სიკვდილი არ მინახავს, მას კი შვილივით გაზრდილი ბიჭი ხელებში ჩააკვდა... ნოდარზე მას ლამის ჩემზე მეტი ამაგი აქვს, როგორია — ამხელა ბიჭი გაზარდო და მოგიკვდეს?! ჩემი შვილის სპორტულ აღზრდაში მთელი გული და სული ჩადო. უხაროდა: თითქმის ყველა ეტაპი წარმატებულად გაიარა, 40 ქულა დააგროვა და ოლიმპიადაში მონაწილეობის ლიცენზია მოიპოვაო!..

— ნოდარის მეგობრებისგან ვიცი, რომ უნივერსიტეტშიც სწავლობდა...

— დიას, თბილისში ყოფილი შარტავას სახელობის უნივერსიტეტში, საბაჟო ეკონომიკურ

ფაკულტეტზე სწავლობდა. წელს დაამთავრა. დიპლომი ჰქონდა ასალეები; ოლიმპიადიდან რომ დავბრუნდები, ავილებო, — გვითხრა, მაგრამ... ვერ მოასწრო, მოუკვდეს მამა!.. უნივერსიტეტიდანაც დაგვირეკეს და მოგვისამძიმრეს, გვითხრეს, თავად მოგიტანთ ნოდარის დიპლომსო... რამდენი რამე დარჩა დაწყებული და შუა გზაზე მიტოვებული!..

— თქვენი გოგონა რამდენი წლის არის?

— მარიამი 17 წლის არის. ბაკურიანის სკოლა ფრიადზე დაამთავრა და სწავლას თბილისში მოსამზადებელზე აგრძელებს. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე უნდა ჩაბარება... ყოველთვის ვამბობდი, — ბედნიერი კაცი ვარ, შვილებში გამიმართლა და ჩემი შრომა წყალში არ ჩამყრია-მეთქი, მაგრამ გამწირა ბუნებამ... ჩემი შვილი მორწმუნე ადამიანი იყო, ვანკუვერში გაფრენამდე სამების საკათედრო ტაძარში ავიდა და სანთლები დაანთო. რომელი ერთი გავისხენო?... ალარ ვიცი, რა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას ნოდარის გარეშე...

— ალბათ ვანკუვერიდანაც დაგირეკა...

— დიას, ხშირად გვირეკავდა, ჩვენც ვურეკავდით. გამარჯვებისთვის იყო განწყობილი. აბა, შენ იცი-მეთქი! — ვუთხარი. რალაცნაირად, სიამაყით მითხრა: — კარგი, რა, მამა, ბავშვი ხომ არა ვარო!.. ასე მეგონა, ჩამოყალიბებული კაცი მელაპარაკებოდა. დღემდე ყურებში მიდგას ჩემი შვილის სიტყვები...

ამიანს ძუგარიაშვილი, ნოდარის ბიძა:

— ჩემს ხელში გაიზარდა, შვილო... ჩვენს გვარში ძირითადად ამ სპორტს მისდევდნენ და ყველა გახარებული იყო: ეს ბავშვი ჩვენი საგვარეულოს ყველა რეკორდს მოხსნისო. მეც ყოფილი მოციგავე ვარ, ჩემი ბიძაშვილი, ნოდარს მამაც საბ-



„ქართველი მოციგავის დალუპვის ერთ-ერთი მიზეზი იყო ოლიმპიადის ორგანიზატორების გადაწყვეტილება — ვარჯიშსა და ვარჯიშს შორის დროის მონაკვეთებში, მზისგან დასაცავად, ყინულის სასრილო ტრასისთვის ტენტი გადაეფარებინათ. ღია ტრასიდან გადახურულ ტრასაში გადასვლა საკმაოდ რთულია და დიდ გამოცდილებას მოითხოვს... FIL-ის (მოციგავეთა საერთაშორისო ფედერაცია) პრეზიდენტმა, იოზეფ ფენდტმა გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა, როცა აღნიშნა, რომ ეს ტრასა სპორტსმენტა ჯანმრთელობისთვის სასიფათოა, მაგრამ ეს არავენ გაითვალისწინა. საუბედუროდ, არა მარტო ჯანმრთელობისთვის, არამედ სიცოცხლისთვის სასიფათოც აღმოჩნდა“.

ვალერი სილაკოვი, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი

ჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო... ნოდარი უცხოეთიდან რომ ჩამოდიოდა, ვარჯიშის დღეებს არ „ჩააგდებდა“. დილას, როცა მის თანატოლებს ეძინათ, დარბოდა და სპორტული ნორმების დაცვით ვარჯიშობდა... ბოლო ერთი წელი განსაკუთრებით აქტიურად ემზადებოდა, საზღვარგარეთ გასვლითი ვარჯიშები და შეკრებები ჰქონდათ. როგორც ვიცი, ლატვიაში იყო, მანამდე — გერმანიაში, შემოდგომაზე კი ვანკუვერში, სწორედ იმ ავადმყოფი ტრასაზე იყო სასრილოდ წასული, საჩვენებელ და მოსამზადებელ ვარჯიშებს ასრულებდა... საქართველოში ჩამოსული, გახარებული გვიყვებოდა, — ოლიმპი-



ადაზე მოსახვედრი ქულები დავაგროვეო!.. ოლიმპიადისწინა ეტაპები რომ გაიმართა, მსოფლიო მასშტაბით, ორჯერ, 28-ე ადგილი დაიკავა და ასე მოაგროვა ოლიმპიადაზე გასასვლელი ქულები... თქვენი თვალთ შედავთ ალბათ, რომ ოჯახში ფუფუნების პირობებს ვერ შეუქმნიდნენ, მაგრამ რაც შეეძლოთ, უკეთებდნენ, დანარჩენს თავისი ნიჭითა და მონდომებით მიაღწია... გამარჯვებას ველოდით და მთელი სანათესავო ვგულშემატივრობდით. როცა ღამე დაგვირეკეს და ამ ტრაგედიის შესახებ გვითხრეს, ერთადერთი ის მოვიფიქრე, რომ მისი დედამამისთვის ამ უბედურების შესახებ ექიმების თანხლებით უნდა მეთქვა...
აპაკი ძამბრტალიძე, დალუპულის მეგობარი:

— ნოდარს ბავშვობიდან ვიცნობდი. ერთ უბანში, ერთმანეთის გვერდით გავიზარდეთ. ნოდარ ამ სპორტს ბავშვობიდან მისდევდა, ძირითადად უცხოეთში ვარჯიშობდა, რადგან საწვრთნელი ბაზა საქართველოში არ არის. სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა, ძმაკაცებს გაგვაფრთხილებდა ხოლმე, — რამდენიმე დღეში მანდ ვიქნები და

არსად გაიკრიბოთ... უცხოეთიდან ჩამოსული, იქაურ ამბებს გვიყვებოდა — როგორ ვარჯიშობდა, როგორი რეჟიმი ჰქონდა... ძალიან მიჭირს მასზე წარსულში საუბარი, ძალიან მხიარული და მეგობრული ადამიანი იყო. სპორტი მისი ცხოვრების აზრი იყო. გვაოცებდა საქმისადმი ერთგულებით, ამ სპორტისთვის იყო დაბადებული... ოლიმპიადებზე გასვლის საშუალება რომ მოიპოვა... — დამირეკა, გახარებული იყო... ჩემი დედაშვილი ამერიკაში ცხოვრობს და იქიდან დამირეკა, — ქუმარიტაშვილი რომელია? — ჩემი ძმაკაცია-მეთქი. — ვარჯიშის დროს დაიმტვრაო... მერე ყოველ წუთს მანვდიდა ინფორმაციას, რეანოვერტმფრენით საავადმყოფოში წაიყვანესო... რამდენიმე წუთის შემდეგ კი მითხრა, დაიღუპაო... ვერ ვიჯერებდი. თავად გადავამოწმე ინტერნეტსაიტებზე და ყველგან ეს ინფორმაცია იყო. მერე ბაკურიანში მის ბიძაშვილს, მისი მწვრთნელის შვილს დავურეკე, — ნოდოზე ხომ არაფერი იცის-მეთქი? — არა, რა ხდება? ვერაფერი ვუთხარი და ტელეფონი გაუთითე... ბოლოს იანვარში ვნახე, ბაკურიანში იყო ჩამოსული, საფრანგეთიდან ქუდი ჩამომიტანა და ხალისობდა, — ხედავ, კარგად გიცნობ, ზუსტად შენი თავის ზომა შემირჩევიაო...

ნათო ფანჯაბაძე, ნოდარ ქუმარიტაშვილის ახლობელი:

— ჩვენს ხელში გაიზარდა, ჩემი ძმა და ნოდო მეგობრები იყვნენ. ბაღშიც ერთად იყვნენ, მერე — კლასში და თბილისში, უნივერსიტეტშიც ერთ ჯგუფში სწავლობდნენ. მისი ჩამოსვლა მთელი უბნისთვის ზეიმი იყო, ჩამოგვივლიდა და მოგვეფერებოდა, — ხომ არ მოინწყინეთ უჩემობაშიო?... ალბათ ასეთი მოკლე დღე რომ ჰქონდა, იმიტომ იყო ასეთი თბილი, მხიარული, სიყვარულითა და იუმორით სავსე...



ნოდარ ქუმარიტაშვილი (მის), ალბერტ მიკრიგაიანი (შუაში), ლევან გურუშიძე (მარჯვნივ)

27 წლის წინას კანადაში...



იბაშვილთან ერთად, ბევრ სავრთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. კანადაში უნივერსიდაზეც ერთად გაემგზავრნენ, იქიდან კი სამშობლოში ქალბატონი ლიანა მარტო დაბრუნდა...

უცნაური, ტრაგიკული დამთხვევაა — ნოდარ ქუმარიტაშვილის დარად, შეჯიბრების დროს, იმავე ვანკუვერში, 1983 წელს, კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი, ისიც 21 წლის ასაკში დაიღუპა... საბჭოთა კავშირის პერიოდში ყველაზე ცნობილი ქართველი (მამაკაცებს შორის) წყალში მსტომელისთვის — სერგო შალიბაშვილისთვის მსოფლიო უნივერსიდაზე 10-მეტრიანი კოშკურიდან შესრულებული ნახტომი საბედისწერო აღმოჩნდა... სერგოსა და ამ ტრაგიკული შემთხვევის გასახსენებლად, ლიანა ცოტაძეს დაფუკავშირდით. ის ჯერჯერობით, წყალში მსტომელი ერთადერთი ქალბატონია, რომელიც ოლიმპიადის პრიზიორი გახლავთ. მაშინ, სერგო შალიბაშვილთან ერთად, ბევრ სავრთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. კანადაში უნივერსიდაზეც ერთად გაემგზავრნენ, იქიდან კი სამშობლოში ქალბატონი ლიანა მარტო დაბრუნდა...

იყო ყორღანაშვილი

ლიანა ცოტაძე:

— თავდაპირველად, ტანვარჯიშზე დავდიოდი. ჩემს მეზობლად წყალში ხტომაში ჩემი მომავალი მწვრთნელი ცხოვრობდა, რომელმაც შენიშნა, რომ „გამზადებული მასალა“ გახლდით და ტანვარჯიში წყალში ხტომით შემაცვლევინა. სერგო შალიბაშვილი სწორედ აუზზე გავიცანი: მე რომ მივედი, ის უკვე ვარჯიშობდა.

ერთი და იგივე მწვრთნელი გყავდათ?

— კი, არაჩვეულებრივი მწვრთნელი — იურა გუტიკულოვი გვავარჯიშებდა. ის უკვე დიდი ხანია, მეუღლესთან ერთად, სარატოვში ცხოვრობს. დღესაც მწვრთნელად მუშაობს. მის მოსწავლეებს შეჯიბრებებზე ყოველთვის ძალიან კარგი შედეგი აქვთ.


წარმატებები არც თქვენ და არც სერგო შალიბაშვილს გაკლდათ. საბჭოთა პერიოდში, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის სავრთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა ალბათ, რთული იყო...

— ქართველებისთვის ეს მართლაც დიდ სირთულეს წარმოადგენდა: რუსებზე 10 თავით მაღლა უნდა მდგარიყავი, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრილიყავი. საქართველოში წყალში მსტომელ ქალებს შორის საუკეთესო მე გახლდით, ბიჭებს შორის კი — სერგო შალიბაშვილი. მე და სერგო ერთად ვარჯიშს ვაგრძელებდით, სხვადასხვა ტურნირ-

ში ვმონაწილეობდით, ვიმარჯვებდით... 1983 წელს კი საშინელი ტრაგედია დატრიალდა: უნივერსიდაზე (სტუდენტებს შორის, სავრთაშორისო შეჯიბრება იყო) კანადაში გავემგზავრეთ... ქალებმა გამოსვლა რომ დავსრულეთ, მამაკაცების ჯერი დადგა: სერგოს კოშკურიდან ნახტომი უნდა შესრულებინა. ამ ილეთს ერქვა „სამ-ნახევარი უკან, წინა დგომიდან“, თუმცა ყველანი „ავერბასს“ ვეძახდით (იმ ადამიანის პატივსაცემად, ვინც ეს ნახტომი პირველად შეასრულა). საკმაოდ რთული ილეთია: ყველაფერი ზუსტად უნდა გამოიანგარიშო, რომ ნახტომის დროს, არც ძალიან შორს გადახტე და არც ძალიან ახლოს; წერტილი ზუსტად თუ არ „დაიჭირე“, შეიძლება, ასპარეზობა სავალალო შედეგით დასრულდეს. სერგო 10 მ-ის სიმაღლეზე იდგა; ალბათ რაღაც ვერ „გადახარშა“ და შეცდომა დაუშვა — ნახტომის შესრულებისას სადგარს ჩამოარტყა თავი. ილეთი ისეთი სიძლიერით ჰქონდა დაწყებული, რომ ნახევარი ბრუნი კიდევ გააკეთა და წყალში ჩავარდა... ბუნებრივია, იმ დღეს შეჯიბრება შეწყდა. „სასწრაფოთი“ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თავის ქალაც ახადეს, მაგრამ რას უშველიდნენ? — თავის ფუძე ჰქონდა მოტეხილი.

რამდენ ხანს იცოცხლა?

— 2 დღე... აპარატზე იყო მიერთებული; ისე გარდაიცვალა, რომ გონზე არ მოსულა... ახლა, როცა საციგურაო ტრასაზე ნოდარ ქუმარ-



სერგო 10 მ-ის სიმაღლეზე იდგა; ალბათ რაღაც ვერ „გადახარშა“ და შეცდომა დაუშვა

იტაშვილი დაიღუბა, ტრასა დაამოკლეს და უსართხოების ზომები გააძლიერეს... წყალში ნახტომს რაც შეეხება, სპორტის ეს სახეობა უსაფრთხოების გარანტიას არ იძლევა, — სპორტსმენმა ყველაფერი ზუსტად უნდა გათვალისწინოს; შესაძლოა, პატარა შეცდომა მოუვიდეს და — მორჩა! წყალში მხტომელებისთვის ტრავმები უცხო არაა — მაგალითად, სადგამისთვის თითები მეც ჩამომირტყამს, მაგრამ სერგოს დალუპვამდე ტრაპეჯია არ დატრიალებულა.

— მანამდე სერგოსაც მიუღია ტრავმები?

— არა, ის ყოველთვის სუფთად ასპარეზობდა. ძლიერი, პერსპექტიული სპორტსმენი იყო!.. საერთოდ, შეჯიბრებაზე მონაწილეები საათნახევრით ადრე მიდიოდნენ, მერე კი გულშემატკივრებიც ვუერთდებოდით. ჩვენმა ავტობუსმა დაიგვიანა. როცა შეჯიბრებაზე მივედი, სერგო უკვე ნახტომისთვის ემზადებოდა. მომეჩვენა, რომ კოშკურაზე დიდხანს იდგა...

— ბოლოს რაზე ისაუბრეთ, გახსოვთ?

— რაიმე განსაკუთრებულ თემაზე არ გვისაუბრია. ვისადილეთ, წვენი დავლიეთ, მერე კი, როგორც ყოველთვის, შეჯიბრების ფინალსა და საქართველოზე ვლაპარაკობდით — ჩვენი ქვეყანა ძალიან გვენატრებოდა... სერგოს დალუპვის შემდეგ, მოკვი ვიყავი. ვარჯიში აღარ მიწოდდა: შეჯიბრებაზე ორნი გავემგზავრეთ, სამ-

შობლოში კი მარტო უნდა დავბრუნებულიყავი... გონზე მოსასვლელად მთელი წელი დამჭირდა. ამის გამო, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. დედამისს რა პასუხი გავცემეთქი?! — ვფიქრობდი... ჩვენი მწვრთნელი, რომელიც სერგოს ნათლიაც გახლდათ, საშინელ დღეში იყო, სერგოს დედაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საბრალო ქალი კანადაში გაფრენას აპირებდა, მაგრამ მისი შვილის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს... სიკვდილის შემდეგ, სერგო შალიბაშვილს „ოლიმპიური ორდენი“ მიანიჭეს.

— სერგოს დედამიშვილები თუ ჰყავდა?

— მისი მშობლები გაყრილები იყვნენ. მამის მხრიდან, ძმები ჰყავდა; უფროსი — ლევანი წყალში ხტომაშიც ვარჯიშობდა, მგონი, ეს ძმის ხაზით უფრო გააკეთა... სერგო სოლოლაკში, დედასთან — ქალბატონ ტაისასთან ერთად ცხოვრობდა. ჩემზე 1 წლით უმცროსი გახლდათ. სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობდით. მერე ორივენი ფიზკულტურის ინსტიტუტში მოვხვდით. აუზი ინსტიტუტთან ახლოს გვექონდა — ფაქტობრივად, გაშრობასაც ვერ ვასწრებდით (*ილიმის*)... სერგოს დედა თავადაც ბრწყინვალე წყალში მხტომელი იყო — ფიზკულტურის ინსტიტუტში პედაგოგობდა; მამა კი მგონი, ავტომობილელი გახლდათ.

— სპორტის გამო, თქვენ და სერგო ბევრ დროს ატარებდით ერთად. ალბათ, მეგობრობდით კიდევ.

— რა თქმა უნდა. ერთმანეთს ყოველთვის ვგულშემატკივრობდით. ძალიან ახტაჯანა ვიყავი: ბიჭებთან ჩხუბიც მიყვარდა და მეგობრობაც (*ილიმის*). რაღაც გაუგებრობის გამო, ერთხელ სერგოს ძალიან ვეჩხუბე. ამის შესახებ პირად დღიურშიც უწერია...

— იცოდით, რომ დღიურს წერდა?

— არა, გვიან შევიტყვე — მისი დალუპვის შემდეგ. დედამისმა მკითხა: შენ და სერგომ რატომ იჩხუბეთო? გამიკვირდა: საიდან გაიგეთ-მეთქი? თურმე დღიურში ეწერა... ხანდახან ოთახში ჩაიკეტებოდა და რაღაცას წერდა. გვეგონა, ჩვენსავით, მხოლოდ საქმიან დღიურს ავსებდა, სადაც ინიშნავდა, მაგალითად, დღეში რამდენი ნახტომი შეასრულა და ა.შ. ცოტა არ იყოს, გულჩათხრობილი ბიჭი იყო.

— ძალიან ახალგაზრდა — 21 წლის ასაკში დაიღუბა.

შეყვარებული თუ ჰყავდა?

— „ჩაკეტილი“ ბიჭი გახლდათ. ამიტომ, ვინ უყვარდა, ამის გაგება ძალიან რთული იყო. შეიძლება, ჩვენმა საერთო მეგობარმა ბიჭებმა იცოდნენ... მეგობრები ერთად კარგ დროს ვატარებდით. ერთხელ მე, სერგო, თემურ ხვედელიძე და სოსო ელბაქიძე სარატოვში ვიყავით ჩასული. მწვრთნელს გავეპარეთ და ყინულზე სასრილოდ წავედით. მათ შორის, ერთადერთი გოგონა ვიყავი და, რა თქმა უნდა, ვიპრანჭებოდი. ყინულზე რომ გავსრიალდი, ვილაც რუსმა ბიჭმა ფეხი დამიდო და ცხვირპირით დავეცი. ჩვენმა ბიჭებმა, — როგორ თუ ქართველ გოგოს ეს გაუბედესო?! — და საშინელი ჩხუბი ატყდა! მე ვაშველებდი (*ილიმის*)... ტანსაცმელმეომხეულებს, ტურჩადამოგდებულებს, „დაბუთქულებს“, სასტუმროს ჰოლში გაოცებული მწვრთნელი შეგვხვდა. ლიანას გულისთვის „კატოკზე“ ვიჩხუბეთო, — აუხსნეს ბიჭებმა. მეორე დღეს შეჯიბრებაზე დალურჯებულები გავედით (*იციინის*)... სერგოს ტრაგიკულად დალუპვის შემდეგ, მისი სახელობის ტურნირი ყოველწლიურად იმართებოდა, რომელშიც პატარები მონაწილეობდნენ. ამ შეჯიბრების შემდეგ, სერგოს საფლავზე ავიდოდით და მეგობარს ვიხსენებდით. სამწუხაროდ, წყალში ხტომაში სერგო შალიბაშვილის სახელობის ტურნირი დღეს აღარ ტარდება... ■



აუზი ინსტიტუტთან ახლოს გვექონდა — ფაქტობრივად, გაშრობასაც ვერ ვასწრებდით



ქვეყანა

„ქართული ქროზის სკანდული“

ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად

„ჩემი ოჯახის წევრები „ბზას“ ნაიკითხავენ, მე კი წიგნს ბავშვსობი“

არასოდეს დამავინწყდება, მეზობლის ბავშვი რომ მესტუმრა და მითხრა: გეხვეწები, ილია ჭავჭავაძის „გამზრდელი“ მათხოვე, ამ წიგნის ნაკითხვა სკოლაში დაგვაფაღუსო. ძალიან გავბრაზდი და ვუპასუხე: ჯერ გაიგე, „გამზრდელი“ ვინ დანერა და მერე ნაიკითხე-მეთქი.

ნათია ჭივიძე

გამომცემლობა „პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „ბზის“ ახალი პროექტის შესახებ პირველი ცნობების გავრცელების დღიდანვე რედაქციაში სატელეფონო ზარები გაისმა. გვეკითხებოდნენ — როდის დაიწყება პროექტი და როგორი ავტორების ნაწარმოებები გამოიცემა? ჩვენ კი პროექტის დაწყებამდე დავინტერესდით, თუ რა მდგომარეობაა წიგნის მაღაზიებში, რა კატეგორიის მკითხველი დადის იქ და რომელ ავტორებს ანიჭებს უპირატესობას თავდაპირველად, „ბიბლუს“ გენერე. წიგნების მაღაზიის კონსულტანტმა, ნათია მითხრა:


— დღეს რამდენიმე ადამიანმა იკითხა, „ბზასთან“ ერთად წიგნები რომ უნდა გამოვიდეს, ის არ გაქვთო? მეც მაინტერესებს, წიგნები როდის გამოვა?

— **მარტში. თქვენს მაღაზიაში, ძირითადად, რა სახის წიგნებზეა მოთხოვნა?**

— უფრო მეტად, საბავშვო ლიტერატურა იყიდება. თინეიჯერებისთვისაც უამრავი საინტერესო რამ გვაქვს, მაგრამ მათ წიგნები არ აინტერესებთ; მოზარდები ჩვენთან ძალიან იშვიათად შემოდიან.

— **ქართველი კლასიკოსების შემოქმედებისადმი თუ არის ინტერესი?**

— არა, კლასიკოსების შემოქმედებით თითქმის არავინ ინტერესდება. თუ ბავშვებს მასწავლებელი რომელიმე კლასიკოსის



სის ნაწარმოების ნაკითხვას დაავალებს, მათ წიგნებს მხოლოდ ამ შემთხვევაში კითხულობენ... სხვათა შორის, ჩვენ საყმაწვილო ბიბლიოთეკა გვაქვს, სადაც კლასიკოსების მოთხოვნებია შესული. მყიდველებს ხშირად ეურჩევთ, ეს წიგნები შეიძინონ, მაგრამ უარს გვეუბნებიან. ძირითადად, შემეცნებით წიგნებზე აკეთებენ არჩევანს.

— **ფასების შესახებ რას გვეტყვი?**

— საშუალოდ, წიგნების ფასი 10 ლარს არ აღემატება ანუ წესით, ეს ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს; გვაქვს გურამ დოჩანაშვილის წიგნის ბოლო გამოცემა, რომელიც 13 ლარი ღირს, მაგრამ ახლა „მოდამი“ სხვა მწერლები არიან. თუ ახალგაზრდა წიგნის ყიდვას გადაწყვეტს, ეს წიგნი აუცილებლად ლაშა

ბულაძის, აკა მორჩილაძის ან ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაა. პირადად მე, ამ მწერლების სანი-ნალმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ხალხმა დიდი ქართველი შემოქმედები დაივიწყა. ამას წინათ მაღაზიაში ერთი გოგონა, მშობელთან ერთად შემოვიდა. დედამისმა გადაწყვიტა,

მისთვის ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივი“ შეეძინა, მაგრამ მან თავი მოიკლა და დედას პაულო კოელიო აყიდვინა. მგონი, ცოტა უცნაურია, როდესაც ქართველი კაცი, რომელსაც „ოთარანთ ქვრივი“ არა აქვს ნაკითხული, კოელიოს შემოქმედებას ეცნობა, მაგრამ რას ვიზამთ...

ამასობაში, სალა-როს დაახლოებით, 50 წლის ქალბატონი მოუახლოვდა და საბავშვო ატლასი შეიძინა.

— **ქალბატონო, თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები რა ლიტერატურას ანიჭებთ უპირატესობას?**

— მე დიდი შვილები მყავს, რომლებიც უკვე მუშაობენ. ისინი წიგნებს არ კითხულობენ, რადგანაც წიგნი კომპიუტერმა შეცვალა.

— **ეს საბავშვო ატლასი ვისთვის მიგაქვთ?**

— საჩუქრად მიწდა, მეგობრის შვილისთვის.

— **თავად თქვენ თუ კითხულობთ წიგნებს?**

— არა, გენაცვალე. მთელი ცხოვრება ვშრომობდი და წიგნის საკითხავად არასოდეს მეცალა...

ვინაიდან ამ ქალბატონმა ჩემთან საუბრის სურვილი დაკარგა, იქვე მდგომ ახალ-



გაზრდა ბიჭს მიეუბრუნდი. ის ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა და არც ვინაობა დაუმალავს.

რაში ნიშარბამი, 25 წლის:
— რა ჟანრის ლიტერატურას კითხულობთ?

— გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ. ცოტა ხნის წინ იაპონური ლიტერატურით ვიყავი გატაცებული და ყველაფერი წავიკითხე, რისი მოძიებაც შეეძელი. ამ ბოლო დროს ფანტასტიკურმა და მისტიკურმა წიგნებმა გამიტაცა, თუმცა მგონია, რომ ამ ინტერესს მალე ამოვწურავ...

ნიგნის მალაზიაში რომ შედინარო, რა წიგნებს ყიდულობთ ხოლმე?

— წიგნებს არ ვყიდულობ, რადგან შინ საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა მაქვს. თუ რომელიმე წიგნი არა მაქვს, ბიბლიოთეკაში მივდივარ, იქიდან მომიპეჭს და ვკითხულობ. დღეს წიგნებს საკმაოდ ძვირად ყიდნიან, მე კი მიმაჩნია, რომ ესა თუ ის წიგნი ჩემთვის იმდენად ღირებული არ არის, რომ მასში ბევრი ფული გადავიხადო. მით უმეტეს, არის საშუალება, რომ წიგნი მისი შექმნის გარეშეც წავიკითხო, ჰოდა, რატომღა ვხარჯო ფული? თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როცა წიგნი იმდენად მომწონებია, რომ მისი ყიდვის სურვილიც გამჩენია. თუმცა, ეს იშვიათად ხდება.

მაშინ, ახლა რას აკეთებთ წიგნის მალაზიაში?

— რუკის ყიდვა მინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, არა აქვთ.

გამომცემლობა „პალიტრა L“ და ჩვენი ჟურნალი „ქართული პროზის საგანძურის“ გამოცემას ამზადებთ, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასად „გზასთან“ ერთად გაიყიდება.

— „გზის“ მკითხველებისთვის ეს ძალზე კარგი იქნება, მაგრამ ის წიგნი ჟურნალთან ერთად რომც ვიყიდო, ეს ჩემთვის იმის მოტივაცია არ იქნება, რომ „გზა“ წავიკითხო — ჟურნალს გვერდით გადავდებ და წიგნს წავიკითხავ. ისე კი, გადასარევი იდეა გქონიათ, მშვენიერი მოფიქრება...

მოგვიანებით, ერთ-ერთ ლიტერატურულ კაფესაც ვესტუმრე, რომელსაც ბიბლიოთეკაც ახლავს.

ია ანაშვილი, ბიბლიოთეკარი:

— ჩვენთან, ძირითადად, თანამედროვე ბესტსელერებზეა მოთხოვნა. ძალიან პოპულარულია კოელიო, მარკესი, ბულაქე, მორჩილაძე და ა.შ. თითოეული ავტორის წიგნი რამდენიმე ეგზემპლარად გვაქვს, მაგრამ თაროზე არც ერთი არ დევს ხოლმე — თითქმის ყოველთვის, გატანილია. სასწავლო პროცესის დროს ძველი კლასიკოსების შემოქმედებითაც ინტერესდებიან, მათ ნაკითხვას სომ მოსწავლეებს შედაგოები ავალბენ.

თქვენთან რა კატეგორიის ხალხი მოდის?

— უფრო მეტად, სტუდენტები და მოსწავლეები მოდიან, რამდენიმე პენსიონერი მკითხველიც გვყავს.

როგორ ფიქრობთ, რატომ დადის ხალხი ბიბლიოთეკაში და არ ყიდულობს წიგნებს?

— იმიტომ, რომ წიგნის ყიდვა ძვირად ღირებული სიამოვნებაა. აი, ხელში ავა მორჩილაძის ეს პატარა წიგნი მიჭირავს, რომელიც 7 ლარი ღირს, ჩვენს ბიბლიოთეკა-

ში ერთწლიანი განწვერება კი მხოლოდ 3 ლარი უჯდება. ჰოდა, წარმოიდგინე, მთელი წლის განმავლობაში რამდენ წიგნს წავიკითხავ 3 ლარად. გარდა ამისა, ხალხს ბიბლიოთეკარებთან კონტაქტიც ხიბლავს.

ნიკოლოზ აბაშვილი, მალაზიაში მენეჯერი:

— უფრო მეტად, საბავშვო ლიტერატურა იყიდება. გარდა ამისა, დღეს ძალიან პოპულარული მწერლები არიან დათო ტურაშვილი, აკა მორჩილაძე, გურამ დოჩანაშვილი. მათი წიგნების ფასი საშუალოდ, 10 ლარს შეადგენს. კლასიკოსების წიგნებზე გვაქვს, მაგრამ მისი მკითხველი არ გვყავს. იშვიათად, რომ მათით ვინმე დაინტერესდეს.

თავად თქვენ თუ კითხულობთ ველსკოსებს?

— რასაკვირველია, კლასიკოსებსაც სიამოვნებით ვკითხულობ. ყოფილა შემთხვევა, რაღაც დამეინტერესებია და რომელიმე ნაწარმოები ხელმოვრედ გადამიკითხავს. მინდა, ყველაფერი ზუსტად ვიცოდე, რადგან მყიდველის ყველა შეკითხვას ამომწურავად ვუპასუხო.

მყიდველი წიგნის შინაარსს გეკითხებათ ხოლმე?

— ყოველთვის! ახლა გამოვიდა ქართული და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოების მოკლე შინაარსების ორტომეული.

ზარმაცი მკითხველისთვის?

— ვისაც ეს წიგნი დასჭირდება, იმას მკითხველი არ ჰქვია. როგორ შეიძლება, ნაწარმოების მოკლე შინაარსით დაკმაყოფილდე და მისი სრულად წაკითხვა არ მოგინდეს?

ამასობაში მალაზიაში ახალგაზრდა ბიჭი შემოვიდა, რომელმაც რეზო ტყეშელის წიგნი იკითხა. როცა უპასუხეს, — ამჟამად ტყეშელი არ გვაქვსო, სხვა წიგნების თვალთვლით დაინწყო. მაშინვე უკან მივყვი და ვთხოვე, ჩემს კითხვებზე გავცა პასუხი. — უპასუხავდა, მაგრამ ცუდი რესპონდენტი ვიქნებო, — მიპასუხა. მაინც არ მოვეუბნე და დავინტერესდი, რას კითხულობ.

— უკვე 26 წლის ვარ და წიგნებით ახლალა დავინტერესდი. აბსოლუტურად ყველაფერს ვკითხულობ.

ქართველ კლასიკოსებსაც?

— ქართველებსაც და უცხოელებსაც.

ჟურნალს „გზას“ თუ კითხულობთ?

— მე არა, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრები ნომერს არ ტოვებენ.

ჩვენს ჟურნალს ახალი პროექტი აქვს — ყოველ-

კვირეულად, „გზასთან“ ერთად, კლასიკური და თანამედროვე პროზის საუკეთესო ნიმუშები გამოიცემა, რომლებიც საკმაოდ იაფი ელირება.

— ძალიან კარგი მოფიქრებაა. ჩემი ოჯახის წევრები „გზას“ წაიკითხავენ, მე კი თან მოყოლილ წიგნს გავცენობი. მართლა ძალიან გამიხარდა. როდინდან იწყება ეს თქვენი ახალი პროექტი?

— **მარტიდან.**

— პირველი წიგნი ვისი იქნება, ხომ არ იცით?

— **გურამ დოჩანაშვილის.**

— არაჩვეულებრივია! დოჩანაშვილი ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ სხვებისგან მსმენია, რომ ძალიან საინტერესო მოთხრობები აქვს. მგონი, მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

ახალ წიგნში, სხვა მოთხრობებთან ერთად, ეგ ნაწარმოებზეც შედის.

— დიდი მადლობა ახალი და საინტერესო ინფორმაციისთვის.

P.S. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი პროექტი ბევრი ახალგაზრდა დაინტერესდება და თუ აქამდე ფიქრობდნენ, რომ კომპიუტერმა წიგნი ჩაანაცვლა, ახლა ყველანი წიგნების ფურცლებს დაიწყებენ; იმედია, „გზის“ პროექტის მეშვეობით „გაზრდა“ ავტორის ვინაობასაც გაიგებენ და სხვა კლასიკოსების შემოქმედებებსაც გაეცნობიან. ჩვენი პროექტის მეშვეობით ხომ მათი წიგნების შეძენა ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად იქნება შესაძლებელი...

აკდილ-h სიროფი

მხანარაული კომბინირებული ამოსახველავალი საშუალება

ამსირაბს:

- სველას
- ყალის ტკივილს
- ბრონქებში ნახველის შეგუბებას

სამკურნალო საშუალება მთელი ოჯახისათვის

აკდილ-h

გამოყენების წინ გაცანი ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისათვის მამართო ექიმს. პრეპარატის მიღებამდე ყურადღებით გაცანი ანოტაციას.

აქვანტა ფარმა ლიმიტალი

აკდილ-h P.S.P. ანთი-ინფლამატორული ანტი-ჰისტამინური



გაძვირებული პროდუქტები და დაზარალებული მოსახლეობა

„შესაძლოა, კილოგრამი შაქრის ფასი სამ ლარამდე გაიზარდოს“

სურსათზე ფასები უკვე ყოველთვიურად კი არა, კვირიდან კვირამდე და ზოგჯერ, ყოველდღიურადაც კი იზრდება. განსაკუთრებით თვალში საცემია ფასების ზრდა პირველადი მოხმარების სურსათზე. მაგალითად, შაქრის ფასმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და სავარაუდოდ, კიდევ გაძვირდება. რაც შეეხება მოსახლეობის შემოსავალს, უკეთეს შემთხვევაში, ის უცვლელი რჩება და რასაკვირველია, ხარჯების დაფარვაც სულ უფრო ჭირს.

იპა ტუნიავილი

ლილი ნემსაძე

(დიახსლონი):

— სურსათის საყიდლად რომ მივიდეთ, ყოველ ჯერზე ახალი ფასები მხედება. ჩვენს ოთხსულთან ოჯახში მხოლოდ ჩემი მეუღლე მუშაობს. მართალია, აქაური საზომით სოლიდური ჯამაგირი აქვს — დაახლოებით, 800 ლარის ფარგლებში, მაგრამ ამ თანხით, თვიდან თვემდე თავის გატანა სულ უფრო გვიჭირს. თუ რამდენიმე თვის წინ სურსათის საყიდლად თვეში 300 ლარი გვეხარჯებოდა, ახლა ამისთვის 500 ლარიც კი არაა საკმარისი. ფასები იზრდება, შემოსავლები — არა. გეფიცებით, წლების წინ ჩემი მეუღლის 200-ლარიან ხელფასს მეტი მსყიდველობითი უნარი ჰქონდა, ვიდრე ახლა, როცა მისი ჯამაგირი ოთხჯერ მეტია.

ნანა კალატოზიძე

(სასურსათო მაღაზიის გამყიდველი):

— კილოგრამი შაქრის ფასი უკვე 2 ლარი და 20 თეთრია. გაძვირება შემოდგომიდან დაიწყო — ჯერ 1,50 ლარამდე გაიზარდა, შემდეგ ყოველთვე 10-20 თეთრი ემატებოდა და ბოლოს, ორ ლარსაც გადააჭარბა. დისტრიბუტორები გვაფრთხილებენ, რომ შესაძლოა, გაზაფხულისთვის კილოგრამი შაქრის ფასი სამ ლარამდე გაიზარდოს. უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში 20-30 თეთრით გაძვირდა საკვები ზეთი; ფასი გაიზარდა როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე იმპორტირებულ ძეხვეულზე და კიდევ, დროდადრო ყველაფერი ხუთ-ხუთი თეთრით ძვირდება. თავიდან, ეს თითქოს ნაკლებად შესამჩნევია, მაგრამ დრო რომ გადის, ფას-



დროდადრო ყველაფერი ხუთ-ხუთი თეთრით ძვირდება. თავიდან, ეს თითქოს ნაკლებად შესამჩნევია

ნამატი სოლიდურ თანხას აღწევს. მაგალითად, შარშან ამ დროს კილოგრამი შაქარი ერთი ლარი ღირდა, ერთი წლის შემდეგ კი ფასის ზრდამ 100%-ს გადააჭარბა. შაქრის გაძვირებას მოჰყვა ფასების ზრდა ყველა სახის საკონდიტრო პროდუქტზე. მაგალითად, ადგილობრივი წარმოების ორცხობილა, რომელიც კილოგრამი 5 ლარი ღირდა, ახლა 5,60 ლარი ღირს. ერთადერთი მგონი, პური და კვერცხია, რასაც ჯერჯერობით, ფასების ზრდა არ შეეხება. ეს ისეთი პროდუქტებია, რასაც მომხმარებელი, სიძვირის მიუხედავად, მაინც ყიდულობს. სამაგიეროდ, პირველადი მოხმარების პროდუქტების გაძვირების ფონზე სხვა, არაპირველადი და უფრო ძვირად ღირებულ პროდუქტი აღარ იყიდება. ასე რომ, ადრე თუ ყოველდღიურად ვიღებდით საქონელს, ახლა კვირამი ერთხელად გვჭირდება მარაგის შევსება.

მზარა ჯგერინია

(ეკონომიკის ექსპერტი):

— ტონა შაქრის ფასი 350 დოლარიდან 720-730 დოლარამდე გაიზარდა და ცხადია, ამან სპირტის გაძვირებაც გამოიწვია, რადგან ეს პროდუქტი მეტწილად, შაქარზე მზადდება. ადგილობრივ ბაზარზე გაიზარდა ბრინჯისა და სხვა ბურღულეულის ფასიც: თუ ადრე ფუთი ბრინჯი 5 დოლარი ღირდა, ახლა 35 დოლარამდე გაძვირდა. შარშან ბრინჯის ძალიან ცუდი მოსავალი იყო და მისი გაძვირება ამან განაპირობა. ადგილობრივ ბაზარზე გაძვირდება მცენარეული ზეთი, მაგრამ ფასის ზრდას მზესუმზირისა და ზეთისხილის ცუდ მო-

სავალს ვერ დავუკავშირებთ, მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქტის დეფიციტი ნამდვილად არ შეინიშნება, ამიტომ ადგილობრივ ბაზარზე საკვები ზეთის გაძვირება შესაძლოა, მხოლოდ შიდა ფაქტორებით, მაგალითად, ლარის გაცვლითი კურსის ვარდნით იყოს განპირობებული. ერთადერთი პროდუქტი, რომელზეც ფასი ჯერ არ გაზრდილა, ხორბალია. გასულ წელს არნახულად დიდი მოსავალი მოვიდა და აქედან გამომდინარე, პურის გაძვირება არც წლეულს გვემუქრება. ყველა ეს პროდუქტი, შაქარი იქნება, ზეთი თუ სოია, სასაქონლო ბაზარზე ბრუნავს. როცა საფინანსო ბაზარზე რისკის ქვეშ დადგა ფულის დაბანდება, ინვესტირებმა სასაქონლო ბაზარი აირჩიეს და ეს მეორე მიზეზია, რამაც სურსათზე ფასების გაძვირება გამოიწვია; კიდევ ერთი ფაქტორი ისაა, რომ კრიზისის გამო, საქართველოში სურსათის მოხმარება შემცირდა.

ასევე, შემცირდა შემოსავლები, რასაც იმპორტის მოცულობის შემცირებაც მოჰყვა. თვალში საცემია, რომ ბოლო დროს სულ უფრო ცოტა კომპანია მონაწილეობს იმპორტში, რაც მონოპოლიურ გარემოს უწყობს ხელს. სამწუხაროდ, ფასების ზრდა 2010 წელსაც გაგრძელდება.

რამდენად გამართლებულია ასე მყისიერად ფასების ზრდა, როცა დოლარის მიმართ უფასურდება ლარი? ხომ არსებობს განსაზღვრული მარაგები, რომელიც იმპორტიორს ძველ ფასად აქვს შემოტანილი?

— ბაზარზე რეზერვები, ფაქტობრივად, არ გავაზინია და იმპორტის განხორციელებაც თითქმის ყოველდღიურად ხდება. და კიდევ, ლარის გამყარების შემდეგ, სასურსათო ფასების დონე კლები-სკენ არასდროს იცვლება ანუ აქ საქმე გვაქვს რეალიზატორების მხრიდან გაუმართლებელ მოგებასთან, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ არაკონკურენტულ გარემოში ვცხოვრობთ.

ირაკლი ლეჟინაძე

(„ჯორჯიან ბიზნესკონსალტინგის“ გენერალური დირექტორი):

— საქართველოში პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასის ზრდა, პირველ რიგში, ლარის კურსის მერყეობამ განაპირობა — მისი განსაზღვრული ვადით გაუფასურება, მიუხედავად იმისა, შემდეგ ის გამყარდება თუ არა, მაინც აისახება პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასებზე, რადგანაც საქართველოში ასეთი ტიპის ნაწარმი — კვების პროდუქტები, თამბაქო, ენერგომატარებლები,



„ვისოლი“ პრობაციონერს ასაქმებს

დავით ნიკლაურის ცხოვრების ახალი გზა

დიდ დილოში, კომპანია „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურზე ახალი ოპერატორი გამოჩნდა. ქართულ ნავთობსექტორში ყველაზე დიდი დამსაქმებელი კომპანიისთვის კიდევ ერთი კაცის დასაქმება გასაკვირი არ იქნებოდა, რომ არა განსაკუთრებული შემთხვევა. ფასანაურელი, 25 წლის დავით ნიკლაური ციხიდან ახლახან გამოვიდა. გათავისუფლების შემდეგ ერთი დღეც არ დასჭირვებია იმაზე ფიქრი, სად და როგორ ეშოვა სამსახური. სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაცია — „ცხოვრების ახალი გზის“, საპატრიარქოს და, რაღა თქმა უნდა, კომპანია „ვისოლის“ ძალისხმევით, ფაქტობრივად, ერთი ხელის მოსმით გადაწყდა დავით ნიკლაურის დასაქმების საკითხი.

დავით ნიკლაური:

— ფასანაურელი გახლავართ, ოჯახში მეუღლე და პატარა, ორწლიანხევრის შვილი მყავს. სანამ ციხიდან გამოვიდოდი, სულ იმაზე ვფიქრობდი, რა მემშველება, როგორ ავანყობ ცხოვრებას? ნეტავ, სად ვიმუშავე და ოჯახს რითი ვარჩენ-მეთქი? მოგეხსენებათ, დღეს იმათთვისაც კი ჭირს სამსახური, ვისაც ცხოვრებაში ერთი დალაქავებული „ფურცელიც“ კი არა აქვს, მე კი ზურგზე პატიმრობის სასჯელი მქონდა „აკიდებული“. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ვინმე ჩემს სამსახურში მიღებას ისურვებდა. ფაქტობრივად, თავისუფლების მიღებისთანავე „ვისოლის“ ტრენინგ-ცენტრში მიმიღეს იმისათვის, რომ ოპერატორისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები მიმეღო. „ვისოლში“ დიდ ყურადღებას უთმობენ ნებისმიერ მომხმარებელს. ამიტომ აუცილებელია, მათ მიესალმო და კეთილი მგზავრობა უსურვო. უფროსებმა მითხრეს, გენდობით და უნდა გავგვიმართლო, თუ კარგი მუშაკი იქნები, კიდევ დაგანინაურებთო. არ ვიცი, სადმე კიდევ თუ ხდება ასე, აქ კვებაც კი უფასო მაქვს და სამედიცინო დაზღვევაც გამიკეთეს. მოკლედ, მუშაობა „ვისოლში“, უბრალოდ სამსახური როდია, ეს მომავლის იმედი!

პირველ სამუშაო დღეს, დილით, დავითს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუშვა. მისთვის სამსახურის დაწყების მისალოცად, ავტოგასამართ სადგურზე, პატარა დელეგაცია მივიდა. სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის მოადგილემ — გიორგი მაკასარაშვილმა ყოფილ პატიმარს „ვისოლში“ პირველი სამუშაო დღე მიულოცა და უსურვა, რომ არა-



სოდეს მოხვედრილიყო იქ, საიდანაც ცოტა ხნის წინ გამოვიდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია — „ცხოვრების ახალი გზის“ წარმომადგენელი — შუქრი ბურჭულაძე ბიზნეს-კომპანიებს მოუწოდებს, რომ „ვისოლის“ მაგალითი გაიზიარონ:

— საბედნიეროდ, ბევრ პატიმარს სურს, თავისუფლების დაბრუნების შემდეგ პატიოსნად იცხოვროს. ეს მათ თვალებსა და ქცევამაც ჩანს; მათ გამუდმებით აკვირდება სპეციალური ჯგუფი. ჩვენი ორგანიზაციის მიზანია, საპატრიარქოს კურთხევით და სამინისტროს მხარდაჭერით, შექმნას საუკეთესო რესოციალიზაციის სისტემა, ისეთი, როგორც ევროპაშია და ზოგადად დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში. „ვისოლი“ პიონერი აღმოჩნდა მათ შორის, ვისაც ამ საკითხში თანამშრომლობა შევთავაზეთ. ყოფილ პატიმრებს გადარჩენა სჭირდებათ. ამიტომაც მათთვის სამსახურის გამოჩვენა უბრალოდ დასაქმება არ არის, ეს არის მათი ხსნა...

„ვისოლის“ ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის მიზნებიდან გამომდინარე, მათი გადაწყვეტილება სულაც არ არის განსაკუთრებული. „საზოგადოებაზე ზრუნვა „ვისოლის“ სოციალური პასუხისმგებლო-

ბის სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. კომპანია საზოგადოების ნებისმიერ წევრს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის და განვითარების საშუალებას აძლევს. ჩვენთან სამსახურის დაწყების შემდეგ კი მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში და პროფესიონალურ ზრდაშიც ვეხმარებით. „ვისოლს“ საკუთარი ტრენინგ-ცენტრი აქვს, რომელიც თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაზე ზრუნავს, რათა საქართველოს მასშტაბით მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის მომსახურება შესთავაზოს. მოხარულები ვართ, რომ დღეს პრობაციონერი დავასაქმეთ. სახელმწიფოს ძალისხმევითა და არასამთავრობო ორგანიზაციის ხელშეწყობით კეთილი საქმე გაკეთდა. როდესაც ყოფილი პატიმრის დასაქმების გადაწყვეტილება მივიღეთ, ბევრმა გაიკვირვა.

ეს პროექტი საქესპერმიენცთა და მოხარული ვიქნებით, თუ გაამართლებს, რადგან ერთია, როდესაც ჩვეულებრივ მოქალაქეს იღებ სამსახურში და სხვა საქმეა, როდესაც ასაქმებ ციხიდან ახალგამოსულ ადამიანს, რომელიც დათრგუნვილია თავისუფლების შეზღუდვით და საზოგადოებასთან ადაპტაციისთვის სერიოზული დახმარება სჭირდება. ის ფიქრობს, ცხოვრება თავიდან როგორ დაიწყოს, რომ ციხის ზღურბლს მიღმა ისევ არ მოხვდეს. გვინდა, რომ ჩვენმა ახალმა თანამშრომელმა იგრძნოს, რა მოხდა მის ცხოვრებაში, რომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ნდობას და მან უნდა გაამართლოს“, — განაცხადა „ვისოლის“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხორავამ.

„ვისოლის“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის დირექტორის — რუსუდან სანიკიძის თქმით, კომპანია პრობაციონერების დასაქმებას სამომავლოდაც გააგრძელებს.

— „ვისოლი“ მზად არის, დასაქმების მსურველ პრობაციონერებს ხელი შეუწყოს. ეს არ იქნება ერთადერთი შემთხვევა და ვეცდებით, ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც გავაგრძელოთ. როგორც წესი, კომპანიები ერიდებიან ასეთი ადამიანების დასაქმებას, თუმცა ვეცდებით, ეს სტერეოტიპი დავამსხვრიოთ და სამინისტროსთან ამ მიმართულებით აქტიურად ვითანამშრომლოთ“, — ამბობს რუსუდან სანიკიძე. ■



პოპტა მეფის მოკრძალებული უთამოპავალი და სიმბოლიკა, როგორც დიდ ისტორიას ინახავს

„ჩემში ბრძოლის უინი მერაბ კოსტავას გარდაცვალების ამბავმა გააღვიძა, მას შემდეგ პოლიტიკაში ვარ და უსამართლობის წინააღმდეგ ვიბრძვი“, — ამგვარად ასაბუთებს პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებას ბიორბი ტაბიძე, რომელიც ამჟამად თბილისის საკრებულოს წევრია. ამბობს, რომ რომანტიკოსია... დღემდე ზეპირად ასსოვს ზაგუმობაში მშობლების მიერ ნასწავლი ლექსი — „მამული“. მისი მეუღლე ის ქალბატონია, რომელიც ჯერ კიდევ მეექვსე კლასში სწავლისას შეუყვარდა. მართალია, უკვე 40 წლის არის, მაგრამ დიდი ინტერესით ეკიდება შვილების — 16 წლის ფიქრისა და 14 წლის ლუკას მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ძალიან უყვარს თავისი დიდი წინაპრის — გალაკტიონის შემოქმედება და ფიქრობს, რომ შოთა რუსთაველის შემდეგ ის და ვაჟა-ფშაველა ყველაზე ძლიერი პოეტები იყვნენ... ირწმუნება, რომ ტრადიციების მიმდევარი ქართველია, მაგრამ წინაპრებისგან შემორჩენილი ზოგიერთი ადათ-წესი არ მოსწონს.



ნამდვილეს გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ გალაკტიონი ფხიზელიც კი თავს მთვრალად ასალებდა?

— სრული სიმართლეა. როგორც მამა ამბობს, წვერზე არაყს ან სპირტს ისხამდა, რომ სასამლის სუნი ჰქონოდა და ხალხს მთვრალი ჰგონებოდა.

ეს რისთვის სჭირდებოდა?
— ძნელი სათქმელია: უცნაური ადამიანი იყო...

გი. სინამდვილეში სმა არ უყვარდა?

— როგორ არა?! სმას იმის შემდეგ მიეძალა, რაც კომუნისტებმა ცოლი დაუხვრიტეს. ზოგჯერ რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღე სვამდა და ექიმის დახმარების გარეშე მდგომარეობიდან ვეღარ გამოდიოდა, მაგრამ ლექსებს ყოველთვის ფხიზელი წერდა. ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვი: ის ძალიან ხშირად თავის ლექსებში სიტყვებსა და ფრაზებს ცვლიდა. მაგალითად, გალაკტიონის ცნობილი ფრაზა — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ თავდაპირველად, ასეთი იყო — „და გვარდია უპირველეს ყოვლისა“. არ ვიცი, ფართო საზოგადოებისთვის ეს რამდენად ცნობილი ფაქტია, მაგრამ გალაკტიონის ძალიან ცუდი ხასიათი ჰქონდა, ყველასთან, მათ შორის მეზობლებთანაც გააუძმებით ჩხუბობდა. მეგობარიც კი არ ჰყავდა, ყველას ცინიკურად უყურებდა...

მამათქვენსაც?

— მამაჩემი ერთადერთი გამონაკლისი იყო... გალაკტიონის ყველა პრობლემას მამაჩემი უგვარებდა, ისეთ წვერილმან საკითხებსაც კი, როგორც ჩაცმა-დახურვა. ამ თემაზე საუბარი არ მინდოდა და მაინც ამაღაპარაკეთ...

თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდი გავლენა რამ მოახდინა?

— იმ ფაქტმა, რომ ანტიკომუნისტურ-

სათუნა ბახტურიძე

— ბატონო გიორგი, მაინც რა არ მოგწონთ ჩვენი წინაპრების მიერ შემონახული ადათ-წესებიდან?

— ტრადიციულ და სტუმართმოყვარე ოჯახში გავიზარდე. ჩვენთან ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი, კოლორიტული ადამიანები. მეც მიყვარს ქეიფი, სადღეგრძელო, სიმღერა, ლექსი, მაგრამ საშინლად არ მომწონს უზომო სმა, ღრეობა... ერთი სიტყვით, „დაასხი-დალიე“ ჩემთვის მიუღებელია. ჩემი აზრით, ძალიან კარგი ტრადიცია იყო ოჯახში წვეულებების მოწყობა. ახლა ყველაფერს — ქორწილს, დაბადების დღეს რესტორნებში აღნიშნავენ. ვფიქრობ, რომ ეს ადამიანების ერთმანეთისადმი გაუცხოებას იწვევს. ოჯახურ გარემოში „ჩახსდომა“ და ერთმანეთის მოფერება მაინც სხვა რამეა.

— **ჟურნალისტები რის გამო გაბრაზებენ?**

— ხშირად ჩემზე არარეალურ რაღაცებს წერენ, ჭორებს მიგონებენ, მაგრამ არა უშავს, ბოლშევიანი ადამიანი არა ვარ. ეს ამბავი სალაპარაკოდაც არ ღირს.

— **მორწმუნე ხართ?**

— კი, მოძღვარიც მყავს — მამა ლაზ-



არე. არქიმანდრიტა მცხეთაში — დედათა მონასტერში. ასეთი თბილი და მზრუნველი ადამიანი იშვიათობაა. როგორც ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, მეც ვცდილობ, მისი რჩევები გავითვალისწინო. შარშან, როდესაც ძველი ბაქოს მერს — მაიკლ ჯაბაროვს (სხვათა შორის, ის თბილისის საპატიო მოქალაქეა) ვსტუმრობდი, ბაქოში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც ჩამოვბრძანდა. მას თან ახლდა თბილისის ვიცე-მერი, მამუკა ახვლედიანი, რომლის მეშვეობითაც რამდენიმე მეგობარი უწმინდესს ვესტუმრეთ. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი პატივი იყო. უწმინდესის თითოეულ სიტყვას ძალიან დიდი წონა აქვს და ეს ყველამ კარგად უნდა გავიანზროთ.

— **ბატონო გიორგი, თქვენი წინაპრების მსგავსად, თქვენც ხომ არ წერთ ლექსებს?**

— ყმანეილკაცობაში დაწვერე რამდენიმე ლექსი, მაგრამ მამაჩემმა მირჩია ამ საქმისთვის თავი დამეხებებინა და მეც დავეჯერე. მას შემდეგ, მოთხრობებსა და ჩანახატებს ვწერ, ისიც — მხოლოდ უახლოესი ადამიანებისთვის. ვიდრე ინგას ცოლად შევირთავდი, ხშირად ვუძღვნიდი რაღაც-რაღაცებს. ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ინგა ცეკვის წრეზე დადიოდა და სკოლაში მისი უზარმაზარი „პლაკატი“ იყო გამოკრული, რომელიც ძალიან მომწონდა... ერთხელაც მოვიპარე... სხვათა შორის, ის „პლაკატი“ ახლაც ჩემს ოთახში მაქვს გაკრული.

— **როგორც გალაკტიონის ძმის შვილიშვილმა, მის შესახებ რაიმე ისეთი თუ იცით, რაც ქართველი საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობია?**

— ძალიან ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, — ეს მამაჩემის პერსონალიზაციაა. ალბათ იცით, რომ მამაჩემი მასთან ერთად ცხოვრობდა. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო. ბევრი ისეთი უცნაურობაც ახასიათებდა, რომ ამის შესახებ მამაჩემიც კი არასოდეს იტყვის რამეს.

— **რამდენად შეეფერება**

სადაზღვევო კომპანია



ა ლ ფ ა

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, კომპაქტურ დასახლებებში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირების, მგრუნველოკომპლექსული გავრეების, სხსლსო არტისტების, სხსლსო მხატვრების და რუსთაველის პრემიის ლაურეატების სამედიცინო დაზღვევის პროგრამა

სადაზღვევო კომპანია ალფა დამატებით გთავაზობთ აპერსის აფთიაქებში 100 ლარის მედიკამენტებს უფასოდ და ჟიჟის დანიშნულ მედიკამენტებზე 50%-იან ფასდაკლებას, ვაუჩერის გადასვლა შესაძლებელია აპერსის აფთიაქებსა და სხსლსო ბანკის ფილიალებში.

სხსლსო ბანკი
PEOPLE'S BANK



სადაზღვევო ვაუჩერი

„სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის“ სამთავრობო პროგრამა

ვალურით მოსარგებელ პირთა მინადებები

N	სახელი, გვარი	დაბ. თარიღი	პრობერა	შენიშვნა
1				
2				
3				
4				

მისამართი: ქ. თბილისი, 0117, დიდუბე რელორეთის რაიონი, ჯეჯახიშვილის ქ. 51

ვალურის გადების ვადა: 01.03.2010

ვალურის სადაზღვევო კომპანიაში წარდგენის ვადა: 01.03.2010 - 10.03.2010

სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი: 01.04.2010

ვალურის გადებზე მასუბისმეგებელი პირი

სახელი: _____ გვარი: _____

კოდი: _____ იდუბურს: _____

რკგუი: _____ თუა: _____ ქული: _____

ვალურით მოსარგებელ პირთა რაიადუნია: _____

ვალურით მოსარგებელი რადუნების დელუბრა: რკგუი: _____ რიბრა: _____ სიბერე: _____

01 - ალა სსრკული სსრ სსრკული მოსაბოი 32 - რიბრელი, 03 - რიბრელი სსრკული სსრკული დსრკული, 04 - სსრკული სსრკული



დააზღვიეთ ალფაში და იყავით მზვიდად!

მისამართი: ჯანო ბაგრატიონის ქ. 6ა
საინფორმაციო 24/24: ☎ 640 640

e-mail: insurance@alpha.ge
www.alpha.ge



ად მოაზროვნე ადამიანების ოჯახში გავიზარდე. ბაბუაჩემი (დედის მამა) — მიხეილ ზანდუკელი სტალინმა ორჯერ გადაასახლა. მისი ჩანაწერების კითხვამ და ბიძაჩემთან, ვასილ ტაბიძესთან (რომელიც გამუდმებით საბჭოური წყობილების უსამართლობაზე ლაპარაკობდა) ერთად ცხოვრებამ ჩემზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. მე-7 კლასში



მეუღლე — ინგა

ეს წაწავლობდი, როდესაც ჩვენი უახლოესი ნათესავი — მარიკა ბაღდავაძე დააპატიმრეს, მხოლოდ იმისთვის, რომ „გეორგიევსკის ტრაქტატთან“ დაკავშირებით, კომუნისტებისგან განსხვავებული აზრი ჰქონდა... სკოლა დავამთავრე თუ არა, მეც მაშინვე ჩავები ეროვნულ მოძრაობაში. პირველივე მიტინგში ვმონაწილეობდი. 1987 წლის 10 დეკემბერი — ადამიანის უფლებათა დაცვის დღე იყო. სულ 50 თუ 60 კაცი ვიყავით, ორგანიზატორი მერაბ კოსტავა გახლდათ. ამ ადამიანს უსაზღვროდ დიდ პატივს ვცემდი, მისი სიკვდილი ძალიან განვიცადე.

— **მერაბ კოსტავას პირადად იცნობდით?**
— კი, ჩემი მშობლების მეგობარი იყო. მართალია, კუშტი სახე ჰქონდა, მაგრამ ძალიან გულწვილი იყო: საუბრის დროს არაერთხელ მინახავს მისი აცრემლებული თვალები... იმ პერიოდში სოციალური ფონი ძალიან მძიმე არ იყო, მაგრამ მას იმის აღიარება არ შეუძლია. დღემდე მისი გავლენის ქვეშ ვარ და სხვა ადამიანის პრობლემას საკუთარვით განვიცდი.

— **9 აპრილის ტრაგედიის დროს თქვენც პარლამენტის წინ იყავით?**

— უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად მეც იქ ვიდექი. ძალიან დაძაბულები ვიყავით. 3 დღის განმავლობაში აურცლებდნენ ხმას, რომ საოკუპაციო ჯარი მომიტინგეების დარბევას აპირებდა. ვიცოდით, რაც მოხდებოდა, მაგრამ მაინც არ დავიშალეთ... ახლა კი ვნანობთ, პატრიარქს რომ არ დაუფურეთ, მაგრამ მაშინ ძალიან აუტირებულები ვიყავით... ეს დღე არასოდეს დამავიწყდება...

— **9 აპრილის ტრაგედიის დროს თქვენც პარლამენტის წინ იყავით?**

— უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად მეც იქ ვიდექი. ძალიან დაძაბულები ვიყავით. 3 დღის განმავლობაში აურცლებდნენ ხმას, რომ საოკუპაციო ჯარი მომიტინგეების დარბევას აპირებდა. ვიცოდით, რაც მოხდებოდა, მაგრამ მაინც არ დავიშალეთ... ახლა კი ვნანობთ, პატრიარქს რომ არ დაუფურეთ, მაგრამ მაშინ ძალიან აუტირებულები ვიყავით... ეს დღე არასოდეს დამავიწყდება...

— **საკრებულოში როგორ მოხვდით?**

— იქ პირველად 2002 წელს მოვხვდი. ახლაც ვფიქრობ, რომ ისეთი მაგარი საკრებულო იმის შემდეგ აღარ გვექონია. მაშინ თავმჯდომარე სააკაშვილი იყო. ძალიან მაგარი ნოვატორი იყო, სასწაულ რამეებს აკეთებდა...

— **ასეთს რას აკეთებდა?**

— ახალ, ევროპულ პოლიტიკას ჩაუყარა საფუძველი. ეს იყო ახალი მიმდინარეობა, რომელიც მანამდე ქართველებისთვის უცხო ხილი იყო და რომელსაც ბევრმა

ვერ აულო ალღო, — უბრალოდ, არ ესმოდათ, რასთან ჰქონდათ საქმე.

— **მაშინ რომელი პარტიის სიით გახდით საკრებულოს წევრი?**

— „აღორძინების“ სიით.

— **ამჟერად, რომელ პარტიას წარმოადგენთ საკრებულოში?**

— „ნაციონალებს“, საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატი ვარ. სიმართლე რომ გითხრათ, „აღორძინების“ თავგადაკლული აქტივისტი არ ვყოფილვარ, არც ასლან აბაშიძესთან მქონია ახლო ურთიერთობა. უბრალოდ, იქ ჩემი მეგობრის — გიორგი თარგამაძის თხოვნით მივედი. საკრებულოში მოხვედრის შემდეგ კი ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც ჩემი ქალაქისთვის არის კარგი.

— **ე.ი. აღიარებთ, რომ ქართულ პოლიტიკაში პირადი ნაცნობობით წყდება მნიშვნელოვანი საკითხები?**

— არა. გიორგიმ იმიტომ შემომთავაზა საკრებულოს არჩევნებში კენჭისყრა, რომ იცოდა — თბილისის საკეთილდღეოდ რაც შეემძლო, ყველაფერს გავაკეთებდი.

— **ქალაქის დღევანდელი მერი თქვენი მეგობარია?**

— რომ გითხრათ, გიგი უგულავა ჩემი ძმაცაცა-მეთქი, მოგატყუებთ. ისე კი ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მის წინაპრებზე, როგორც ჩემი მშობლებისგან, ისე სხვა ადამიანებისგან ბევრი კარგი რამ მსმენია. ორივე მეცნიერების ოჯახებში აღვიზარდეთ, ერთი და იმავე სოციალურ ფენას წარმოვადგენთ, ამიტომ მასთან ურთიერთობა არ მიჭირს. ვფიქრობ, რომ საქმიანი, წარმატებული მერი და გულწრფელი კაცია. სწორედ ასეთი ლიდერი სჭირდება დედაქალაქს.

— **ამჟამად საკრებულოში კონკრეტულად რა საკითხებზე მუშაობთ?**

— სახელების და სიმბოლიკების დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვარ. ამ ეტაპზე, ქუჩებისთვის, სკოლებისთვის, სკვერებისთვის სახელების დარქმევაზე ვმუშაობ. თავიდან ვერც კი წარმოვიდგენდი, ეს საქმე ასე თუ გამიტაცებდა. არც ის მეგონა, რომ მოსახლეობა ამ საქმეში ასე ძალიან იქნებოდა ჩართული. თამაზად ვიტყვი, რომ ჩემს კომისიაში ყველაზე მეტი წერილი და ზარი შემოდის. ზოგს ვაკმაყოფილებთ, ზოგსაც — ვერა. ახლა ახალ დებულებაზე ვმუშაობთ, რომელიც საბოლოოდ დახვეწს და დაალაგებს ქუჩებისთვის, სკოლებისა და სკვერებისთვის სახელების მინიჭების საკითხებს.

— **თბილისში ყველაზე ძველი ქუჩა რომელია და საერთოდაც, რომელი წლიდან დაიწყო ქალაქის ქუჩებისთვის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების სახელების დარქმევა?**

— ძალიან ძნელია ყველაზე ძველი ქუჩის მოძიება... ისე, როგორც

საარქივო მასალებიდან ირკვევა, თბილისში ქუჩებისთვის ცნობილი ადამიანების სახელების დარქმევა მეფისნაცვალ ვორონცოვის დროს დაიწყო. საინტერესოა თავად სახელწოდებები: ვერა, ლარსის, გუდაურის, არაგვის, ყაზბეგის ქუჩა. აშკარაა, რომ ამ ადგილებში მთიდან ჩამოსულები დასახლებულან. ეს მთელი ისტორია... ნაძალადეგში ძირითადად, იმერლები და რაჭველები არიან ჩამოსახლებულნი. ძალიან საინტერესო თემაა და ამის შესწავლას ბევრი დრო სჭირდება. ვფიქრობ, ძალიან კარგი რამ გავაკეთეთ, როდესაც „დინამოს“ სტადიონის გარშემო მდებარე ქუჩებს ცნობილი ფეხბურთელების — დავით ყიფიანის და სლავა მეტრეველის სახელები დავარქეთ. ეს თავის დროზე რომ გავკეთებინათ, დღეს სტადიონის გარშემო „სპორტსმენების უბანი“ იქნებოდა. სულ ცოტა ხნის წინ ე.წ. შანხაის ახალმშენებულ უბანს 3 ცნობილი მსახიობის სახელი მივანიჭეთ, ამის შედეგად კი ამ ტერიტორიას დღეს ხალხი „მსახიობების უბანს“ უწოდებს.

— **როგორც საბურთალოს მაჟორიტარმა დეპუტატმა, იქნებ ამ დასახლების ისტორიაც გვიამბოთ...**

— იმ ტერიტორიაზე, რასაც ახლა საბურთალოს უწოდებენ, ადრე არავინ ცხოვრობდა, ცარიელი, იმოდრომის მსგავსი ადგილი იყო და ხშირად იმართებოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრება, მათ შორის — ბურთობაც. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ საბურთალოს ქუჩასაც შეუცვალეს სახელი, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნით, ახლახან ისევ პირვანდელი სახელი დავუბრუნეთ.

— **რამდენიმე წლის წინ, პეკინის ქუჩას კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი დაარქვეთ, მაგრამ მერე ისევ პირვანდელი სახელი დაუბრუნეთ. ამის მიზეზი რა იყო?**

— ხალხის მესხიერებაში იმდენად იყო გამჯდარი „პეკინი“, რომ მას გამსახურდიას გამზირს მაინც არავინ უწოდებდა. გარდა ამისა, გამსახურდიას გამზირი კიდევ უფრო დიდ ქუჩას დავარქვეთ. აქვე გეტყვი, რომ ვაკიდან გალაკტიონის ძეგლის გადატანა რამდენიმე წლის წინ მოვითხოვე, რასაც ერთი ვაი-ვიში მოჰყვა. დღესაც მიმანია, რომ „მეფე-პოეტი“ არ უნდა იყოს კორპუსების სადარბაზოებთან გაჩხერილი. გალაკტიონს სივრცე სჭირდება და არა — ბირჟაზე დგომა...



შვილები — ფიქრია და ლუკა



სახე

მამის ნებიარა უვილი – როდის ჯიუბოზს სოფო ბედია



ელენე ბასილიძე

სოფო ბედია იმ მომღერალთა რიგს მიეკუთვნება, ვისაც ქუჩაში აჩერებენ, ეფერებიან და მისი სიმღერების მოსმენით ტკბებიან... სოფო ბედია ახლა მეულესთან ერთად, კონსტანტინე პევეზერის სიმღერაზე დუეტის ჩანერას აპირებს. სიმღერის ტექსტი ნიკო გომელაურს ეკუთვნის. მომღერალი ამბობს, რომ ამ ნამუშევარზე კლიპსაც გადაიღებს. მანამდე კი მის ფსიქოპორტრეტს გაგაცნობთ.

— როცა ვჩაგრავდი, მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მართლაც ცოდვა იყო...

— მის ადგილზე შენ რომ ყოფილიყავი...

— ისეთი ცოცხალი და შეუბოვარი ბავშვი ვიყავი, ვინ დამჩაგრავდა?! ბორისი კი — მიაშიტი იყო. მე ვერავინ ვერაფერს მომატყუებს. ადამიანს კოჭებში ვატყობ, მატყუებს თუ — არა.

— როცა გატყუებენ, როგორ იქცევი?

— დელიკატურად ვაგრძნობინებ, რომ მე არ მოვტყუებულვარ. მაგრამ ამას პირში არასდროს ვეტყვი... ისე მეგრულად ანუ დელიკატურად მოვავარებ საქმეს, რომ მას არც კი ვანყენინებ.

— ტყუილი თუ გითქვამს?

— როგორ არა, მითქვამს.

— მაგალითად?

— ბავშვობაში, როცა შეყვარებული ვიყავი ხოლმე, მშობლებს არ ვუმხელდი. ახლა სხვა დროა, სხვა თაობა მოვიდა, მშობლებთან დაქალობენ და ძმაცაობენ, მაგრამ მე ისეთი მამა მყავდა, ვერ ვეტყვი, შეყვარებული ვარ-მეთქი.

— აბა, როგორ გათხოვდი?

— როცა გაეთხოვედი, მამა ცოცხალი აღარ იყო, დედას კი ვუთხარი, რაც ხდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ზრდასრული გოგო ვიყავი უკვე.

— რამე თუ მოგიპარავს?

— ბავშვობაში შეიძლება, მეზობლის ბავშვისთვის რომელიმე სათამაშო დამემალა, მაგრამ მალევე გამოიჩენია. მაგ მხრივ პატიოსანი ვარ.

— მალაზიაში სიარული თუ გიყვარს?

— საერთოდ, მალაზიებზე და შობინგზე ვგიჟდები, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც სამკაულების განყოფილე-

— სოფო, მეტსახელი თუ გაქვს?

— კი, მოფერებით „ცუცას“ და „დადას“ მეძახიან; ისე, ეს ორივე სახელი მე თვითონ მოვიგონე და მეც ასე მივმართავ ხოლმე ჩემთვის საყვარელ ადამიანებს.

— ჰოდა, ჩემო ცუცა, ცოტადენი შენს ბავშვობაზე გვიამბე.

— ძალიან საყვარელი, ახტაჯანა, გიჟი ბავშვი ვიყავი. საკუთარ ძმას, და არა მარტო მას, საჩხუბრად ვინვევდი.

— ამას მშობლები როგორ ეგუებოდნენ?

— შეიძლება ითქვას, რომ მამას ნებიარა ვიყავი, რაც უნდა დამეშავებინა, სოფო ანგელოზია, ფრთები აკლიაო, — ამბობდა. საწყალი ძმა კი დიდი წნეხის ქვეშ მყავდა. ჩემზე უფროსია, მაგრამ თავი ყოველთვის მასზე უფროსად მომქონდა...

— არ გეცოდებოდა ძმა, რომ ჩაგრავდი?

თუ ხართ ენერგიული, ახალგაზრდა და გაინტერესებთ ჯარიერული ზრდა

შპს „ქართული კაზინოს ჯგუფი“

და „STORM INTERNATIONAL“

გეპატიჟებით სამუშაოდ გოგონებს და ბიჭებს 18 დან 30 წლამდე, გამოცდილებით და გამოცდილების გარეშე, ინგლისური ან/და რუსული ენის ცოდნით შემდეგ პოზიციებზე:

კრუპი / პოლარე

ჩვენ გთავაზობთ: უფასო სწავლებას + სტიპენდიას, სტაბილურ

ხელფასს, მოსახერხებელ სამუშაო გრაფიკს.

გასაუბრებაზე ჩანერა ტელეფონით 92 25 05 ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა.





ბა მიზიდავს. მიყვარს, როცა საკუთარ თავს სამკაულებით ვანებიერებ. შეიძლება, ტანისამოსზე უარი ვთქვა, მაგრამ სამკაულზე უარს ვერ ვიტყვი.

— **დავუშვათ, მაღაზიაში, ძალიან ლამაზი, ძვირად ღირებული საყურე ნახე და მეორე დღეს, მეუღლე იმ საყურის საყიდლად წაიყვანე. იმ საყურის ყიდვაზე უარი რომ გითხრას, რას იზამ?**

— რომ ვუთხრა, გავგიჟდი, ისე მომეწონა ეს საყურე-მეთქი, აუცილებლად მიყიდის. ხვდება ხოლმე, როცა გულით მინდა ამა თუ იმ ნივთის შეძენა, უკანასკნელ დანაზოგს ამოიღებს და გულს არ დამწყვეტს.

— **მალე ბრაზდები?**

— კი, ფიცხი ხასიათი მაქვს. შეიძლება, ელემენტარული რამ მენყინოს და ამის გამო დიდი ამბავი ავტუხო, შემდეგ კი ბევრი ვიცინო ჩემს საქციელზე. ზოგჯერ კი შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანი რამ „გავატარო“ და არ „გავჭედო“.

— **დავუშვათ, წვეულებაზე მეუღლემ, შენი თანდასწრებით, ერთერთ მანდილოსანთან ფლირტი გააჩაღა — ცეკვა შესთავაზა...**

— არ არსებობს, ჩემთანაც იშვიათად ცეკვავს...

— **მეუღლისგან შენიშვნას როგორ იღებ?**

— თუ ეს შენიშვნა სამართლიანია და თავადაც მიმაჩნია, რომ იმწუთას მართლაც გამომწვევად მაცვია, რა

ბოდიშის მოხდა არ მიჭირს. წყენა ისედაც მალე გადამივლის ხოლმე, დიდხანს უმძრახად ყოფნა არავისთან შემიძლია და მით უმეტეს მიმიკოსთან.

— **შენმა უახლოესმა მეგობარმა რომ გითხრას, მიშიკო სხვა ქალთან ერთად ვნახეო, დაიჯერებ?**

— მეგობრის ნათქვამი ჩემზე იმოქმედებს, მაგრამ მე მხოლოდ საკუთარ თავს ვუჯერებ. თუმცა აუცილებლად გავარკვევ, რა ხდება. არაფერი გამოიმეპარება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებიანი ვარ. და თუ ეს ფაქტი ოდესმე მოხდება (ღმერთმა დაგვიფაროს), ჩვენ შორის მაშინვე დამთავრდება ყველაფერი. არც კი ვივითხავ, მათ მხოლოდ ყავა დალივს ერთად კაფეში თუ სანოლშიც ინუნენ. არ დავმალავ და, ვიტყვი, რომ ეჭვიანი ვარ... ისე, ეჭვი ყოველთვის სიყვარულს ახლავს.

— **ზარმაცი ხარ?**

— დილით ადრე ადგომა მიჭირს, ესაა ჩემი სიზარმაცე. ჩემს საქმეს რაც შეეხება, არასდროს მეზარება სირბილი სტუდიიდან სტუდიაში. ამას სიამოვნებით ვაკეთებ.

— **მაშ, დღით ვინ იღვიძებს, როცა შენი პატარა შვილი — ნიკუშა თვალს ახელს და ტირის?**

— მიშიკო. ძალიან მესმარება. ვეცოდები, ბავშვი ბუნებრივ კვებაზე მყავს და ღამეში რამდენჯერმე მინევს კალვიძება. აბა, რისი ქმარია, თუ ხელი არ შემინცო?

— **ლიფტში „გაჭედვის“ თუ გეშინია?**

— ძალიან მეშინია, მაგრამ ლიფტში მართო არასდროს გავჭედნილვარ, თორემ შეიძლება, პანიკაში ჩავვარდნილიყავი. ერთხელ მეგობრებთან ერთად გავიჭედე, მაგრამ მაშინ მათი იმედი მექონდა და გული არ გამისკდა, გადავრჩი. ისე, ექსტრემალი ვარ... მიყვარს, როცა მანქანა სწრაფად დაჰყავთ. იმ დროს დიდ სიამოვნებას ვიღებ.

— **ავტომაქანას თვითონ თუ მართავ?**

— ჩემი ოცნებაა, მანქანის მართვა ვისწავლო, მაგრამ ჩემს ქმარს დიდად არ ხიბლავს, ქალი საქვს რომ უზის. თვითონ კარგი მძღოლია და ასე მეუბნება — ამ მიმართულებით თუ ნიჭი აღმოგაჩნდება, მანქანის მარ-



ჩემზე უფროსია, მაგრამ თავი ყოველთვის მასზე უფროსად მომქონდა...

თვას გასწავლიო (იციინის). ასე რომ, იმედს არ ვკარგავ, რომ ოდესმე ავტომობილის მართვას ვისწავლი.

— **როდესაც გაბრაზებული ხარ, მაგ დროს რა გამშვიდებს?**

— ჩემი საყვარელი ადამიანების გვერდით ყოფნა. თუ ქმარმა გამაბრაზა, ვცდილობ, დიასახლისის ამპლუა მოვირგო, სახლის საქმე გავაკეთო, რომ გული გადავაციო... მადლობა ღმერთს, რომ ბოლმიანი არ ვარ და წყენის გულში ჩადება არ მახასიათებს. დეპრესია ხომ საერთოდ არ ვიცი, რა არის. ერთადერთხელ დამემართა ასეთი რამ: როცა მამა გარდაიცვალა. მდგომარეობიდან მაშინაც ჩემმა საყვარელმა ადამიანებმა გამომიყვანეს; მეუბნებოდნენ, მომლერალი ხარ, უნდა იმლეროო...

— **სახლის დალაგება მამშვიდებსო, მითხარი. როგორი დიასახლისი ხარ?**

— შეიძლება ითქვას, რომ კარგი კულინარი ვარ. მეუღლეს მოსწონს ჩემი მომზადებული კერძები. ნახელავი ჩემთვის არასდროს დაუნუნებია. სხვათა შორის, კერძებს თავადაც ამზადებს...

— **ცნობისმოყვარე თუ ხარ? მაგალითად, როცა ორი ადამიანი შენს ზურგს უკან ჩურჩულებს, დაინტერესდები, რაზე ლაპარაკობენ?**

— თუ მათ გამოხედვაში დავაფიქსირე, რომ ისინი ჩემზე საუბრობენ, რასაკვირველია, დავინტერესდები, რას ამბობენ, მაგრამ თუ სხვაზე ლაპარაკობენ, რა ჩემი საქმეა, ილაპარაკონ. ჭორაობა არ მიყვარს.

— **არ მითხრა ახლა, რომ დაქალებთან ერთად არავინ გაგიჭორავს.**

— რაც მე არ მეხება, რაც ჩემი საქმე არ არის, იმაზე არ ვლაპარაკობ. არ მაინტერესებს, ვინ ვის ხვდება, ვინ ვისი საყვარელია...



თუ ქმარმა გამაბრაზა, ვცდილობ, დიასახლისის ამპლუა მოვირგო

თქმა უნდა, დავემორჩილები და არ გავაბრაზებ. მაგრამ ხარის წელში ვარ დაბადებული და ზოგჯერ მეც გავჯიუტდები ხოლმე. მაგალითად, ასე: — მინდა და მორჩა! ვიკამათებთ და დიდი შანსია, ჩემი გავიტანო (იღიმება).

— **პირველი ვინ თმობს, როცა გაბუტულები ხართ?**

— ხან — მე, ხან — ის. როცა ვფიქრობ, რომ დამნაშავე ვიყავი,



როგორ გახდა აფრასიონ რაჭველიშვილი ყველაზე პოპულარული „ხმა“

მსახიობ ზაზა ქაშიშვილის მაცურებელთა უმრავლესობა იცნობს ფილმიდან — „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“. მოძუნძულე, მსუქანი კაცი, რომელიც გზადაგზა მრავალშვილიან ოჯახს შექმნის, დღეს ყველასათვის ნაცნობი „რეკლამშიკია“ — მისი ხმა მთელი დღის განმავლობაში ისმის სხვადასხვა რადიოსა თუ ტელევიზიის ეთერში. ყოფილი მსახიობის საინტერესო კარიერა ასე დაიწყო:

თავითა დაღუპული

— თეატრალურ ინსტიტუტში 1977 წელს ჩავაბარე. ჩემი პედაგოგი ჯერ რეზო მირცხულავა იყო, ბოლო ორი წელი კი — ლილი იოსელიანი. დამთავრების შემდეგ ახმეტელის თეატრში გაგვანაწილეს, სადაც ბევრი როლი ვითამაშე. თეატრი, ფაქტობრივად, ჩვენ გავხსენით. ჯერ ვაჟა-ფშაველას მიხედვით გავაკეთეთ სპექტაკლი, მერე — ოტია იოსელიანის და არც ერთი არ მიგვატანინეს მაცურებლამდე. როგორც კი ბოლშევიკური სპექტაკლი — „ოპტიმისტური ტრაგედია“ დავედით, თეატრი უპრობლემოდ გაიხსნა: ოქტომბრის რევოლუციებზე იყო... მთავარი როლები უფრო დიდ მსახიობებს ჰქონდათ, მე მაშინ 20 წლის ბიჭი ვიყავი და ერთ-ერთ მებღვაურს ვთამაშობდი.

— სტუდენტობისას მონაწილეობა რა სპექტაკლებში მიგიღიათ? რა იყო თქვენი საკურსო, სადიპლომო ნამუშევრები?

— სერიოზული არაფერი. ნიკოლოზ თქიფანიძის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების კრებულში... „ფიგაროს ქორწინებაში“ მოსამართლეს ვთამაშობდი, დოსტოევსკის „იდიოტში“ — გენერალ ივოლიგინს, „შუშანიკის წამებაში“ — ჯოჯიკს, სადაც ნინო ბურდული და გოგა პიპინაშვილი მონაწილეობდნენ. ეს ქალბატონი ლილის ჯგუფში იყო, მათ უფრო ადრე დაამთავრეს და ლილიმ მერე ჩაიბარა ჩვენი ჯგუფი.

— მსახიობობა ბავშვობიდან გადაწყვიტეთ?

— დედაჩემს ძალიან უნდოდა, რომ მსახიობი გამხდარიყავი. თვითონ თეატრალურ ინსტიტუტში 2 წელი სწავლობდა; სხვათა შორის, ლილი იოსელიანის სტუდენტი იყო, მამაჩემმა თავი დაანებებინა და ეს იმდენად ჰქონდა ჩარჩენილი გულში, სულ მეუბნებოდა, მსახიობი გახდიო. მეც ნელ-ნელა დავინტერესდი და ეს გზა ავირჩიე.

— თეატრში ხშირად დადიოდით?

— რა თქმა უნდა. თეატრში მშობლებს სისტემატურად დაჰყავდი და

მაშინ რაც კი იდგებოდა, ყველაფერი ნანახი მქონდა.

— გვიამბეთ, როგორ წარმოგადგინა თქვენი კარიერა ახმეტელის თეატრში?

— რეჟისორ ლერი პაქსაშვილის დროს თეატრში ბევრი სპექტაკლი დაიდგა — ბერნარდ შოუს „მოტყუებულნი“, „იეთიმ-გურჯი“, „რომაელები“ („იულიუს კეისრისა“ და „ანტონიო და კლეოპატრას“ მიხედვით), ამ სპექტაკლებში მთავარსარდლის როლი მქონდა; მარსოს „ბიჭუნაში“ სიძეს ვთამაშობდი. ძალიან მიყვარდა ეს როლები. შემდეგ, რეჟისორად იური კაკულია მოვიდა და დადგა „ბაზალეთისა ტბის ძირას“ — დიდი ილიას ნაწარმოებების მიხედვით, სადაც ილია ჭავჭავაძე განვსახიერე; დღემდე მიყვარს და მენატრება ეს სპექტაკლი. ბრესტის „დედილო კურაში“ ლენა ყიფშიძე გვყავდა მოწვეული, მე მოძღვარს ვთამაშობდი. ესეც ძალიან დასამახსოვრებელი იყო.

— ნუკრი ქანთარას რეჟისორობის პერიოდს როგორ გაიხსენებდით?

— ნუკრის თეატრალური ინსტიტუტიდან ვიცნობდი (ის ნინო ბურდულთან და გოგა პიპინაშვილთან ერთად სწავლობდა, ოღონდ სარეჟისოროზე); ახლა ვირონცოვზე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია რომაა, მაშინ იქ საწყობი და ფოლკლორის ტაძარი იყო, მოვშალეთ და ჩვენი ენთუზიაზმით, თეატრი გავაკეთეთ. იქ ლაშა თაბუკაშვილის „თავფარავენელი ჭაბუკი“ ვითამაშეთ და, სხვათა შორის, კარგა ხანს იცოცხლა მაგ სპექტაკლმა. მოკლედ, ნუკრის სწორედ იმ პერიოდიდან ვიცნობდი. ახმეტელის თეატრში მისი მოსვლის შემდეგ, იმ დროისათვის ძალიან გახმაურებული სპექტაკლი — „ტაძარი“ დაიდგა. 90-იანი წლები იყო, ეროვნული მოძრაობის პერიოდი და სპექტაკლიც ამ განწყობილების ანარეკლი იყო — როგორ წირავენ ბიჭს იმისათვის, რომ ტაძარი აშენდეს... ჩემს პერსონაჟს თომა ერქვა. სხვათა შორის, მერაბ კოსტავას მადარებდნენ, ისე ახ-



ლოს იყო ერთმანეთთან მისი და თომას ხასიათი. აუცილებლად უნდა აღვნიშნო სპექტაკლი „ქერივები“, რომლისთვისაც წლის საუკეთესო მსახიობის წოდება მივიღე. მახსოვს, ძალიან ცუდი პერიოდი იყო, თამაში გაყინულ დარბაზში გვიწევდა.

— რუსთაველის თეატრში რამდენ ხანს იმუშავეთ?

— იქ სულ 2 წელი დავყავი. დავით სიხარულიძესთან ვითამაშეთ ერთ სპექტაკლში, მკვლელის, ჯალათის როლი, მაგრამ საინტერესო იყო — ვმღეროდი კიდევ... მერე გორა კაპანაძესთან „მარიამ სტიჟარტში“ — ლორდი ბერლესის როლი, რომელიც ელისაბედს არწმუნებს, რომ მარიამი უნდა დასაჯონ და ახერხებს კიდევ ამას.

— რატომ წამოხვედით თეატრიდან?

— ძალიან გაჭირდა ცხოვრება და ვიფიქრე, ცოტა ხნით თავი დამენებებინა. მერიის კულტურის სამსახურში ღონისძიებების მოწყობა ჩამაბარეს. მაშინ გიგი წერეთელი იყო ვიცე-პრემიერი, ჩვენი სამმართველოს უფროსი — ოთარ ბერძენიშვილი, მე კი — ორგანიზატორი. სხვადასხვა რეჟისორი მოგვყავდა და ვანყოფინით თბილისობას, „თბილისურ გაზაფხულს“, საახალწლო ზემიებს და ა.შ. ამ ყველაფერს უაღრესად მწირი ბიუჯეტით ვახერხებდით. ახლა ერთ ღონისძიებაზე 100.000 ლარი რომ იხარჯება, ჩვენ 1.000 ლარად ვაკეთებდით.

— როგორ ახერხებდით ამას?


— რალაცნაირად ვახერხებდით. მომღერლებს ვვხვებოდით, უფასოდ ემ-



ლერათ ან ცოტა ჰონორარს ვუხდიდით და ასე.

ყველაზე გრანდიოზული რომელი კონცერტი ჩატარდა თქვენს დროს?

— გრანდიოზული არც ერთი ყოფილა, მაგრამ კარგი კონცერტები კი იყო. იმ პერიოდში ვინც მღეროდა, სცენაზე ყველა გამოგვყავდა. ერთხელ ცოცხალი შესრულებით კონცერტი ჩავატარეთ — „33 ა“ იყო, ბაჩო



არ ვტრაბახობ, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ საუკეთესო „რეკლამშიკი“ გავხდი

ქიტიაშვილი... ვინც კი მაშინ ცოცხლად უკრავდა, ყველა მივიყვანეთ. იმ დროს ასეთი კონცერტი რიყეზე, დიდი სიახლე იყო.

თქვენს სამსახიობო კარიერაზე საუბროსას, არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ სპექტაკლი „ლალატი“. ძალიან კარგი მსახიობური ტრიო და საინტერესო სიუჟეტი იყო.

— დიას, როცა მერიაში ვმუშაობდი, ახმეტელის თეატრში დათო ანდლულაძე მივიდა. სწორედ მან დადგა ეს სპექტაკლი და კარგა ხანსაც ვითამაშეთ. თავიდან ნინო ბურდული იყო ჩემი და გოგა გორგასანიძის პარტნიორი, მერე — ლილი ხურიითი. გოგას გარდაცვალების შემდეგ კი გადავწყვიტეთ, აღარ გვეთამაშა: არის რალაცები, რაც მსახიობთან ერთად კვდება... ასე, „ლალატი“ დავამთავრე ჩემი კარიერა თეატრში. გულახდილად გეტყვი — ახლა უკვე მსახიობობის არანაირი სურვილი აღარ მაქვს, რადგან იმდენი საქმე მაქვს, ველარც ვახერხებ.

რადიო „ფორტუნაში“ როდის და როგორ მოხვდით?

— მერიის შემდეგ, ახმეტელის თეატრში დავბრუნდი. იმ პერიოდში, ჩემი მეგობარი ირინა ებრალიძე „ფორტუნას“ მენეჯერი იყო და დამირეკა; მითხრა — ადამიანი გჭირდება, რომელიც რეკლამებს გააკეთებსო. მაშინ საერთოდ არ ვიცოდი, რა იყო რეკლამა. მივედი და... ვსინჯე, მაგრამ რა ვსინჯე! არ ვტრაბახობ, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ საუკეთე-

სო „რეკლამშიკი“ გავხდი, იმიტომ, რომ მაშინ ასეთი კადრების ნაკლებობა იყო. „ფორტუნაში“ რამდენიმე წელი ვიყავი. მერე, როცა რადიო „იმედი“ იხსნებოდა, დამიკავშირდნენ და მითხრეს, ჩვენთან გადმოდიო, და საკმაოდ დიდ ხელფასზე „შემკერეს“, თორემ აქედან წამსვლელი არ ვიყავი. 2000 წელი იყო და იმ დროისთვის ძალიან დიდი გასამრჯელო მქონდა; მაგრამ იქ მხოლოდ 8 თვე გავძელი.

ვერ ავიტანე, ყოველდღე რომ მამადლიდნენ, — რატომ გაქვს ამხელა ხელფასი?! შემდეგ მკაცრი წესები შემოიღეს — დილის 10-დან საღამოს 7-მდე უნდა მემუშავა. ვთქვით, ვერ ვასწრებდი საქმის დამთავრებას და მეტყოდნენ: ამის იქით, დამატებითი ხელფასის მოცემა მოგვიწევს და უნდა შეწყვიტო. ასეთ პირობებში მუშაობა ვერ ავიტანე და დირექტორთან ძალიან მაგრად ვიჩხუბე. ვინმე ხეთერელთან მქონდა საქმე, ადამიანი-ხე (იკინის)... ერთი კვირა ვფიქრობდი, სად მივსულიყავი.

სხვა არც არაფერი მიცდია — ისევ „ფორტუნაში“ მოვედი. ჩვენი გენერალური დირექტორი, გურამ ჩიგოგიძე ძალიან მაგარი ადამიანია, ფაქტობრივად, ვულაბატე და მან ისევ მიმიღო. ამის შემდეგ გავხსენით „ფორტუნა“, „არ დაიდარდო“, „ავტორადიო“. ეს 3 რადიო პლუს „იმედი“, პრინციპში, ჩემი გახსნილია, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრების მონდომებითაც. მერე გურამ ჩიგოგიძემ მიიჩნია, რომ მხოლოდ რეკლამა არ იყო ჩემთვის საკმარისი, ოთხივე რადიოს კრეატიული ჯგუფი ჩამოაყალიბა და მის ხელმძღვანელად დამინიშნა. ისე გავფართოვდით, განვვითარდით, რომ ახლა ორი მოადგილე მყავს. ოთხივე რადიოში, რაც კი ტიხარი, ქუდი, ანონსი თუ სხვა რამ გადის, ყველაფერზე ვფიქრობ, ვიგონებ და მერე ერთობლივად ვწერთ. რეკლამებს ტელევიზიაშიც ვახმოვანებ. არ არსებობს ბრენდი, სხვადასხვა დროს რომ არ გამეხმოვანებინოს (თითქმის ყველა ბანკის რეკლამა). ფილმებზეც მთხოვეს მუშაობა, მაგრამ დრო არა მაქვს.

რამდენს გიხდიან ერთ რეკლამაში?

— ჩემი ხმით ერთი რეკლამის ჩანერა 50 ლარი ღირს.

კინოროლებზეც გვესაუბრეთ — „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ გავიხსენოთ.

— კინოში რამდენიმე როლი მაქვს ნათამაშები. ყველაზე გამორჩეული მართლაც, „რაჭველების კინო“, მა-

გრამ ახლა ვერაფრით იხსენებენ ხოლმე, იქ რომელი პერსონაჟი ვარ, იმდენად შევიცვალე... 1988 წელი იყო. მაშინ ჩასკვნილი და „ზდაროვი“, ხორციანი ბიჭი ვიყავი, თანაც, სპეციალურად იმ ფილმისთვის კიდევ მოვიმატე წონაში და გამოვიდა ის, რასაც ეკრანზე ხედავთ — უშველებელი ვაცი, რომელიც მთელ მსოფლიოს „მოიძუნძულებს“.

ასე რადიკალურად როგორ შეიცვალეთ? როგორ მოხდა თქვენი მეტამორფოზა?

— ეს ყველაფერი ერთბაშად არ მომხდარა. ჯანმრთელობის მცირედი პრობლემა მქონდა, დიეტას ვიცავდი და ნელ-ნელა შევიცვალე, წონაში დავიკეცი, იმ ფორმაში დავდექი, როგორშიც ახლა მხედავთ.

სხვა ფილმებზე რას გეტყვით?

— კიდევ იყო — „გამოცხადება“. „მოკვეთილში“ მწყემსი ივანე ვითამაშე. ორივე ეს ფილმი გია მატარაძისაა. როცა „1001 რეცეპტს“ იღებოვინა, დამიძახეს, 4 კოსტიუმი შემიკერეს, ბოლშევიკსაც ვთამაშობდი, თავადიშვილსაც, ჩოხა-ახალუხში; 20-მდე გადაღების დღე გვექონდა და კარგი ფულიც გადამიხადეს. ფილმის დასრულებულ ვარინტში კი საერთოდ არ ვჩანვარ: ერთგან კეფა მოჩანს, რომელსაც მხოლოდ მე ვცნობ, თორემ არავინ იცის, რომ ჩემია... მონტაჟი რომ დაიწყეს, ალბათ, ბევრის ამოჭრა მოუხდათ.

არ გენყინათ?

— ბუნებრივია, მენყინა. რალაცას რომ აკეთებ, შედეგის ნახვაც გინდა, მხოლოდ ფული ხომ არ არის ყველაფერი. მაგრამ რადგან ფილმს დასჭირდა, ე.ი. ასე იყო საჭირო. რაც



ყველაზე გამორჩეული მართლაც, „რაჭველების კინო“, მაგრამ ახლა ვერაფრით იხსენებენ ხოლმე, იქ რომელი პერსონაჟი ვარ, იმდენად შევიცვალე...



ქართული მოდის სათავეები, საქმისთვის უზენაესი წლები და გრანდიოზული პროექტი ანუ პირველი „ფაუნ ვიკი“ თბილისში

შეეხება სერიალებს, — „ყავა და ლუდში“ ვმონანილებოდი, „ცხელ ძაღლში“ ძალიან კარგი როლი მქონდა, მაგრამ ის სერია პოლიტიკური იყო და ეკრანზე საერთოდ არ გამოვიდა, თაროზე შემოდეს. რვიდან ერთი სცენა დამიტოვეს. მოკლედ, ასეთი ბედი მაქვს (იციანის). სხვათა შორის, რამდენიმე რამეზე უარი ვთქვი, რადგან ქალაქგარეთ იყო და ამდენი დრო არა მაქვს.

— **გაცილებით მეტი გასამრჯელო რომ შემოგთავაზონ, თეატრში დაბრუნდებით?**

— არა, და გეტყვით, რატომაც. ხელშეკრულებას ერთი წლით დებენ. ახლა ძალიან უაზრო კანონი შემოიღეს: თუ მსახიობი სპექტაკლში არ არის დაკავებული, ხელფასს არ აძლევენ. ეს მიუღებელია. წარმოდგენების რაოდენობით უხდიან. ამის გამო, მსახიობები გადარბენაზე არიან, ზოგჯერ ავიწყდებათ კიდეც, რომელ თეატრში აქვთ სპექტაკლი. ეს არ არის ნორმალური, სიტუაცია უნდა დალაგდეს.

— **რას გვეტყვით თქვენს ოჯახზე? როგორც ვიცი, თქვენი მეუღლეც მსახიობია.**

— დიას, მზიაც დაარსების დღიდან ახმეტელის თეატრშია. ინსტიტუტში შემოვიყარდა. ლილი იოსელიანის „რომეო და ჯულიეტაში“ ვთამაშობდით. მე ბენვოლიო ვიყავი, ის — ლედი კაპულეტა. ჩვენი ქორწინება თეატრში პირველი იყო და თქვენ წარმოიდგინეთ, ავადსახსენებელი კომუნისტების დროს გლდანის რაიკომმა ერთთახიანი ბინა გვაჩუქა გლდანში. თეატრთან ახლოს იყო და 10 წელი იქ გავატარეთ. 2 შვილი გვყავს: ბიჭმა სამხატვრო აკადემია დაამთავრა, გოგამ კი — თეატრალური უნივერსიტეტის შოუბიზნესის ფაკულტეტი.

— **მსახიობობაზე არც ერთს არ უფიქრია?**

— ქალიშვილმა სურვილი გამოთქვა, მაგრამ გადავაფიქრებინეთ. ძალიან დაუფასებელი პროფესიაა, წვალების მეტი არაფერი ახლავს ამ სფეროს. ჩემს თაობას ხომ „განწირული თაობა“ დაგვარქვეს: როცა პოტენციალი ჩქეფდა ჩვენში, მაშინ დაიქცა ქვეყანა და არაფერი კეთდებოდა.

— **რომელ ეტაპს მიიჩნევთ თქვენი კარიერის პიკად?**

— ახმეტელის თეატრში რეჟისორების — ნუკრი ქანთარიასა და დათო ანდელუაძის პერიოდები იყო მნიშვნელოვანი. გოგა რომ ცოცხალი იყოს, იმ „ლალატს“ სიამოვნებით ვითამაშებდი. ახლა იმდენი მოქმედი მსახიობია, მე ვილას გაავსებდები?! მსახიობობა ჩემთვის დამთავრდა. ჯერჯერობით, ასეა და აქედან პენსიაზე რომ გავალ, მერე შეიძლება, მივიდე და მეფე ლირი ვითამაშო (იციანის). ■



ლალი ფაუნა

— მოდის სფეროში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მოვედი. იმ პერიოდში, თბილისში ერთი მოდელების სახლი არსებობდა, რომელიც ჩვენში ქართული მოდის, კულტურისა და სამოსის ცენტრი გახლდათ. იქ მანკენად მიმინვიეს და მუშაობა 1979 წელს დაიწყო. მაშინ ამ პროფესიის ადამიანები ჩვენში არც ისე ბევრნი იყვნენ. მოდელების სახლში იმდროინდელი ელიტური საზოგადოება მუშაობდა და იკრიბებოდა. მოგესხენებათ, 70-იან წლებში ყველაფერი მოსკოვიდან იმართებოდა. ამიტომ, მოსკოვის მოდის ცენტრისა და ჩვენი სავაჭრო პალატის ძალისხმევით, უცხოეთში საგასტროლო გასვლაც ხშირად გვინევდა. მსოფლიოს გარშემო ვმოგზაურობდით. საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე გვინვევდნენ. ჩვენს მოდელების სახლში რამდენიმე დიზაინერი მუშაობდა, ამ დანესებულების დირექტორი გიზო ბერაძე გახლდათ. გვყავდა მთავარი მხატვარიც — ლელი ხვედელიძე, რომელიც უშუალოდ დიზაინერებს ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, ლელიმვე შექმნა პირველი მოდის ჟურნალი სახელწოდებით — „მოდა“. ჩვენში იმხანად არსებულ ფაბრიკებში იკრებოდა

„ამ საქმემდე ალბათ ღმერთმა მიმიყვანა. შემდეგ, სამოდლო სფეროში მუშაობა ნარკოტიკად გადაიქცა... შემოქმედი ნატურა ვარ და მიყვარს შექმნა. ამიტომ ადრე როგორც სცენაზე ვქმნიდი, ახალ-გაზრდებთანაც ისევე ვმუშაობ“, — აღნიშნავს სამოდლო სააგენტო „ნატალის“ ხელმძღვანელი — ნატა სამადალაშვილი. ეს ის ქალბატონია, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენში სამოდლო ბიზნესის ერთ-ერთი მესაძირკვე და მემბრანაა...

ის ტანსაცმელი, რომელსაც მანკელები მოდელების სახლში მოწყობილ ჩვენებებზე წარმოვადგენდით ხოლმე...

— **პროფესიით ვინ ხართ?**

— ბალერინა.

— **ბალერინა მანკენად მიგიწვიეს?**

— კი. მოდის სამყაროში, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოვხვდი — მანკელებად კარგი გარეგნობის გოგონებს ეძებდნენ და შემეხმინანენ.

— **მანკენი ლამაზი უნდა ყოფილიყო, არა?**

— მანკეებისთვის არც მაშინ და არც ახლა, მაინცდამაინც სილამაზე არ არის აუცილებელი. მთავარია, მას თავისი ხიბლი, შარმი ჰქონდეს...

— **ბალერინისთვის რთული არ იყო ამ სფეროში მუშაობა?**

— არ იყო ადვილი, მაგრამ მოდასა და ბალეტს შორის საერთო ის იყო, რომ ორივე შემთხვევაში, საქმე სცენასთან მქონდა და შემოქმედებითად ვიზარჯებოდი. დიზაინერები ქმნიდნენ თავიანთ ნამუშევრებს, მანკეები კი ამ ყველაფერს საზოგადოებას წარუდგენდით. ჩვენს საქმიანობას ზოგადად, კარგი გამოხმაურება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი აკრძალავდა იყო მოსკოვიდან ანუ ცენტრიდან, მაინც ვახერხებდით, რომ საინტერესოდ გვემუშავა. როდესაც უცხოეთში გასტროლებზე მივდიოდით, ჩვენი მანკეები გარეგნობით



გამორჩეოდნენ, რადგანაც სახასიათო გარეგნობა და შარმი გვექონდა. ისე, დღემდე ასეა — ქართველი მოდელი გოგონები უცხოელებისგან რადიკალურად განსხვავებულები არიან. ამას კავკასიური ძირები განაპირობებს... ჩვენი ქორეოგრაფი იური ზარეცკი გახლდათ. ამასთან, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ის ჩემი პედაგოგიც იყო. საერთოდ, ქორეოგრაფიული სასწავლებლის მადლიერი ვარ. იქ საოცარი მიკროკლიმატი იყო შექმნილი, შესანიშნავი პედაგოგები მუშაობდნენ. ჩემი პედაგოგი იყო ვახტანგ ჭაბუკიანიც. თუკი რამე ვიცი, იმ არაჩვეულებრივი ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც მასწავლიდნენ.

— თქვენი მანეკნობა როდემდე გაგრძელდა?

— 28 წლის ვიყავი, ეს საქმიანობა რომ დავასრულე. იმ დროისთვის უკვე 2 შვილი მყავდა, მაგრამ კარგად გამოვიყურებოდი... პოდიუმი ძალიან მიყვარდა. მე ყველაზე ელეგანტურ მოდელს მეთახდნენ და ყველგან მეპატიჟებოდნენ. ელეგანტურს რომ მიწოდებდნენ, ამაში ლომის წილი იმას მიუძღოდა, რომ პლასტიკური ვიყავი, რადგან, როგორც გითხარით, ბალერინა გახლდით. მოდელობას თავი რომ დავანებე, მოდელების სახლში ჩვენების დადგმით ანუ ქორეოგრაფიით დავინტერესდი და მანეკნობიდან წელ-წელა, ქორეოგრაფ-დამდგმელად ჩამოვეყალიბდი. მაშინ კოლექციის წარმოდგენისას, ჩვენებაზე სრულიად სხვა მოთხოვნები არსებობდა, პოდიუმი ლამის ვცუკვავდით, პლასტიკას მეტი ყურადღება ექცეოდა. აქედან გამომდინარე, სპეციალური დადგმების გაკეთება გვიწევდა. ამ საქმეში მოსკოვიც გვეხმარებოდა, ქორეოგრაფები იქიდანაც ჩამოდიოდნენ. მოკლედ, უფრო თეატრალიზებულ შოუს წარმოდგენით ხოლმე. საბოლოოდ, მანეკნობიდან ქორეოგრაფიაში გადავინაცვლე და ასე ვმუშაობდი მანამ, სანამ 90-იანი წლების დასაწყისში, ჩვენი ცხოვრება არ აირია.

— სამოდელო სააგენტო „ნატა

რაც მათ 1994 წლიდან გადაიგანეს, დიდი ბოდიში და, თითოეული, მგონი, მედალს იმსახურებს...



ლი“ როდის დააარსეთ?

— 90-იან წლებში მძიმე პერიოდი კი იყო, მაგრამ მე მაინც მქონდა მუშაობის სურვილი და დავინყე კიდევ ჩემთვის, დამოუკიდებლად საქმის კეთება. შემოვიკრიბე დიზაინერები — მკა ბახტაძე, მკა ბასილია, ყოფილი მოდელეები — ნანა გერასიმოვა, ნუკა კაციტაძე და დავინყეთ მუშაობა...

— ცნობილი ფაქტია, რომ თქვენი სააგენტოს მოდელები გამორჩეული გარეგნობის გოგონები არიან. როგორ შეაგროვეთ ისინი? ყველანი მართლა ძალიან ლამაზები არიან.

— კასტინგი ჩავატარეთ და მოვიდნენ. საერთოდ, პროფესიონალიზმის პარალელურად, შემოქმედ ადამიანს შესაბამისი მონაცემები სჭირდება; უპირველესად კი მას სწორი ხედვა უნდა ჰქონდეს. ამასთან, მოდელებთან მუშაობისას უნდა იცოდე, როგორ განავითარო ისინი. მათ პოდიუმიზე მსოფლიო სიარული კი არ უნდა ასწავლო, არამედ გული უნდა გაუხსნა, ამ საქმის მიმართ სიყვარული ჩაუნერგო, რომ ეს სიყვარული შემდეგ სხვებს აჩუქონ და გადასცენ... ისე, თანამედროვე ცხოვრებამ და გლობალიზაციამ ის მოიტანა, რომ მსოფლიოს მასშტაბით, პოდიუმიზე მოდელებმა სახე დაკარგეს — ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. ჩვენს გოგონებს კი სახასიათო სახეები აქვთ, რაც მსოფლიო სტანდარტების მიხედვით, სამოდელო ბიზნესისთვის მაინცდამაინც სახარბიელო არ არის, რადგანაც იმ, ნეგატივის მსგავსი სახეების გვერდით, ჩვენი სახეები ცოტათი „ყვირის“.

— რა კრიტერიუმები გაქვთ მოდელის შერჩევისას? პირველად მის ფეხებს, სახეს, თვალებს თუ მთლი-



ნატა სამადალაშვილი თავის მოდელებთან ერთად

ანად სხეულს უყურებთ?

— პირველად მათ სიმაღლეს ვუყურებ. ამასთან, მათ შინაგანი ცეცხლიც უნდა ჰქონდეთ. ეს აუცილებელია და, რაღა თქმა უნდა, ახლოს უნდა იყვნენ დამკვიდრებულ პარამეტრებთან, როგორც არის — 90/60/90. მოკლედ, მოდელი „დანგრეული“ არ უნდა იყოს.

— „დანგრეულს“ ვის უწოდებთ?

— იმას, ვისაც პარამეტრები დარღვეული აქვს. არადა, ბევრია ჩვენში ასეთი გოგონა. ამის საფუძველს ჩვენი ბუნება იძლევა. იშვიათია იდეალური და უნაკლო გარეგნობა (თუმცა ბოლო დროს, თითქოს უკეთესი თაობა წამოვიდა). ასე რომ, ყოველთვის ძნელია არსებულებიდან საუკეთესოს შერჩევა. ამიტომ როდესაც შევარჩევთ ვერეთ წოდებულ კავკასიურ სახეებს, შემდგომ, მათი პოპულარიზაციისთვის სწორი მიმართულება უნდა ავირჩიოთ. ჩვენ გვაქვს ის, რასაც ევროპაში ვერ შევხვდებით, იმიტომ, რომ უბრალოდ არ არსებობს... ამიტომაც არის, რომ ჩვენს გოგონებს პოდიუმიზე საოცარი ხიბლი აქვთ... იმ გოგონებმა, ვისაც „ნატალის“ მოდელები ჰქვიათ, შეიძლება ითქვას, წლების განმავლობაში საკუთარ მხრებზე გადაიტანეს მთელი ის სიმძიმე, რაც საერთოდ, 1994 წლიდან დღემდე გამოვიარეთ ანუ მას შემდეგ, რაც ჩვენი სამოდელო სააგენტო დაარსდა.

— კიდევ ერთხელ რომ შევასწავლოთ ეს გოგონები მკითხველს, მოდი, დავსახლოთ...

— კრისტი, თავო ჩხეიძე, თიკა ფაცაცია, თამუნა გაბრიელაშვილი, ნინო ჩქარეული, ნინო სალუქვაძე... და კიდევ ბევრი... ვიმეორებ — იმისთვის, რაც მათ 1994 წლიდან (იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც ჯერ კიდევ კონტრაქტებიც კი არ არსებობდა) გადაიტანეს, დიდი ბოდიში და, თითოეული, მგონი, მედალს იმსახურებს...



— ქალბატონო ნატა, როგორც ვიცი, თქვენი მოდელის მიმართ მკაცრი ხარო, მაგრამ მათ არც დედობრივ მზრუნველობას აკლებთ. სააგენტოში ყოველთვის ოჯახურ პირობებს უქმნიდით და დღესაც ასეა...

— მათთან სხვანაირად მუშაობა, ურთიერთობა არ შემიძლია. ასაკობრივი ზღვრის მკაცრად დაცვა არ მიყვარს. ის კი არა, ჩემს 3 შვილიშვილთან ურთიერთობის დროსაც (მათ შორის უფროსი, 17 წლის მყავს) ასევე ვიქცევი, — ისინი ჩემთვის უკვე პიროვნებები არიან. ახალგაზრდებს უნდა დაანახვო, რომ მათში პიროვნებებს ხედავ, უნდა დააფასო ისინი. რაც შეეხება უშუალოდ მათთან მუშაობის დანაშაულებას: თავდაპირველად ვაანალიზებ იმას, თუ რას წარმოადგენს თითოეული მათგანი, რით სუნთქავს, რას ფიქრობს, რა შეუძლია. მისი ხასიათის დადებით და უარყოფით თვისებებს ვარკვევ. ასე რომ, მიდის ინტენსიური მუშაობა, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სხვა მიმართულებებითაც. ბუნებრივია, ეს მათთვის მთელი ენერჯის გადაცემას გულისხმობს. თითოეული მათგანი შედგომ მთლიანად აბრუნებს ამ ენერჯიას. ამასთანავე, მინდა ვთქვა — მათთან ურთიერთობა მხოლოდ მუშაობა არ არის, ეს ნამდვილი დღესასწაულია. იმისათვის, რომ დღესასწაული შედგეს, დაუნებლად უნდა იშრომო.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ქუჩაში ძალიან მოგწონებოთ გოგონა და შემდგომ ის თქვენი სააგენტოს მოდელი გამხდარა?

— კი, ყოფილა ასეთი შემთხვევა. ისე კი უფრო განებივრებული ვარ იმიტომ, რომ გოგონები ჩემთან თავისით მოდიან. ერთ ასეთ მაგალითს გავიხსენებ: ბათუმში ვიყავი და უეცრად დავინახე: შავგერემანი, „დაზაგრული“, ხვეულთმიანი გოგონა. ვიკითხე, ვინ არის-მეთქი? სალომე ღვინიაშვილი აღმოჩნდა. მისი და — თეონა მანამდე ჩემი მოდელი იყო, ადრე სალომეც მყავდა ნანახი, მაგრამ ის ისე შეცვლილიყო, რომ ვეღარ ვიცანი, თუმცა ჩემი ყურადღება მიიქცია. ძალიან მომეწონა და მას მოდელია შევთავაზე.

— ბოლო 12 წლის განმავლობაში, ჩვენს ქალაქში, ფაქტობრივად, არ მახსოვს რაიმე ელიტური ღონისძიება, ჩვენება, რომელშიც თქვენს გოგონებს არ მიეღოთ მონაწილეობა...

— ეს ალბათ უკვე ისტორიაა... კი, ყველგან გვიწვევდნენ, მაგრამ 15 წლის განმავლობაში ხალხი სახეზე არ მიცნობდა...

— მაგრამ იცნობდნენ თქვენს გოგონებს.

— ეს ალბათ ჩემი ცხოვრების კრე-

დო იყო ყოველთვის — რომ საზოგადოებისთვის საქმით გამეცნო თავი.

— და აი, მოვიდა ის დროც, როცა თქვენი ნაოცნებარი რეალბად უნდა იქცეს. მალე თბილისში, თქვენი აქტიური მეცადინეობითა და მონდომებით, მოდის კვირეული — „ჯორჯიან ფეშენ ვიკი 2010-2011 პრეტ-ა-პორტე — ზამთარი-შემოდგომა“ — ჩატარდება...

— ჩემი შეგნებული ცხოვრებით, მე და ჩემი მეგობრები მართლაც, ლოგიკურად მოვედით აქამდე. ამის დროც მოვიდა. აქამდე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია გვიშლიდა ხელს: რა დროს „ფეშენ ვიკი“?! — ახლა კი ეს გრანდიოზული ღონისძიება თბილისში ჩატარდება. გამომჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც, ბოლოს და ბოლოს, გაიგეს, თუ რა გვინდოდა.

— რა გინდოდათ?

— შეგვექმნა ჩვენი მოლა და დაგვერქმია მისთვის თავისი სახელი — ქართული მოლა. ბევრი ამბობდა — საქართველო პატარა ქვეყანაა იმისათვის, რომ ასეთი ღონისძიება ჩატარდესო. ეს რა შუაშია?! ამ პატარა ქვეყანაში რამდენი შემოქმედი ადამიანია? რამდენი დიზაინერია?! მათ გასაქანი ხომ უნდა მიეცეთ!.. მოკლედ, ჩემი დაუინებითა და მონდომებით, შევხვდი ადამიანებს, ამ საქმის მიმართ ვინც ინტერესი გამ-

ოსკარის მის თინეიჯერი



ზამთრის სეზონი

დააბესიჯე შენი რჩეულის პირადი კოდი ნომერზე: 2343 და დაეხმარე მას გახდეს „მის თინეიჯერი“

გარდა „მის თინეიჯერისა“ გამომვლინდებიან სხვადასხვა ნომინანტებიც. იმისათვის, რომ შენი კუმირი ერთ-ერთი ნომინანტის, „მის ონლაინის“ გამარჯვებული გახდეს, მოინახულე საიტი

WWW.KVIRISPALITRA.GE

და ხვა მიეცი შენს რჩეულს

სასტუმროების ქსელი





ოიჩინა. თან, ეს ხომ სახელმწიფო საქმეც არის და არა მხოლოდ ჩემი, პირადი. ეს ქვეყნის იმიჯიც არის, კულტურაც, ბიზნესიც. ამით თითქოს ჩვენს სფეროს მიმართულება ეძლევა. ამ საქმეს გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის მეუღლე — მაკა მეტრეველი, რომლის პატრონაჟითაც ჩატარდება ჩვენი მოდის კვირეული. ის ამ ყველაფრის ორგანიზებაში გვეხმარება. თავდაპირველად კი დიზაინერ ირაკლი ნასიძის მეშვეობით, საფრანგეთში გარკვეულ კავშირებზე გავედით. ასე რომ, საფრანგეთში ირაკლიმ გაგვინა პროტექცია. „კომუნი-



ამ საქმეში ნატა სამადალაშვილის დამსახურებით მოხვდით (შუაში მაკა მეტრეველი)

კვირეულ ბიატრის მასო“ გახლავთ კომპანია, რომელიც პარიზში ორგანიზებას უწევს ასეთ ღონისძიებებს. ამ შემთხვევაში ის არის ჩვენი პარტნიორი. ჩვენს „ფეშენ ვიკუ“ ჩამოდის უამრავი სტუმარი — დაახლოებით 500-მდე ადამიანი...

რამდენიმე კითხვით ქალბატონ მასო მისტრეველსაც მივმართე.

— ამ საქმეში ნატა სამადალაშვილის დამსახურებით მოხვდით. მან მომიძებნა და მითხრა, — იქნებ ერთად გავაკეთოთ ეს ღონისძიებაც? თუ სახელმწიფოს მხარდაჭერა არ იქნა, ისე ასეთი გრანდიოზული პროექტები ვერ განხორციელდება. თან, ჩვენი პარტნიორი კომპანია ითხოვს, რომ ყველაფერი სახელმწიფო დონეზე იყოს აყვანილი, — ამ შემთხვევაში, ფრანგულ მხარეზეა ლაპარაკი.

— **რა გეგმები გაქვთ?**
— კვირეული 26 მარტს „ექსპო ჯორჯიას“ ერთ-ერთ პავილიონში გაიხსნება და 29 მარტს იქვე დაიხურება. ჩამოდის „ფეშენ ტივი“, ასევე გვენევიანი ჟურნალების — „ელ“,

„ვოგ“, „L'official“ — მოდის კრიტიკოსები; იქნებიან ბაერები, ჩამოდინ მონვეული დიზაინერები.

— **კვირეულში რომელი მოდელები მიიღებენ მონაწილეობას?**

— მოლაპარაკებები იმ საკითხზე, თუ საიდან ჩამოვიყვანთ მოდელებს — საფრანგეთიდან თუ უკრაინიდან — ახლა მიმდინარეობს.

— **როდესაც ქალბატონი ნატასგან მიიღეთ წინადადება, ამ პროექტში ჩართულიყავით, მაშინვე დათანხმდით?**

— არა, რა თქმა უნდა, ცოტა ვიფიქრე; მაშინვე თანხმობა ასე ადვილი არ არის. შემდეგ ერთობლივად მოვიფიქრეთ, რომ ამ საქმისთვის ხელი მოგვევიდებინა. ასეთმა ღონისძიებებმა ეს სფერო უნდა გამოაცოცხლოს და წინ წამოსწიოს.

— **პროფესიით ვინ ხართ?**

— ექიმი.

— **სად მუშაობთ?**

— ყოველ შემთხვევაში, ექიმად არ ვმუშაობ. მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურში, ჯანდაცვის განყოფილებაში.

— **სტეა დროს თუ გქონათ ამ სფეროსთან შეხება?**

— ამ სფეროსთან ჩემი შეხება ადრე იმით ამოინწყობოდა, თუ მივიდოდი რომელიმე დიზაინერთან და რამეს შევიძინდი ან შევიკრავდი.

— **ქალბატონ ნატას იცნობდით?**

— ახლოს — არა. არაჩვეულებრივი ქალბატონია. მას ჩემზე კარგი შთაბეჭდილება რომ არ მოეხდინა, დღეს ერთად არ ვიქნებოდით. ასეთი ურთიერთობის გარეშე მსგავსი საქმე არ გამოდის.

— **ამ ღონისძიების შემდეგ მოდის სფეროში გადანაცვლებას ხომ არ აპირებთ?**

— ვნახოთ, ჯერ ეს პროექტი უნდა გაკეთდეს ისე, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს და დანარჩენზე შემდეგ ვიფიქრებ...

— **ქალბატონ ნატას მუშაობის დროს ხომ არ საყვედურობთ?**

— კი, — ეს სად ჩამაგდებ-მეთქი?! ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

— **არასდროს გაგიკეთებიათ დიდი პროექტისთვის ორგანიზება?**

— არა, ექიმები ასეთ პროექტებს არ აკეთებენ, მით უმეტეს, თუ კლინიკაში მუშაობენ.

— **მეუღლეს, ბატონი დავით ბაქრაძეს მხარს გიჭერთ?**

— რა თქმა უნდა, მისი მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. მორალურად მხარში მიდგას.

— **წარმატებებს გისურვებთ!**

თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, **სალომე მახარაძე** ბავშვობიდან ტელეეკრანზე გამოჩენაზე ოცნებობდა. მიზნის მისაღწევად, სიძნელეებს არ შეუშინდა და დღეს საკმაოდ წარმატებული ადამიანია... კომუნიკაბელური, მიზანსწრაფული და შრომისმოყვარე გოგონა, ბაჩო ახალაიას გუნდში, შემთხვევით, სწორედ მაშინ აღმოჩნდა, როცა ახალაია სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა. საზოგადოებას კარგად ახსოვს ახალაიას მისამართით გაუთავებელი კრიტიკა, ამ დროს სალომე მის პიარს ხელმძღვანელობდა და ადვილი არ იყო ამ შეტევებთან გამკლავება...

თბა სურსილავა

— **სალომე, როგორ დაიწყო თქვენი ჟურნალისტური საქმიანობა?**

— ბავშვობიდან ჟურნალისტობაზე ვოცნებობდი, ხელში სულ მიკროფონი მეჭირა. ჩემი ოცნება ტელევიზორში გამოჩენა იყო, სულ ვიპრანჭებოდი. მამა სახლში რომ ბრუნდებოდა, ტელევიზიით მოსმენილ ახალ ამბებს ვუყვებოდი. ენა ერთი წლის ასაკში ავიდგი, ჩემმა დამ კი — 3 წლისამ. ის ვერ ლაპარაკობდა, ამ მდგომარეობით ვსარგებლობდი და „მუნჯ“ დასთან ინტერვიუებს გაუთავებლად ვწერდი. რამდენიმე ცნობილი გვარი ვიცოდი და მათ შესახებ ამბებს ვყვებოდი.

— **ოჯახი როგორ უყურებდა თქვენს ამ გატაცებას?**

— ჩემი არჩევანისთვის ხელი არავის შეუშლია. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე და პირველი კურსის სტუდენტი, პირდაპირ ტელეკომპანია „ევრიკაში“ მივედი. რედაქტორს ახალგაზრდულ თემებზე გადაცემის გაკეთებაში ჩემი ჩაბმა ვთხოვე. ძალიან მინდოდა, პრაქტიკა გამეგლო, რაც ყველაზე მთავარია ჟურნალისტიკისთვის, რადგანაც ამ პროფესიას მარტო წიგნებით ვერ ისწავლი. — იცო, რას ნიშნავს პირდაპირ ეთერში მუშაობა? — მკითხა რედაქტორმა. ამ გადასახედიდან მიმანჩნია, რომ მაშინ ვითავხედე და ვუთხარი: თუ თქვენ გელაპარაკებით, პირდაპირ ეთერში გადაცემას რატომ ვერ წავიყვან, კამერის წინ რატომ ვერ ვილაპარაკებ-მეთქი?! არადა, ჩართული კამერა ნანახიც კი არ მქონდა. სტუდია არ გინდა? — მკითხა მან. სტუდიას თვითონ გავაკეთებ, — ვუპასუხე. ჯერ წარწერა გავაკეთე, მერე



„ბარო ახალია ჩემი მეგობარი“

სალომე მახარაძის წარმატების ფორმულა — „ბარიერს კალა უნდა დაუპირისპირო“...

დიდ ფორმატებზე ჩემი ხელით რაღაცები დავხატე და სტუდია ასე მოვანყვე. ახლა ამას რომ ვისხენებ, მეცინება. პირველი გადაცემა პირდაპირ ეთერში უნდა გასულიყო, მაგრამ არ გარისკეს და ის გადაცემა ეთერში ჩანერილი გავიდა. მოკლედ, პირველი გადაცემის შემდეგ მეორე კვირას უკვე პირდაპირ ეთერში ვიყავი... დედა ყოველი გადაცემის შემდეგ შენიშვნებს მაძლევდა ხოლმე და ყველაფერს ერთად ვაანალიზებდით. ჩემი ლექტორების შეფასებებსაც ვისმენდი. ძალიან კრიტიკულად არ უდგებოდნენ ჩემს მუშაობას, ალბათ იმიტომ, რომ ის ერთუზიანობა და შემართება, რაც მქონდა, ჩემში არ გამჟღავნებოდა. ის პროგრამა ეთერში 7 თვე გადიოდა.

— ახლა, როცა იმ კადრებს უყურებთ, როგორ აფასებთ?

— მეცინება... ერთხელ, ჟურნალისტმა ირაკლი ნატროშვილმა მითხრა: ჟურნალისტი არ გქვია, საინფორმაციოს ნიუსებზე 3-4 წელი მაინც თუ არ გიმუშავიაო. ამ ნათქვამზე თავიდან გავბრაზდი, შემდეგ მივხვდი, რომ ეს მართლაც რომ საჭირო იყო და სწორედ მას ვთხოვე, ტელევიზიაში შუამდგომლობა გაენი და ასე აღმოვჩნდი ტელეკომპანია „კავკასიაში“.

— პირველი სიუჟეტი გახსოვთ?

— რა დამავინყებს. ვფიქრობდი, რომ სიუჟეტს პოლიტიკაზე გავაკეთებდი, მთელი შემართებით ვემზადებოდი და საინფორმაციოს ხელმძღვანელმა ნინო ჯანგირაშვილმა მოულოდნელად კატების გამოფენაზე გამიშვა. საერთოდ, ცხოველები მიყვარს, მაგრამ როცა ამდენი კატა ერთად დავინახე, მივხვდი, რომ კატები არ მყვარებია. ოპერატორი ნიკა ლებანიძე იყო. სხვა გზა არ იყო, დავალენა უნდა შემესრულებინა და იმ სიუჟეტის მომზადება ჩემი ოპერატორის დამსახურებაა... საინფორმაციოში მუშაობისას მივხვდი, რომ უკვე კვირაში ერთხელ კი არა, დღეში რამ-

დენჯერმე შეიძლებოდა ეთერში ყოფნა, რაც ძალიან მომეწონა; „კავკასიაში“ რამდენიმე თვე ვიმუშავე და იქიდან ჩემი გადანყვებილებით (პატარა გაუგებრობა მოხდა) წამოვედი, მაგრამ სახლში რომ მივედი, მივხვდი, რაც გავაკეთე; მთელი ღამე ვიტყვი, მიკროფონი მენატრებოდა... და ქალბატონ ლუბა ელიაშვილს ტელეკომპანია „იბერიაში“ დავურეკე. ერთ საათში შეხვედრა დამინიშნა... უცნაურია, მაგრამ იმავე დღესვე გადავხვებოვარ და მასალა მომამზადებინა... ბატონი დათო აქუბარდია ტელეკომპანია „იბერიის“ დახურვის შემდეგაც მთხოვდა „კავკასიაში“ დაბრუნებას, მაგრამ აღარ დავბრუნდი.

— ამის შემდეგ იყო ტელეკომპანია „მზე“, არა?

— „მზეში“ დირექტორს რომ შევხვდი, მითხრა: — შენ პატარა გოგო ხარ, აქ კი გამოცდილი ჟურნალისტები გვჭირდებაო. ვუთხარი, რომ ხელფასი არ მაინტერესებდა და ვთხოვე, შანსი მოეცა. თუ საქმე არ გამომივიდოდა, იქიდან ჩემით წამოვიდოდი. ბატონმა ელდარ მდინარაძემ ასეთი ფრაზა მითხრა: თამამი გურული გოგო ხარ, არ მინდა, იმაზე შორს გადახტე, ვიდრე ეს შეგიძლიაო და მუშაობა დილის გადაცემაში შემომთავაზა. იქ დიდი წინააღმდეგობა დამხვდა. სტუდია ორ საფეხურად იყო გაყოფილი. პროდიუსერმა მითხრა, მაღლა ჩამოყალიბებული ჟურნალისტები სხედან და შენ აქ არ



ამოხვიდო. ამ ნათქვამმა გული მატკინა...

— ამის მიუხედავად, ფარმალს არ ყრიდით, არა?

— არა, ვფიქრობდი, ნდობა როგორ მომეპოვებინა. როცა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტი გამწვავდა, იქ წასვლაზე ყველამ უარი თქვა, მათ შორის ბიჭებმაც. ვხედავდი, ეს იყო ჩემი შანსი და უნდა გამომეყენებინა. თუმცა ძალიან მეშინოდა, ხანდახან გავივლებდი გულში, — ხომ იცი, ამის თავი შენ არ გაქვს-მეთქი. ვალიარებ, მშინარა ვარ, კორპუსთან რომ მივდივარ, დედას ვურეკავ, რომ გადმომხედოს. ძალიან მეშინოდა, მაგრამ ცხინვალში წავედი და სიცოცხლეს საფრთხეში ბევრჯერ ჩავიგდე. სიკვდილს ერთ-ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა გადაამარჩინა, როცა დანაღმულ ადგილას აღმოვჩნდი. როცა შენი საქმე გიყვარს, წინააღმდეგობებს არ უშინდები. მაღლობა ღმერთს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მაშინ მივხვდი, რამდენი რამ უნდა იცოდეს ჟურნალისტმა, როცა ასეთ ადგილას მიდის. აუცილებლად სათანადოდ მომზადებული უნდა იყო. ჩემგან განსხვავებით, უცხოელი ჟურნალისტები ცნობდნენ ნაღმს... მოკლედ, ამის შემდეგ „მზეში“ საინფორმაციო სამსახურში დავიმკვიდრე ად-



ორივე ჩემი მეგობარია



გილი. იქ შიდა კონკურენციაც იყო და ესეც სტიმულს მძლევდა... ერთხელაც, ევა სარიამ მითხრა: შენ და გოდერძი შარაშია სამუშაოდ სასჯელალსრულების დეპარტამენტში უნდა წამოხვიდეთ, ქურდების წინააღმდეგ ბრძოლის წელი იწყებაო და ასე აღმოვჩნდი სასჯელალსრულების დეპარტამენტში. მოგვიანებით კი ბაჩო ახალაიას პრესსამსახურის უფროსი გავხდი.

— მანამდე ბაჩო ახალაიას არ იცნობდით?

— არა, იქ გავიცანი... ძალიან მძიმე სიტუაცია გახლდათ, ბატონი ბაჩო და მისი გუნდი გაუთავებელი კრიტიკისა და შემოტევების ობიექტი იყო. მაგრამ დეპარტამენტის თანამშრომლები თავგანწირულად ებრძოდნენ კრიმინალურ სამყა-



როს და ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ადამიანებს მშვიდად დაგვეძინა, ქუჩაში მშვიდად გაგვეწელო.

— თქვენი მონობა და ოცნება ხომ ტელევიზიაში მუშაობა იყო?! რატომ გაცვალეთ ეს საქმე პრესსამსახურის უფროსის თანამდებობაზე?

— მივხვდი, რომ ამ საქმის კეთება უფრო საინტერესო იყო. კომენტარების გაკეთებაც მინევდა და ტელევიზორზეც ვჩანდი. ბატონი ბაჩო სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსი ყველაზე რთულ პერიოდში იყო, მან კრიმინალური სამყარო დაამარცხა და სისტემა ისე ააწყო, რომ იმის დანგრევა შეუძლებელია. რა ხდებოდა ძველ ციხეებში, ამას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. ამიტომ შეამაყება, რომ ამ გუნდის წევრი ვარ და მეც შევიტანე წვლილი იმ დიდ საქმე-

ში... პიარის თვალსაზრისით, კარგია, როდესაც მინისტრი თავის საქმეებზე ეთერში საუბრობს, ხშირად ჩანს ეკრანზე, მაგრამ ამასთან დაკავშირებით სხვა დამოკიდებულება აქვს — ტელევიზორში გამოჩენას ურჩევნია, საქმე აკეთოს.

— დიმიტრი შაშინთანაც მოგინათ მუშაობამ. როგორ დაახასიათებთ მას?

— ორივე მინისტრთან მუშაობა საინტერესო იყო. თუმცა თითოეულს საქმის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა. ბატონი დიმა ამბობდა: მოდი, ერთად გავაკეთოთ, და ვანახვოთ უურნალისტებს, რას ვაკეთებთ; ერთად გამოვჩნდეთ ტელეკა-

მერების წინო. ბატონი ბაჩო კი ამბობს: ჯერ საქმე დავამთავროთ და გაკეთებული საქმე მყურებელს შემდეგ ვაჩვენოთ; მაგრამ კომენტარი შენ გააკეთეო.

— ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ დიმიტრი შაშინის დატოვება მოგიხდათ, რადგანაც თქვენც თავდაცვის სამინისტროში გადაინაცვლეთ. როგორ შეხვდა ბატონი დიმა ამას და რატომ გადაწონა ახალაიას წინადადება?

— ბაჩომ მინისტრად დანიშვნის შემდეგ მასთან გადასვლა შემომთავაზა. ორივესთან კომ-



მივხვდი, რომ ამ საქმის კეთება უფრო საინტერესო იყო

ფორტულად ვიყავი, მაგრამ ბატონ დიმას ვუთხარი, რომ თავდაცვის სამინისტროში გადავიდიოდი. მითხრა: ისეთ მინისტრთან რომ მიდიოდე, რომელთანაც არ გიმუშავია, ძალიან გავბრაზდებოდიო. ორივე ჩემი მეგობარია, მაგრამ ბაჩო უფრო დიდი ხნის მეგობარია. ისიც მომეწონა, რომ ახალ სფეროში მომიწევდა მუშაობა.

— თავდაცვის მინისტრი უურნალისტებთან იშვიათად ჩანს. მას პრესასთან აქტიურობას არ ურჩევთ?

— მირჩევნია, რაც შეიძლება მეტ-ჯერ გამოჩნდეს ტელევიზორზე, მაგრამ ხომ გითხარით, მას ამის მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს. ხშირად ვურჩევ, რომ ეკრანზე გამოჩნდეს, მაგრამ მაჩერებს, რაზეც ხანდახან გული მწყდება, თუმცა შემდეგ ვხვდები, რომ მართალია.

— დღის რეჟიმი დატვირთული გაქვთ, პირადი ცხოვრებისთვის იცლით?

— რეჟიმი მართლაც დატვირთული მაქვს, მაგრამ დროს ვანანილებ და ყველაფერს ვასწრებ. ჩემი მეგობრები ძირითადად ტელევიზიებში მუშაობენ, ან ამა თუ იმ სამსახურის პიარში არიან და მათ მაინც ვნახულობ.

— ალბათ, თქვენზე ჭორებიც გასმენიათ. როგორ რეაგირებთ ამაზე და რომელმა ჭორმა გაგალიზიანათ?

— ძალიან ბევრჯერ მსმენია და მათ შორის, საშინელი ჭორებიც. უმეტესად ისეთ ჭორებს ავრცელებენ, რომლებიც პირად ცხოვრებას ეხება. ამაზე ზოგჯერ ვბრაზდები, მაგრამ რა ვქნა, ვისაც მეტი საქმე არა აქვს, იჭორაოს...



რეჟიმი მართლაც დატვირთული მაქვს



მირეი მათიემ კარგად იცის, რა არის სიღარიბე

ქართველი მსმენელი ფრანგული ესტრადის ვარსკვლავ მირეი მათიეს დიდი ხანია იცნობს და უყვარს. თავად მომღერალს მიაჩნია, რომ იგი ვარსკვლავი არ არის, უბრალოდ სიმღერა და მსმენელი ძალიან უყვარს.

— ზოგიერთი ედიტ პიასს გადარებს. რას ნიშნავს თქვენთვის ეს სახელი?

— ჩვენს ოჯახში ედიტ პიასი თითქმის ნათესავად მიაჩნდათ. როდესაც მისი სიმღერა პირველად მოვისმინე, ხმამ შემძრა — ამ ძლიერმა და საოცარმა ხმამ სული ამიფორიაქა. იმ მომენტში მეჩვენებოდა, რომ თუ პიასი თავისთან მიმიხმობდა, მისი მსახური გავხდებოდი. სიმღერაც მის გამო დავიწყე, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ დიადი ედიტ პიასი შევცვალე — იგი უნიკალურია, მისი გამეორება შეუძლებელია. ჩვენ სიმღერისადმი სიყვარული გვაერთიანებს, მაგრამ განსხვავებული ბედი გვაქვს. წელს, როდესაც მომღერლისადმი მიძღვნილი ფირფიტის ჩანერა გადავწყვიტე, დავიბენი კიდეც — მას ლამაზი სიმღერების იმდენად ელვარე პალიტრა აქვს, რომ არჩევა გამიჭირდა. საბოლოოდ დისკში ის სიმღერები შევიდა, რომელთაც ფრანგები დღემდე მღერიან. ესენია: „პარიზის ცის ქვეშ“, „პადამ“, „აკორდეონისტი“, „მილორდი“ და რალა თქმა უნდა, ჩემთვის ყველაზე საყვარელი სიმღერა — „არაფერს ვნანობ“.



— აუდიტორია ძალზე შეიცვალა?

— დიახ, ედიტ პიასს ბევრი ახალგაზრდა თაყვანისმცემელი გაუჩნდა. როდესაც სიმღერა „ცხოვრება ვარდისფერ სინათლეში“ შევასრულე, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. მე კი ცრემლების შეკავება და სიმღერის დასრულება ძლივს მოვახერხე.

— ძნელია, როდესაც ცნობილი მომღერალი ხარ? კარიერისთვის რაზე გაგინარავთ?

— ჩემთვის მთავარია, ადამიანებს იმედი არ გაუცრუო. როგორც დედოფალს, ისე მიყურებენ, წერილებში საკუთარი ცხოვრების შესახებ მწერენ, პრობლემებს მიზიარებენ. ერთი თაყვანისმცემელი ქალბატონი ჩემს კონცერტებს წლების განმავლობაში ესწრება. როდესაც მას შვილები — ქალ-ვაჟი — შეეძინა, მათ მირეი და მათიე დაარქვა და ახლა ჩემს კონცერტებზე შვილებთან ერთად დადის. ასეთი ერთგულებითა და სიყვარულით აღფრთოვანებული ვარ. რაოდენ დაღლილიც უნდა ვიყო, მუდამ ვცდილობ, ყველა ფოტოსურათს ავტოგრაფი გაუუკეთო, თაყვანისმცემლებს ხელი ჩამოვართვა. საკუთარ თავს ვარსკვლავად არ მივიჩნევ, უბრალოდ მუსიკისა და სიმღერის გარეშე ცხოვრება არ შემოძლია.

— რა გაღიზიანებთ და რის ატანა არ შეგიძლიათ?

— ვერ ვიტან, როდესაც ბავშვებ-

სა და მოხუცებს ცუდად ექცევიან, როდესაც ცხოველებს აწამებენ. მგონი, ბოლო ხანებში ადამიანები უფრო ეგოისტები გახდნენ, ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს. მშობლები შვილებს უფროსების პატივისცემას არ ასწავლიან. ახალგაზრდები ღარიბებზე აღარ ზრუნავენ. კარგად ვიცი, რა არის სიღარიბე და ამას არასდროს დავივიწყებ. ნივთებს ვაგროვებ და „ნითელ ჯვარში“ მიმაქვს, უფასო კონცერტებს ვაწყობ. მიმაჩნია, რომ ბუნებაზე უნდა ვიზრუნოთ, რადგან ბუნებას ადამიანთა გარეშე არსებობა არ შეუძლია და — პირიქით.

— სიხარულს რა განიჭებთ?

— სიხარულს ჩვეულებრივი ამბები მანიჭებს: ფანჯრის მინაზე მზის სხივის თამაში, მზესუმზირის მინდვრების ყურება, ახალი სიმღერები, მეგობრებთან შეხვედრა...

— ახალი ავტომობილის შექენა?

— ახალი ავტომობილი, რა თქმა უნდა, მახარებს, მაგრამ ეს მატერიალური ნივთია, მე იმის შესახებ ვსაუბრობ, რაც სულს ახარებს.

— მატერიალური ნივთებიდან რა არის ისეთი, რითაც ამაყობთ?

— სახლი, რომელიც ჩემი ოჯახის წევრებს ვუყიდე.

— როგორ მუსიკას უსმენთ?

— ელექტრონულ, კლასიკურ მუსიკას, ოპერას და ფრანგულ ვარიეტეს.

— თილისმა თუ გაქვთ?

— დიახ, მაქვს ბუნრის მწმენდავის



ედიტ პიასი



პატარა ფიგურა, კუ, ოთხფურცლა Van Cleef & Arpels და პატარა ჯვარი, რომელსაც არასდროს ვიხსნი.

— გრძობთ, რომ თქვენზე კვლავ დიდი მოთხოვნაა, თუ „სრული ბედნიერებისთვის“ რამე გააკლიათ?

— როდესაც ჩემი კარიერის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავედი, მრავალი რეჟისორი მირჩევდა, მსახიობობა მეცადა. მათ მიაჩნდათ, რომ მე ძალზე ფოტოგენური და გულწრფელი ვიყავი, მაგრამ ამისთვის სიმღერის მიტოვება იყო საჭირო და ვერ გავბედე. ახლა კი სიამოვნებით ვცდიდი ბედს და ისეთ როლს ვითამაშებდი, სადაც სიმღერა იქნება საჭირო.

— ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეგეძლოთ, განვლილ გზას თავიდან გაივლიდით თუ ყველაფერს შეცვლიდით?

— მე მუდამ მომღერლობაზე ვოცნებობდი და მადლობა უფალს, რომ ჩემი ოცნება ახდა!



სელინჯერის რომანის მიხედვით ფილმს გადაიღებენ

ჯერომ სელინჯერის რომანის — „თამაში ჭვავის ყანაში“ გამოქვეყნებისთანავე მის ეკრანიზაციაზე ისეთმა რეჟისორებმა და მსახიობებმა დაინყეს ოცნება, როგორებიც არიან — სტივენ სპილბერგი, მარლონ ბრანდო და ჯეკ ნიკოლსონი... ახალგაზრდა ლეო დი კაპრიოს სამსახიობო კარიერის დაწყება სწორედ კოლფილდის როლით სურდა, მაგრამ სელინჯერი შეუვალი იყო — მწერალი რომანის მიხედვით ფილმის გადაღების ნებართვას სიცოცხლის ბოლომდე არავის აძლევდა.

დიდი მწერლის გარდაცვალებიდან ორი კვირაც კი არ იყო გასული, რომ პრესა კვლავ რომანის ეკრანიზაციის შესაძლებლობაზე ალაპარაკდა. გაზეთი The Times იუწყება, რომ გამოქვეყნდა სელინჯერის მიერ 1957 წელს დაწერილი წერილი, სადაც პროზაიკოსს გააზრებული აქვს, რომ დადგება დრო, როდესაც მისი მემკვიდრეები მისი ნიგნების მიხედვით ფილმების გადაღების უფლებას გაყიდონ. „შესაძლოა, სიღარიბეში მოვკვდე, ყველაფერი ხდება, ამიტომ ჩემს ნაწარმოებზე უფლებას მეუღლესა და ქალიშვილს გადავცემ. გამორიცხული არ არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათ ეს უფლება სხვას მიჰყიდონ“, — წერს ჯერომ სელინჯერი.

მწერლის ლიტერატურულმა აგენტ-



მა, ფილის ვესტბერგმა ამ თემის გარშემო ატეხილი ხმაურის გამო, პრესაში შემდეგი განცხადება გააკეთა: „ყველამ კარგად ვიცით, მწერალს არ უნდოდა, რომ ეს მომხდარიყო!“ მაგრამ ჰოლივუდელი ბოსები სასწაულის მოლოდინში არიან და ამ სასწაულს სელინჯერის ქალიშვილის პასუხიდან ელიან. მარგარეტმა ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში დაარღვია მისი აკრძალვა და განდევნილ მამასთან ერთად ცხოვრების, მისი გიჟური ქცევებისა და ახალგაზრდა გოგონებით გატაცების შესახებ სრული სიმართლე დაწერა. სწორედ ამიტომ, ალბათობა იმისა, რომ სელინჯერის ნაკლებად პრინციპული მემკვიდრეები ჰოლივუდის შემოთავაზებით მოიხიბლებიან, ძალზე დიდია.

უილ სმიტს პრეზიდენტობა სურს



უილ სმიტს ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე ბარაკ ობამას შეცვლა სურს. ერთ-ერთი გერმანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში მსახიობის მეუღლემ, ჯადა პინკეტმა განაცხადა, რომ ადრე მისი ქმარი პოლიტიკური ამბიციების შესახებ ხშირად ხუმრობდა, მაგრამ ახლა იგი პოლიტიკურ კარიერაზე სრულიად სერიოზულად ფიქრობს და დასძინა, რომ მან და მისმა მეუღლემ პლანეტაზე საკუთარი კვალი უნდა დატოვონ, ამასთან ეს კვალი ბევრად უფრო შესამჩნევი და ღრმა უნდა იყოს, ვიდრე უბრალოდ ფილმებია...

უილ სმიტს ან კოლეგა არნოლდ შვარცენგერის დიდება არ ასვენებს, ან შავკანიანი ბარაკ ობამას მაგალითმა შთააგონა, ან უბრალოდ საკუთარი პროფესია მოჰბეზრდა... ასეა თუ ისე, უილ სმიტი პოლიტიკით დაინტერესდა.



ცხოვრება

ჩემი მზვანა მოვარე

მარი ჯაფარიძე

მთელი ღამე ქარი ფანჯრებს აზანზარებდა. დაძინება აუცილებელი იყო, მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა.

დღილით მნიშვნელოვანი, საქმიანი შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. ფირმა, რომელშიც ნონა მუშაობდა, ახალ იურისტს ეძებდა. ის შუა ხნის მამაკაცი უნდა ყოფილიყო, რომელსაც გადაჭარბებული ამბიციაც არ ექნებოდა.

ნონა თვალგახელილი იწვა და გონებაში საუბრის გეგმას ადგენდა. პრეტენდენტის შესახებ საკმაოდ კარგი ინფორმაცია ჰქონდა, მაგრამ ნონას რაღაც ადევლებდა. გრძნობდა, რომ შესვენება არაორდინალური იქნებოდა.

ნინა დღეებში ნონა უამრავ რეზიუმეს გაეცნო, მაგრამ მისი ყურადღება ვერც ერთმა ვერ მიიპყრო. აჰან კი...

მისი სტილი და რითმი ისეთივე იყო, როგორც თავად ნონას ცხოვრება. რაღაც ნაპერწკალი გაკრთა...

ნომერი აკრიბა და შეხვედრაზე შეუთანხმდა. ერთი საათის შემდეგ ქალაქის მთავარ ქუჩაზე მიაბიჯებდა.

ისეთი თავსება წვიმა იყო, რომ ქოლგაც კი დასველდა და ნონას ის მხოლოდ სიმბოლურად ეჭირა. ლაბადაც დაუსველდა და დაძინდა. ქუჩა მდინარის კალაპოტად გადაიქცა. მანქანები ძლივს მოძრაობდნენ, ყვითელი ავტობუსები კი ყველგანმავლებივით დალოლავენ.

ნონა ქუჩის მეორე მხარეს უნდა გადასულიყო. ფონი მოძებნა და გაბედულად შეაბიჯა კოჭებამდე წყალში. პირველმა ნაბიჯმა ცოტა შეაკრთო. წყალი ცივი იყო. აჰან ცოტა გამოაფხიზლა. ფეხები უკვე შექვია სველ ფეხსაცმელს, მაგრამ ქალს მაინც შეაკანკალა და ნაბიჯად შეჩერდა, რათა გონზე მოსულიყო.

მდივანი გოგონა ღიმილით შეხვდა და აუწყა, რომ შეგი მოულოდნელად ლილოს ტერმინალზე გაემგზავრა, რადგან ერთ-ერთ კლიენტს საბაჟოზე პრობლემა შეექმნა. მდივანს დაუბარა, ნონას ყავით გამასპინძლებოდა. ქალმა ყავაზე უარი თქვა, მდივანს ცოტა ნაეტყობავა და მისაღებიდან გასულმა ძვირფასი სუნამოს სუნი გაიყოლა.

სალამოს დალიმ დაურეკა. ის ნონას მეგობარი გახლდათ, რომელსაც სთხოვა, იმ ადამიანზე ცნობები შეეკრიბა, ვისაც უნდა შეხვედროდა. დალიმ შეიტყო, რომ მას რამდენიმე წლის წინ ახლო აღმოსავლეთში უმუშავია, მაგრამ სად — ამის შესახებ ვერაფერი გაურკვევია.

...სწორედ ეს უცნაური წინათგრძნობა არ ასვენებდა ნონას და მოსვენებას უკარგავდა. სანოლში ადგილს ვერ პოულობდა, ბალიშს თავზე იფარებდა, მაგრამ ვერა და ვერ იძინებდა. წითური, ლამაზი თმა ბალიშზე ჰქონდა დაფენილი. ფანჯრის მოპირდაპირე კედელზე მთვარის შუქი ეფინა და ოთხკუთხედ „ეკრანს“ ქმნიდა. ამ კედელზე უძილო ღამე მისთვის ფილმს ატრიალებდა... ფილმს „მწვანე მთვარე“ ერქვა.

6 წლის იყო, როდესაც დედამ ბაღში იმის გამო მიიყვანა, ბავშვებს რომ შეჰგუებოდა.

მასწავლებელმა ჯგუფში მაშინ შეიყვანა, როდესაც ბავშვებს ნამდვილი ომი ჰქონდათ გაჩაღებული.

— ბავშვებო, შეწყვიტეთ ჩხუბი, ჩვენ ახალი აღსაზრდელი გვყავს! — თქვა მასწავლებელმა.

ბავშვებმა გოგონა ინტერესით შეათვალა. ისინი მასში ისეთ რამეს ეძებდნენ, რითაც ახალი გოგონა მათგან გამოირჩეოდა და ასეთი სხვაობა ნამდვილად არსებობდა. ნონა უღალბოვანი იყო და სათვალეს ატარებდა. დიდბაფთებიანი, პუტკუნა გოგონა მიუახლოვდა და დამცინავად ჩაიციხა. შემდეგ თმა მოქაჩა და სიამოვნებისგან სრუტუნიც კი დაიწყო.

— ხელი გაუშვი, — გამოექომაგა უცნობი გოგონა, რომელსაც ნონასავით სათვალე ეკეთა. პუტკუნა გოგონას ხელი ჰკრა და გვერდზე მიაგდო.

— მე ლელა ვარ, — ხელი გაუნოდა ნონას.

ასე გაიცნო ლელა. სათვალეს კი ნონა დიდი ხანია, აღარ ატარებდა.

ძილი კი მაინც არ ეკარებოდა. რამდენიმე წლის წინ თავის ბალიშზე დადებდა საკმარისი იყო, რომ მაშინვე ჩასძინებოდა და ამის

შემდეგ თუნდაც მის ყურთან ზარბაზანი დაეცალათ, ვერაფერს გაიგონებდა. ნონამ გვერდი იცვალა და... შემდეგი „სერია“ დაიწყო... ახალი მოგონებები აეშალა. მოეჩვენა, რომ ოთახი განათდა.

ნონამ ვერც კი შენიშნა, პირველი სემესტრის ბოლოს, სესიების დრო როგორ მოახლოვდა. ჩათვლები და გამოცდები თოვლთან ერთად მოვიდა. დასვენების უფლება თავს მხოლოდ ახალი წლის დღეებში მისცა. ამ დღეებს მეგობრებთან ერთად ატარებდა.

გუგუნებდა და ფუსფუსებდა თბილისური კაფე... ყავა, ტკბილეული და სიგარეტი...

ნონა და მისი ბალის მეგობარი, ლელა, ერთ ჯგუფში სწავლობდნენ და სწორედ მან შესთავაზა, რამდენიმე დღით ბაკურიანში ან გუდაურში წასულიყვნენ. ნონა ყოყმანობდა, მაგრამ ვინაიდან ლელა თავის შეყვარებულთან განშორებას ძალზე განიცდიდა და დეპრესიაში იყო, ამის გამო დათანხმდა.

ლელას გადაწყვეტილი ჰქონდა, ახალი თავიანთსმცემელი ეპოვა და „საომრად“ იყო შემართული. ვინც სტუდენტობის დროს კურორტზე მოხვედრილა, ეცოდინება, როგორი სიტუაციაა იქ...

გოგონებმა ბარგი ოთახში შეიტანეს და დალილები, სანოლზე ჩამოსხდნენ. კარგი თხილამურების მოვნაც უნდა მოესწროთ. მაშინ საკუთარი თხილამურები მხოლოდ ცოტას თუ ჰქონდა.

— საინტერესო ვინმე თუ შენიშნე? — ჰკითხა ლელამ.

— მამაკაცებს გულისხმობ? ნუ ნერვიულობ, — დაამშვიდა მეგობარი, — შენი ყოფილი შეყვარებულისაირებს იმდენს იშოვი, რომ თვლა არ ექნება. შემოდგომობით მასეთებს აივანზე, კონობით „ვაშრობ“ ხოლმე, განაფხულამდე კი უკვე მწყინდებიან, — ნონას იუმორის გრძობა არასოდეს ლალატობდა.

— წვნიანშიც ხომ არ ამატებდი? — გაეცინა ლელას.

— ვამატებდი და ამწვინდებდი წვნიანს, ეგ უნამუსოები...

გოგონები სიცილით გადაცვივდნენ სანოლზე. თუმცა, სიცილი უცებ მოსხიპეს, რადგან კარზე დააკაკუნეს.



— ხომ გეუბნებოდი, არ დაგვიანებენ-
მეთქი? — გაიცინა ნონამ და ჩანთაში ჩაძვრა.
— მობრძანდით, — შემოიპატიჟა ლე-
ლამ.

კარში ჯერ ქერათმიანი, ცისფერთვალე-
ბა, გაღიმიებული სახე გამოჩნდა... ცხვირზე
თხელჩარჩოიანი, ძვირფასი სათვალე ჰქონ-
და დავოსებული.

— შემოდი, შემოდი, — კიდევ ერთხელ
შემოიპატიჟა გოგონამ.

ახალგაზრდა მამაკაცმა ოთახში შემოაბი-
ჯა. ხელით ნაქსოვი, ლამაზი სვიტერი ეცვა
და „ჯინსების“ ჯინსის შარვალი, რომელიც
იმ დროისთვის ძალზე იშვიათი და ძვირი
სიამოვნება გახლდათ.

— მე ალევო ვარ, — ფეხები დააბაკუნა.
მამაკაცი მალალი და საკმაოდ სიმათი-
ური იყო. ტანისამოსის ქვეშ ძლიერი, ნავარ-
ჯიშევი სხეული იკვეთებოდა. გარეგნულად
23-24 წელს მისცემდი.

— გოგონებო, თეთრი ძაფი და ნემსი
მჭირდება და შემთხვევით ხომ ვერ დამეხ-
მარებით?

— როგორ არა, ახლავე, — უთხრა ლელამ
და ჩანთაში ჩაძვრა.

ძლივს მიაგნო საჭირო ნივთს და მამაკაცს
გაუწოდა.

მამაკაცი უცებ გაქრა ოთახიდან და 10
წუთის შემდეგ ბონბონური დაბრუნდა. ნემსი
და ძაფიც დააბრუნა.

— ჩვენ თქვენი მებობლები ვართ და
სალამოს ვახშამზე გვაპატივებით, ჩვენი ნაც-
ნობობის აღსანიშნავად...

ნონამ ჩანთიდან ალუმბლისფერი, ხავერ-
დის ჯინსი ამოაძვრინა, რომელსაც უნივერ-
სიტეტში ლამის „უიგულიში“ უცვლიდნენ.

მამაკაცი გვერდით ნომერში ცხოვრობდ-
ნენ. მათ მავიდა უკვე გაშლილი ჰქონდათ და
გოგონებს ელოდნენ. ნონა და ლელა კართან
ცოტა შეყოვნდნენ, მაგრამ მამაკაცებმა ისინი
ისე გულლიად მიიწვიეს, რომ გათამამდნენ
და რამდენიმე წუთის შემდეგ დაძაბულობაც
მოიხსნა.

— მამ, გავიცნოთ ერთმანეთი, — ინი-
ციტივდა შედარებით უფროსი ასაკის მამაკაცმა
აიღო, მან ხელი გულზე მიიდო, თავი
დახარა და ამ დროს იდეალურად დავარცხ-
ნილი თმა ჩამოეშალა, — მე ლევანი ვარ,
უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის
V კურსის სტუდენტი და ოსტაბ ზენდერივით
იმ ქვეყანაში მოხვედრამე ვოცნებობ, სადაც
ყველა თეთრი შარვლით დადის. ეს ალევოა,
მისთვის გოგონებისთვის უკვე ნაცნობ მამაკაცზე,
— უნივერსიტეტის უცხო ენათა
ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, რომელიც
თარჯიმნობაზე ოცნებობს, ეს კი გელაა, მეკვი-
დრეობით — მელვი და ლენის ტექნოლოგი-
ის ფაკულტეტის კურსის სტუდენტი.

— ჩვენი სტუდენტები რას წარმოადგენენ?
— გაიღიმა გელამ.

გოგონები წარუდგინებ.

ალევო ნონას ინტერესით ათვალეიერებ-
და.

— რას დალევთ, გოგონებო? ჩვენი გაც-
ნობის სადღეგრძელო უნდა შემოგთავაზოთ.

იმედი, ეს ნაცნობობა ბედნიერების მომტანი
და ხანგრძლივი იქნება.

მამინ მას წარმოადგენაც კი არ ჰქონდა,
როგორი ბედნიერი, მაგრამ ხანმოკლე იქნე-

ბოდა ეს ნაცნობობა.

— ქალბატონებს ფორთოხლის წვენი და
მარტინი შევთავაზოთ, — თქვა ლევანმა.

— რას ამბობთ? მე ლენის შევთავაზებ, რომელიც
ჩემმა მამამ და მასწავლებელმა დააყენა,
— გელა კითხვით ილიმოდა.

— მამამისი ლენის ტექნოლოგიის კათე-
დრის პროფესორია, — ნონას ყურში ჩას-
ჩურჩულა ალევომ.

ახალგაზრდები კარგა ხანს ისხდნენ და
ლაპარაკობდნენ. შუალაზე გადასული იყო,
როდესაც გოგონებმა წასვლა დააპირეს. მათი
ოთახები ერთმანეთთან კარით იყო დაკავ-
შირებული, რომელიც დაკვირვებით გახლდათ.
ჩანდა, აქ ოდესღაც აპარტამენტები ყოფილა.
ლელას სანოლი სწორედ ამ კართან იყო
მიდგმული. გოგონები სავარძელში ჩასხდ-
ნენ და კარგა ხანს იჭორავდნენ ახლად გაცნო-
ბილ მამაკაცებზე. შემდეგ ლელამ ნონას თვა-
ლი ჩაურკრა და შესთავაზა:

— მოდი, მოვუხსინოთ, ჩვენზე რას ლაპარ-
აკობენ.

გოგონები ლელას სანოლიზე ფრთხილად
დასხდნენ და ყური ატყდილ კარს მიადეს.
მართალია, კარი ხმას ამხობდა, მაგრამ სი-
ცხების გარეშე მაინც შეიძლებოდა გოგონებს
სუნთქვისაც კი ემინოდათ.

უეცრად, ერთ-ერთმა მამაკაცმა თქვა:
„მოდი, მოვუხსინოთ, რას ლაპარაკობენ ჩვენზე
გოგონები“. მამაკაცების ოთახში სანოლი
გაიჭრიალა.

— ისინი ალბათ უკვე დიდი ხანია, ჩვენ
გვისმინენ, — თქვა გელამ.

გოგონებმა პირზე ხელი აიფარეს, სანოლი-
დან წამოხტნენ და საბაზანოში შეცვივდ-
ნენ. ონკანი ბოლომდე მოუშვეს და სიცილი-
თი ჩაბჭირილნენ.

ლამე ისე მოთოვა, რომ დილით რადიომ
ზვავსამიშროება გამოაცხადა. საბაგირო გაჩ-
ერდა და დასამუშე ტრასებთან მისასვლელე-
ბი გადაკეტეს.

სასტუმროს მისაღებ ოთახში ბუხარი
ენტო. სტუმრებმა ერთმანეთის გაცნობა და
საერთო ინტერესების მიხედვით ჯგუფებად
დანაწილებაც მოასწრეს. ლელა ყოველთვის
აქტიურებით გამოირჩეოდა. ამჯერადაც,
მასკარადის მოწყობა გადამწყვიტა და ამის
შესახებ ყველას აცნობა. მისი იდეა აიტაცეს.

ნონა მალაღმურებიან სავარძელში ჩაჯდა
და დანარჩენებს თვალყურს ადევნებდა. ბუხ-
არში მოგიზგიზე ცვიცლს უყურებდა და
აკვირებულ სიძვერას ლილენებდა: „თეთრი
ციდან ფიფქი ცვივა, გვირილებისხელაოოო“...

მის წინ ალევო აისვენდა. ხელში 2 ბოკალი
და მარტინის ბოთლი ეჭირა. ალევომ ბოკ-
ლით ბუხრის თავზე შემოდგა და ბოთლი
გახსნა.

— ეს საიდან მოიტანე? — ჰკითხა ნონამ.

— აქ, ზემოთ, ბარია უცხოელებისთვის,
სადაც მხოლოდ ვალუტით ვაჭრობენ. ჰოდა,
ჩვენ, სანყალ სტუდენტებს ხანდახან გვაქვს
იმის საშუალება, თავს უფლება მივცეთ და
იქ ვიყიდოთ სასმელი.

— საწყობის არაფერი გეტყობათ, მე
თქვენი თხილამურებიც კი შევათვალეიერე
და...

— მოდი, მატერიალურ მხარეს თავი
დავანებოთ, თქვენ მომავალი მოდელიორი
ხართ?

— იქ, — ნონამ ხელი ზურგს უკან გაიშ-
ვირა, — დასავლეთში, ამას დიზაინერი ჰქვია.

— როგორია შენი, როგორც დიზაინერ-
ის ხედვა?

— მე არ მიყვარს ბანალური ტანისამოსი.
მინდა, სადღესასწაულო კაბებზე ვიმუშაო.

— მოდი, ჩემი წარმატება აღვნიშნოთ, —
შესთავაზა მამაკაცმა, — გუშინ ჩქაროსნულ
დაშვებაში საერთაშორისო ოსტატის ნორ-
მატივი ჩავაბარე.

— გილოცავ...
— ბავშვობაში რას თამაშობდა ეს საყ-
ვარელი დიზაინერი? — გაიღიმა ალევომ.

— მე ახლაც თოჯინებით ვთამაშობ.
უფრო სწორად, ტანისამოსს ვუკერავ. ჰოდა,
ახლა თოჯინების ქარხნიდან შეკვეთა მივიღე

— თოჯინებისთვის ტანისამოსის კოლექცია
უნდა შევიმუშაო.

სტუმრები კარგად ერთობოდნენ. გელა
უცნობ, ქერა მანდილოსანს ეცვივებოდა...
ლელა მთელი გულით იცინოდა. ის ოთახის
შუაგულში მდგარ როიალთან იჯდა და მხ-
იარულ ვალს უკრავდა.

— ხომ არ შეგუერთდეთ დანარჩენებს?
— შესთავაზა მამაკაცმა.

ნონამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მაშინ გავისეირნოთ. აქვე ახლოს გავი-
დეთ, გზა რომ არ აგვერიოს.

5 წუთის შემდეგ ნონა სასტუმროს ზღურ-
ბლთან იდგა. დიდრონი ფიფქებით თოვდა...
ნონამ უცებ მოახერხა ალევოს გულის
მონადირება.

ის თავისი გარეგნობით, ერთდროითა
და აღზრდით ნამდვილად სასურველი სასი-
ძო იყო. მას საკუთარი ბინა და მანქანაც
ჰქონდა.

გოგონების ყურადღებით განებივრებუ-
ლი გახლდათ, მაგრამ ნამდვილი სიყვარული
ჯერ არ სწევოდა.

ნონასთან შეხვედრამ მიახვედრა, რომ მის
ცხოვრებაში რაღაც ახალი ხდებოდა, რაც
სულს ასე უფორიატებდა. საკუთარი სული
და შინაგანი განწყობილება კარგად აწყო-
ბილ გიტარას აგონებდა, რომელიც ნიჭიერ
მუსიკოსს ელოდა.

ის გოგონას კითხვებით თავს არ აბეზრებ-
და... უბრალოდ, მოხეხავდა, სხეულზე მიიკრა და
ასე, „ოთხფეხა არსებასავით“ გაუყენებდათ
ფულადი გზა. კვალსაც კი არ ტოვებდნენ, რადგან
ძლიერი თოვა კვალს მამინვე ფარავდა.

არც ნონას კვლამ მამაკაცების ყურადღე-
ბა, მაგრამ სიყვარული არც მას სწევოდა.
ზუსტად იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ შეხ-
ვედებოდა მას, ვინც მისთვის იყო გაჩენილი.
გოგონა სრულიად უცნობ მამაკაცს გვერ-
დით მიჰყვებოდა და ფიქრობდა, რატომ
აძლევდა უფლებას, რომ მოჰხვეოდა.

რატომღაც საკუთარი თავი შეეცოდა და
ტირილი მოუნდა. გოგონა საკუთარ თავს
ვერ ცნობდა. იმ საღამოს ალევოს მისთვის
არ უოცნიდა და გოგონამ გაიფიქრა, რომ ის
თავზედი სულაც არ იყო.

უკან დაბრუნებულები ერთ ავტობუსში
ისხდნენ... სადგურში გოგონამ ცვდა, უცებ
მიჰფაროდა თვალს, რომ ალევოს გაცილე-
ბა არ შეეთავაზებინა. სინამდვილეში, გზაში
ცოტა დაიღალა და გულის რევის შეგრძნება
ჰქონდა. ამის გამო არავისთან ლაპარაკი არ
სურდა. ჯერ საკუთარ თავში არ იყო



გარკვეული და შესაბამისი დასკვნების გაკეთება უჭირდა.

ლელა ლევანთან ერთად გაემართა ტაქსისკენ და ნონამ მათაც თავი აარიდა.

* * *

გაზაფხულის თბილი ქარი კი ისევ ფანჯრებს ასკდებოდა...

გაზაფხულის იმ საღამოსაც ქარი იყო... ნონა და ალექო ქალაქგარეთ იყვნენ გასული და ჯერ კიდევ გაუფოთლავ ხეებს შორის დახეტიალეუდნენ... არაჩვეულებრივი, შაბათი საღამო იდგა. მდელოზე ბალახი საკმაოდ წამოზრდილიყო. ალექომ ნონას მხრებში ხელი მოჰკიდა და თავისკენ შეაბრუნა. გოგონას თმა სახეზე ჩამოეშალა.

— მიყვარხარ, — ჩასჩურჩულა მამაკაცმა. ნონამ ეს ერთი სიტყვა მშვენივრად გაარჩია, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერ გაიგონა. ძალიან უნდოდა, რომ კიდევ და კიდევ დაუსრულებლად ესმინა მამაკაცის მიერ ნათქვამი...

ალექომ გაიმეორა. — მიყვარხარ... ცოლად გამომეყვი...

ამას კი გოგონა წამდვილად არ ელოდა. შეიშმუშნა და ლამის წამოცდა: „ახლავე?“ თავი დროულად შეიკავა, მაგრამ მამაკაცმა მისი კითხვაც და პასუხიც მის თვალებში ამოკითხა.

მან გოგონა ტყისკენ გაიყოლა და ხის ძირას დასვა. ნონა არ ეწინააღმდეგებოდა.

შემდეგ ხშირად იხსენებდა გაზაფხულის ამ საღამოს და არასოდეს ნანობდა.

მათი სხეულები ერთმანეთს მიეკვრნენ, სუნთქვა აირია და ერთ რითში ჩადგა. ბინდმა გოგონას თმა შინდისფრად გამოაჩინა. საღამომ ფერები შეარბილა... საზღვრები წაშალა და 2 ახალგაზრდა ადამიანი სიყვარულით შეაერთა. მათ ახალი ცხოვრება დაიწყეს... საერთო ცხოვრება... ბალახი, რომელმაც საქორწინო სარეცელის მაგივრობა გასწია, ყველა ლოგინზე რბილი და ჰაეროვანი იყო.

დაბნელება და ისინი შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ. როდესაც გზაზე გამოვიდნენ, ნონას თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა. მამაკაცთან განმორება აღარ უნდოდა...

— გამომეყვი ცოლად?

— მოფიქრებისთვის დროს მომცემ? — ჰკითხა გოგონამ.

— კი, მაგრამ 1 კვირის მერე პასუხი უნდა მივიღო.

1 კვირის შემდეგ ნონა ექსპედიციაში მიდიოდა, ალექოს კი უნდა გაცეცლებინა.

დილით დედა ნაგვის გადასაყრელად მიდიოდა და კარი რომ გააღო, გახევედა. კართან ალექო იდგა და ხელში უზარმაზარი თაიგული ეჭირა.

— ნონა! ნონა! — დაუძახა დედა. ნონამ კართან მიიბრინა და გაშეშდა.

— მე პასუხისთვის მოვედი, — თქვა ალექომ, — ქალბატონო ნაწული, თქვენი ქალიშვილის ხელს გთხოვთ.

— თანახმა ვარ, დაიჩურჩულა ნონამ.

მის ცხოვრებაში ასეთი რამ პირველად ხდებოდა. მას თავისი ცხოვრების სხვასთან დაკავშირება უჭირდა...

ისინი კარგა ხანს იდგნენ მატარებლის ვაგონთან, ვიდრე ექსპედიციის ხელმძღვანელმა ყველა სტრუქტურის ადგილის დაკავება არ მოსთხოვა.

— წერილებს არ გამოგიგზავნი, რადგან წერა არ მიყვარს. უბრალოდ, შევეცდები, მომენატრო, — უთხრა გოგონამ.

ნონამ ფანჯრიდანაც კი არ გამოიხედა. მამაკაცმა დაინახა, როგორ აძვრა ზედა საწოლზე და კედლისკენ სახით დანვა.

ნონას მამინ გამოეღვიძა, როცა თბილისის კარგა მანძილით იყვნენ დაშორებულნი.

ალექო თითქმის ყოველდღე სწერდა წერილებს.

ამ ხნის განმავლობაში დიპლომიც დაიცვა და სამუშაოდ ბეირუთში გაუშვეს, თარჯიმნად. როდესაც ანკეტას აესებდა, ნონა როგორც მეუღლე, ისე მიუთითა. მისი გეგმები სამუდამოდ ნონას უკავშირდებოდა. გოგონა კი მის წერილებს არ პასუხობდა... უკან დაბრუნების დრო ახლოვდებოდა.

ნონამ ვაგონიდან ფეხი ჩამოდგა თუ არა, ალექოს მკვლავებში აღმოჩნდა. მან ნონას



ჩემოდნებს ხელი წამოავლო, მეორე — ნონას მოხვია და თავისი მანქანისკენ წაიყვანა. სახლს რომ მიუახლოვდნენ, ნონამ ძლივს მოასწრო თქმა, რომ მანქანა გაეჩერებინა. გოგონას გული აერია. ალექო ყველაფერს უთქმელად მიხვდა. მალაზიაში შევიდა და მინერალური წყალი იყიდა. ბოთლი გახსნა და ნონას მიანოდა. გოგონა ხარბად დაუნაწავ ცივ წყალს.

— ჩემო პატარავ, ჩვენი მამინდელი შეხვედრის შემდეგ ექიმთან იყავი? იქნებ...

— იქნებ... სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო.

თავისი მდგომარეობის შესახებ ჯერ კიდევ ექსპედიციაში ყოფნის დროს მიხვდა, მაგრამ ლელასთვისაც კი არაფერი უთქვამს. არც ალექოს მისწერა, რადგან მოსწონდა, რომ ისეთი საიდუმლო ჰქონდა, რომელიც მარტო თვითონ იცოდა.

ეს სიახლე გოგონას არ სწყენია. იცოდა, რომ მომავალი შვილის მამა საიდუმლო ადამიანი იყო და ბოლოს და ბოლოს, იოვანა ის

ადამიანი, ვისზეც წლების განმავლობაში ოცნებობდა. მას უბრალოდ, სიყვარული ეწვია.

ნონა ხშირად ფიქრობდა იმაზე, რომ დიდი სიყვარულის შედეგად ლამაზი და ბედნიერი ბავშვები იბადებინ. ამას ბებიან ეუბნებოდა ხოლმე.

ალექომ მანქანა ფრთხილად დაძრა. ხმას ვეღარ იღებდა. ყელი გაუმრა და თვალზე ცრემლიც კი მოადგა.

მანქანიდან გადმოსული ნონა მის მკვლავებში აღმოჩნდა. ეს ყველაზე საიდუმლო და თბილი ადამიანის მკვლავები იყო.

ალექო სახლში აჰყვა. ნონამ მამინვე საბაზანოს მიაშურა, იქიდან გამოსულს ალექო ლოჯიაში ელოდა.

— სერიოზულ თემაზე მინდა დალაპარაკება, — მამინვე დაიწყო ალექომ, — ხვალ ერთი კვირით მივემგზავრები, რომ ყველაფერი მოვანესრიგო. ამასობაში კი შენ საქორწინო კაბას მოამზადებ და ქორწილისთვის მოემზადები. დანახარჯს ნუ შეუშინდები, დედაჩემი ყველაფერს ანაზღაურებს. უწინვე რსიტეტი კი ავადმეურს აიღებ.

ნონა უსმენდა და დალილოების გამო წინააღმდეგობის თავიც კი არ ჰქონდა. ან იქნებ, არც კი უნდოდა, შეწინააღმდეგებდა.

ნონა ატირდა... პატარა ბავშვივით სრუტუნებდა.

— შენთვის წერვიულობა არ შეიძლება, დილით შემოგივლი და დაგეწმედიოები. ძალიან მიყვარხარ.

დილით ალექო დაეშვიდობა და ბეირუთში გაფრინდა.

ნონა ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ალექომ დაუბარა. ლელა მალაზიაში დაჰყვებოდა და საპატარძლო კაბის არჩევაში ეხმარებოდა. შეუკვეთეს რესტორანი, ლიმუზინი, შეიძინა კაბა და ფეხსაცმელი. ალექო 1 კვირაში დაბრუნდა.

* * *

და... ქორწილის დღე დადგა. ნონას დილის 5 საათზე

გაეღვიძა. ბებიამ ნერვიულობა შეამჩნია და ვალერიანის წვეთები დააღვინა. მშობლები სიძეს უნდა დახვედროდნენ, ახალგაზრდები ქორწინების სახლში მიეცილებინათ და მერე რესტორანში წასულიყვნენ, რათა ახალ ნათესავეებთან ერთად წყვილს დახვედროდნენ. ქორწილის პირველ ღამეს ცოლ-ქმარი თვითმფრინავში გაატარებდა. მათ ბეირუთი ელოდა.

დილა მზიანი და შემოდგომისთვის შეუფერებლად თბილი იყო, მაგრამ უეცრად ამინდი შეიცვალა და ქუჩა-ქუხილი ატყდა.

— ეჰ, ჩემო პატარავ, შენი ცხოვრება ასეთივე ხმაურიანი იქნება, როგორც ამინდი, — მოესხა ბებიან.

ამ დროს ეზოში მანქანები შემოვიდნენ და პიპინი ატყეს.

ნონა ატირდა. კართან ნაცნობი ხმები გაისმა და შამპანურის ბოთლის გახსნის ხმაც მოესმა.

კარში ალექო გამოჩნდა. ხელში ძალიან ლამაზი თაიგული ეჭირა.

პატარძალი თვალცრემლიანი იდგა და



საქმროს ბედნიერი შეპყრობა... მანქანების კორტი დაიძრა... ქორნიების სახლში წყვილი სტუმრებიანად დარბაზში მიიწვიეს. ნონას თავი სიზმარში ეგონა. ის ალექოს გვერდით იდგა და ელოდა, როდის აჭიხტავდა ეს მონოტონური ხმით მოლაპარაკე ქალი რამეს.

— ძვირფასო ნონა, თანახმა ხართ თუ არა...

- დიას!
- ცოლად გაჰყვით...
- დიას!
- ალექოს...
- დიას!

ნონა თითქოს დროში დაიკარგა. იმასაც კი ვეღარ გრძნობდა, ალექო ხელზე ხელს რომ უჭერდა. შემდეგ ხელი მოაწერა იქ, სადაც მიუთითეს. შემდეგ ბეჭდებიც გაცვალეს. ალექომ კი ცოლი ხელში აიტაცა და ქორნიების სახლიდან ისე გამოიყვანა.

ორსულობის ბოლო თვეებში ნონას თბილისში წამოსვლა არ უნდოდა. ალექოს გარეშე, მისი სიტბოს, ალერსისა და ყურადღების გარეშე აღარ შეეძლო. ერჩინა, აღმოსავლური ქალაქის სიღვანე და ხმაური აეტანა, ვიდრე ქმრის გარეშე ყოფილიყო.

ამ დროისთვის ალექოს შვებულება უნევედა და გადაწყვიტეს, როგორც კი ექიმი ნებას დართავდა, მაშინვე ერთად გამოემგზავრებულყვნენ საქართველოში.

ქალაქში სიტუაცია დაიძაბა და აქა-იქ სროლის ხმაც ისმოდა. მანქანებს წვავდნენ და აფეთქებდნენ.

ალექო ხშირად ამბობდა, რომ შესაძლოა, შვებულების შემდეგ ბეირუთში მარტო დაბრუნებულიყო და ცოლ-შვილი უსაფრთხო ადგილზე დაეტოვებინა, მაგრამ ნონა დაწმუნებული იყო, რომ ალექო მისი მფარველი ანგელოზი იყო და თუ მასთან ერთად იქნებოდა, ვერაფერი მოეწოდებოდა.

მარიამი ქვეყნიერებას დილით მოევიდნა. ის იყო, მჭეთის კომპლექსზე მუუქინმა დაიყვინა და ბავშვიც გაჩნდა.

გოგონას მამასავით ქერა თმა ჰქონდა. შინ დაბრუნების შემდეგ ალექო ბავშვს ხელიდან არ უშვებდა. ნონა ხედავდა, როგორი ნაპურნელები ინებოდა მის თვალებში, როცა ბავშვისკენ ისრებოდა...

შვებულება ახლოვდებოდა. ნონა ნელ-ნელა ბარგის ჩალაგებას შეუდგა.

მარიამი უკვე 6 თვის ხდებოდა.

თბილისი მათ სველი თოვლით შეხვდა. ახალ წლამდე 3 დღე რჩებოდა. თოვლის ფიფქები ბავშვს ცხვირზე ეცემოდა. პატარამ ენა გამოყო, თავისი გონიერებით ყველა აღფრთოვანებაში მოიყვანა.

მეორე დღეს ლელა და ლევანი მოვიდნენ სტუმრად. ლელა თავის მომრგვალებულ მუცელს ეფერებოდა და ბავშვს უღიმოდა. ბევრი ილაპარაკეს და უცერად, ყველა გაჭიმდა. პაერში ერთი კითხვა გამოვიდა, რომლის დასმას ყველა ერთდებოდა.

— იქნებ დარჩენილიყავი? ბეირუთზე პრესაში ისეთი რამეები იწერება...

— არა, მე ალექოსთან ერთად წავალ. მის გარეშე ერთი დღეც ვერ გაჭყრდები. მასაც გაუჭირდება უჩემოდ, ბავშვიც მოეხატრება. ის კვარტალი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მშვიდია. ჩვენს წინ „ნითელი ჯვრის“ ჰოსპიტა-

ლია და გვერთაზეული ერების ორგანიზაციის ყაზარმები...

იანვრის ბოლოს ისინი უკან, ბეირუთში გაფრინდნენ. მარიამის პირველი დაბადების დღე მოახლოვდა. გაზაფხულზე ქალაქში სიტუაცია უფრო დაიძაბა. საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ოჯახების ნევრებს ქუჩაში გასვლა აუკრძალათ. მოსკოვმა ევაკუაციის ბრძანება გასცა. ნონა ჩემოდნების ჩალაგებას შეუდგა. ფანჯარასთან მისვლაც კი აკრძალული ჰქონდა და მხოლოდ ალექოსგან იცოდა, რომ ქუჩებში მოკლული ადამიანების გვამებით იყო მოფენილი და გზებს ვერ წმენდნენ, რადგან სანიტარულ მანქანებსაც კი ცხრილავენენ. ჰოსპიტალთან ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები მიიყვანეს.

ალექო შინ გიჟვით შევარდა: „სწრაფად, რისი ჩალაგებაც მოასწარი, ნამოილე, მე ბავშვს წამოვიყვან. მოპირდაპირე მხარეს, ჰოსპიტლის კართან „ნითელი ჯვრის“ ავტობუსი და ტანკები დგას. ერთი საათის შემდეგ მოსკოვისკენ თვითმფრინავით გაფრინდებით“. ნონამ იმ ჩანთას წამოავლო ხელი, სადაც საბუთები, ბავშვის საკვები და ტანისამოსი ელაგა. ქვემოთ ქალებისა და ბავშვების ჯგუფი იდგა.

პანიკა არ შეინიშნებოდა. ცისფერჩაფხუტიან ჯარისკაცებს იქ მყოფნი ქუჩაზე გადაჰყავდათ. ყველა დუმდა და თავის რიგს ელოდა. მამაკაცებს ცალ ხელში ჩანთები ეჭირათ, მეორეთი კი ცოლ-შვილებს ეხვეოდნენ. ისე მოხდა, რომ ალექო, გოგონასთან და კიდევ 2 მოზრდილ ბავშვთან ერთად გადაიყვანეს გზაზე. ნონამ ქმარ-შვილისთვის კოცნაც ვერ მოასწრო, ისე გააყოლა თვალი.

უეცრად, სირჩუმში სროლის ხმა გაისმა და ერთი ჯარისკაცი დაეცა. მეორე ბავშვებს გადაეფარა და ისინი ავტობუსთან მიიყვანა.

ამ დროს, საშინელი სტენის და შემდეგ — აფეთქების ხმა გაისმა. კვამლი იქაურობა დაფარა. აფეთქების ტალღამ ქალი კედელს გააკრო და თავი მიარტყმევინა. შეპყვირა. ცხვირიდან სისხლი წასვდა. როდესაც კვამლი გაიფანტა, ნონამ დაინახა, რომ იმ ადგილზე, სადაც რამდენიმე წუთის წინ ალექო და მისი გოგონა იდგნენ, ორმო იყო, რომელსაც კვამლი ასდიოდა. ქალმა დაიყვირა. ეს ხმა პირდაპირ გულიდან წადიოდა. ეს ყვირილი კი არა, გარეული ნადირის ღმუჯი უფრო იყო. ჯარისკაცებმა ხალხის გადაყვანა შეწყვიტეს. ტანკები ქუჩაზე ისე ჩააყენეს, რომ იქ შესვლა აღარავის შესაძლებლოდა. ვილაცამ ნონას წყალი დაალევინა. ქუჩის მეორე მხრიდან მასთან ექიმმა მიიბრინა. ნონა მხრებში ჩაეჭიდა.

— მე გზის იქით მიწა გადასვლა, იქნებ მათ მოახერხეს და ავტობუსს უკან მიეფარნენ.

— არა, მე, — უპასუხა ექიმმა.

— მიიყვანეთ იმ ორმოსთან ან მე თვითონ მივალ, — ნონა ცდილობდა, მამაკაცისთვის ხელები გამოეგლიჯა.

ამასობაში მათ სამხედრო პირი მიუახლოვდა და ნონას სიტყვები გაიგონა.

— კარგი, ორჯერ ერთსა და იმავე ადგილზე ბოში არ ხდებდა, სოხვით მომყევით, მადამ, — უთხრა ცისფერჩაფხუტიანმა რუსულად. ნონას მუხლები და იდაყვები ეცვლიდებოდა, მაგრამ სამხედროს უკან მანაც მიიხრავდა ორმოს ნაპირზე მისული შიგ ჩაყარავდა

და ფსკერზე დაეცა. ეჭვებოდა, რომ ქვუდიან შეიშალა. მინის ნატყხებს დაეჭიდა და გვერდით გადალაგება დაიწყო. თავის ქცევას ვერ აკონტროლებდა.

— მე, — გაიგონა სამხედროს ხმა. ნონა მიბრუნდა და დაიყვირა. მამაკაცმა ალექოს სათვალის ნატყხეზე მიუთითა, რომელზეც მისი თმის ბლუფა და სისხლი იყო შერჩენილი. ცოტა მოშორებით, მინითა და სისხლით მოსვრილი ბავშვის ტანისამოსის ნაგლევი ეგდო. ნონა მიფორთხდა, ეს ყველაფერი მინასთან ერთად მოფხოქნა და უბემი ჩაიყარა. ვილაცამ ხელი სტაცა. თვალწინ ახალგაზრდა მამაკაცის სახემ გაიელვა...

მეტი არაფერი ახსოვდა. გონს თვითმფრინავში მოვიდა. გონთან ერთად რეალობის შეგრძნება დაუბრუნდა, მაგრამ ვერ გაეგო, სად იყო და აქ რა უნდოდა. თუ ეს სიზმარი არ იყო, მამინ სად იყო ალექო და თუ სიზმარი იყო...

დამძიმებული ქუთუთოები ოდნავ გაახილა, მის გვერდით მონახონი იჯდა.

— ინგლისურად ლაპარაკობთ? — ჰკითხა ქალმა.

ნონამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მონახონმა პირთან წყალი მიუტანა. ქალმა რამდენიმე ყლოუბი მოსვა და წამოჯდომა მოინდომა, მაგრამ საშინელმა ტკივილმა ადგილს მიაჯაჭვა.

— თქვენ მსუბუქი კონტუზია გაქვთ, უნდა ინჯეთ, მადამ.

ნონამ ტანზე ხელი ჩამოისვა და მიხვდა, რომ თავისი ტანისამოსი არ ეცვა. ამ დროს რაღაც გაახსენდა.

ორმო... ის ორმოსკენ მიხიხავს... ორმოს ფსკერზე იმ ნივთებს აგროვებს, რაც მისი ქმარ-შვილისგან დარჩა...

ეს სიზმარი არ იყო.

— სადაა ჩემი ტანისამოსი, სადაა ის... — ენა ვერ მოაბრუნა სათქმელად.

— ნუ ნერვიულობთ, თქვენი ნივთები არ დაკარგულა. საბაჟოზე საბუთებთან ერთად მიიღებთ. თქვენ ახლა სანიტარულ თვითმფრინავში იმყოფებით და ამერიკულ-სამხედრო თვითმფრინავები მიგვაცვლილებენ. ბრიუსელში კი საბჭოთა კავშირის თვითმფრინავში გადაჯდებით და შინ გაფრინდებით.

ცოტა ხანში ექთანმა შემოვიდა და ნონას ნემსი გაუტოვა. ქალს ძილი მოერია და სიზმარი წახა. სამივე ერთად მიფრინავდნენ, მაგრამ მარიამი რატომღაც უკვე 5 წლის იყო და ანგელოზის ფრთები ჰქონდა. ისინი მაღალი კლდის წვერზე დაეშვენენ. აქ უნდა დაგემშვიდობოთ, ჩვენ არც ისე მალე შევხვდებით. ამის შემდეგ შენ მარტო უნდა ნახვიდე. ვერ გაკოცებთ, რადგან არ შეგვიძლია, ჩვენ ხომ უკვე აღარ ვარსებობთ. ნუ გეშინია, შენ ბედნიერი იქნები. შენ გელან და დაგხვდებიან. ნახვამდის, მწვანე მთვარე, — უთხრა ალექომ, ბავშვი ხელში აიყვანა და წევისკენ წავიდა. გოგონა დაბლა იყოფრებოდა და დედას უღიმოდა.

ნონამ თვალები გაახილა და დედა დაინახა. მის მხარს ზემოდან კი ბებია იყოფრებოდა. მამას ის ხელით ეჭირა. მეორე მხარეს კი ალექოს მშობლები და და იდგნენ. ექიმმა



ნიჭიერი

მარი ჯაფარიძე

ქართველები რომ ნიჭიერი ხალხი ვართ, ამას ფიცი-მტყიცი და ბევრი ლაპარაკი არ უნდა. ჰოდა, ეს „ნიჭიერიც“ ცოტა ადრე უნდა გაეკეთებინათ ჩვენს ტელე-სივრცეში. არა, არ გვეგონოთ, ახლა ან პროექტზე ლაპარაკს ვაპირებდეთ, ან მათი ფორმატის მოპარვას. მე აქ ჩემი „ნიჭიერი“ მაქვს და არა მგონია, მათ „ნიჭიერს“ რამით ჩამოუვარდებოდეს. ბევრ ლაი-ლაის არ მოყვები და პირდაპირ საქმეზე გადავალ.

ჩემს სამსახურთან ახლოს სუპერ-მარკეტია, რომლის წინ მოხუცი ქალი ზის მუდმივად და მოწყალებას ითხოვს. ჰოდა, მისთვის ყოველთვის მაქვს შემონახული ხურდა. ამას წინათ ლარიანი მივეცი. როგორც წესი, დამლოცავს ხოლმე მოხუცი და მეც, ვალ-მოხდელი შევდივარ მაღაზიაში.

— შვილო, ერთი სათხოვარი მაქვს, — ლოცვის მაგივრად გავიგონე ეს სიტყვები.

— რა არის, ბებო? — მივბრუნდი.

— შენს გახარებას, ბებო, ვერავის ვენდობი და აჰა, ეს ფული გამომართვი, — ჩემი მიცემული ლარიანი და ხურდები გამომიწოდა, — და მაღაზიიდან „სგუშონი“ მომიტანე.

სახტად დავრჩი, მაგრამ უარს ხომ არ ვეტყვი? ფული არ გამოვართვი, შევედი მაღაზიაში და ერთი ქილა შესქელებული რძე ვუყიდე. გამოსვლისას მივანოდე და მაღლობის მაგივრად აბუზღუნდა.

— ამ ხალხს ვერაფერს დაავალებ, მოკლედ... აბა, უყურე, 25 „კაპიკის“ ეკონომია გააკეთა და მოხარული „სგუშონი“ კი არა, უმი გამომიტანა...

— მომეცი, ბებო, შეგიცვლი, — შევეთავაზე, რადგან ვიფიქრე, თუ სიკეთეს ვაკეთებ, ბარემ რაც თვითონ უნდა, იმას მოუვლებ-მეთქი.

— არა, არ მინდა, — გაიბუტა ბებო, ჯიბიდან კონსერვის ქილის გასახსნელი ამოაქვრინა და ისე ოსტატურად გახსნა, აღფრთოვანება ვერ დაემაღე. ქილა მოიყუდა და წრუპვა დაიწყო...

ხომა ნიჭიერი? ფულიც მივეცი, „სგუშონიც“ ვუყიდე და საყვედურიც მივიღე. თან ეს ისე გააკეთა, დანაშაულის გრძობაც დამიტოვა.

ერთი ნიჭიერი მეზობელი მყავს. ნეტავ, განახვათ, რას ჰგავს, მაგრამ ნიჭი მომეცი და სანაგვეზე გადამაგდეო, მაგანუა ნათქვამი. ტანდაბალი, თეთრი პირისახის, გაჩეჩილი თმით, დაგრეხილი ფეხებით (თუ ნაიკითხა, კი მომიწევს მისამართის შეცვლა), თავმოუვლელი და ამ ყველაფერთან ერთად — ქსენია

ჰქვია. ჰოდა, ამ ჩვენს ქსენიას გათხოვების ნიჭი აქვს... სულ ახლახან ისევ გამოგვიცხადა მეზობლებს, რომ თხოვდება და გოცებული დაგვტოვა. ჩვენი ანგარიშით, ეს უკვე მეშვიდე ქორწინებაა. თანაც, ყველა ქორწინებიდან თითო შვილი ჰყავს, მაგრამ ამ „ოხერს“ ქმრების შერჩევის ნიჭიც ისეთი აქვს, გოცდები — ყველა მამამ თავისი შვილი თან წაიყვანა და ქსენიას შვილები გათხოვებაში ხელს ალარ უშლიან.

ქსენია რომ „ნიჭიერში“ მისულიყო, მაია ასათიანი თავისი გადაცემისთვისაც ახალ თემას იპოვიდა, ხოლო ქსენია, დარწმუნებული ვარ, ფინალშიც გავიდოდა, რადგან პროექტის დამთავრებამდე კიდევ რამდენჯერმე მოასწრებდა გათხოვებას.

ისე, ახლა დავფიქრდი, იქნებ მეც ვარ რაიმე ნიჭით დაჯილდოებული-მეთქი? ხან აქედან მივუდები ჩემს, თავს, ხან იქიდან და განსაკუთრებული ვერაფერი აღმოვაჩინე. თუმცა, რატომაც არა? მეც მაქვს ერთი ფარული ნიჭი.



კერძოდ, შემძლია, ჩემი ხელფასი ისე გავანანილო, რომ ოჯახიც კმაყოფილი იყოს, მეც, ბანიც (საიდანაც კრედიტი მაქვს აღებული) და კიდევ უამრავი სხვა ადამიანი, ვისაც ჩემი ხელფასით სიამოვნებას ვანიჭებ. არაა ეს ნიჭი?

გარდა ამისა, კიდევ გამახსენდა ჩემი ფარული ნიჭი და ახლა სწორედ ამის შესახებ მოგიყვებით: გასულ ზაფხულს ჩემს მეგობარს მოლდაველი სტუმარი ჰყავდა. ვადიმი საქართველოში კარგა ხანს შემორჩა. რუსულად მშვენივრად ლაპარაკობდა და ქართველებთან ურთიერთობაც არ გასჭირვებია. აქ იმდენი ხანი დაყო, დამეგობრებაც კი მოვასწარით. სულ იმას მეუბნებოდა, შენ როგორი უურნალისტი ხარ, ჩემგან ინტერვიუს რომ არ იღებ, უცხოელი ვარ და ნუთუ არ გაინტერესებს, საქართველოზე როგორი შთაბეჭდილება მაქვსო?

— თუ გინდა, გამოვიცნობ, რას ფიქრობ ჩემს სამშობლოზე, რა მოგეგონა და რა — არა, — შევეთავაზე მოლდაველს.

— აბა, მიდი, მაგრამ, როგორ მოახერხებ? — შემაგულიანა და თან ეჭვი გამოთქვა.

— მე შემძლია, გიმეცხაო. თუ არ გჯერა, ყავა დალიე, — მივუთითე მის წინ მდგარ ქაფქაფა ყავის ფინჯანზე, — ჭიქა გადააბრუნე და მე „ჩაგინებდავ“.

— მართლა? ესეც შეგიძლია?

— კი, მართლა, — თავი მორცხვად დავხარე.

— მაგარია, უნიჭიერესი ხარ, — გულით შემაქო.

ქება, რა თქმა უნდა, შევიფერე და ცოტა ხანში, როდესაც მისი ფინჯანი სამკითხაოდ მზად იყო, გამოცდილი მწიბავივით ჩავიჭიტიე ძირში და დავინყე.

— აღფრთოვანებული ხარ ქართველების სტუმართმოყვარეობით. მართალია? — ისე ვკითხე, თითქოს მართლა გამოცნობა სჭირდებოდა მის შთაბეჭდილებებს.

— კი, მართალია.

— ქართული კერძებიდან ძალიან მოგეგონა საცივი და ხინკალი. ესეც გამოვიცანი?

— კი, ესეც, — სახეზე გაკვირვება ეწერა.

— ფიქრობ, რომ ჩვენს კულტურულ ძეგლებს, რომლებიც უკვე დაათვალიერე, მოვლა-პატრონობა სჭირდება.

— ვაუ!

— გოცებული ხარ ჩვენი ბუნების სილამაზით (რამდენიმე რაიონში ექსკურსიანზე იყო).

— მართალია. შენ იმას თუ მეტყვი, რა გავიფიქრე, როდესაც დასავლეთ საქართველო მოვინახულე?

— რა და... — დავფიქრდი, თან ფინჯანი შევებრუნე და კარგად დავაკვირდი. — გაიფიქრე, რომ დასავლეთის ბუნება ძალიან ჰგავს მოლდავეთის ბუნებას და ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრე, ნეტავ, ჩემს ქვეყანაში ხომ არ ვარო...

— ვააააუ! მაგარი! როცა აღმოსავლეთი ვნახე?



— მაშინ გაიფიქრე, რომ შენს სამშობლოშიც ისეთივე ვენახებია, როგორც აქ, მაგრამ ქართული ღვინო ასეთი კარგი რატომაა, ამას კი ვერ მიხვდი.

— კლასია! სუპერია! კიდევ რას მეტყვი? ჩემს პირად ცხოვრებაზე რა შეგიძლია, მითხრა?

— კიდევ? — აქ უკვე გაუჭიქდე — კიდევ ის, რომ... გამდიდრების შანსი გქონდა და ხელიდან გაუშვი... — ალაღებდებე ნამოვროშე და პირდაპირ ათიანში გავარტყი.

— ვააუ! — მერამდენე „ვაუ“ იყო, დამეთვალა მანძი.

— ჰა, რას იტყვი? — „მკითხაობა“ დასასრულისკენ წავიყვანე.

— მაგარია, მაგრამ კიდევ ერთი კითხვა მაქვს და მორჩა.

— მიდი, — ახლა მე შევაგულანე და არ შევიძინე, რომ ცოტა აველდე. არ მინდოდა, ტყუილში გამოვეჭირე.

— ახლა ის მითხარი, ის შანსი რომ დაკვარე, მაგას სხვა ამბავი არ მოჰყოლია?

— მოიცადე, კარგად ვნახო, — ჭიქას უაზროდ ვატრიალებდი და ვცდილობდი, რაღაც ისეთი მეთქვა, რაც შესაძლებელი იყო, მართლაც მომხდარიყო.

გონება დავახებე. რადგან ასეთი კითხვა დასვა, ალბათ მართლა მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი. რა შეიძლება, ასეთი ბუნების ადამიანისთვის, როგორიც ვადიმა, მნიშვნელოვანი იყოს? — ლოგიკას მივყევბოდი: თუ ადამიანის ფსიქოლოგიის რაიმე გამეგება, ეს უნდა იყოს სიყვარული, გრძნობა, ქალი... აჰა... მგონი, საჭირო პასუხს მივაგენი...

— მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ სიყვარული გენვია და შენი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა.

— ვააააააუ! — ამსიგრძე „ვაუ“ პირველად გავიგონე.

— აჰა, ხომ მითხარი, ყველაფერს გავიგებ-მეთქი? — გავიბლიძე, როცა მივხვდი, რომ ათიანში მეორედ გავარტყი და ტყვია ტყვიამი ჩავსვი.

გაოცებული ვადიმი პირდაღებული მიყურებდა.

— ნამდვილი ვანგა ხარ, — თვალების ფახულით მითხრა.

— ისე, საინტერესო იქნება იმ ამბის მოსმენა, როგორ დაკარგე გამდიდრების შანსი და როგორ იპოვე სიყვარული, — დრო ვიხელთე.

— ეს მართლაც საოცარი ამბავია, რომელსაც არავის ფუყვები, მაგრამ შენ ისეთი ნიჭი გქონია, რომ მოინადინო, მინც გაიგებ და ზარემ ჩემთ მოყვებნი.

ახლა, მის მონაცოლს გადმოგცემთ. შესაძლოა, ცოტა დაუჯერებლადაც მოგვიყვინოთ, მაგრამ ვადიმი ირწმუნება, რომ თითოეული სიტყვა ჭეშმარიტებაა და არავითარი სიცრუე.

— მილიონი დოლარი. ნარმოგიდგენია, რამდენი ფულია? ამსტერდამი, ლონდონი, მონტე-კარლო, ლამის კლუბები,

კაზინოები, ძვირფასი ავტომობილი, ვისკი, მთელი კასრი ვისკი... ქალები... — ნახვამდის, დავემშვიდობე ბანკის კართან მდგარ ლუიზას, ბანკის იურისტს. გულში კი სამუდამოდ გამოვემშვიდობე. მთავარია, თავი ხელში ავიყვანო და არავინ არაფერი შენიშნოს, ვფიქრობდი და გული ლამის ბუდიდან ამომგარდნოდა. კომინიოვში ზაფხულის ცხელი საღამო იდგა. სიცხისგან დაღლილი ხალხი კაფეებსა და ბარებში იჯდა და სამუშაო საათების შემდეგ ისვენებდა. ნასიამოვნები სახით ცივ ლუდს ნრუბავდნენ, მაგრამ ყველაზე ბედნიერი მე ვიყავი. ბანკს ნელ-ნელა ვმორდებოდი. იმ ბანკს, სადაც უკვე მოღალერე აღარ ვმუშაობდი. იმიტომ, რომ მუშაობა საერთოდ აღარ მჭირდებოდა. ხელში კეისი მეჭირა, რომელშიც 1 მილიონი დოლარი იდო. ყველაფერი ნინასწარ მქონდა გათვლილი. ჩემს ნაქირავებ ბინაში ჩალაგებული ჩემოდანი და ყალბი პასპორტი „მელოდა“, რომელიც ადასტურებდა, რომ რუმინეთის მოქალაქე ვიყავი. ასევე „მელოდა“ ბილეთი კომინიოვი-ბუქარესტის მატარებელზე. მატარებელი ლამის 11 საათზე გადიოდა. ახლა კი ჯერ საღამოს 6 საათი იყო. დრო ნელა გადიოდა და მოუსვენრობა მიჰყრობდა. გამვლელი აზრზეც არ იყენენ, რა იდო დიპლომატი. საიდან უნდა სცოდნოდან? ლუდი მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე. სულ ცოტაც და ჩხუბი ილუდი, ლონდონური ნისლი და ბუდაპეშტში ექსკურსია გაარანტირებული მექნებოდა. სულ მალე ევროპა შეისრუტავდა იმას, რაც დიპლომატი იდო.

სადგურში წასვლამდე ცოტა წაუქინე. ან როგორ მოვახერხე დაძინება, ახლაც მიკვირს. როგორც იქნა, ტაქსის გამოძახების დრო დადგა. დიასახლისის ბინის ქირა მაგიდაზე დაუფტოვე და სახლის კარი გავიხურე.

როგორც იქნა, მივალნიე სადგურამდე. მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. ბაქანზე შესვლამდე ბილეთი შემოინშეს და კეთილი მგზავრობა მისურვეს. აი, ჩემი მატარებელიც გამოჩნდა. თვალთ მეთვრამეტე ვაგონი მოვეძებნე და მისკენ გავემართე.

საპირისპირო მხრიდან მომავალი ლამაზი ქალი შევნიშნე. მაღალი, მუქი თმით, ირემივით მოდიოდა და თან ჩემოდანს მოაგორებდა. თვალს ვერ მოვაშორე. ის იყო, გავიფიქრე, ნეტავ, ასეთ მზეთუნახავს აქ რა უნდა-მეთქი, რომ... ვილაც მამაკაცმა მხარი ისეთი სიძლიერით გამკრა, უკან გადავყირავდი. ამ დროს კეისი ხელიდან გამიფრინდა და ზევით წავიდა. ბაქანზე მდგარ ბოძს შეხეთქა და გაიხსნა. დასტებად შეკრული ფული ბაქანზე გაიშალა. მე კი ძირს ვეგდე. როდესაც წამოვდექი, პირველი, რაც დავინახე, ის ლამაზი ქალი იყო. როდესაც გავაცნობიერე, რაც მოხდა, შიშმა შემოპყრო. ბაქანზე მდგარი ხალხი ფულს დაესია.

— ხომ არაფერი იტყინეთ? — მკითხა ლამაზმა ქალმა და პერანგი ჩამომიფერთხა.

ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? მინდოდა, მივეარდნილიყავი და ხალხისთვის ფული ხელიდან გამომეგლიჯა. „რა ლამაზია“, ვფიქრობდი იმ ქალზე. სიტუაცია უმართავი იყო. მე არაფრის შეცვლა აღარ შემიძლო.

— იქ რა ხდება? — იკითხა ქალმა და მოყყანე ხალხისკენ გაიხედა. — ღმერთო ჩემო, რამდენი ფულია! — აღმოხდა მერე. ტირილი მინდოდა, როცა ვხედავდი, როგორ ინანილებდნენ ჩემს ფულს.

— კომინიოვში პირველად ვარ, ხომ არ იცით, სად არის სასტუმრო „მეტროპოლი“? იქ ჩემს სახელზე ნომერია დაჯავშნილი.

ეს მშვენიერი ქმნილება რაღა ახლა, აქ, ამ დროს გამომეცხადა? სადაც იყო, გული წამივიდოდა...

— დიდი სიამოვნებით ვიტყვობდი სადმე ქალაქგარეთ, პატარა, კერძო სახლში, მაგრამ მამჩემი უარზეა. იგი დიპლომატია, მოლდავეთში საქმეზე ჩამოდის. მე ყოველთვის თან დავყავარ.

შემთხვევის ადგილზე უკვე პოლიციელებიც გამოჩნდნენ. ახლა საჭირო იყო, აქედან გამქსნრო.

— გინდათ, ჩვენი ღირსშესანიშნაობები დაგათვლიერებინოთ? — ვკითხე ლამაზ ქალს და თვალბუბნი ჩაჩვიდე.

— სიამოვნებით, თქვენ ამის ორგანიზება შეგიძლიათ?

— ერთი წუთით, — ვუთხარი და ხალხში შევქვერი. 1-2 დასტა ფული ვიგდე ხელთ და უკან გამოვქვერი.

ახლა მილიონი აღარ მალეღებდა, რადგან წინათგრძნობა მკარნახობდა, რომ წინ რაღაც ძალიან კარგი მელოდა.

ლამაზ ქალთან დაგებრუნდი, ჩემოდანი ჩამოვართვი, ჩემი ჩემოდანიც გამოვიყოლე და წამოვედი.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მოლდავეთში ასეთი რამ ყოველდღე ხდება. ხალხმა აღარ იცის, ფული სად წაიღოს და ასეთი გასართობი მოიგონეს. მაშ, თქვენ პირველად ხართ მოლდავეთში? ხვალვე საუკეთესო ადგილებს დაგათვლიერებინებთ. სხვათა შორის, მე ვადიმი მქვია.

— მე ნატალია ვარ, — მითხრა ქალმა და ისე გამიღიმა, ლამის გული წამივიდა.

ქუჩაში გამოვედით და ტაქსის ხელი ავუწიე. მე უკვე შეყვარებული ვიყავი და აღარც იმ მილიონზე მსყდებოდა გული.

მეორედ დღეს, კომინიოვთან ახლოს მდებარე ჩემს აგარაკზე დავპატიყე და იმის მერე სულ ერთად ვართ. ნატალია ჩემი ცოლი გახდა. მისი დიპლომატი მამიკო ციხიდან თავის დახსნაში დამეხმარა და რამდენიმე მილიონიც მამუქა, რომ კარგი ბიზნესი წამომწყყო. ასე რომ, ახლა ყველაფერი კარგადაა და ამას ალბათ შენც დაინახავდი, ყავის ჭიქაში. ■



პირთი ოჯახური კონფლიქტი

გოჩა რედაქციაში ყოველგვარი შეთანხმების გარეშე მოვიდა. ვატყობდი, ძალიან ნერვიულობდა, სმა უთრთოდა. ასე მითხრა: სიდედრმა და სიმამრმა ჩემი ცოლ-შვილი თავისთან, საჩხერეში წაიყვანეს და თვალით აღარ მანახებენ, მეშინია, თავზე ხელი არ ავიღო და რაიმე საშინელება არ ჩავიდინო. ვის აქვს უფლება, შვილი მამას მოჰგლიჯოს და აღარ აჩვენოსო?! („მეშინია, არ გაგებოროტდე.“ „კვირის პალიტრა“, 2009 წ. 14 დეკემბერი).

მარიანა ბაბუნაშვილი

ამავალი პირველი „საჩხერის მამა“

გოჩა გათავისილი თბილისელია. პლენ-ანოვზე დაიბადა და გაიზარდა. როცა წამოიზარდა, თაყვანისმცემელი გოგონების რიცხვაც იმატა. გოჩა დაოჯახებულს არ ჩქარობდა. ერთხანს ქუჩისკენ გაუწია გულმა, მაგრამ მშობლებს დიდ პატივს სცემდა, მათი აზრი მისთვის მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც ქუჩას თავი დაანება, სწავლა გააგრძელა და მერე მუშაობაც დაიწყო. სამეგობროში მის სიტყვას წონა ჰქონდა. თუ უბანში ჩხუბი მოხდებოდა ან მეზობლებს უსიამოვნება მოუვიდოდათ, გოჩასთან მონადოდნენ საქმის გასარჩევად.

მერე, მოგესხენებათ, 90-იანი წლები რა მძიმე და აუტანელი შეიქნა, ქალაქსაც უჭირდა და სოფელსაც. გოჩამ და მამამისმა გადაწყვიტეს, ეზოში რომ ავტოფარეხი ჰქონდათ, ერთი პატარა ოთახი მიეშენებინათ და გაეჭირავენინათ. ქირის ფულით პრობლემებს შეამცირებდნენ და სულსაც მოითქვამდნენ. მდგომური საჩხერელი თეა აღმოჩნდა, თავის ნათესავთან ერთად. ასე გაიცნეს გოჩამ და თეამ ერთმანეთი. თეა ისე გაუშინაურდა ქალბატონ ვენერას (გოჩას დედას), რომ საშინაო საქმეებშიც ეხმარებოდა.

მეგობარი: — იმ პერიოდში და მყავდა ლოგინად ჩავარდნილი. დილით გავდიოდი და საღამოს ვბრუნდებოდი შინ. სახლი დალაგებულ-დანკრიალებული მხედებოდა. ვხედებოდი, ამას თეა აკეთებდა; ზოგჯერ ალერსით დავტუქსავდი ხოლმე, შენს საქმეს მიხედე-მეთქი, მაგრამ თეა ამაზე მხოლოდ ილიმობდა და მპასუხობდა, — რომ გეხმარებით, მსიამოვნებო. მალე გაირკვა, რომ ჩემი გოჩა უყვარდა. ცუდი გოგო არ იყო, საქმიანიც ჩანდა და მაინც, მომკალით და გული მეთანადრებოდა, არ მინდოდა რძედა. გოჩა თეას თბილად ექცეოდა, საერთოდ თბილი ბიჭია, განსაკუთრებულს ვერაფერს ვატყობდი თეას მიმართ და დაემშვიდდი.

ცოტა ხანში გათავისილებს ორი უბედურება დაატყდათ თავს — ჯერ ბებია გარდაეცვალათ, მერე — მამა. გოჩა საშინელ



მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან ძალიან განიცადა საყვარელი ადამიანების სიკვდილი. იმ პერიოდში თეა კიდევ უფრო დაუახლოვდა გოჩას. ერთ მშვენიერ დღეს კი, როცა ვენერა ავადმყოფი დისგან შინ გვიან დაბრუნდა, ოთახში გაშლილი სუფრა და მეზობლები დახვდნენ. სიტყვა აღარ ათქმევინეს, ისე უცებ განუმარტეს — გოჩა და თეა გაბედნიერდნენ და მიულოცეს. რაღა უნდა ეთქვა? შვილსა და რძალს მანაც მიულოცა გაბედნიერება და ცხოვრებაც გაგრძელდა.

დიდი ხანი არ გასულა და თეას დედამ პრეტენზიები გამოთქვა: სიძე უმუშევარია, თანაც ოსი (?), ნარკოტიკს იყენებს, კაზინოში ხშირად დადის და ფულს აგებს, ჩემი შვილი კი, რომელიც ბავშვს ელოდება, მშვიერი ჰყავს... აქ სათანადოდ ვერ მიხედავენ ჩემს თეას, საჩხერეში წაიყვან, იქაური საავადმყოფო და სამშობიარო მთელ საქართველოში სანაქებოაო... გოჩა მოერიდა ეფნმძიმე ცოლის განერვიულებას და დათანხმდა. როცა თეას მშობიარობის დრომ მოუწია, გოჩა საჩხერეში ჩავიდა და საავადმყოფოში ათენ-ალამებდა. ბავშვი, რომელსაც თემური (გოჩას მამის სახელი) დაარქვეს, ასფიქსით დაიბადა და დედა-შვილს დიდხანს მოუხდა საავადმყოფოში ყოფნა. გოჩა წუთით არ მოშორებია შენობას, შიშობდა, — ვაითუ, ჩემს ცოლ-შვილს რაიმეში დასჭირდეს ჩემი თავი და იქ რომ არ ვიყო, პრობლემები არ შეექმნათო. მის სიდედრს ერთხელაც არ წამოსცდენია, დადლილი იქნები და ცოტა ხნით ჩვენთან წამოდი, დაისვენეო. არც საქმელი მოუტანია გოჩასთვის. იმის მაგივრად, რომ კმაყოფილი და ნასიამოვნები ყოფილიყო სიძის ასეთი თავგამოდებითა და ერთგულებით, პირიქით, ღიზიანდებოდა და ეჩხუბებოდა, — აქ რას აკეთებ, დაბრუნდი თბილისში, თეას ნუ ანერვიულებ შენი აქ ყოფნითო. არადა, იმ საავადმყოფოს მთელი მედპერსონალი გოჩას ხუმრობით „საჩხერის მამას“ ეძახდა. ეცოდებოდათ დადლილი და უძილო თბილისელი კაცი (მას ხომ სანოლიც არ ჰქონდა იქ) და ხან ცხელ ყავას მია-

წოდებდნენ, ხან ნამცხვარს ან ყველსა და პურს. იქ ყოფნის დროს პატარა თემური მამა ავთანდილმა მონათლა. როცა ბავშვის მდგომარეობა უფრო დამძიმდა, ექიმებმა მამას ურჩიეს, — პატარას სეფსისი განუფითარდა და ჯობს, თბილისში, ყვანაის სახელობის კლინიკაში გადაიყვანო...

ვინ მოსთვლის, რამდენი ნერვიულობა და განსაცდელი გამოიარა გოჩამ, მაგრამ ღვთის ნებითა და ექიმების წყალობით, პატარა თემო გადარჩა და კარგა ხნის მერე გამოჯანმრთლებული გამოწერეს საავადმყოფოდან.

ბავშვმა ოჯახი გამოაცოცხლა. თეას ძალიან უყვარდა ქმარი, მაგრამ შვილის სიმშვიდე და მის ოჯახში თბილი ატმოსფერო რატომღაც აღიზიანებდა მანანას, დღეში ათჯერ მინც ურეკავდა მიბილურით და შვილს აკონტროლებდა. თეას ანგარიში უნდა ჩაებარებინა დედისთვის, — რა ჭამა, რა გააკეთა, სად გავიდა, როდის დაიძინა ან გაიღვიძა და ა.შ.

ასეთ ყოფაში კონფლიქტი კვლავაც გარდაუვალი აღმოჩნდა. თეას დედა, მამა და რამდენიმე ახლობელი ერთ ღამეს თავს დაადგნენ გოჩას, მათ პოლიციელებიც ახლდნენ, მოჰკიდეს ხელი დედა-შვილს და წაიყვანეს. ამის საბაზი ცოლ-ქმარს შორის ერთი პატარა შელაპარაკება გახდა ფულის გამო. თეამ თბილისში ცოტა ხნით მყოფ მშობლებს დაურეკა, — წამიყვანეთო და ისინიც სუთნით მასთან განდნენ. იმ დღის მერე გოჩამ რამდენჯერმე სცადა საჩხერის რაიონის სოფელ მერჯვეში გადახალული ცოლ-შვილის ნახვა, მაგრამ უშედეგოდ. მანანა პატრულს იძახებდა და კატეგორიულად აცხადებდა, — ამ ბანდიტს არ ვაღიროებ ცოლ-შვილსო.

სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა.

ამავალი მეორე

„შვილს მაინც დავიბრუნებ“

როდესაც თეასა და გოჩას ამბავი პრესაში გამოქვეყნდა, ბევრი გამოგვეხმაურა





და გოჩას რჩევებსაც აძლევდა. თუმცა, ცალ-ცალკე მომჩივანი მსმენელს მართალი ჰგონია და გადაწყვეტი, ჯერ თეას დაკავშირებოდა საჩხერეში და მერე გოჩას მეზობლებს შევხვედროდი. ასე უფრო გამორჩეული მტყუან-მართალი.

თეას ტელეფონით შევეხმიანე. ძალიან აფორიაქებული ჩანდა. იფიცებოდა — დედაჩემი არაფერ შუაშია, გოჩამ გამხადა იმულებული, აქეთ წამოყვლიყვია: მცემდა, ფულს მართმევდა და კაზინოში თამაშობდა, ბავშვიანად გარეთ მაგდებდა და სიცხეში იმდენ ხანს ვიდევით, სანამ გული არ მოუღებებოდა და ისევ შინ არ შეგვიშვებდაო... თეასთან ლაპარაკის შემდეგ მეორე დღესვე მივაღეძე გოჩას სახლს. დედაჩემთან და მეზობლებთან გასაუბრება მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი.

გოჩას ოჯახში ყველაფერი ზუსტად ისე დამხვდა, როგორც თავად გოჩას ჰქონდა აღწერილი... მართლაც კარადის ყველა თაროზე პატარა თემოს ტანსაცმელი ელაგა, რომელსაც ვენერა ბებო მონატრებული შვილიშვილისთვის ყოველთვე ყიდულობს და იმედი აქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, კარი გაიღება და შვილიშვილი კვლავ გაუხალისებს დადარდიანებულ გულს. იქვე დგას პატარა სანოლიც, რომელიც მამასა და ბებოს ფერადი ბუშტებითა და სათამაშოებით მოურთავთ.

ქალბატონ ვენერა, როგორც ვიცი, რძალთან კარგი ურთიერთობა გქონდათ, როგორ ფიქრობთ, რა იყო თქვენი სახლიდან თეას წასვლის მიზეზი?

— სხვას რომ ეთქვა, რძალი უმიზეზოდ გაგვექცა ოჯახიდანო, ეჭვი შემეპარებოდა, რადგან უმიზეზოდ არაფერი ხდება ამქვეყნად... ახლა იგივე პრობლემა ჩემს ოჯახშიც დგას და ლამისაა, ნერვიულობისგან გული გამისკდეს. ცოლქმარს შორის ხდება ხოლმე პატარა ნალაპარაკება, მაგრამ ქალმა ოჯახის გარეთ კი არ უნდა გაიტანოს ამბავი... მით უმეტეს, თეამ იცოდა დედაჩემის ხასიათი. ჩემს შვილს ხან ნარკომანი ეტახა, ხან მოთამაშე და ფულის გამოძიკველი, როგორ არ რცხვენია? ვის გაუგონია გოჩას ნარკომანობა? ჰკითხეთ მეზობლებს, იმათ თვალს არაფერი გამოეპარება. რაც შეეხება კაზინოში სიარულს, ამაზე მეც არაერთხელ მითქვამს გოჩასთვის საყვედური, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ თეა ხალისით დაჰყვებოდა თავის ქმარს კაზინოში, უმეტესად იგებდნენ, არასოდეს დიდ ფულზე არ უთამაშია გოჩას, მაგრამ მე ეს მაინც არ მომწონდა. შემდეგ გოჩამ თავი დაანება იქ სიარულს. გაჭირვებით და ღარიბულად ცხოვრობენო, — მანანას უბრძანებია, — ნეტავ, დღეს ვინ ცხოვრობს ფუფუნებით? საქართველოში ყოველ მეორე ოჯახს უჭირს და აბა დაექცეულვართ, ამის გამო ოჯახები თუ დაინგრა... თეა არ იყო

ცუდი გოგო, ჩვენ თბილი ურთიერთობა გვექონდა, მაგრამ მერე და მერე დედაჩემს ისე გააგიჟა, ოჯახზე ხელი ააღებინა. ის კი არა, აქამდე დამალული ახლა უნდა გავაჩვენო... როცა მისი მშობლები მოცვიდნენ, გული მოეცა. ბავშვის ჩახუტება მინდოდა და ისე მთხილმა ხელი, რომ კედელზე მიმანარცხა. გოჩას არ დაუნახავს ეს, არც ვეტყოდი, რადგან ძალიან გამწარებული იყო... ახლა კი, აღარ ვმალავ. იმის მერე, რაც თქვენ პირველი წერილი გამოაქვეყნეთ, ბევრმა ნაცნობმა გვიჩნია, რომ ბავშვის ნახვის უფლება სასამართლოს გზით მოვიპოვოთ. ასეც მოვიქცევით. სხვა გზა აღარ დავგიტოვებს და აბა, რა ვქნათ?!

მარინა (მეზობელი): — გოჩას ნარკომანობა სრული აბსურდია. ეს ბრალდება ყურით მოთრეულია და იმათთვის არის გამიზნული, ვინც გოჩას არ იცნობს. რაც შეეხება გაჭირვებით ცხოვრებას, რა თქმა უნდა, უჭირთ ისევე, როგორც ბევრს ამ ეზოში და მთელ საქართველოში. მიხაროდა, როცა გოჩასა და თეას ხელიხელგადახვეულებს ვხვდავდი, სულ ასე დასერილობდნენ თავიანთ თემუკასთან ერთად. თუა ტყუის, როცა ამბობს, გარეთ მაგდებდაო. ჩვენ — რამდენიმე ოჯახს საერთო ეზო გვაქვს, ერთმანეთის ბინებიდან ხმა ყოველთვის ისმის. ისე როგორ ჩხუბობდნენ, რომ არასოდეს მათი ოჯახიდან ხმა არ გამოსულა ან სიცივეში გამოგდებული თეა (თანაც ბავშვთან ერთად) ერთხელ ვერ დავინახეთ? ეს უკვე სამარცხვინო ტყუილია. მიკვირდა ის ფაქტიც, რომ ამხელა გოგო მობილურზე იყო ჩამოკიდებული და სულ დედაჩემს ელაპარაკებოდა. ერთხელ ისიც ვუთხარი: თეა, ჩემო კარგო, ქალი რომ გათხოვდებოდა, ასე აღარ უნდა იყოს დედაზე დამოკიდებული-მეთქი. ცოლ-ქმარი შეიძლება, ვერ მორიდდეს, გამორდეს კიდევ, მაგრამ თეას არანაირი უფლება არა აქვს, მამას შვილი წაართვას და არ ანახვოს. თუ თეა გონს არ მოეგება და მამას თვეში ერთხელ მაინც არ აჩვენებს შვილს, გოჩა სასამართლოში შეიტანს სარჩელს და მერე უკვე ოფიციალურად დააკისრებენ დედას, რომ ბავშვი მამას აჩვენოს; იქნებ, კანონმა მაინც გაუნათოს გონება დედისგან წაქეზებულ თეას! ამის დიდი იმედი მაქვს, თუმცა აჯობებდა, სასამართლოს გარეშე მისულიყო ამ ადამიანურ გადაწყვეტილებამდე.

P.S. ეს წერილი კიდევ ერთი მონოდებაა იმისკენ, რომ მამას უფლება მისცენ მონატრებული შვილი ნახოს. სხვათა შორის, ქალბატონ ვენერასთან და მეზობელთან საუბრის შემდეგ თეას კიდევ ერთხელ შევეხმიანე და იქიდან ისეთი „ლაშაზი“ სიტყვების კორიანტელი წამოვიდა, მივხვდი, ძნელი იქნება მასთან საერთო ენის გამოხატვა.

ვნახოთ, რა შედეგს მოგვიტანს ეს წერილი.

მაა ბავაშვილი:

— ძალიან კარგ ოჯახში გავიზარდე. მშობლები არაფერში არ მზღუდავდნენ. თავად ვცდილობდი, რომ თუნდაც მამაკაცებთან ურთიერთობისას, გარკვეული დისტანცია დამეცვა. ორი დაოჯახებული ძმა მყავს. მათთან ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა მქონდა, რაც ალბათ, მშობლების დამსახურებაა. შეყვარებული წინათაც ვყოფილვარ, მაგრამ ისეთი სერიოზული გრძნობა არავის მიმართ არ გამჩენია, როგორც — ჩემს მომავალ მუუღმესთან.

ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— ასლანბეკი შემთხვევით, ჩვენი საერთო მეგობრის სახლში გავიცანი. ყავა დავლიეთ, ვისაუბრეთ... მას ერთი ნახვით შეყვარება „დაემართა“.

თქვენდამი მისი სიზმართა მამინვე იგრძენით?

— არა, არაფერი მიგრძნია, უბრალოდ, მეგობარმა მითხრა: „თავუნია“ გინოდა. ყველაფერი „თავუნიათი“ დაიწყო (იციხის). ნელ-ნელა ჩვენი ურთიერთობა სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდა — ერთმანეთი შეგვიყვარდა.

სიყვარულში როდის გამოგატყდათ?

— ჩვენები ცოტა სხვანაირები არიან: მიანიათ, რომ გრძნობების გამოხატვა ვაჟაკს არ შეჰფერის. მისი საქციელით, თვალებით ვხვდებოდი, რომ ვუყვარდი. ჩემთვის სიტყვა „მიყვარხარ“ არ უთქვამს — მესიჯი მომწერა.

ქართულად?

— არა, რუსულად, რადგან ქართული არ იცოდა.

ახლა თუ ისწავლა ქართული?

— კი. მართალია, ქართულად საუბრისას ცოტათი შეცდომებს უშვებს, მაგრამ ლაპარაკი შეუძლია. ქართული ენის შესასწავლად მასწავლებელთან დადიოდა. სამწუხაროდ, მე არ ვიცი ჩვენური.

გაცნობიდან მალევე შეუღლდით?

— რამდენიმე თვეში. დღემდე ვხუმრობ, — „დანჯღრეული“ თოთხმეტი წომერი „მარშრუტით“ გავთხოვი-მეთქი (იციხის). შეიძლება ითქვას, რომ სპონტანურად გავთხოვი. მისგან არასოდეს მიგრძნია, რომ ჩემზე არასერიოზულად ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, წინასწარ მაინც გააფრთხილე: სახლში არასოდეს დამპატიო, არ მოვალ-მეთქი. ერთ საღამოსაც, სამსახურის შემდეგ შინ უნდა გავეცილებინე, შემომთავაზა, — ჯერ ჩემთან წავიდეთ, შინ შენი საყვარელი ყავა მაქვს, დავლიოთ, ვისაუბროთ და მერე სახლში გაგაცილებო. მისი წინადადება ძალიან ბუნებრივად მივიღე — გულში „ცუდი“ არ გამივლია... გათხოვბას არ ვგეგმავდი — თითქოს მეძინა და ყველაფერი სიზმარში მოხდა.

როდის „გაიღვიძეთ“?

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com



ჩემი ასლანბეკზე გათხოვილი ქართველი „თაგუნის“ აბაჰი

ქართულ, ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი ეკა ბეგაშვილი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მუსლიმან მამაკაცს გაჰყვებოდა ცოლად — ასეთი რამ მისთვის მიუღებელი იყო. მოგესვენებათ, ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე: დღეს ეკას ჩემი, მუსლიმანი მეუღლე ჰყავს და ქმრის ნათესავების გასაცნობად, გროზნოში გამგზავრების სამზადისშია.



— ეიფორიაში კარგა ხანს ვიყავი. გონზე მოსასვლელად ბევრი დრო დამჭირდა. ვიდრე გაეთხოვდებოდი, მანამდე ერთ დღეს თანამშრომლებთან ერთად (სილამაზის სალონში სტილისტად ვმუშაობ) სამების ტაძარში ვიყავი. ღმერთს შევთხოვე: როგორც საჭიროა, ყველაფერი ისე მოხდეს-მეთქი. უფალს მივემდებ...

— თქვენს მშობლებს, ძმებს რა რეაქცია ჰქონდათ, როცა შეიტყვეს, რომ ცოლად მუსლიმანს გაჰყვით?

— ძალიან ინერვიულეს. ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ, ძმებისთვის წინათ არაფერი დამიმალაგს, ამჯერად კი მათთვის ვერაფრის თქმა ვერ გავხდებ. გათხოვების შემდეგ, ძმებმა მისაყვედურეს: მანამდე, რატომ არ გვითხარის, რომ სერიოზულად იყავი შეყვარებული? გაგიგებდითო. მათი ნათქვამის მიუხედავად, თავდაპირველად ჩემი გაგება ცოტათი გაუჭირდათ. ახლა ჩემი მეუღლე უკვე ყველას ძალიან უყვარს, რადგან ძალიან კარგი ადამიანია (იცინის)! 5 წელია, რაც ერთად ვცხოვრობთ.

— შვილი გყავთ?

— კი, 4 წლის ლამა-გიორგი.

— ბავშვი მონათლულია?

— არა, გაიზრდება და სარწმუნოებას თავად აირჩევს. მე და ჩემმა მეუღლემ ამ თემაზე გავკვირთ ვისაუბრეთ და მგონი, ბავშვი მუსლიმანი იქნება — ქმრის სურვილს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ლამა-გიორგი ქრისტიანობას უკეთ იცნობს. წმინდა გიორგის ხატი მისთვის ყველაზე საყვარელია.

— მეუღლეს თქვენთვის სარწმუნოების შეცვლა არასოდეს უთხოვია?

— ადრე ვუთხარი: თუ ცოლად გამოგყვები, სარწმუნოების შეცვლაზე

საუბარი არ უნდა გეკონდეს — მე ქრისტიანი ვარ და ქრისტიანად მოგვედები-მეთქი! ჩვენ შორის დიდი სიყვარული და ურთიერთგაგებაა. ერთმანეთის სარწმუნოებას პატივს ვცემთ: მე ჩემთვის ვლოცულობ ხოლმე, ის — თავისთვის (ილიმის). ერთადერთი, იმაზე მწყდება გული, რომ ჯვარი არ გვაქვს დანერვილი.

— თქვენს ქმარს საქართველოში ნათესავები თუ ჰყავს?

— დედა და დეიდა ჰყავდა, მაგრამ ისინი გროზნოში გამგზავრდნენ. ჩემი მეუღლე გროზნოდან ლტოლვილია. მისი თანაკლასელი ბიჭებიდან მგონი, ორნი გადარჩა, დანარჩენები ჩემნეთის ომში დაიღუპნენ... ჩემი ქმრის ოჯახმა დიდხანს იარა და ბოლოს, საქართველოს მოადგა. ჩემი მეუღლე დედას მარტო ვერ ტოვებდა. ამიტომ იურიდიული ფაკულტეტი საქართველოში დაამთავრა. ამჟამად მამაჩემის ფირმაში მუშაობს, მისი ოჯახის წევრებიდან (ჩვენ გარდა), ყველანი გროზნოში დაბრუნდნენ.

— ოჯახი რომ შექმნით, თქვენ დედაბილი საქართველოში ცხოვრობდა?

— კი, პანკისში ცხოვრობდა, ჩემი მეუღლე — რუსთავში.

— დედაბილი ქრისტიანი რძალი როგორ მივიღეთ?

— მანაც ინერვიულა, მაგრამ ერთ კვირაში ყველაფერი მწყობრში ჩადგა: ის ქართველ, ქრისტიან რძალს შეეგუა, ჩემი მშობლები კი — ჩემი, მუსლიმან სიძეს. ალბათ დღეს დედაბილს ძალიან ვუყვარვარ.

— ალბათ — რატომ?

— ამას დაზუსტებით მაშინ შევიტყობ, როცა გროზნოში ვესტუმრები (იცინის).

— გამგზავრებას აპირებთ?

— კი. ქმრის მშობლებს ლამა-გიორგი ნანახი ჯერ არ ჰყავთ. არადა, მათთვის პირველი შეიღიშვილი (თან, ბიჭი) ძალიან მნიშვნელოვანია.

— უკვე 5 წელია, რაც გათხოვილი ხართ. ალბათ, ჩემნების ადათ-წესებზე ბევრი რამ შეიტყვეთ.

— დიხს. მაგალითად, ქალებს შარვლის ჩაცმა არ შეუძლიათ.

— ახლა კაბა გაცვიათ. მეუღლის სურვილს უწევთ ანგარიშს?

— არა, შარვლებსაც ხშირად ვიცვამ. თავდაპირველად, ქმარს მასთან შეგუება უჭირდა, ახლა კი შარვლის შერჩევაში თავადაც მებმარება ხოლმე (იცინის). კიდევ, რძალს უფლება არ აქვს, ნათესავ მამაკაცს სახელით მიმართოს. მაგალითად, ჩემს მამლს ნაზილბეკი, იგივე ნაზიკი ჰქვია, მაგრამ ამ სახელით რომ მივემართო, ეი. შეურაცხყოფას მივაყენებ. რამე სახელი თავად რძალმა უნდა შეურჩიოს.

— უკვე შეურჩიეთ?

— ჯერ არა, მაგრამ ალბათ, რომელიმე ქართულ სახელს შევარჩევ (იცინის). ჩემს მეუღლეს რუსთავში ჩემი მეგობრები ჰყავს. ყველა მათგანი ძალიან კარგი ადამიანია. მათი საშუალებით, ჩემი ხალხზე გარკვეული წარმოდგენა შემიქმნა. მალე გროზნოში გავემგზავრები და იმედი, ამ ერს უკეთესად გავიცნობ.

— ეკა, სხვადასხვა სარწმუნოების მქონე წყვილებს რას ურჩევთ?

— პირადად მე, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ცოლად მუსლიმანს გაყვებოდი — ეს ჩემთვის მიუღებელი იყო. ყველას მოვუწოდებ, არასდროს თქვათ „არასოდეს“! ქალებს ვურჩევ, ოჯახში ზოგ რაღაცაზე თვალები დახუჭონ — ყველაფრის თქმა საჭირო არაა. დათმობა უნდა შეეძლოს.

— შეყვარებულს თქვენთვის სარწმუნოების შეცვლა რომ ეთხოვ, ცოლად მინც გაჰყვებოდი?

— არა, ასე ნამდვილად არ მოვიქცეოდი. დღეს ბედნიერი ვარ, რომ შეგნებული, მოსიყვარულე მეუღლე და პატარა შვილი მყავს, რომელიც ცოლ-ქმარს ერთმანეთთან კიდევ უფრო მჭიდროდ გვაკავშირებს. ■



დასაწყისი იხ. გვ. 31

სთხოვა, პალატა დაეტოვებინათ და დარჩენის უფლება მხოლოდ ერთ მათგანს მისცა.

— ბებია, შენ დარჩი, — დაიჩურჩულა ნონამ.

ბებია სანოლის კიდევ ჩამოჯდა. ნონა დუმდა და ბებიას ხელს ეფერებოდა. ტირილი უნდოდა, მაგრამ ცრემლი გაშრობოდა. შემდეგ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ახლახან ნანახი სიზმარი მოუყვა.

— დიდხანს იცოცხლებ, ვიდრე მათ შეხვდები, — უთხრა ბებიამ, — შენ უფლებს არ გაქვს, იტირო და თავი დაიდანაშაულო. ის, რაც თქვენ შორის იყო, არ დაკარგულა, შენს გულში დარჩა. რაც უფრო მეტ წარმატებას მიაღწევ, მათი სულები უფრო მშვიდად იქნებიან. თუნდაც კიდევ გათხოვდე და შვილები შეგეძინოს, მათ ესეც გაუხარდებათ.

ნონას სახეზე კუნთიც არ შერხვია.

— მე შვილები აღარ მიეყოლება...

სალამოს ექიმი უცხო მამაკაცთან ერთად შემოვიდა. მამაკაცს სამხედრო ფორმა ეცვა.

— თქვენთან იმ ორგანიზაციის წარმომადგენელია, სადაც თქვენი ქმარი მუშაობდა. ოღონდ, თხოვნა მექნება, რომ დიდ ხანს არ გაჩერდეთ.

— ქალბატონო, ნონა, თქვენი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლის ოჯახის წევრის დაზღვევა საშუალებას გაძლევთ, აქ ჩამოთვლილი კლინიკებიდან ნებისმიერში გაიაროთ სარეაბილიტაციო მკურნალობა, — მამაკაცმა ნონას ფურცელი მიაწვინა, — გადახედეთ და ექიმს მოახსენეთ. გამოჯანმრთელებას გისურვებთ, — მამაკაცმა თავი დაუკრა და პალატიდან გავიდა.

ნონა თბილისში 3 თვის შემდეგ დაბრუნდა.

ის მშობლებთან არ დაბრუნებულა. ალექოს სახლი მისთვის უფრო ახლობელი გახდა. სახლი საყვარელი მამაკაცის სურნელითა და სიყვარულით იყო გაუღენთილი. აქ მხოლოდ ბავშვის არსებობას არ შეახსენებდა არაფერი. მარიამმა შინ მოსვლა ვერ მოასწრო, რადგან შვებულების დროს ისინი მშობლებთან რჩებოდნენ.

ნონას ეს აწყობდა კიდევ, რადგან საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ შვილს არასოდეს გააჩენდა. იცოდა, რომ დრო იარებს მოაშუშებდა, ტკივილს გააყუჩებდა და იმედს დაბრუნებდა, მაგრამ ახლა მას არაფრის იმედი არ ჰქონდა.

დიახ, ტკივილი მიყუჩდებოდა, მაგრამ მათ ველარავინ დააბრუნებდა.

ნონა ვერ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ დილით მარტო იღვიძებდა...

თვალები გაახილა თუ არა, მაშინვე წამოდგა. სახლის ქვეშ, ავტოფარეხში ჩავიდა და კარი გააღო. შუქი ავტომატურად აინთო. ალექოს მანქანა მტვრით

იყო დაფარული... გამგზავრების წინ თვითონ ალექომ დააყენა ფარეხში.

პირველი სურვილი მძლოლის კარის გაღება, სავარძლის საზურგეში ცხვირის ჩაყოფა და ქმრის სურნელის შესუნთქვა იყო. არა, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

საქარე მინას ხელი გადაუსვა...

რამდენიმე წელი გავიდა.

ტკივილი მართლაც მიყუჩდა. ცხოვრებაში ბევრი სიახლე მოხდა. მხოლოდ პირადი ცხოვრება მიდიოდა მონოტონურად, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე.

ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ტკივილთან ერთად სხვა გრძნობებიც მიყუჩდა და ეს ყველაზე საშინლად ეჩვენებოდა.

ნონას ჯერ დედა მოუყვავდა... ბებიამ რძლის სიკვდილი ვერც კი გაიგო, რადგან ამ დროს სკლეროზის რთული ფორმა ჰქონდა და პატარა ბავშვად გადაიქცა. 2 წლის მერე ბებიაც გარდაიცვალა, 6 წლის მერე — მამა.

ნონა სულ მარტო დარჩა.

ერთხელ, სამსახურიდან შინ თავდახრილი მოდიოდა. ზევით ახედვის სურვილი არ ჰქონდა. გაჩერებაზე იდგა და ავტობუსს ელოდა...

ქალაქში სიბნელე ჩამოწვა, მაგრამ ღამ-პიონები არ იყო ანთებული. ქუჩა ცარიელი იყო. მხოლოდ მანქანები მოძრაობდნენ. ქარი ყვირით ფოთლებს ავრიალებდა.

ვერც კი შენიშნა, როგორ მოვიდა ავტობუსი, როგორ ჩაჯდა... გონს მაშინ მოვიდა, როდესაც ზურგს უკან სახლის კარი მიიჯახუნა.

...ნონა კედელს ზურგით მიეყრდნო, ჩაცურდა და ატირდა.

მალვიძარას ზარს არ დალოდებია. უფრო ადრე გაიღიბა და ადგა, რათა მოწესრიგებულყო და სამსახურში წასულიყო. სარკეში ჩაისხედა და საკუთარი თავით კმაყოფილმა, სახლის კარი გაიხურა.

მამაკაცმა, რომელსაც უნდა შეხვედროდა და სამსახური შეეთავაზებინა, არაოფიციალურ სიტუაციაში შეხვედრა შესთავაზა.

შეხვედრის ადგილზე ადრე მოუწია მისვლა.

მამაკაცი ზურგიდან იცნო. ხელში ვარდისფერი მისხვების თაიგული ეჭირა. სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, რომ

მამაკაცი მიუახლოვდა და მიესალმა. რალაც ნაცნობი დაიჭირა მის სახეზე... შორეული და ძალიან სასიამოვნო.

კაფემი შესვლა გადაწყვიტეს. სტუდენტობის მერე ნონა აქ აღარ ყოფილა. ყველაფერი შეცვლილიყო. ნონას სევდა შემოაწვა, რადგან ეს ადგილი მისი და ალექოს შეხვედრის ადგილი იყო. ისინი ერთმანეთის გვერდით დასხდნენ.

— თქვენი პირობები და წინადადებები გულისყურით ნავეკითხე და თანახმა ვარ, თქვენთან თანამშრომლობაზე, თუ ჩემი ბიოგრაფიიდან ერთი დეტალი არ შეგამფოთებთ, — თქვა მამაკაცმა.

— რას გულისხმობთ? — ნონას შეამცივნა.

— თქვენ არაფერს გუუბნებთ ბეირუთი, 1974 წელი...

— რა? — ნონამ სახეზე ხელები აიფარა, — თქვენ იქ იყავით?

— ორმოციდან მე ამოგიყვანეთ...

— რატომ არ მომძებნეთ შემდეგ?

— მეც კონტრუზია მქონდა... ჰოსპიტლიდან გამონერის შემდეგ მსოფლიო მოვიარე, შემდეგ იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე. მემონოდა თქვენს სულში ხელის ფათურის. მე თვითონაც ყველაფერი დღემდე თვალწინ მიდგას.

— თქვენი ოჯახიც დაზარალდა?

— მე მაშინ ოჯახი არ მყავდა. არც ახლა მყავს. ძნელია, საყვარელი ადამიანი გყავდეს გვერდით იმის შემდეგ, რაც საკუთარი თვალით ვნახე. შესაძლოა, ეს ეგოიზმია, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო.

— ღმერთო ჩემო, ვიფიქრე, რომ სადღაც მყავდით ნანახი, მაგრამ ვერ გავიხსენე — სად. თანაც, წვერი მოგიშვიათ.

— წვერს მოვიპარსავ, — თქვა მამაკაცმა და ნონამ გაუღიმა.

ამდენი წლის განმავლობაში პირველად იგრძნო ქალმა, როგორ იდევნებოდა სულიდან და სხეულიდან დაძაბულობა. მზეც კი სხვა ფერის გახდა. ისინი „შენობით“ ფორმალზე შეუმჩნევლად გადავიდნენ. ყავა დალიეს და გასეირნება გადაწყვიტეს...

— ის დაბრუნდა, — ჩუმად თქვა ქალმა და ატირდა.

— ვინ? — ვერ მისვდა მამაკაცი.

— იმედი...

მამაკაცს სადღაც წაკითხული ფრაზა გაახსენდა, რომ ქალი ყველაზე ნაზი ვიოლინოა, მაგრამ ყველას არ შეუძლია მასზე დაკვრა.

...მამაკაცი გაღიმებული შევიდა პალატაში.

ნონა ბავშვს ძუძუს აწოვებდა...


— როგორაა ჩვენი ალექო?

ნონა ბავშვს სიყვარულით დასცქეროდა.

მამაკაცი სანოლის კიდევ ჩამოჯდა, ნონას ლოყაზე ხელი დაუსვა და უთხრა:

— მე შენ ჩემს მთავრეს დაგიძახებ...





სამყარო



ნიჭის, გამოვნიხისა და ქალურობის სინთეზი

სკოლის დასრულების შემდეგ კონსერვატორიაში უნდა ჩაებარებინა, მაგრამ მშობლებისგან მალულად, საბუთები სამხატვრო აკადემიაში შეიტანა. მუსიკასა და სატვას შორის არჩევანი სატვასზე შეაჩერა. მოგვიანებით, ჯერ თოჯინების, შემდეგ კი სამკაულების დამზადებამ გაიტაცა; ბოლო 17 წელია, რაც ქუდების დიზაინით დაინტერესდა. შეუძლებელია, მისი ქუდების კოლექცია დაათვალიერო და არ აღფრთოვანდე. „ნიჭის, გამოვნიხისა და ქალურობის საოცარი სინთეზი“ — ასე შეაფასეს გამოვნიხზე მისულმა დამთვალიერებელმა მხატვარ-დიზაინერ ტულია ჭუბაბრიას ნამუშევრები.

თაშუა კინიკაპი

— სამხატვრო აკადემიაში გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი დავამთავრე. იქ ისეთი კარგი გარემო იყო, რომ სტუდენტებს სასწავლებლიდან შინ წამოსვლა აღარ გვინდოდა. სხვათა შორის, არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდა — ოქროზე, ვერცხლზე, მინანქარზე მუშაობას — დალესტნელი მანაბა მაგამედოვა, ხოლო კომპოზიციას დავით ციციშვილი გვასწავლიდა.

— თქვენი ნამუშევრების პირველი გამოვნიხ როდის მოაწყვეთ?

— პირველ კურსზე ვიყავი, თოჯინების კუთვამ რომ გამიტაცა. ერთხელ ჩემი ნამუშევრები ელენე ახვლედიანმა ნახა და მითხრა: მ მარტს ხელოვანი ქალბატონების საგაზაფხულო გამოვნიხს ვანცობთ და შენი თოჯინები ცისფერ გალერეაში მოიტანეო. თავიდან ვიუარე, მაგრამ ქალბატონ ელენეს დაჟინებული თხოვნის შემდეგ, უარი ვეღარ ვუთქვი. სწორედ მაშინ გავიცანი შესანიშნავი მხატვარი და ეთნოგრაფი ნინო ბრაილაშვილი, რომელმაც მთხოვა, თოჯინების მუზეუმთან მეთანამშრომლა. მოგესხნებათ, ეს მუზეუმი 1937 წელს, თიკო თუმანიშვილის ინიციატივით დაარსდა; მას ამ საქმეში გვერდით ედგნენ ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, იოსებ გრიშაშვილი, ეგენი ხარაძე. სხვათა შორის,

მუზეუმში ისეთი უნიკალური ექსპონატი ინახებოდა, როგორცაა ფრანგული ფაიფურის მექანიკური თოჯინა. სამწუხაროდ, სამოქალაქო ომის დროს მუზეუმი გაქურდეს და 29 საუკეთესო ექსპონატი დაიკარგა.

— თოჯინების შემდეგ რით დაინტერესდით?

— სამკაულებით. აკადემიაში ამა თუ იმ მეტალთან საფუძვლიან მუშაობას გვასწავლიდნენ, მეტალურგიულ ქარხანაშიც კი დავდიოდით.

— სამკაულებზე ძირითადად, რა მასალით მუშაობდით?

— ძირითადად ვერცხლს, ბრინჯაოს, თითბერს და ა.შ. ვიყენებდი. სხვათა შორის, ვერცხლზე მუშაობა უფრო იოლია.

— როგორც ვიცი, თქვენი სამკაულები საზღვარგარეთ, არაერთ გამოვნიხზე გაიტანეს.

— მოსკოვიდან იყო ასეთი მოთხოვნა: საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან უნდა შეერჩიათ საუკეთესო ნამუშევრები და რუსეთში გაეგზავნათ, იქიდან კი სხვადასხვა ქვეყანაში მიჰქონდათ. სწორედ ამ გზით აღმოჩნდა ჩემი სამკაულები გერმანიაში, ავსტრიაში და თქვენ წარმოიდგინეთ, აქსესუარები იზმირშიც კი გამოიფინა. სამწუხაროდ, სამკაულები უკან აღარავინ დაგვიბრუნა.

— მათ ყიდდნენ?

— არ ვიცი, თანხასაც არავინ გვაძლევდა...

— დიდი ხანია, რაც ქუდების დიზაინით დაინტერესდით?

— 17 წელია.


— ამჟამად, თქვენს კოლექციაში რამდენი ქუდი ინახება?

— სულ 45 ქუდი მაქვს. საერთოდ, ქუდები ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა, მათ სხვადასხვა დეტალით ვაფორმებდი და თანატოლებს თავს ვაწონებდი, — ფრანგული ქუდი მასურავს-მეთქი. დედა არაჩვეულებრივად კერავდა და მის საკერავ მანქანას მეც სწირად მივუჯდებოდი ხოლმე. პირველი ქუდი რიფსის და ხავერდისგან შეკვერე, საინ-





ტერესო კომბინაცია გამოივიდა. მერე წლები ისე გავიდა, ამ საქმისთვის ხელი აღარც მისლია, რადგან თოჯინებით უფრო ვიყავი გატაცებული, მაგრამ 17 წლის წინ ისევ ქუდებს მივუბრუნდი:



შეკვეთებს არ ვიღებ, ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც მომწონს

ჩემი ქალიშვილი ამერიკაში წავიდა. მის შვილს 6 წლამდე მე ვზრდიდი, შემდეგ კი დედამის ჩავეყვანე. როცა თბილისში დავბრუნდი, სახლი დაცარიელებული დამხვდა. შვილიშვილთან განშორება ძალიან განვიცადე, თან, ამას სამოქალაქო ომიც დაემთხვა და რაღაც საქმე რომ არ წამომეწყო, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ჰოდა, სწორედ ამის მერე, ქუდების კერვა დავიწყე. სხვათა შორის, უკვე ოთხი გამოფენა მქონდა.

ერთი გამოფენა ამერიკაშიც გქონდათ, არა?

— დიახ. ჩემი ქალიშვილი მხატვარია და გამოფენა მის სახელოსნოში მოვანყვე. ქუდებზე ამერიკაში უფრო დიდი მოთხოვნაა, ვიდრე საქართველოში. იქ ქორწილებში, ელიტურ წვეულებებზე ქუდის გარეშე თითქმის არავინ მიდის.

თქვენ იქ გამოფენა-გაყიდვა გქონდათ?

— დიახ, ჩემი ქუდები ამერიკაში კარგად იყიდება. სხვათა შორის, ერთ-ერთი ქუდი, რომელიც ფეტრის ქსოვილისგან გახლდათ დამზადებული, 250 დოლარად გაყვიდე. ფეტრი რბილი და ამავდროს, მდგრადი ქსოვილია.

ქუდის კერვა ბევრ დროს გართმევთ?

— ზოგჯერ ისეთ ხასიათზე ვარ, 3-4 ქუდს შეუჩერებლად ვკერავ, ზოგჯერ კი ერთი ქუდის შექმნასაც ვერ ვუდებ გულს. ვმუშაობ მაშინ, როცა კარგ ხასიათზე ვარ და ხდება პირიქითაც.

თქვენ მიერ შეკერილი ქუდი რომელიმე ცნობილი ქალბატონის გარდერობშიც თუ ინახება?

— შეკვეთებს არ ვიღებ, ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც მომწონს. ჩემი ერთ-ერთი ქუდი ლეილა აბაშიძეს აქვს. ერთხელ ოჯახში დიზაინერი თეონა თავართქილაძეც მესტუმრა. ჩვენ ვისაუბრეთ, მერე კი მან ქუდი შეიძინა.

თქვენს კოლექციაში ალბათ, ისეთი ქუდებიც ინახება, რომლებსაც გასაყიდად ვერ გაიმეტებთ...

— რა თქმა უნდა! სწორად, ქუდებს ჩემს ქალიშვილებს და შვილიშვილებსაც ვუკერავ, მათთვის შექმნილ აქსესუარებს კი არასდროს გაყვიდი.

ქველმოქმედი ფოტოგრაფი ანუ ობოლი ბიჭის წარმატება და საკუთარი პრისთვის დაბოვებული ბანკი

გაგიგონიათ, რომელიმე ერის შვილი 200 წლის წინაპრის საფლავზე დადიოდა? ჩვენში გაიგებთ — ეს ერის ხასიათია: ჩვენ ასე გავფერთიანეთ წარსული, აწმყო და მომავალი, რათა გადავჩრეთ... ქალბატონი დოდო როინაშვილიც წარსულს ინახავს — დიდუბის პანთეონში, ყოველ წელიწადს, თეთრი ვარდებით ამკობს თავისი დიდი პაპის — ალექსანდრე როინაშვილის საფლავს, მისმა წინაპარმა კი „საქართველო შეინახა“: დუშელი გლეხი როინაშვილი ჯერ დიდი ქველმოქმედი და მამულიშვილი, მერე კი — მთელ საქართველოში ცნობილი ფოტოგრაფი იყო.

აიპირ პრაპე

— ძალიან ცოტა ფოტო შემომრჩა — დრომ დამიფანტა. არადა, საქართველოში ოჯახი არ იყო, რომელშიც ჩემი დიდი პაპის გადაღებული ფოტოები არ ჰქონდათ. თუ თვითონ ვერ ჩამოვიდოდნენ თბილისში, პაპა დადიოდა ციხე-მონასტრების გადასაღებად და ხალხსაც იღებდა. ციხე და ეკლესია არ დარჩენია, რომ არ გადაეღო და ჩაეხატა, მათზე შერჩენილი ჩუქურთმები ალბომში გადაჰქონდა, ძველ წიგნებში კი ძველ ქართულ მინიატიურებს ეძებდა და აღადგენდა. ასე ნააწყდა უძველეს ხელნაწერში რუსთაველის მინიატიურას და აღადგინა. ამ ამბავზე 1875 წელს „დროება“ წერდა: „უფალი როინოვის ფოტოგრაფიაში ჩვენ ვნახეთ ახალი გადაღებული სურათი შოთა რუსთაველისა, ფრანცუზული გამოცემიდან. სურათი ჩინებულად არის გადაღებული, ნამდვილი ქართველის ალტაცებული სახეა“... მინიატიურიდან გადაღებული, ერეკლე მეფის სურათიც მან გაავრცელა — 1895 წელს, კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავის პანაშვიდზე ფშავხევსურებს დაურთო. არაერთი დიდი მამულიშვილის ფოტო სწორედ ალექსანდრე როინაშვილის წყალობით შემოგვრჩა. ყველანი მისი მეგობრები იყვნენ — მათ წერილებში ხშირად შეხვდებით ჩემი დიდი პაპის სახელს. უკვირდათ, როგორ მოახერხა ობოლმა გლეხის ბიჭმა გამხდარიყო ხელოვანიც, კომერსანტიცა და ქველმოქმედიც...

11 წლისა დაობლდა... დედამისმა ხე-



არაერთი დიდი მამულიშვილის ფოტო სწორედ ალექსანდრე როინაშვილის წყალობით შემოგვრჩა

ლობის შესასწავლად ვლადიკავკაზში, მენვერილმანესთან გაგზავნა, მაგრამ იქ არ გაჩერდა. ნათესავეებმა თბილისში ჩამოიყვანეს და ფოტოგრაფ ხლამოვს მიაბარეს, რომელიც ბიჭის ნიჭმა ისე გააოგნა, რომ საკუთარი ხელსაწყობები აწუქა. პაპაჩემსაც ბევრი არ უფიქრია, თავად გახსნა ატელიე... ქალი და კაცი მოაწყდა და მალე, საქმე ისე წაუვიდა, რომ 20 წლისამ სახლები შეიძინა, ფოტოატელიეები გახსნა. რაც მეტად იზრდებოდა მისი შემოსავალი, საპატრონოც მეტი უჩნდებოდა — უფალმა ქველმოქმედების მაღლი მიანიჭა. 20 წლისამ ობოლი ბიჭაშვილის შვილები — მამაჩემი, დავითი და მისი ძმა თბილისში ჩამოიყვანა და აღმზრდელები დაუქირავა. თავად თვითნასწავლი იყო და ძალზე უხაროდა, ბიჭებს წიგნი რომ შეაყვარა. ერთხელ ილია ჭავჭავაძისთვის მამაჩემზე უთქვამს, — ეს გამომართლებს, კითხვა უყვარსო... შვილი არ მისცემია, მაგრამ სხვის ნიჭიერ შვილებს ჰპატრონობდა და ასწავლიდა; ყველას თავის სახლში აცხოვრებდა და ინახავდა — მოწაფეებს, ნათესავეებს, მეგობრებს და ქართული თეატრის დასის წევრებსაც კი. ავქსენტცი გარეელი წერდა: „ერთს უღმურტლიანს საღამოს სასახლის ქუჩაზე გავედი და გზაში დავით ერისთავი შემხვდა, — მოდი, შევ-



აფხაზი ქალი



თავადი

იდეთ ფოტოგრაფიაში და რეპეტიციას დავესწროთო... ავედით. ლაზათიანად მორთულ ოთახში ჩემს თავს წარმოუდგა ძვირფასი ჯგუფი ყმანვილ ქალთა და კაცთა... შემდეგ გავიგე, რომ განსვენებულ როინაშვილს ყოველი კაცი 10-15 მანეთი უჯდებოდა“...

მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო იმასთან, რაც მან საქართველოსთვის გააკეთა. წერდა: „ყველაფერი ინგრევა. ჩვენი ეკლესიების არემარეში უცხოელები ჩასახლდნენ, ჩვენი ძველი წარწერები წაშალეს და თავიანთი წაანერეს... ჩვენ ვეგებით ფიანდაზად. დიდის პატივისცემით ვეპყრობით მათ სურვილებს, ვათხრევიანთ ნინაპართა საფლავებს, სადაც ისინი ათასეული წელიწადი იყვნენ დაცული. ისინი ამ საფლავებში პოულობენ შესანიშნავ ნივთებს, გააქვთ ჩვენი ქვეყნიდან და სამუდამოდ უკარგავენ ჩვენს ქვეყანას... ჩვენმა კეთილშობილებმა კი, ზოგმა სახელისა და საქმის მაგივრად ჩინი ირჩია და დაკარგეს თვალისჩინი, ზოგმა — დღისით ძილი და ღამით კარტის თამაში ირჩია და მთელი მათი სარჩო კარაბეტიანების მალაზიაში შეიზიდა...“

თავად მხრებზე აპარატი აიკიდა და საქართველოს ციხე-ტაძრების აღსაწერად

და გადასალებად დაადგა გზას — ეს მთელი სიცოცხლე გაგრძელდა. ეგზარქოსების განიავებულ ეკლესიებთან გლეხობას უყრიდა თავს და წარსულზე უყვებოდა. ქართველმა მამულიშვილებმა მისი მოგზაურობა წუგეზად მიიღეს. „ივერია“ სთხოვდა: „უთუოდ ინახული შესანიშნავი ხატი XII საუკუნისა, 9 დასთა ანგელოსთა თელავის კარის ეკლესიაში. მიაქციეთ ყურადღება ხატზე ასახულ ტანისამოსს, სამკაულებს, დახატეთ და დაიცავით ისინი დალუპვისაგან. ამით დაავალებთ სამშობლს“.

1893 წელს „ივერიაშიც“ იყო წერილი. წილკნელი გლეხი, ვინმე ლაშაური წერდა: „ბატონი როინაშვილი მობრძანდა ჩვენთან ეკლესიის გადასალებად... რა ვიცოდით, თუ ძველი და ძვირფასი ქონება ჰქონია ჩვენს ეკლესიას — ღვთისმშობლის ერთერთ ხატს დახედა, რომლისთვისაც ჯერ არავის მოუცლია და სთქვა: — ასეთი ხელოვნება ჯერ არსად მინახავსო...“

მეტი ღვაწლი ჩრდილო კავკასიაში მოგზაურობისას დაგვდო... უძველესი ქართული ქრისტიანული ტაძრების ნანგრევებსა და აულუმში ქართულ სიძველეებს ეძებდა. „ივერიაში“ უხაროდათ: „ფოტოგრაფ ბ-ნს როინაშვილს, რომელიც ახლა ტფილისში იმყოფება, უმოვინა დაღესტანში დაწერილი ერთი ხელ-ნაწერი წიგნი. დაწერილია ჩვენს მემბტიანე ფარსადან გორგიჯანიძისაგან, ღმერთმა შეძლება მისცეს ამ სასარგებლო კაცსა — საქართველოს შვილსა. ჩვენ, ქართველთა გემართებს დიდი მადლობა მიუძღვნათ ბ-ნ როინაშვილს ამოდენა ღვაწლის მიღებისათვის“...

რასაც იპოვიდა, ჯორებს აპკიდებდა და კავკასიის სამხედრო გზით გაატანდა საქართველოში. ცნობილ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს გულდანყვეტილი სწერდა, — ჩემი ფოტოგრაფიის შემოსავალი სხვა სამუშაოებზე არ მწვდებდა, თორემ მეტს გავაკეთებდიო: „მთელი ზაფხული ემოგზაურობდი და ბევრი კარგი ხედები გადავიღე. გარდა ამისა, დაღესტანის მაცხოვრებელთაგან ვიყიდე შესანიშნავი ნაკეთობები. გიგზავნით ფოტოგრაფიას. გარდა ამისა, გიგზავნით იმ ჩუქურთმას, რომელიც მე გადამოვისხატე ადგილობრივი მეჩეთის კედლებიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ აქ ნამდვილად ყოფილა ქრისტიანული ეკლესია... ვაპირებ მუზეუმის გამართვას... ეს იმისთვის განვიზრახე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ მინდა დაფუძკიცო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, საიდანაც ექნება მუდმივი შემოსავალი“... მხოლოდ 38 წლის იყო, როცა წერა-კითხვის საზოგადოებას მთელი ქონება უანდერძა.

გავიდა წლები. მუზეუმის აშენება გაჭიანურდა — ნებართვა არ გაცა სამუზეუმო ადგილის გამოყოფაზე. როინაშვილი წუხდა: „ამ ნივთების შექნაში რამდენი შრომა,

გაჭირვება და მწუხარება გამოვიარე, აქ საჭიროდ არ ვრაცხავ, მოყვე. მე მხოლოდ იმას ვწუხავარ, რომ ამ არქეოლოგიური განძის შენახვას საშველი არა და არ დაადგა...“ — ამ დარდით გარდაიცვალა: სადილად რომ სხდებოდნენ, შეუძლოდ შეიქმნა... იმ დღეს მას დუშეთში (ისე, როგორც საქართველოს მრავალ კუთხეში) ბიბლიოთეკა უნდა გაეხსნა. ავეჯი და წიგნები უკვე გაგზავნილი ჰქონდა... იმ დღიდან უამრავ გაჭირვებულს შეუწყდა დახმარება, დაიფანტნენ მისი შეგირდები და ნათესავები... ქონება წერა-კითხვის საზოგადოებას გადაეცა. იქ სამჯერ გამოიტანეს აუქციონზე როინაშვილის ფოტომონეტები და ნეგატივები, რომლებიც მოხერხებულმა კოლექციონერმა — ერმაკოვმა შეიძინა და შემდგომში, ღია ბარათებად ისე იყიდებოდა, როგორც ერმაკოვის გადაღებული. ძვირფასი არქეოლოგიური ნივთები და ხელნაწერები, რაც განიავებას გადაურჩა, სახელმწიფო მუზეუმში ინახება...


ერის დიდ მოამაგეს პანაშვიდი იმჟამად ეპისკოპოსმა, შემდგომ საქართველოს ეკლესიის პატრიარქმა, მეუფე კირიონმა ქაშუეთის ტაძარში გადაუხადა... იმ დღეს გაზეთები იუწყებოდნენ: „მიუხედავად იმ-



თავადის ქალი

ისა, რომ განსვენებული ესვენა ლითონის კუბოში, რომელიც ძლიერ მძიმე იყო, ხალხმა ის პანთეონამდე ხელით ატარა. ზოგი კვდება და მის პანაშვილზე მონვევითაც არ მოდიან. გარდაიცვალა გლეხი როინაშვილი და დაუპატიჟებლად მოვიდნენ ეპისკოპოსნი, მღუდენი, დიაკვანნი, ერნი და ბერნი, უამრავი დასი მგლოვიართა... საქმემან შენმან გაცხოვნოს შენ, განსვენებულო ალექსანდრე, გლეხო გვარისეულიობით და აზნაურო საქვეყნო საქმით და მოჭირნახულობით...“

ილია ჭავჭავაძე კი წერდა: „ალექსანდრე როინაშვილი თავის თავს კი არ მოუკვდა, მოუკვდა ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გამოაცხადა და ამის გარე სხვა საგანი ცხოვრებისა, არა ჰქონია“...



სხედან: შიო მღვიმელი, იროდიონ ევლოშვილი; დგას — შიო არაგვისპირელი



მსოფლიოს საუკეთესო კარნავალები

კარნავალის გაგონებისას ალბათ, რიო-დე-ჟანეიროსა და ვენეციის მორთული ქუჩები წარმოგიდგებათ. სიტყვა „კარნავალი“ ორი ლათინური სიტყვისგან — **carno** (ხორცი) და **VA** (მშვიდობით) შედგება. ძველად მას ეგვიპტეში ღმერთ ოსირისის, ხოლო რომში სატურნის პატივსაცემად აწყობდნენ. დღესდღეობით ყველაზე ცნობილია რიოს, ვენეციის, გოასა და ბაზელის კარნავალები.

რიოს კარნავალი ოფიციალურად ოთხ დღეს (20-დან 24 თებერვლამდე), ხოლო არაოფიციალურად კვირაზე მეტხანს გრძელდება. ეს ვეროპული დახვეწილობის, ინდური ტრადიციებისა და შაკვანიანი მონების ჩვეულებების დემონსტრირებაა. მთელი კვირის განმავლობაში ყველა ისვენებს, შეჩერებულია მოძრაობაც. ძველად კარნავალი მხოლოდ პორტუგალიური სიმღერების თანხლებით ტარდებოდა, დღესდღეობით კი იქ სიმღერებისა და ცეკვების ნაირფეროვნება შეინიშნება. კარნავალის მთავარი ცეკვაა „სამბა“. პირველი სამბას სკოლა 1928 წელს შეიქმნა. „სამბადრომი“ 700 მეტრზეა გადაჭიმული და თავდაპირველად, ცეკვა მხოლოდ სამბას სკოლის საუკეთესო მოცეკვავეებს შეუძლიათ, რომელთაც საკუთარი ნიჭის წარმოსაჩენად, საათ-ნახევარი

სპორტსმენი, მსახიობი, პოლიტიკოსი — მონაწილეობს.

ვენეციაში პირველი კარნავალი V საუკუნის შუა წლებში მოეწყო. კარნავალის დღეს მსახურებსა და ბატონებს ერთ სუფრასთან ნადიმობა, მონას კი ბატონის გაქილიკებაც შეეძლო, მაგრამ ნაწყენი რომ არავინ დარჩენილიყო, ყველას ნიღაბი ეკეთა. დღევანდელი კარნავალის მთავარი ატრიბუტი კვლავინდებურად ნიღაბია. ძველად ვენეციელები კარნავალს ოქტომბრიდან იწყებდნენ და ნიღაბს — „ბაუტას“ ატარებდნენ. ნიღბის ტარება მხოლოდ ეკლესიაში, ღამით და შავი



ჭირის დროს არ შეიძლებოდა. ნიღბიან ადამიანს დანაშაულის ჩადენაც შეეძლო და მამაკაცები ქალთა მონასტერში, მონაზვნებივით გადაცმულები იპარებოდნენ. ყოველივე ამის გამო, ნიღბის ტარება მხოლოდ კარნავალის დღეებში და ბალ-მასკარადებზე დაუშვეს; თუ სხვა დროს მამაკაცი ქუჩაში ნიღბით გამოსვლას გაბედავდა, მას ორი წლით ციხეში უშვებდნენ ან ჯარიმას ახდევინებდნენ, ქალებს კი სანმარკოს მოედანზე, სახალხოდ ამათრახებდნენ და 4 წლით ვენეციიდან აძევებდნენ. XVII საუკუნეში, კარნავალზე კორიდასაც აწყობდნენ და ფეხბურთსაც თამა-



შობდნენ — თითოეულ ჯგუფში 25 მონაწილე იყო.

დღესდღეობით ვენეციის კარნავალი 13-დან 24 თებერვლამდე გრძელდება. პირველი დღე ვენეციურ დღესასწაულს — **Festa delle Marie**-ს ეძღვნება: ძველად მეკობრეები ქალაქის უღამაზეს გოგონებს სშირად იტაცებდნენ, ამ დღეს მეკობრეები საბოლოოდ დაამარცხეს და გოგონები გაათავისუფლეს. კარნავალისას ვენეციის ქუჩები ერთ დიდ სცენად, მუზეუმად გადაიქცევა ხოლმე, სადაც ტურისტები (ვენეციას საკარნავალო დღეებში 500 ათასი ტურისტი სტუმრობს) კი კარნავალის მონაწილე ხდებიან. სპეციალურად მათთვის, ქუჩებში ნიღბები, საკარნავალო კოსტიუმები და ტკბილეული იყიდება. მაცურებლებს ჟონგლიორები, ფაკირები, მუსიკოსები ართობენ. ყველაზე ორგინალური წარმოდგენა „კაზანოვას ბალი“ და „ოქროს ღამეა“. იტალიური კომედი დელ არტეს მთავარი გმირები: არლეკინი, პიერო, პანტალონე და კოლომბინა დღესასწაულის გმირები ხდებიან. სხვათა შორის, 1996 წელს ვენეციის კარნავალისთვის სპეციალური ჰიმნი ფრანგმა მოდელიერმა, პიერ კარდენმა დაწერა.

ამ ორი ქალაქის გარდა, კარნავალი სხვა ქვეყნებშიც ტარდება. გერმანიაში ყველაზე დიდ კარნავალს კელში აწყობენ. ქალაქი ამ დღისთვის სამი თვით ადრე ემზადება და წლის მე-11 თვის, მე-11 დღის 11 საათსა და 11 წუთზე იწყება. ქალები — დღესასწაულის დეოფნელები „ქალთა ხუთშაბათს“ ხვდებიან. ამ დღეს მათ ყველაფრის უფლება, კაცების ცემაც კი შეუძლიათ; შაბათს მოჩვენებებზე „ნადირობენ“ და ნებისმიერ მსურველს შეუძლია იყოს ან მონადირე, ან — მოჩვენება;



ექლავათ. კარნავალის მონაწილეები ორიგინალურად ჩაცმულები უნდა იყვნენ. სამბას ცეკვაში თითქმის ყველა ცნობილი ბრაზილიელი —



კულმინაცია „ვარდისფერ ორშაბათს“ აღწევს — მაყურებლებისთვის, რომელთა რიცხვმაც შეიძლება, 1,5 მლნ-ს გადააჭარბოს, წარმოდგენა ეწყობა. მისი მთავარი გმირები პრინცი, ქალწულები და გლეხები არიან. წარმოდგენის დროს მაყურებლებს ტკბილეულს ესვრიან; „ის სამშაბათს“, ყველა ცოდვის გამოსასყიდად, თივის საფრთხობელას წვავენ; „ფერფლის ხუთშაბათს“ კარნავალის დღეს ემშვიდობებიან და მომდევნო კარნავალის ბედნიერად შეხვედრას უსურვებენ, ამიტომ მონაწილეები ერთმანეთს შუბლზე ფერფლით ჯვარს უხატავენ.

პორტუგალიელებმა გოას მიწაზე ფეხი 1510 წელს დადგეს და ეს ტერიტორია პორტუგალიელების პირველ კოლონიალურ იმპერიად იქცა. პირველი კარნავალი სოციალური განსხვავებების წასაშლელად მოაწყვეს. ამ დღეს თეთრი ადამიანები მონებივით იცვამდნენ, მონები კი სახეს ფეკლით ითეთრებდნენ და ბატონებივით იქცეოდნენ; ბატონები და მონები ერთად სვამდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. დღესდღეობით ფესტივალი თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში ეწყობა, ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მსაპინძლები და ტურისტები ქუჩაში მხიარულობენ, მსახიობები ქრისტიანული და ინდური ქორწინების წარმოდგენებს მართავენ. კარნავალზე „აგრესიული მონაწილეებიც“ არიან — ისინი ფესტივალის სტუმრებსა და მონაწილეებს სხვადასხვაფრად შეღებილ ფეკილს აყრიან და შეღებილ წყალს ასხამენ.

შევიცარიელები თავიანთ კარნავალს ფასნახტს ეძახიან. ბაზელის ფესტივალში 15 ათასი მსახიობი მონაწილეობს. 12 საათის დადგომისთანავე, ქალაქში ქუჩის განათება ქრება და ყველა მონაწილე საკუთარი ფარნით გამოდის. ისინი სხვადასხვა ჯგუფში (ბანდაში) ერთიანდებიან და ერთმანეთს „კლივას“ (უსაქმურების ხროვა) ძახილით ეგებებიან. ჯგუფში არ მიგიღებენ, თუ ფლეიტაზე ან დოლზე არ უკრავთ, ძირძველი ბაზელი არ ხართ და კარგი კოსტიუმი არ გაცვიათ. ქუჩაში სეირნობის შემდეგ, კლიკები პაბებში, რესტორნებ-

სა და კაფეებში სახვის ყველიან ღვეზელსა და ფეკილის წვნიანს მიირთმევენ; ფესტივალის ბოლო დღეს სხვადასხვა ქუჩაზე მუსიკოსების შეჯიბრება ეწყობა. კარნავალის მონაწილეები ერთმანეთს კონფეტების (მრგვლად დაჭრილი ფერად-ფერადი ქალაქები) ესვრიან. ფესტივალის ზოგიერთი მონაწილე, ბედნიერი დღეების მოსაგონრად, კონფეტებს მეორე კარნავალამდე ინახავს.

ყოველწლიური კარნავალი ნიცაში, პელოპონესსა და გრან-კანარი-აზეც ეწყობა: ნიცაში გამართული

ფესტივალის მონაწილეები ქუჩაში მოსიარულე ადამიანებს ვარდის ფურცლებს აყრიან, საღამოობით კი მაყურებლებს წარმოდგენებით ამზ-



იარულეებენ; პელოპონესის ანუ საბერძნეთის კარნავალს 160-წლიანი ისტორია აქვს. ქუჩებში მუსიკოსები, მოცეკვავეები და ძველი ბერძნული ღმერთების კოსტიუმში გამოწყობილი მონაწილეები დასეირნობენ, ბავშვებისთვის ათასგვარი შეჯიბრება და კონკურსი ეწყობა; კარნავალის დროს ესპანეთის ქალაქ გრან-კანარიაში ცეკვები და სიმღერები 24 საათის განმავლობაში არ წყდება, მასში ესპანეთის ცნობილი მომღერლები და მოცეკვავეებიც მონაწილეობენ.



მსხვერპლშენიროვის ფესტივალი

ყოველწლიურად, ნოემბრის ბოლოს, ნეპალის სამხრეთით, სოფელ ტერაიში ქალღმერთ გათხიმაი მელას პატივსაცემად მსხვერპლშენიროვის ფესტივალი ეწყობა. ამ დღეს დაახლოებით, 17 ათასი ხარი ეწირება. ფესტივალს 150 ათასი ადამიანი ესწრება და გაჭირვებულები ხარის ხორცს საკვებად იმარაგებენ.

ლეგენდის თანახმად, 260 წლის წინ ინდოელი თავადი, ბხაგვან ჩოდ-

ხარი გასაჭირიდან ქალღმერთმა — გათხიმაი მელამ იხსნა და მადლიერების ნიშნად, ჩოდხარმა მას ხარები შესწირა. ამ ამბის შემდეგ, ქალღმერთი თავადის მამულებისა და იქ მცხოვრები ყველა ად-

ამიანის მფარველად მიიჩნევა. მსხვერპლშენიროვამდე ტაძრის მსახური ორ რიტუალს — „პანჩაბალი“ და „ნარბალი“ — ატარებს. მან ოთხი ცხოველის (ვირთხის, ღორის, კრავისა და ხარის), მამლისა და ადამიანის სხეულის 5 ნაწილიდან (ხელი, ფეხი, მუცელი, მკერდი, თავი) გამოყოფილი სისხლი თიხის

თასში უნდა შეაგროვოს, ამის შემდეგ კი ყასბები და მოხალისეები ხარების ხოცვას ხანჯლებით იწყებენ. ხშირად, ხარის მსხვერპლი ადამიანიც ხდება. და კიდევ, დახოცილი საქონლის ნარჩენები ხშირად, ეპიდემიას იწვევს, რასაც ნახევარი სოფელი ეწირება.





„ფერარი“ 4 ახალი მოდელის შექმნაზე მუშაობს

ავსტრალიაში ახალი დილერ-ცენტრის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე, იტალიური ავტომწარმოებლის დირექტორმა, ამაღლო ფელისამ 4 სიახლის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. მისი თქმით, მიმდინარე წლის ბოლოს, დილერთა სალონებში სუპერავტოს — 599 GTB Fiorino-GTO — ახალი მოდიფიკაცია გამოჩნდება,



რომელიც სავარაუდოდ, 650 ცხ.ძ-მდე ფორსირებული, 6-ლიტრიანი V12 ძრავით იქნება აღჭურვილი. 2011 წლისთვის კომპანია „ფერარი“ სპორტავტოს — 458 Italia — ღია ვერსიის წარმოდგენას გეგმავს. გარდა ამისა, კომპანიის დირექტორმა ისიც აღნიშნა, რომ მარტში, უენეციის მოტორ-შოუზე 599 GTB Fiorino-ს ბაზაზე აწყობილი ჰიბრიდული ავტომობილის დებიუტი შედგება, რომელიც სტანდარტულ 599-ზე 80 კგ-ით მძიმე იქნება. „ჰიბრიდული ტექნოლოგია ჯერაც არაა მზად. ჯერჯერობით არც ის გადაგვიწყვეტია, თუ როდის გავიყვანთ ბაზარზე ასეთ მანქანას... ჰიბრიდული შეიძლება გახდეს წინა და საშუალო მოტორის მქონე სპორტ-ავტოები, აგრეთვე, V8 ან V12 ძრავათი აღჭურვილი მანქანები“, — დასძენს ფელისა, რომელიც იმასაც უსვამს ხაზს, რომ პირველად, სანავის ეკონომიურობის გასაუმჯობესებელი ტექნოლოგიები მოდელზე — California —



2011 წელს გამოჩნდება; ასევე, კომპანია მოდელის — Enzo — მეექვსედრე სუპერავტოს ქმნის. წინასწარი ინფორმაციით, ასეთ ავტომობილს 750-800 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, 12-ცილინდრიანი მოტორი ან V8 ძრავა დაუმონტაჟდება, რომელიც თავის მხრივ, 50-100 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს. სიახლე უახლოეს ორ წელიწადში, შეზღუდული ტირაჟით, 500 ეგზემპლარად გამოვა.

„სუბარუს“ სიახლე

მარტის დასაწყისში, უენეციის საერთაშორისო მოტორშოუზე კომპანია Subaru ახალი მოდელის წარმოდგენას გეგმავს, რომელიც კროსოვერ Impeza-ს ბაზაზეა აწყობილი. მის სახელწოდებაში დამატებითი ინდექსი — XV გაჩნდება. სავარაუდოდ, სიახლე უნივერსალ Subaru legacy Outback-ის არასაგზაო ვერსიის მსგავსი სტილისტიკით შეიქმნება. ასეთი ავტომობილის გაბარიტული სიგრძე 4,43, სიგანე — 1,77, ხოლო სიმაღლე 1,52 მეტრია, რაც შესაბამისად, 1,3 და 4 მ-ით მეტია, ვიდრე ჰენკისძარბიანი „იმპრეზისა“. წინასწარი ინფორმაციით, Subaru Impreza-ს გაფართოებული გზის ხედვა, რადიატორის განსხვავებული ცხაური და საბარგულზე სპოილერი ექნება. ახალი კროსოვერი, რომელსაც უენეციაში ჩაიტანენ, 150 ცხ.ძ. სიმძლავრის 2-ლიტრიანი ბენზინის ძრავითა აღჭურვილი. სხვათა შორის, კლიენტებს დიზელისმოტორიანი მანქანის შეკვეთის შესაძლებლობაც ექნებათ. ჯერჯერობით, Impeza XV-ის ტექნიკური და დინამიკური მაჩვენებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია არ ვრცელდება.




„მუსტანგის“ განახლებული კუპე და კაბრიოლეტი

კომპანია „ფორდის“ განყოფილებამ — Special Vehicle Team-I (STV) — ოფიციალურად წარმოდგინა Mustang-ის კუპეს და კაბრიოლეტის განახლებული ტიუნინგ-მოდიფიკაცია — Shelby GT500. ამავე სახელწოდების მქონე წინამორბედისგან განსხვავებით, ავტომობილს მსუბუქი ძრავა, სამუხრუჭე მექანიზმების გამაგრებული დამატებითი ელემენტები და შეცვლილი სატერფულები აქვს. სიახლე ბენზინის 5,4-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 550 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, ალუმინისგან დამზადებული ძრავითა აღჭურვილი, რომელიც წინამორბედზე 10 ცხ.ძ-ით ძლიერი და ამავე დროს, 46,2 კგ-ით მსუბუქია. კომპანია „ფორდის“ მონაცემებით, ახალი Mus-

tang-ი ქალაქში 100 კმ-ის დასაფარავად 15,6, ხოლო ტრასაზე — 10,2 ლ სანავის მოიხმარს. Shelby GT500-ის კუპესა და კაბრიოლეტისთვის სპეციალური სპორტ-პაკეტი შეიმუშავეს. მასში შედის წინა ლერძისთვის განკუთვნილი მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული 19-დუიმიანი, ხოლო უკანა ლერძისთვის — 20-დუიმიანი დისკები Good-year Eagle F1 SuperCar G-ის საბურავებით, ასევე, შედარებით მძლავრი ზამბარები. აშშ-ში Shelby GT500-ის ახალი კუპესა და კაბრიოლეტის გაყიდვა მიმდინარე წლის გაზაფხულიდან დაიწყება. სპეციალური საბურავის მქონე ავტომობილის სავარაუდო ფასი 49.495 დოლარია.

„ფორდის“ სპეციალური სპორტავტო

„ფორდის“ შვეიცარიულმა განყოფილებამ Focus RS — WRC Edition-ის სპეციალური მოდიფიკაცია შექმნა. სიახლე ამ მოდელის ფანების დახმარებით შეიმუშავეს — მათ მანქანის დიზაინის საკუთარი ვარიანტები ამერიკული ავტომწარმოებლის მიერ ორგანიზებული სპეციალური კონკურსის მსვლელობისას წარმოადგინეს. ჰენკისძარბის სპეც-ვერსია მხოლოდ 50 ეგზემპლარად გამოვა და ყოველი მათგანი თვითონ იქნება შეღებილი. გარდა ამისა, მათ ძარაზე შავი და მწვანე ზოლები, ასევე, რალის მსოფლიო ჩემპიონატის ლოგოტიპი ექნებათ. გარდა ამისა, მანქანებს OZ Superturismo GT-ის მიერ წარმოებული შავი, 19-დუიმიანი ბორბლების დისკები და WRC-ის რბოლებში „ფორდის“ გუნდის პილოტების, მიკო ჰორვონენისა და იარმო ლეჰტინენის ავტოგრაფებიანი ტაბლო დაუმონტაჟეს. სპეციალური Ford focus RS-ის ტექნიკური მაჩვენებლები საერთოდ არ შეცვლილა — ჰენკი კვლავაც, 2,5-ლიტრიანი, 305 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ტურბინირებული „ხუთიანი“ აღიჭურვა. შვეიცარიაში ამ ავტომობილის ფასი 55,9 ათასი ფრანკიდან (37.950 ევრო) დაიწყება.





1948-1956 წლების „აბრაგების საქმე“ და ხევსურეთის გაუქმების გეგმა

II მსოფლიო ომის დასასრულს, როცა საბჭოთა ჯარებმა აიღეს ბერლინი და ფაშისტური გერმანიის სარდლობამ უპირობო კაპიტულაცია გამოაცხადა, მსოფლიოში ვერაფერს წარმოიდგენდა, თუკი კავკასიაში სტალინური რეჟიმის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსვლას ვინმე კიდევ გაბედვდა ამჯერად მოგითხოვოთ ჩვენ აბრაგის, ჰასან ისრაილოვის (რომელიც ომის წლებში ფაქტობრივად, მთელი ჩვენთ-ინგუშეთი ააჯანყა და რომლის ლიკვიდაციაც საბჭოთა „ჩეკა“ ჩვენ-ინგუშეთა დეპორტაციამდე ვერაფრით მოახერხა) თანამებრძოლების — ჩვენ იბი ალხასტოვისა და ინგუში აჰმად ხუზაროვის ლიკვიდაციის ოპერაციაზე, რომელიც 1948-1956 წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჩატარდა. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ოპერაციის მიმდინარეობისას, კრემლში ხევსურეთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლება დაიგეგმა, რაც 50-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა კიდევ.

მისილი ლაპაქი

1944 წლის იანვარში ჩეჩურ-ინგუშური წინააღმდეგობის ცნობილი ლიდერის, ჰასან ისრაილოვის (იგივე ტერლოვის) ლიკვიდაციამ, რასაც ჩვენ-ინგუშეთა შუა აზიაში დეპორტაცია უძღოდა წინ, ჩრდილო კავკასიაში არსებული პრობლემები ვერ მოაგვარა. „ჩეკას“ მუშაობით სტალინი უკმაყოფილო იყო, რადგანაც მოსახლეობისგან დაცლილი ჩვენთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე აბრაგობა ვერ აღმოიფხვრა — ჩვენ იბი ალხასტოვისა და ინგუში აჰმად ხუზაროვის რაზმები იქ კვლავაც აგრძელებდნენ პარტიზანულ ომს და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს სასტიკად უსწორდებოდნენ.

ჩვენებისა და ინგუშების დეპორტაციის შემდეგ, ჩვენთ-ინგუშეთის ავტონომია გაუქმდა, ხოლო მისი ტერიტორიის ერთი ნაწილი ჩრდილოეთ ოსეთს, დაღესტანსა და საქართველოს მიეკუთვნა, ხოლო მეორე ნაწილი ახალშექმნილი გროზნოს ოლქის შემადგენლობაში შევიდა. ხუზაროვისა და ალხასტოვის რაზმები ძირითადად, იმ მიწებზე მოქმედებდნენ, რომლებიც საქართველოს ეროსო — ეს გახლდათ ითუმყალის, შატალისა და გალანჭოვის მთიანი რაიონები.

საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნით, ახალ ტერიტორიებზე ქართველი მთიელები (ხევსურები) ჩამოსახლდნენ. ისინი ტრადიციულად, კოლმეურნეობებში გააერთიანეს და უბრძანეს, აბრაგებისთვის არაფერი დაეთმოთ, მათთვის დახმარების განუვაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო — ყველას, ვინც აბრაგებს უმინიშნელო რამით მაინც დაეხმარებოდა, 25-წლიანი ციხე ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, ხევსურები აბრაგად გავარდნილ ჩვენ-ინგუშებს, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძოდნენ და მშვიდობიან ქართველ მოახალშენებს არას ერჩოდნენ, ხელს მაინც უმართავდნენ. კრემლის მესვეურებს გვარიანად ამფოტებდა ხევსურებისა და აბრაგების ურთიერთობა, რომელიც ტრადიციულ

კავკასიურ ზნეობის კოდექსს ემყარებოდა; სტალინმა და ბერიამ, როგორც წარმომხობით ქართველებმა, მშვენივრად იცოდნენ, რომ დამოუკიდებლობასა და რუსთაგან გათავისუფლებაზე საქართველოშიც ბევრი ოცნებობდა და თუკი აბრაგებს ვერაფერს მოუხერხებდნენ, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ საბჭოთა რეჟიმს იარაღით ხელში ქართველებიც დაჰპირისპირებოდნენ. სწორედ ამიტომ, „ჩეკას“ აგენტები ცდილობდნენ, ქართველებსა და ჩვენ-ინგუშებს შორის როგორმე, მტრობა ჩამოეგდოთ. აგენტურა მუშაობდა როგორც ჩვენთ-ინგუშეთში ჩასახლებულ ხევსურებს შორის, ისე აბრაგთა რაზმებშიც: აბრაგებთან ისინი აქცენტს აკეთებდნენ სტალინისა და ბერიას ქართველობაზე, თითქოს, ჩვენ-ინგუშთა განადგურება ოდითგან, ყველა ქართველის ოცნება იყო და კრემლის ქართველმა მესვეურებმაც სწორედ ამიტომ გადასახლეს ისინი შუა აზიაში; ხევსურებს კი საპირისპიროს უკვირებდნენ — ვითომდა ქისტებს, ისევ და ისევ სტალინისა და ბერიას გამო, ქართველების ჯავრი სჭირდათ...

ისრაილოვის ლიკვიდაციიდან 4 წლის შემდეგ, საბჭოთა სპეცსამსახურებმა ცალკე გამოიყვეს იბი ალხასტოვისა და აჰმად ხუზაროვის საქმე. გადაწყდა, რომ ამ ორი აბრაგის აყვანის ოპერაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ერთდროულად ჩატარებინათ და მასში მასობრივად ჩაერთოთ ქართველი მთიელები. თანაც, აბრაგებზე თვალყურის დევნების პარალელურად, „ჩეკას“ დავალებული ჰქონდა, შეექმნა სპეციალური დაჯგუფება, რომელიც ალხასტოვისა და ხუზაროვის სახელით ქართველებს აანიოკებდა როგორც ჩვენთ-ინგუშეთში, ისე საქართველოში — ხევსურეთსა და თუშეთში.

ამასთანავე, „ჩეკაში“ შეადგინეს დანვრილებითი დოსიეები იბი ალხასტოვისა და აჰმად ხუზაროვის შესახებ: „ალხასტოვი იბი ალხასტის ძე, დაბადებული 1904 ან 1907 წელს ითუმყალის რაიონის სოფ. ხილდეჰაროში. ადგი-



ჩვენ იბი ალხასტოვისა და ინგუში აჰმად ხუზაროვის მეთაური აჰმად ხუზაროვი

ლობრივი კულაკის შვილი. იცის არაბული წერა-კითხვა, თუმცა საფუძვლიანი განათლება არ მიუღია. გვაქვს ცნობები, რომ 1924 წელს იგი დაკავშირებული იყო ქართველი თავადის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდასთან“, — წერია იბი ალხასტოვის დოსიეში; „ხუზაროვი აჰმად სოსის ძე, ეროვნებით ინგუში, დაიბადა 1894 წელს, გალაშქის რაიონის სოფ. გულიში. მამამისი, სოსი ხუზაროვი 1929 წელს გააკულაკეს და ციმბირში გადასახლეს. 1938 წელს აჰმად ხუზაროვი დაუკავშირდა გერმანიის დაზვერვას, 1942 წელს კი შევიდა ჰასან ისრაილოვის პარტიაში“, — გვამცნობს ხუზაროვის დოსიე. ცხადია, ამ დოკუმენტებში ბევრი რამ „ჩეკისტების“ მიერაა შეთხზული, სიმართლე კი ისაა, რომ ალხასტოვიც და ხუზაროვიც „კულაკებად“ მონათლული შეძლებული გლეხების შვილები იყვნენ, რომელთაც ბავშვობა და ყრმობა საბჭოთა რეჟიმმა დაუმიხინჯა.

ხევსურებსა და ჩვენ-ინგუშ აბრაგებს შორის ურთიერთობის გაუარესება, რასაც ასე ეწინააღმდეგებოდა „ჩეკა“, 1948 წლის შემოდგომაზე, შატალიდან 7-8 კმ-ით დაშორებულ სოფელ ჯარეგაში მომხდარ ინციდენტს მოჰყვა: ერთ-ერთი შატალის ოჯახში აბრაგები აფარებდნენ თავს. „ჩეკისტებმა“ მათი ცოცხლად შეპყრობა განიზრახეს და ოპერაციაში, როგორც წესი, მოახალშენეებიც დაიხმარეს. აბრაგები, რომელთა შორის იბი ალხასტოვიც იყო, სამართალდამცველებს არ დანებდნენ და ცეცხლი გახსნეს. შეტაკების დროს ორი შატალელი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა. გარდა ამისა, აბრაგებმა მოახალშენეთა საქონელიც განყვიტეს და ღამით მიმალვა მოახერხეს. მოკლული შატალელების სისხლი, ცხა-



დია, იბი ალხასტოვს დაეკისრა — ამერიიდან ის მთლიანად შატილელთა მოსისხლედ მიიჩნეოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ — 1949 წლის 21 იანვარს ჩეკისტებმა შეიტყვეს, რომ იბი ალხასტოვის რაზმი თუშეთიდან ხე-



ხუნბაროვის რაზმელები დალუპულ თანამებრძოლს ასაფლავებენ. 1948 წ.

ვსურეთისაკენ, კერძოდ, სოფელ ანდაქისაკენ მიდიოდა. ანდაქში მამინე გაიგზავნა ოპერატიული ჯგუფი პოლკოვნიკ სერგო ხორგანის მეთაურობით, რომელსაც ხევსურებიც — ჯარეგომი მოკლულთა ახლობლები ახლდნენ. 22 იანვარს ცნობილი გახდა, რომ აბრაგები ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების, ვინმე შაბურა ზვიადურის სახლს აფარებდნენ თავს. იმავე დღეს დაიწყო მათი აყვანის ოპერაცია, რომელსაც რაზმის მეთაური იბი ალხასტოვი და კიდევ სამიოდე აბრაგი ემსხვერპლა. აბრაგების მეთაურს პირველმა შატილელმა მოსისხლემ — ყარიმან ქინჭარულმა ესროლა, რომლის ძმაც ჯარეგომი, ალხასტოვს ჰყავდა მოკლული.

ალხასტოვის რაზმის აყვანისას დააკავეს რამდენიმე ხევსურიც, რომელთაც აბრაგების დახმარება ედებოდათ ბრალად (თავად შაბურა ზვიადურმა თავი მოიკლა), ხოლო რაზმელებისთვის ჩამორთმეული იარაღი სპეცოპერაციაში მონაწილე პირებს დაურიგეს. იბი ალხასტოვის ავტომატური შაშხანა წილად ხვდა შატილელ ხახონა ქინჭარულს, რომელიც იმ დროისათვის შატილიდან 4 კმ-ის მოშორებით, მდინარე კელისწყლის პირას ცხოვრობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბრაგების იარაღის ხევსურთათვის გადაცემა „ჩეკას“ მორიგი ფანდი იყო.

ალხასტოვის რაზმელთაგან ერთ-ერთი, ვინმე მუსა ხუნარიკოვი ანდაქის ახლოს მცხოვრებმა ქისტებმა შეიფარეს და უჩუმრად გააპარეს ჩრდილო კავკასიაში, სადაც ის აჰმად ხუნბაროვის დაჯგუფებას შეუერთდა. ხუნარიკოვმა იცოდა, რომ იბი ალხასტოვის ნაქონი შაშხანა ხახონა ქინჭარულს გადაეცა და ცდილობდა, იარაღი როგორმე, უკან დაებრუნებინა.

1950 წლის ზაფხულის დამდეგს ხუნარიკოვი, რამდენიმე თანმხლებთან ერთად, საქართველოში გადმოვიდა და ხახონა ქინჭარაულის სახლთან ახლოს, ტყეში ჩასაფრდა. აბრაგებმა სცადეს, მის სახლში უჩუმრად შეეღწიათ, მაგრამ

ამაოდ და რადგანაც სხვა გზა აღარ რჩებოდა, გადანწყვიტეს, ხევსურისათვის შაშხანა ძალით წაერთმიათ.

აბრაგები ხახონას, მის უფროს შვილ ჩუას და ბიძაშვილ ბაჭყიას თავს მაშინ დაადგნენ, როცა ისინი კელისწყალზე წისქვილს მართავდნენ. ხევსურებს თან

იარაღი არ ჰქონდათ. ხუნარიკოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა მათ უბრძანეს, ტყისკენ წასულიყვნენ. ხახონა და მისიანები დამორჩილდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასი მეტრიც არ ექნებოდათ გაკლილი, რომ აბრაგებმა ხახონას კეფაში ესროლეს და მოკლეს. ამის დანახვზე ბაჭყიამ ჩუას დაუყვირა, — გაიქეციო, თავად კი ერთ-ერთ აბრაგს თოფის წასართმევად ეცა. ჩუამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო და იქვე ჩაცხრილეს, ხოლო ბაჭყიას, რომელსაც აბრაგი მაგრად ჰყავდა ჩაბოლუჯული, ვერაფერი მოუხერხეს; ბოლოს ერთ-ერთმა ჩეჩენმა მას უჯინდან მოუარა და დანით საძილე არტერია გადაუჭრა... აბრაგების გაანგარიშებით, ქინჭარაულის ოჯახის ყველა მამაკაცი უკვე მკვდარი იყო და შაშხანის გამოსატანად სახლში შესვლა თამამად შეუძლოთ. ხახონას ცოლმა, ნათიამ აბრაგებს თვალი მოჰკრა და ამბის გასაგებად მათკენ გაემართა. ეზოში დარჩნენ ხახონას უმცროსი ვაჟი, 13 წლის კობა და ბაჭყიას ცოლი ნათელუა. აბრაგებმა გარეთ გამოსული ქალები შეიპყრეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, პატარა კობამ კი იმარჯვა, მამის შაშხანას ხელი სტაცა და იქვე, გომურში ჩაიმალა... ალხასტოვის შაშხანის ძებნაში აბრაგებმა მთელი სახლი გადააქოთეს და რადგანაც ვერაფერი იპოვეს, ქალები დახოცეს. ამ დროს ერთ-ერთი მათგანი კობას სამალავსაც მიუახლოვდა. 13 წლის ხევსურმა მას ერთი გასროლით ბოლო მოუღო, იარაღიც აართვა და შატილისაკენ გაიქცა...

ამ პერიოდში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოქვეყნდა გაზეთ „ზიუდ დოიჩე ვაიტუნგში“ დაიბეჭდა სტატია, სადაც დეტალურად იყო აღწერილი აბრაგ აჰმად ხუნბაროვის ქმედებები ჩრდილო კავკასიაში. გაზეთის ეს

ნომერი, რა თქმა უნდა, სტალინის ხელშიც მოხვდა. დიდმა დიქტატორმა მამინე დაიბარა ბერია და დაავალა, რადაც უნდა დასჯდომოდა, აჰმად ხუნბაროვი ცოცხლად ჩაეგდო ხელში; პარალელურად, კრემლში მუშაობა დაიწყო იმაზეც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონები მოსახლეობისაგან ნელ-ნელა დაეცალათ — ოფიციალურად, ამის საბაზად იქცა ყამირი მიწების ათვისება ბარში, ასევე — აბრაგთაგან თავდაცვა: ხევსურებს გამოუცხადეს, რომ ბარში გადასახლების შემდგომ, ისინი ხვნა-თესვისათვის გამოსადეგ მიწებს მიიღებდნენ და აღარც აბრაგები შეაწუხებდნენ. სინამდვილეში, ხევსურეთის გაუკაცრიელების მიზეზი ის იყო, რომ აბრაგებს და ხევსურებს შორის ურთიერთობები კვლავ დარეგულირდა — მოსისხლეებმა შუაგაციების მეშვეობით მოილაპარაკეს და გაარიგეს ყველა საქმე, რაც კი სადავო იყო. თანაც, აბრაგები ხევსურებს „ჩეკისტების“ დამხმარეებად არ აღიქვამდნენ: ორივე მხარე ყველა მკვლელობას ყოფით ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულად მიიჩნევდა და არა „ჩეკას“ დავალებად ანუ ჯარეგომი ალხასტოვის მიერ შატილელების დახოცვა, ამის გამო ალხასტოვის მოკვლა და შემდეგ შურის საძიებლად ხახონა ქინჭარაულის ოჯახის ამოხრცვა სისხლის აღებად ჩათვალეს როგორც ხევსურებმა, ისე ჩეჩენ-ინგუშებმაც. ასე რომ, აჰმად ხუნბაროვს, რომელსაც პირადად არც ერთი ხევსურის სისხლი არ ემართა, არაფერი ჰქონდა მოსარიდებელი — იგი კვლავ სტუმრობდა ხევსურ ძმადნაფიცებს და რასაკვირველია, მათი დახმარების იმედი ჰქონდა.

50-იანი წლების დასაწყისში პირიქითა ხევსურეთის თითქმის მთელი მოსახლეობა „გეგმურად“, ბარის რაიონებში ჩაასახლეს — ხევსურთა ახალშენები გაჩნდა წითელწყაროში, გარდაბანში, სამგორის ველებზე, გომბორში და სხვაგან, ეს ყველაფერი კი იმდროინდელ პრესაში, როგორც წესი, დადებითად გაშუქდა: „ხევსურები კარგ ცხოვრებას ეზიარნენ“, „დღეს ხევსურთა გაჭირვება ისტორიას ჩაჰპარდა“, „სალკლდეებს სამგორის ველები სჯობია“ — აი, ასეთი სათაურებით ქვეყნდებოდა სტატიები ჟურნალ-გაზეთებში.

ხევსურეთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლება ქართველი ერის ინტერესების სანინააღმდეგო ქმედება იყო და უპირველეს ყოვლისა, გამიზნული გახლდა იმისთვის, რომ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი დაუცველი ყოფილიყო. გარდა ამისა, ბარში გაზრდილთაობას თანდათან უნდა დაევიწყებინა ის ტრადიციები, რასაც მათი წინაპრები ოდითგანვე მკაცრად იცავდნენ და კიდევ, ამით მონათესავე ხალხებს — ქართველებსა და ჩეჩენ-ინგუშებს შორის ურთიერთობები ნელ-ნელა გაცივდებოდა — ეს ყველაფერი კი რუსების წისქვილზე დასასამად წყალს.



ამასთან, ბარში ჩამოსული ხევსურები საბჭოთა ხელისუფლებამ გააცურა — ისინი ძირითადად, სამგორის სრიოკ ველებზე ჩაასახლეს. მთის კლიმატს მიჩვეული ხალხი ახალ საცხოვრებელ ადგილს ვერ შეეგუა და გადასახლების პირველივე წელს ძალიან ბევრი დაიღუპა. თანაც, საბჭოთა ხელისუფლების მესვეურები მათ თითქმის ისევე მკაცრად ეპყრობოდნენ, როგორც ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან შუა აზიაში დემორტირებულ „სპეცპერსელენცებს“ — ხევსურებს უკან, მთაში დაბრუნება ფაქტობრივად, აკრძალული ჰქონდათ და ვინც ამაზე პროტესტს გამოთქვამდა, სერიოზული პრობლემები ექმნებოდა.

ხევსურეთის ფაქტობრივი გაუკაცრიელება განაპირობა იმანაც, რომ 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, კრემლში ხრუშჩოვი და მისი „სროვა“ გაბატონდნენ, რომლებიც მკვეთრად გამოირჩეოდნენ შოვინისტური განწყობილებით; ნიკიტა ხრუშჩოვი ჩვეულებრივი ველიკორუსი ბოლშევიკი იყო და რასაკვირველია, მისთვის კავკასია „დედა-რუსეთის“ განუყოფელი ნაწილი გახლდათ. ხრუშჩოველები კავკასიის ყველა მკვიდრს „ჩორტ ნერუსკის“ უწოდებდნენ, განსაკუთრებით ქართველები ეზიზღებოდათ იოსებ სტალინის გამო. ამიტომაც, ხევსურთა ბარში ჩაასახლების პროცესი კრემლის მკაცრი კონტროლით განხორციელდა და მისგან თავის დაღწევა თითქმის ვერავინ შეძლო. პარალელურად, რა თქმა უნდა, აჰმად ხუჩბაროვის და მისი რაზმელების დევნაც გრძელდებოდა. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი, პოლკოვნიკი ვარლამ შადური. აღსანიშნავია, რომ აჰმად ხუჩბაროვი 1950 წლის შემდეგ ხევსურეთში თითქმის აღარც გამოჩენილა — მან აშკარად, მშობლიურ ინგუშეთში გადაინაცვლა, სადაც დემორტირებული ინგუშების მთელ ქონებას ოსები დაჰპატრონებოდნენ.

ამავე პერიოდში ხელისუფლებას ჩაჰბარდა ხუჩბაროვის რაზმის ორი წევრი — მუსა ხუნარიოვი და მოჰამად ისრაილოვი (ჰასან ისრაილოვის ვაჟი), რომელსაც პანკისის ხეობაში დასახლების უფლება მისცეს. მოჰამად ისრაილოვი ძალიან ახალგაზრდა იყო და მისი „დანაშაული“ მხოლოდ ის გახლდათ, რომ დემორტაციას თავი აარიდა და ხუჩბაროვს — მამამისის ძმადნაფიცს მიეკვლია. აჰმად ხუჩბაროვმა, რომელიც მიხვდა, რომ არჩაბარების შემთხვევაში ახალგაზრდა კაცს უეჭველი სიკვდილი ან პატიმრობა ელოდა, უმცროს ისრაილოვს ხელისუფლებისადმი დამორჩილება ურჩია. სხვათა შორის, ხუჩბაროვის რაზმელთა შემორიგებაში უდიდესი როლი ითამაშა უშიშროების მუშაკმა, ქისტმა მაჰმად დუიშვილმა. მისი შუამავლობით, ისრაილოვი სოფელ დუისში დასახლდა და იქ ცხოვრობდა მანამ,

ვიდრე ჩეჩენ-ინგუშები უკანვე, კავკასიაში არ დააბრუნეს. რაც შეეხება ხუნარიოვს, ის ყაზახეთში წავიდა.

ამგვარად, აჰმად ხუჩბაროვის რაზმი თანდათანობით შეთხელდა და მოუხელთებელ აბრაგთა მეთაურს გვერდით სულ რამდენიმე მომხრედა შემორჩა. საბჭოთა უშიშროება მის ცოცხლად აყვანას გეგმავდა, რადგან ლიკვიდაცია აღარ აძლევდათ ხელს — სურდათ, ხუჩბაროვი საჯაროდ გაესამართლებინათ და სამაგალითოდ დაესაჯათ. ამიტომაც, პოლკოვნიკი ვარლამ შადური ცდილობდა, როგორმე ეპოვა შუავალები, რომლებიც უშუალოდ აბრაგთა მეთაურთან დააკავშირებდნენ. ამ მიზნით, ყაზახეთიდან ჩამოიყვანეს ვინმე ახქ-ბერდ ხუჩბაროვი — აჰმად ხუჩბაროვის ახლო ნათესავი.

1955 წელს — სტალინის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ, ახქ-ბერდ ხუჩბაროვმა მოახერხა და ინგუშეთის მთებში შეხვდა აჰმად ხუჩბაროვს, რომელსაც პოლკოვნიკ ვარლამ შადურის დანაბარები გადასცა — ჩაბარების შემთხვევაში, აბრაგების მეთაურს გერმანულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ბრალდება მოეხსნებოდა და არც დახვრეტას მიუხვდინენ. გარდა ამისა, ახქ-ბერდის პირით, შადური ხუჩბაროვთან პირადად შეხვედრასაც ითხოვდა. ახქ-ბერდი ხუჩბაროვი, რომელსაც დავალების წარმატებით შესრულების შემთხვევაში უშიშროება სპეციალდასახლების სტატუსის მოხსნას და კავკასიაში ცხოვრების ნებართვას ჰპირდებოდა, ნათესავს არწმუნებდა, რომ მას მართლმსაჯულებას ლმობიერად მოექცეოდა, ვინაიდან სტალინი უკვე მკვდარი იყო და ჩეჩენ-ინგუშთა დემორტაციაც დღე-დღეზე, ხრუშჩოვს უკანონოდ უნდა ეცნო. თავიდან ხუჩბაროვი უარზე იყო, მაგრამ ბოლოს, ვარლამ შადურთან შეხვედრაზე დათანხმდა.

საბჭოთა უშიშროების მაღალჩინოსნის და აბრაგების მეთაურის შეხვედრა მალევე შედგა. ვარლამ შადურმა ხუჩბაროვს ყურანზე დაუფიცა, რომ ჩაბარების შემთხვევაში მას დახვრეტას არ მიუხვდინენ და ციხეში ყოფნაც შედარებით მცირე ხნით მოუწევდა. „უკვე ხნიერი ხარ, 61 წელს გადააბიჯე... თუ ჩაგვებარდები, ამასაც გავითვალისწინებთ“, — ეუბნებოდა შადური ხუჩბაროვს. აბრაგების მეთაური ყოყმანობდა, ჩაბარებულიყო თუ არა. შადურთან ერთად, მის დაყოლებას ახქ-ბერდ ხუჩბაროვიც ცდილობდა. ბოლოს, აჰმადი გატყდა და ჩაბარებაზე დათანხმდა. ის თბილისში ჩამოიყვანეს და უშიშროების სამინისტროს იზოლატორში მოათავსეს.

„აბრაგების საქმეზე“ გამოძიება მთე-

ლი წელიწადი მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, უშიშროების მუშაკებმა ხუჩბაროვისადმი მიცემული სიტყვა არ შეასრულეს — აბრაგთა მეთაურს ყველა შემთხვევაში, დახვრეტა ელოდა. თავად აჰმად ხუჩბაროვი ამას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როდესაც ჩვეულებრივ ციხეში გადაყვანაზე ცივი უარი უთხრეს და არც პაემნების უფლებას აძლევდნენ. საბოლოოდ, ხუჩბაროვის სასამართლო პროცესი 1956 წლის 17 დეკემბერს, თბილისში გაიმართა. ის საზოგადოებისათვის დახურული იყო, თუმცაღა, პროცესზე დასასწრებად შუა აზიიდან, 30-მდე ინგუში ჩამოიყვანეს, ახქ-ბერდ ხუჩბაროვი და ვარლამ შადური კი მოწვევად გამოიძახეს; ამ პროცესზე დასწრების უფლება რამდენიმე პანკისელ ქისტსაც მისცეს.

სასამართლოზე უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებები — აჰმად ხუჩბაროვისთვის ადვოკატი არ დაუნიშნავთ. ოფიციალური ცნობებით, მან თავად თქვა უარი ადვოკატზე, მაგრამ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება — განსასჯელს იურიდიული განათლება არ ჰქონდა და სასამართლო პროცესზე თავის დაცვას ვერ შეძლებდა. ხუჩბაროვს ბრალად დასდეს სამშობლოს ღალატი, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების შექმნა და ანტისაბჭოთა საქმიანობა. განსასჯელმა თავი დაანაშავედ არ ცნო და განაცხადა, რომ მისი აბრაგად გავარდნა სტალინურმა რეჟიმმა განაპირობა.

აბრაგების მეთაურს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენი სისრულეში მალევე იქნა მოყვანილი. ხუჩბაროვის დახვრეტიდან ერთი თვის შემდეგ, 1957 წლის იანვარში ჩეჩნებმა და ინგუშებმა სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მიიღეს და ეროვნული ავტონომიაც აღიდგინეს. ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში საბჭოთა ხელისუფლება



იბი ალხასგოვის რაზმი უღელტეხილზე გადადის. 1947 წ.

ის წინააღმდეგ ბრძოლას აჰმად ხუჩბაროვის თანამებრძოლი ხასუხა მაჰომადოვი აგრძელებდა, რომელიც სამართალდამცველებმა გამცემების წყალობით, 1976 წელს, 70 წლის ასაკში განაადგურეს.



კლასიკური თუ ორიბინალური

თუკი ახალგაზრდობა მამაკაცმა ტელეფონის ნომერი გახსოვდა, უბრალოდ დააკვირდით მის ქცევას და იოლად ამოიცნობთ, როგორი ხასიათი აქვს.



კომუნიკაბელური

ამ ტიპის მამაკაცი სასწრაფოდ იწერს ნომერს — ქალაღზე, გაზეთზე, ასანთის კოლოფზე — ერთი სიტყვით, ყველანაირ ნივთზე, რაც კი ხელში მოხვდება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ წინაშეა ცვალებადი ხასიათის ადამიანი. მისთვის უცხოა პედანტურობა, მონესრიგებულობა, პირიქით — ზედმინევენით თავისუფლებს მოყვარე, კონტაქტურია, მაგრამ ამავე დროს, სრულებით არ უფრთხილდება ურთიერთობებს. ის უმეტეს შემთხვევაში, კარგავს ასე სპონტანურად ჩანერილ ტელეფონის ნომერს და სრულებითაც არ ნანობს. მართალია, მეგობრული, მხიარული ადამიანია, მის გვერდით არ მოიწყენთ, მაგრამ სერიოზული და ხანგრძლივი ურთიერთობისთვის არ გამოგადგებათ.

კლასიკური

ამ კატეგორიის მამაკაცი დიდ ინ-



ტერესს იწვევს სუსტი სქესის წარმომადგენლებში. ის იღებს ბლოკნოტს და გულდასმით იწერს თქვენი ტელეფონის ნომერს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მამაკაცს ცხოვრება წინასწარ აქვს დაგეგმილი და გარკვეულ განრიგს იცავს; მისთვის ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ამ კატეგორიის მამაკაცი — პუნქტუალური და საიმედო, თუმცა ხშირად მოსაბეზრებელი და უინტერესოა. რაც შეეხება ხანგრძლივ ურთიერთობებს, ის არაფერს გადაწყვეტს მანამ, ვიდრე საფუძვლიანად არ გააცნობთ და თქვენი ხასიათის თავისებურებებს სათანადოდ არ შეისწავლის.

ექსტრავაგანტური

ამ ტიპის მამაკაცი მართლაც რომ ექსტრავაგანტურობით გამოირჩევა. მას შეუძლია სთხოვოს ნებისმიერ გამვლელს საწერ-კალამი და ტელეფონის ნომერი ხელისგულზე წაიწეროს. ის ადვილად ინტერესდება საპირისპირო სქესით და მოვლენების სწრაფად განვითარების მომხრეა. ურთიერთობებს ამყარებს შემდეგი პრინციპით: „შეუძლებელი არაფერია და თუკი მანინც არსებობს ასეთი რამ, არა — ჩემთვის“. ამ ტიპის მამაკაცს, როგორც წესი, გატაცება მალე გაუვლის ხოლმე.

გულმოდგინე

ის რამდენჯერმე, თანაც საგულდაგულად ჩაიწერს თქვენს ნომერს: გაზეთზე, ბლოკნოტში, საბუთებზეც კი. თუმცა მისი გულმოდგინება ნუ მოგატყუებთ: შეიძლება ითქვას, ეს არის ყველაზე დადებითი თვისება ამ ტიპის მამაკაცისა. ის ვერასდროს მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, ის კი არა და, თავისი უმწეობით, უსიტყვო თანაგრძნობასაც იწვევს. ყოველივე ამის შემდეგ თუ კიდევ შეგრჩათ მასთან ურთიერთობის სურვილი, დაუყოვნებლივ გამოიჩინეთ ინიციატივა.

პერსონა-ინდივიდი

საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებზე გამოგნებული შთაბეჭდილების მოხდენა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის მამაკაცის იდეტიქსია. ის დემონსტრაციულად იღებს კალამს და ბლოკნოტს და თითქმის საზეიმო ვითარებაში იწერს „საოცნებო“ ნომერს. მას ყველასა და ყველაფერზე მეტად ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს; ყოველთვის საუკეთესოდ გამოიყურება. ეგოისტური ნატურაა და ახლობლების განცდები ნაკლებად აინტერესებს. მანდილოსნებთან ურთიერთობას უმეტესწილად, როგორც კოლექციონერი, ისე უყურებს...

თანამედროვე

მამაკაცს თქვენი ნომერი მობილური ტელეფონის მეხსიერებაში შეაქვს. ის რაციონალურად თანამედროვე და ნაწილობრივ საიმედოა — ე.ი. თუ მან ჩაიწერა თქვენი ნომერი, აუცილებლად დაგიკავშირდებათ. ის კომფორტის მოყვარული, ამავე დროს საქმიანი და დროის მხრივ საკმაოდ შეზღუდულია. ამიტომ არსებობს საშიშროება, თქვენმა რომანმა ვირტუალური ხასიათი მიიღოს.

ორიბინალური

ამ ტიპის მამაკაცი არასოდეს ჩაიწერს თქვენს ნომერს. გეტყვით, რომ დაიმახსოვრებს... თუმცა ამით მას შთაბეჭდილების მოხდენაც სურს გარშემო მყოფებზე. თავისებური ხასიათი აქვს, რაც ურთიერთობაში დაბრკოლებებს უქმნის. მისთვის მთავარია გაცნობის პროცესი და არა შედეგი. თუმცა თუ გოგონა ნამდვილად მოეწონა, მისი ტელეფონის ნომერს მართლაც დაიმახსოვრებს. ურთიერთობის გაღრმავების შემთხვევაში ის ასეთივე ორიბინალური დარჩება. ასე რომ, მასთან არ მოიწყენთ. ■



ისინეთ და ბანსაზღვრეთ თქვენი ფსიქოლოგიური პრობლემები

ავტორალიელი სპეციალისტების აღმოჩენა იმ ფაქტზეა დაფუძნებული, რომ თითოეული ადამიანის სიცილი განუმეორებელია. სიცილის მანერა კი ყოველთვის შეესაბამება ადამიანის ხასიათს.

როგორ იცინით? თავშეუკავებელი მხიარულებისას სარკეში ჩაიხედეთ, შემდეგ კი შეადარეთ, რამდენად ზუსტია თქვენი ფსიქოლოგიური პროტრეტი.

სიცილისა ნაპა თითით ტურავს ენაზე

საკუთარი შეხედულება გაქვთ კარგი ტონის, გრაციოზულობის, დახვეწილი მანერების შესახებ და ცდილობთ, მას შეესაბამებოდეთ. გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

პირზე ხელს ივარავთ

თავდაჯერება გაკლიათ. მორცხვი ხართ და ჩრდილში ყოფნა გირჩევნიათ.

თავს უკან სწავთ

მიმნდობი ხართ. ზოგჯერ მოულოდნელი საქციელი გჩვევიათ. მხოლოდ გრძნობებით ხელმძღვანელობთ.

ხელით სახეს ან თვას ეხებით

ასე მეოცნებენი და ფანტაზიორები იქცევიან.

სიცილისას ცხვირს ჭრუსნით

განწყობილება, გრძნობები და შეხედულებები ხშირად გეცვლებათ. ემოციური ხართ და ამასთანავე, ჭირვეულიც. ადვილად ემორჩილებით წუთიერ განწყობილებას.



ხამალა იცინით და პირს ფართოდ ალავთ

ტემპერამენტიანი ხართ. თავშეკავება და ზომიერება თქვენთვის უცხო ხილია. ბევრს ლაპარაკობთ და არ გიყვართ სხვების მოსმენა.

თავს წინ წრით, ვიღრა ჩუბად ჩაიციენავლით

კეთილსინდისიერი ადამიანი ხართ, იოლად ეგუებით ნებისმიერ გარემოს და ადამიანებს. გრძნობებს ყოველთვის აკონტროლებთ.

ხელს ნიკაპს ჰკიდებთ

ასაკთან შედარებით ახალგაზრდად გამოიყურებით და ხასიათიც შესაბამისი გაქვთ. ხშირად დაუფიქრებელი მოქმედება გახასიათებთ.

სიცილის კონკრეტული მანერა არა გაქვთ

თქვენ ინდივიდუალისტი ხართ. ყველგან და ყოველთვის საკუთარ მოსაზრებას ეყრდნობით და გარშემო მყოფთა შეხედულებებს თითქმის არასდროს ითვალისწინებთ.

„ბებოების რეცეპტები“ – სახის კანის მოსაგლელად

მზრალი და მოხვეაული კანისთვის

აიღეთ თანაბარი რაოდენობით მრავალპარღვას, პიტნის, ჭინჭრისა და სალბის ფოთლები. დააქუცმაცეთ და მათ ნარევს 2 სუფრის კოვზი მღულარე წყალი ან ყურძნის წვენი დაასხით, შემდეგ კი 50 გ თაფლი შეურიეთ. მიღებული მასა 15 წუთით სახეზე დაიდეთ. ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

მალეზინფექციური ნიღაბი

წყლის აბაზანაზე 100 გ თაფლი ოდნავ შეათბეთ, დაუმატეთ 25 გ სპირტი და 25 გ წყალი. კარგად აურიეთ და სახეზე დაიდეთ. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

მზრალი კანისთვის

1 კვერცხის გულის, 1/2 ჩ/კ თაფლის, 3-4 წვეთი მცენარეული ზეთის, 1 წვეთი ლიმონის წვენისა და 1 ჩ/კ შვრიის ფქვილის ნარევი მიქსერით ათქვიფეთ.



ეს ნიღაბი არა მარტო წმენდს, არამედ კვებავს და ატენიანებს კიდეც კანს.

„ბამაახალგაზრდავებელი“

2 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, 1 კვერცხის გული და 1 ჩ/კ თაფლი ერთმანეთს შეურიეთ. ნიღაბი რეკომენდებულია მზრალი და ნორმალური კანისთვის. არაჩვეულებრივია ნადრევი ნაოჭების პროფილაქტიკისთვისაც.



სოკო ღვინით

50 გ გარჩეულ და გარეცხილ სოკოს დაასხით 250 გ თეთრი ღვინო, დაუმატეთ მარილი და 8-10 წუთის განმავლობაში შუშეთ თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ მოათავსეთ თუშვალანგზე და საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭერით.

2 საშუალო ზომის სტაფილო გახეხეთ, დააჭერით 2 თავი ხახვი, 1 პომიდორი და რამდენიმე ლერი კამა. აურიეთ სოკოში და შეზავეთ ცალკე მომზადებული სოუსით: კარგად ათქვიფეთ 4 ს/კ ზეთი, 1 ლიმონის წვენი (ან ძმარი), ცოტა მარილი და შავი პილპილი.

სოუსით შეზავების შემდეგ, სოკოს სალათა შეგიძლიათ ზეთისხილით გააფორმოთ.



ინფორმაციულ-მედიასფეროში კოლაჟი

ეოზა ღვალის უბის წიგნაკრები:

1. ესპანელები რკოსგან არაყს ხდიან.
2. ტესლა მაგნიტური ინდუქციის ერთეულია.
3. ტერმინუსი საზღვრების ღვთაება იყო, რომელსე მითოლოგიაში.
4. გიორგი შენგელაიამ „ვერის უბნის მელოდიები“ ქუთაისში გადაიღო.
5. ექვთიმე თაყაიშვილს ივანე პოლტორაკის ქალიშვილი, ნინო ჰყავდა ცოლად.
6. ჰაიდუკები თურქ დამპყრობლებთან მებრძოლი უნგრელი პარტიზანები იყვნენ.
7. ნიტილ ხიზილალას ხელით აფასოებენ, მანამდე კი ქილბს მარილწყალში რეცხავენ.
8. ბაიკალის ტბაში მობინადრე არსებობა 60% ენდემურია და სხვაგან არსად გვხვდება.
9. გრიგორიანული კალენდარი რომის პაპმა, გრიგორი X-მ 1582 წელს, იულიუსის კალენდრის ნაცვლად შემოიღო.
10. ფანდანგო ესპანური ხალხური ცეკვაა. მოცეკვავე წყვილები მას გიტარისა და კასტანიეტების აკომპანემენტით ასრულებენ.
11. „ია ბი პაჟილალ ვამ, შტობ ვაში პატრენასტი აბალდივალი ატ ნაშიზ ვაზმოუნასტი“, — ამ სიტყვებით ადღეგრძელა საახალწლო სუფრაზე შეკრებილი ქალბატონები არკადი არკანოვმა.
12. „იგი გახლდათ კოლუმბი ფერთა და ფორმათა ახალი კონტინენტისა“, — ამბობენ ხელოვნებათმცოდნეები პოლ სეზანის შესახებ.
13. გალა და სალვადორ დალი 1934 წელს დაქორწინდნენ. მხატვარი შემდგომში და მანამდეც სურათებს ხელს ასე აწერდა: „სალვადორ დალი და გალა“.
14. აბრაამ ლინკოლნის მკვლელი, ჯონ ბუტი ბრწყინვალე მსახიობი გახლდათ. იგი პირველი იყო მსოფლიოში, ვისაც ალფრედო-ანტონიო თაყვანისმცემლებმა ტანსაცმელი შემოახიეს.



15. ატლანტის ოკეანის თბილი დინება — გოლფსტრიმი, მექსიკის უბიდან იღებს სათავეს, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მიედინება და შპიცბერგენის არქიპელაგისა და კოლის ნახევარკუნძულის ნაპირებამდე აღწევს.

16. მტაცებელი ფრინველის მკურნალობისას, ვეტერინარი ორნითოლოგები ფრთის დაზიანებულ ბუმბულს არ აძრობენ, რადგანაც მის გამზრდას რამდენიმე წელი სჭირდება. ისინი ბუმბულს ერთგვარ რესტავრაციას უკეთებენ — შუაზე ჭრიან, მის ღარში კბილის ჩხირს დებენ, ბუმბულის მოჭრილ ნაწილს მასზე ამაგრებენ და ამგვარად ამთლიანებენ.

მეცნიერება

მეხდასაქმეული გოგონა ანუ საშიში პარტნიორი



ახალგაზრდა მოსკოველი ქალი — ელენა სტეპანკოვა პარტნიორს დენს ურტყამს და მამაკაცი რომ არ მოკლას, სექსის წინ რეზინის ხელთათმანს იცვამს.

გასულ წელს, როცა ელენა ვორობიოვო მთების ფონზე, მეგობრებთან ერთად ახალაღებულ დიპლომს „ასველებდა“, ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. უეტრად გაჩენილმა სფერულმა ელვამ, ახალგაზრდებიდან სწორედ ელენა „შეარჩია“ და რამდენიმე ძლიერი გაელვების შემდეგ, მესტაცემული გოგონა სველ ასფალტზე წაიქცა. საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში მიყვანილი გოგონა რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. ის ძალიან დიდხანს, კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ერთ დღეს სასწაული მოხდა — ელენა არა მარტო კომიდან გამოვიდა, არამედ საავადმყოფოდან სახლშიც საკუთარი ფეხით წავიდა.

გავიდა დრო და ელენამ ეს უბედური შემთხვევა ნელ-ნელა, წარსულს ჩააბარა, მაგრამ ერთხელაც, შხაპის მიღებისას, მან დენის დარტყმა იგრძნო და ხელის მტევნების ირგვლივ რაღაც უცნაური ნათებაც აღმოაჩინა. შემინებულმა იფიქრა: ალბათ, ელექტროგაყვანილობა გაფუჭდაო და მასმინვე ელექტრიკოსი გამოიძახა, ამ უკანასკნელმა კი მავთულშებმული ნათურა მიიტანა — მავთულის ბოლოზე

ელენას ხელის შეხება და ნათურის ანთება ერთი იყო. გოგონა იხსენებს: „აი, მაშინ კი მივხვდი, რომ ჩემს თავს რაღაც არანორმალური ხდებოდა. მართალია, ჩემმა ახალმა უნარმა ოჯახში ბევრი ყოფილი პრობლემა მომიხსნა: დენის გათიშვისას 40-60-ვატიანი ნათურის ანთება თავისუფლად შემიძლია და არც უთოს, ფენის ან მიქსერის დამუხტვა მიჭირს, მაგრამ მრავალი უხერხულობაც შემიქმნა“.

საქმე ისაა, რომ ელენას ერთ ხელზე პლუსი, მეორეზე კი მინუსი აქვს. ამიტომაც საკმარისია, ხელის მტევნები შეაერთოს, რომ მაშინვე წრედი იკვრება. მართალია, თავად ელენას არაფერი უშავდება, მაგრამ საკმარისია, მის ხელისგულებს შორის რაიმე (ან ვინმე) ელექტროგამტარი მოხვდეს, რომ პრობლემებიც მაშინვე იქმნება. ამიტომაც, გოგონას არა მარტო ჭურჭლისა და საარეცხის რეცხვა, არამედ ხელის დაბანაც კი რეზინის ხელთათმანით (რომელსაც ხელზე რიგრიგობით იკეთებს) უწევს.

„ამის გამო ნაცნობები სათოფეზეც აღარ მეკარებიან, — წუხს ელენა. — ამასაც როგორმე გაფუძლებდი, კიდევ უფრო დიდი პრობლემა რომ არ შექმნოდა: ერთხელ, როცა მეგობარ ვაჟთან ერთად სექსით ვიყავით დაკავებული და ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ნელზე ხელები შემოვაჭდე, დენმა ისე დაარტყა, რომ მის მოსაბრუნებლად „სასწრაფოს“ გამოძახება დამჭირდა“.

ამ ამბის შემდეგ ელენა რეზინის ხელთათმანს საწოლშიც კი იცვამს. „ამით უსაფრთხოების ანუ არასასურველი ფეხმძიმობის პრობლემაც საბოლოოდ გადავჭერი. — ელიმება ელენას. — ჩემი შეყვარებული ხომ აღარც პრეზერვატივით სექსზე მეუბნება უარს, რადგან დენის დარტყმის ეშინია“...

სლოკინი ანუ მოუპოვებელი ჭირი

ბრიტანელი მუსიკოსი, კრის სანდესი საკვებით სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობდა: ავეთბდა საყვარელ საქმეს, აქტიურად ურთიერთობდა მეგობრებთან და ახლობლებთან, მოგზაურობდა, მაგრამ მალე, მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა — 2006 წლის სექტემბერში სანდესმა სლოკინი დაიწყო. მართალია, გარკვეული დროის შემდეგ გაუარა, მაგრამ

2007 წლის თებერვალში კვლავ შეახსენა თავი და ახლა მოსვენებას აღარ აძლევს.

შეიძლება ითქვას, რომ კრისის პრობლემასთან ბრძოლით ექიმები უკვე გვარაინად დაილაღნენ. მკურნალობის უამრავი სხვადასხვა, მათ შორის, არატრადიციული (ჰიპნოზი და იოგა) კურსის გავლის მიუხედავად, მუსიკოსს არაფერმა უშველა და



ინფორმაციულ-პეიჯი

ეოზი ღვალის უბის ნივთიერება:

17. იოლოპუკი ფინელთა სანტა-კლაუსია. „იოლო“ ფინურად შობას ნიშნავს, „პუკი“ — თხას. ფინელი თოვლის ბაბუა თხის ტყავისგან შეკერილ ჯუბას ატარებდა და მისი სახელიც აქედან წარმოიშვა.

18. ყოველწლიურ ასპარეზობებზე, კანადელი შემსიმჭრელები ხის მორის შუაზე გადაჭრა-გადაჩხვამი ეჯიბრებიან ერთმანეთს. მათ მიერ მოქმედი გრძელტარანი ცულის სიჩქარე 130 კმ/სთ გახლავთ.

19. შექსპირისეულ ეპოქაში, ლონდონის თეატრებში ფარიკაობის სცენები საკმაოდ მაღალ დონეზე იდგებოდა. ინგლისელმა დრამატურგმა იტალიელ ოსტატ ვინჩენცე სავიოლასგან ზედმინიერით შეისწავლა ფარიკაობა, რათა საკუთარ სპექტაკლებში დადგული ორთაბრძოლის სცენებში დამაჯერებლად ეთამაშა.

20. ფრანც შუბერტმა მთელი ცხოვრება სილარბუმი გაატარა. ავსტრიულ კომპოზიტორს ახლო ბლებისთვის დახმარების თხოვნაც კი არ შეეძლო — ეს თავის დამცირებდა მიაჩნდა და ამის გამო, ლუკამაჟის საშოვნელად მდიდართა შვილებს ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა.

შუბერტმა საყვარელი ქალიც ვერ შეირთო ცოლად — სასიმამრომ იგი ვიღაც მდიდარ არისტოკრატზე გაათხოვა. კრედიტორებისგან შენუხებულმა კომპოზიტორმა ერთხელ აივანზე სერთუკიც კი გამოკიდა, გადმობრუნებული ჯიბეებით, რათა მეველებსთვის ეცნობებინა, ვალის დასაფარავად გრომიც ალარ მათადიაო.

21. კუნძულ ბორნეოზე არსებობს ბომბის სოფელი. ამ კუნძულზე 100 წლის წინ გადასახლებულ ემიგრანტებს წყალში ჩადგმულ ბამბუკის ხიმინჯებზე აშენებულ ქოხებში უწევთ ცხოვრება, რადგანაც ადგილობრივი მთავრობა მათ მიწას არ აძლევს. P.S. ისე, ბორნეოზე რა უნდოდათ დალოცვილებს, ჩვენთან ჩამოსულიყვნენ და მიწასაც მიეცემდით, სალოცავებსაც ავაშენებინებდით, გაუფასვნიდით სკოლას, უნივერსიტეტს, თეატრს, გამოუყოფდით სასაფლაოს, დავიმოყვრებდით, შვილებს მოუუნათლავდით, სატელევიზიო გადაცემებში მივიწვევდით, ავტონომიას მიეცემდით, ეროვნულ თვითგამორკვევაში დაეხმარებოდით და როცა იმის მტკიცებას დაიწყებდნენ, საქართველოს ძირძველი მოსახლეობა ვართ და აქედან „დაახვიეთო“, მათ მიერ მოწონებული ტერიტორიებიდან კისრისტყვით გამოვიქცევდით.



რომ ადრე თუ გვიან, ექიმები ამ პრობლემისგან გაათავისუფლებენ და ამერიკელი ჩარლზ ოსბორნის (ამ უბედურს მთელი 68 წელი — 1922-დან 1990 წლის ჩათვლით ასლოკინებდა) ბედს არ გაიზიარებს.

ახლა, ძილშიც კი განუწყვეტილვ ასლოკინებს.

ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ესოდენ უჩვეულო გადახრის მიზეზი კუჭის პათოლოგიაა. ნოტინგემის სამედიცინო ცენტრში ჩატარებული საფუძვლიანი გამოკვლევების თანახმად, კრისის კუჭის სარქველი აქვს დაზიანებული და ამის გამო, ეს ორგანო არასრულფასოვნად ფუნქციონირებს. სწორედ ამის შედეგია გაბუდმებული ასლოკინიც, რომლის შეჩერებაც ამ ეტაპზე, უბრალოდ, შეუძლებელია.

ექიმებმა კრისს მუდმივი კონტროლი — კუჭში სპეციალური მილის ჩადგმა შესთავაზეს, რომელიც სიმუხვსა და ბევრ სხვა მარცხვანაშვლას დააფიქსირებს. მუსიკოსს ტვინისა და გულმკერდის სკანირება და ბევრი სხვა პროცედურაც ჩაუტარეს, მაგრამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი მაინც ვერ იპოვეს. თუმცა, თავად კრისს სანდის იმედს არ კარგავს. მას სჯერა,

ბიჭუნა, როგორსაც არასდროს სძინავს

ეს უცნაური ბიჭუნა ქვეყანას 3 წლის წინ მოევიდა. სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე მან ჯერ მშობლებისა და ადგილობრივი კლინიკის ექიმების, შემდეგ კი ბევრი სხვა ქვეყნის სპეციალისტების შემოთვბაც გამოიწვია.

ერთი შეხედვით, რეტი სხვა ბავშვებისგან თითქმის არაფრით განსხვავდება. ისიც თანატოლებით მოუს-



ვენარი, ცნობისმოყვარეა, გატაცებულია სხვადასხვა თამაშით და უფროსების ყურადღებაც ძალიან სიამოვნებს. მისი უცნაურობა იმაში გამოიხატება, რომ ამ ბავშვს არასდროს (არც დღე და არც — ღამე) სძინავს.

თავიდან რეტის ასეთი საქციელი

მის მშობლებს ჭკუიდან შლიდა, ექიმები კი გამოკვლევას გამოკვლევებზე უტარებდნენ და ბოლოს, აშკარა პათოლოგია — არნოლდ-კიარის დავადება დაუდგინეს. ეს სენი თავის ტვინში მთელ რიგ შეუქცევად ცვლილებებსა და გადახრებს იწვევს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვის თავის ტვინი სწორედ იმ უბანშია შეკუმშული, რომელიც ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, კერძოდ კი ძილზე, მეტყველებასა და სუნთქვაზე აგებს პასუხს.

მიუხედავად იმისა, რომ ბიჭუნას ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობა შესწოთების საბაბს არ იძლევა, ექიმები მის მომავალზე მაინც ძალიან წუხან. მათი თქმით, არავინ იცის, რამდენ ხანს შეძლებს ბავშვის ორგანიზმი მსგავს რეჟიმში ფუნქციონირებას, ამიტომაც პრობლემაზე მუშაობა ერთდროულად, რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს.

არაჩვეულებრივი ბიჭუნა ჯერჯერობით, ისევ ძველებურად ფხიზლობს. ერთი შეხედვით, ვერც მიხვდებით, თუ მის თავს რაიმე უჩვეულო ხდება. უბრალოდ, ცოტა გამოუძინებელი, ოდნავ დაღლილი გეგონებათ. როდემდე გასტანს მისი ასეთი მდგომარეობა და რამდენ ხანს გაუძლებს პატარა რეტ ღამში ამ ყველაფერს, მომავალი გვიჩვენებს, მის მშობლებს კი იმედი აქვთ, რომ რომელიმე სახელგანთქმული ექიმი უთუოდ რაიმეს მოიფიქრებს და მათ პირმშოს მძიმე ყოფას ოდნავ მაინც შეუმსუბუქებს.



სლავების გაქრისტიანება, ათონის მთის ქართული მონასტრები და ტაო-კლარჯეთის აღმავლობის ხანა

IX საუკუნიდან ათონის მთა მძლავრ ქრისტიანულ კერად იწყებს ჩამოყალიბებას, რასაც აღმოსავლეთ ტერიტორიებზე არაბი დამპყრობლების გამოჩენამ შეუწყო ხელი. ამავე პერიოდში აღორძინდა თითქმის გაპარტახებული და მოსახლეობისგან დაცლილი ტაო-კლარჯეთი და რომ არა დიდი თურქობა, მონღოლთა შემოსევების ახალი ტალღა, შესაძლოა, ტაო-კლარჯეთში გაცილებით დიდი ქრისტიანული კერები ჩამოყალიბებულიყო, ვიდრე ათონის მთაზე.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაპარი (აბესაძე):

— სლავებს შორის ქრისტიანობის გავრცელება IX საუკუნიდან დაიწყო და ამავე პერიოდში იწყებს ჩამოყალიბებას ადგილობრივი ეკლესიების. საინტერესოა, სლავებს შორის ქრისტიანობა ამ დრომდე რატომ არ გავრცელდა?

— ამ პერიოდში გერმანელთა გარკვეული ტომები სლავ მებრძოლებს საომრად იწვევდნენ და ამისთვის საზღაურსაც უხდინდნენ. ისინი დაქირავებული მეთრეველები იყვნენ. პირველ საუკუნეში, დღევანდელი უკრაინის ტერიტორიაზე ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა, მაგრამ მის ქადაგებას სლავებს შორის ქრისტიანობის გავრცელება არ მოჰყოლია, რადგან ამ ტერიტორიებზე არ არსებობდა სახელმწიფოებრივი წყობილება. ისტორიულად, ქრისტიანობის გავრცელებას ადგილობრივი ერებში სახელმწიფოებრიობა უწყობდა ხელს. როდესაც მოციქული ორგანიზებულ სახელმწიფოში შედიოდა და ქრისტიანობაზე მოაქცევდა თუნდაც რამდენიმე კაცს, ქრისტიანობის გავრცელება თავისთავად, უკვე გეომეტრიული პროცესით ვრცელდებოდა, ხოლო როდესაც ტომები და ცალ-ცალკე ხალხი არაორგანიზებულად ცხოვრობდა, მოციქულებისთვის მათი მოქცევა ძნელი, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო და სწორედ ამის გამო მოხდა ქრისტიანობის მოგვიანებით გავრცელება სლავებში, გერმანულ და სკანდინავიურ ტომებშიც. მას შემდეგ, რაც ამ ტომების გაერთიანება გარკვეული სახით მოხდა, მათ შორის ქრისტიანობის გავრცელებაც შესაძლებელი გახდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ IX საუკუნემდე სლავებს შორის ქრისტიანები საერთოდ არ არსებობდნენ — სლავი ქრისტიანები ადრეულ


საუკუნეებშიც იყვნენ, მაგრამ ქრისტეს მიმდევრები მხოლოდ ერთეულები ხდებოდნენ.

IX საუკუნიდან ქრისტიანობა პირველად ბულგარელებმა და ჩეხებმა მიიღეს, რომელთაც ტერიტორიულად უშუალო შეხება ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან — მის საზღვართან ცხოვრობდნენ. სლავებს შორის ყველაზე გვიან ქრისტიანობაზე რუსები მოექცნენ, რადგან ბიზანტიის იმპერიის საზღვრებიდან ტერიტორიულად ყველაზე შორს ცხოვრობდნენ.

როგორც ვთქვით, სლავებს შორის ისევე, როგორც ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიიდან მოქცეულ სხვა ერებშიც, სარწმუნოებრივი ქადაგება მიმდინარეობდა მშობლიურ ენაზე, რამაც ამ ერებში მართლმადიდებლობის — ჭეშმარიტი ქრისტიანობის გავრცელება და შენარჩუნება განაპირობა, ხოლო დასავლეთის ერებში ეს ყველაფერი ლათინურ ენაზე ხდებოდა და ცხადია, ადგილობრივი ხალხი ქრისტიანობის ნამდვილ არსს ვერ ხვდებოდა, რამაც მათ შორის ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას შეუშალა ხელი და მოხდა ქრისტიანობასთან ადგილობრივი წარმოდგენების სინთეზი, რასაც შემდგომში, გვიან საუკუნეებში უამრავი ერის წარმოქმნა მოჰყვა.

როდესაც VII საუკუნეში არაბებმა

ტაო-კლარჯეთი



გიორგი ხანძთელი

იერუსალიმი დაიპყრეს, იერუსალიმის პატრიარქმა, სოფრომმა კეთილგონიერება გამოიჩინა და არაბთა ხალხიუხა ომის დაცვის სიგელის საფუძველზე გადასცა იერუსალიმი — სწორედ ამის წყალობით, არაბთა დარბევისგან არაერთხელ იხსნა იერუსალიმი და მართლმადიდებლური სინამდინეები.

როგორც ვიცით, არაბთა შემოსევებს წინ უძღოდა ამ რეგიონების გამონოფიზიტება — ვიდრე არაბები შემოვიდოდნენ, ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა მონოფიზიტი გახდა, რამაც არაბთა შემოსევის შემდეგ ამ რეგიონების გამაჰმადიანება გამოიწვია...

— IX საუკუნიდან იწყებს ჩამოყალიბებას ათონის მთაზე, მძლავრი სამონასტრო ცენტრის სახით...

— ათონის მთაზე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდან — IV საუკუნიდან უკვე მკვიდრობდნენ განდევნილი ბერები, მაგრამ მძლავრ



ქრისტიანულ კერად ის IX საუკუნიდან ინყებს ჩამოყალიბებას. ერთ-ერთი პირველები, ვინც ათონის სამონასტრო ცენტრების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ, ქართველები იყვნენ. ათონის მთაზე პირველი დიდი ლავრა IX საუკუნეში, მამა ათანასე დიდმა დააარსა. ამ მონასტრის წევრების უმეტესობა ქართველები იყვნენ, მათ შორის გახლდათ წმინდა გიორგი მთაწმინდელიც, რომელიც შემდგომში ივერთა მონასტერს აარსებს...

ათონის მთის მძლავრი სამონასტრო კერის სახით ჩამოყალიბებას აღმოსავლეთ ტერიტორიებზე არაბი დამპყრობლების გამოჩენამ შეუწყობ ხელი. ვიცით, რომ VIII საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიები არაბებმა დაიპყრეს და მუსლიმანებმა ქრისტიანთა დევნა დაიწყეს. შესაბამისად, გაუსაძლისი პირობები შეიქმნა განმარტოებით მოღვაწეობისთვის. აღმოსავლეთიდან, სადაც ბერმონაზვნობის უდიდესი კერები არსებობდა, ქრისტიან მოღვაწეთა მასობრივი გადინება დაიწყო და მათმა უმეტესობამ ათონის მთაზე მოიყარა თავი — რადგან აღმოსავლეთთან ყველაზე ახლოს ათონის მთა იყო. ამ პერიოდში ათონის მთა ყველაზე მეტად იყო დაცული, მისი დარბევისა და დაპყრობის საფრთხე ნაკლებად არსებობდა, რადგან წმინდა მთა ნახევარკუნძულზე მდებარეობს და კონტინენტებიდან მათა სისტემა ყოფს; იქ არც მოსახლეობა ცხოვრობდა და ამ ყველაფრის გამო, მტრის არმიებიც ნაკლებად ცდილობდნენ, მასზე რაიმე სამხედრო ოპერაციები განეხორციელებინათ, მხოლოდ ზოგჯერ, მოღვაწეებს წვრილ-წვრილი ჯგუფები ესხმოდნენ თავს, ძვირად ღირებული ნივთები რომ მიეთვისებინათ.

ათონის მთას სამოღვაწეოდ ქარ-

ივერონის ქართული მონასტერი



თველმა მამებმაც მიაშურეს, რომლებიც, როგორც ვთქვით, პირველად წმინდა ათანასე დიდის ლავრაში დამკვიდრდნენ. ერთ-ერთი პირველთაგანი იყო წმინდა გიორგი მთაწმინდელი. მალე

ქართველებმა ცალკე მონასტერი დააარსეს, რომელიც ივერონის მონასტრის სახელწოდებითაა ცნობილი.

ივერონის — ქართველთა მონასტრი დაარსდა ქართველი მოღვაწეების — იოანე მთაწმინდელისა და იოანე-თორნიკეყოფილის (იოანე-თორნიკეყოფილი ერისკაცობაში თორნიკე ერისთავი, იოანე მთაწმინდელის ხორციელი ძმა გახლდათ) მიერ; 976 წელს, ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორებს — ბასილსა და კონსტანტინეს მცირე აზიის მმართველი, ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. აჯანყებულმა სარდალმა კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყა. სასონარკვეთილმა დედოფალმა — თეოფანიამ ათონის მთაზე მოღვაწე იოანე-თორნიკეყოფილს მიმართა: — საქართველოს მეფესთან მიშუამდგომ-



ათონის მთა

ლე, დამეხმაროს... ქართველთა 12-ათასიანი არმიის დახმარებით, რომელთაც იოანე-თორნიკე სარდლობდა, აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხება შეძლეს და ამის გამო, მთელი ალაფი — სამხედრო ნადავლი, რაც წესით, მეფისა და მეომრების კუთვნილება იყო, იოანე-თორნიკეყოფილს გადასცეს. სწორედ ამ შემონირულობის წყალობით ააშენეს ათონის მთაზე ქართული მონასტერი...

IX საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ, როდესაც არაბთა დამპყრობლობის პირველმა ტალღამ გადაიარა, ქრისტიანობას გასაქანი პალესტინაშიც მიეცა. მართალია, დევნა არ შეწყვეტილა, მაგრამ მას ისეთი მასობრივი ხასიათი აღარ ჰქონდა, როგორც VII-VIII საუკუნეებში. IX საუკუ-

ნის ბოლოდან და X საუკუნეში საბან-მინდის ლავრაში კვლავ აღორძინდა ქრისტიანული ცხოვრება. ამ პერი-



წმინდა ათანასეს ლავრა

ოდში არაბებს ქრისტიანების მიმართ აღარ ჰქონდათ ისეთი აგრესიული დამოკიდებულება და სწორედ ამან განაპირობა საბანმინდის ლავრაში სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლება. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის საბანმინდის ქართული ხელნაწერების კოლექციაც, რომელთა ნაწილი დღემდე არსებობს. ამავე პერიოდში ყალიბდება სინას მთის მონასტრებიც.

როგორც ცნობილია, IX-X საუკუნეები საკმაოდ წარმატებულია საქართველოს ეკლესიისთვის...

ეს პერიოდი მართლაც, გამორჩეულად წარმატებულია საქართველოს ეკლესიისთვის, რომელსაც შეიძლება, გრიგოლ ხანძთელის ხანა ვუწოდოთ. სწორედ ამ პერიოდში აღორძინდა თითქმის გაპარტახებული და მოსახლეობისგან დაცლილი ტაო-კლარჯეთი — გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამოღვაწეების მიერ. 80 წლის მანძილზე, რაც გრიგოლ ხანძთელი ამ ტერიტორიაზე მოღვაწეობდა, უამრავი მონასტერი იქნა დაარსებული, აღდგა ძველი ტაძრები. IX საუკუნე ტაო-კლარჯეთის აღმავლობის ხანაა. ამ პერიოდში საქართველოში უძლიერესი ქრისტიანული ცენტრები ჩამოყალიბდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მუსლიმანთა ალყაში იყო მოქცეული და ქართული ნათარგმნი ლიტერატურის დიდი ნაწილიც სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის და რომ არა ის ავბედითი პერიოდი, რომელიც შემდეგ, დიდი თურქობისა და მონღოლთა შემოსევების სახით დაატყდა საქართველოს თავს, შესაძლოა, ტაო-კლარჯეთში გაცილებით დიდი ქრისტიანული კერები ჩამოყალიბებულყო, ვიდრე ათონის მთაზე.



გული და მისი მუშაობა

ტყუალად როდი ამბობენ, ყველა დაავადების სათავე ნერვებიდან მოდისო.

ხდება ხოლმე, რომ დილით, ახალგაღვიძებულზე გული გიფანცქალებს, პულსი წუთში 100-120-ს აღწევს და თან, ეს ყველაფერი თითქოს, უმიზეზოდ, ყოველგვარი საბაბის გარეშე ხდება. გადის ერთი დღე, ორი დღე, თვე და ბოლოს, შემოთვალისწინებულ მიმართავ კარდიოლოგს. ექიმი გადაგიღებს ელექტროკარდიოგრამას და გეუბნება, რომ ყველაფერი წესრიგშია და პანიკის საფუძველი არა გაქვს, მაგრამ მისი არ გჯერა, რადგან სწრაფი გულისცემის შეგრძნება და გულმკერდის არემი ტკივილი თავს არ განებებს.


ექიმების ენაზე, გულისცემის გახშირებას ტაქიკარდია ეწოდება. ამ სენის 7 ნაირსახეობა და ურიცხვი ქვესახეობა არსებობს. ჩვეულებრივ, როცა გული გინწყობთ „გოჯივით“ ცემას, ეს იმის მანიშნებელია, რომ რაღაც წესრიგში არ არის, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გული ნორმაშია, მაშინ რატომ იწყებს ის გამაღებით მუშაობას? — ამის მიზეზი სტრესია. ამგვარ ტაქიკარდიას ნერვულს უწოდებენ და იგი აუცილებლად საჭიროებს მკურნალობას.

გულისცემის რეგულარული გახშირება (ახსოვთკარად ჯანმრთელი გულის შემთხვევაშიც კი) დროთა განმავლობაში ადუნებს გულის კუნთს (მიოკარდს); თუ ნერვულ ტაქიკარდიას სათანადო ყურადღებას არ მიაქცევთ, ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდება და შესაძლოა, ინფარქტსაც გამოჰკრათ ხელი.

გახსოვდეთ: რაც უფრო ნაკლებს ინერვიულებთ, მით უკეთ იგრძნობთ თავს!.. როცა პრობლემები გაქვს, ძნელია, არ ინერვიულო, მაგრამ უნდა შეეცადო მაინც. ამაში მარტივი აუტოტრენინგი დაგეხმარებათ, მხოლოდ წარმოსახვის უნარის დაძაბვა მოგიწევთ: პრობლემა, რომელიც სულს გიღრღნით, დიდი ტალღის სახით წარმოიდგინეთ (ან ამის მსგავს რამედ) წარმოსახვით მიბრუნდით თქვენკენ მომართული ტალღისკენ, თან წარმოიდგინეთ, რომ იმყოფებით მყარ, მახვილკუთხიან ჯავშანში და მიემართებით „პრობლემისკენ“. აი, წყლის ბორბალმა თქვენამდე მოაღწია და დაიმსხვრა ისე, რომ ვერ შეძლო თქვენი ჯავშნისთვის ზიანის მოყენება. ნებისმიერ სანერვიულო და სტრესულ სიტუაციაში შეგიძლიათ, წარმოსახვის ამგვარად ამუშავეთ და გვერდმუხნეთ, ეს დიდ შევებას მოგგვრით.

რიზმის ნორმალისა

ნერვული ტაქიკარდია სხვა სახის ტაქიკარდიისგან მკვეთრად განსხვავდება,



თუნდაც იმით, რომ მის მოსახსენებლად ტაბლეტების ყლაპვა სულაც არაა აუცილებელი; ამისათვის არსებობს უამრავი ნაცადი და სანდო მეთოდი. აქვე გეტყვით, რომ იმან, რაც ერთს შეეღობა, შეიძლება მეორეზე არც კი იმოქმედოს. ასე რომ, სცადეთ სხვადასხვა მეთოდი და მათ შორის ყველაზე ეფექტიანი აირჩიეთ:

* ღრმა ჩასუნთქვის შემდეგ შეიკავთ სუნთქვა — 10-15 წამით, დაძაბეთ კიდურების კუნთები და მუცლის პრესი. ამოისუნთქეთ. თუ შეგიძლიათ, დადექით თავზე ან გააკეთეთ „სანთელი“. ამის შემდეგ გაიკეთეთ იმ აქტიური ზონების მასირება, რომლებიც განლაგებულია ქვედა ყბის კუთხეების დონეზე, ყბის სახსრის ოდნავ ზევით.

* გაისინჯეთ პულსი, დახუჭეთ თვალები, ყურადღების კონცენტრირება მოახდინეთ იმაზე, თუ რას გრძნობთ და თანდათანობით წარმოიდგინეთ, როგორ გიმშვიდდებათ გული, პულსი სულ უფრო და უფრო, თანაბარი გიხდებათ... 5-7 შეტევის შემდეგ, როგორც წესი, გულისცემა ნორმას უბრუნდება.

ბაზილის რეჟიმი

აირჩიეთ თქვენთვის მოსაწონი მცენარეული ნარევი, ყველა მათგანს ერთნაირი მოქმედების უნარი აქვს:

* აიღეთ თანაბარი რაოდენობით ბარამბო, კატაბალახას ფესვები და ფარსმანდუკი. 2 ჩვ დაქუცმაცებულ მცენარეულ ნარევს დაასხით 1 ჩვ ცივი წყალი და 3 საათით გააჩერეთ მაცივარში. დღის განმავლობაში მიიღეთ ყლუპ-ყლუპობით — თითო ჯერზე 3-4 ყლუპი. მკურნალობის კურსი 2 კვირას შეადგენს.

* შეურიეთ თანაბარი რაოდენობით კუნელის გამომშრალი ნაყოფი, ქიშმიში და კურაგა (გარგარის ჩირი). 1 ჩვ ნარევს დაასხით 1 ლ მდულარე წყალი და გააჩერეთ მთელი ღამე თერმოსში, მეორე დღიდან კი მიიღეთ ჩაის ნაცვლად. მისი მოხმარება შეგიძლიათ განუსაზღვრელი დროის განმავლობაში.

* აიღეთ 1 ჩვ ვარდაკაჭაჭას ფესვის

ფხვნილი, დაამატეთ 2 ჩვ წყალი და ადუღეთ 5-10 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი 1 საათით დააყენეთ. 1/2 ჩვ გაფილტრული ნაყენი მიიღეთ დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ. შეგიძლიათ, კარგი გემოს მისაცემად დაუმატოთ თავილი ან შაქარი. ამ ნაყენის მიღება მუდმივად შეგიძლიათ.

ნერვული ტაქიკარდიის დროს კარგია ბიოლოგიურად აქტიური ნერტილების მასირება, რომელიც უნდა აწარმოთ განუწყვეტლევად, ნელი და სრი-ალა მოძრაობებით, ძლიერი ზეწოლითა და თანდათანობით მზარდი ძალით. მასირებისას მამაკაცებს უფრო ძლიერად უნდა დაანვეთ, ვიდრე ქალებს — ეს პროცედურა გრძელდება 3 წუთამდე, შეტევების ხანგრძლივობისა და სიძლიერიდან გამომდინარე:

* ნერტილი I — წყვილია, მდებარეობს ხერხემლის კიდევში, გულმკერდის მე-9 და მე-10 მალთაშუა დონეზე;

* ნერტილი II — წყვილია, მდებარეობს ნეკა თითის გარეთა კიდეზე ფრჩხილის ძირიდან 3 მმ-ს დაშორებით. ეს მთავარი ნერტილია, ამიტომ, როცა ძლიერი გულისცემა გეწყებათ, შეგიძლიათ, მხოლოდ ამ ნერტილის მასირება მოახდინოთ;

* ნერტილი III — წყვილია, მდებარეობს სხივ-მტევის სახსრის დონეზე, სხივის ძვლის კიდესთან;

* ნერტილი IV — წყვილია, მდებარეობს ხელის მტევის ზურგზე, ცრა და საჩვენებელ თითებს შორის არსებულ ჩალრმავებაში;

* ნერტილი V — წყვილია, მდებარეობს მუხლის თევზის ქვედა კიდიდან 3 უნციონით ქვემოთ. 1 უნციონის სიდიდე ყველა დამაინისათვის ინდივიდუალურია და ხელის შუა თითის განივი კვეთის ტოლია.

აპარჯიშთი გული!

თუ თქვენ ხშირად განუხებთ ნერვული ტაქიკარდია, შეეცადეთ, ფხვები მეტად დატვირთოთ. თემოების დიდი კუნთები, შეკუმშვა-მოდუნების პროცესში ემსგავსება ნასოსს, რომელიც გულს სისხლის გადაქაჩვაში ეხმარება. რასაკვირველია, სირბილი და ხტუნვა საჭირო არაა; საკმარისია, ყოველდღიურად 4-5 კმ მანძილზე საშუალო ტემპით სიარული (ეს დაახლოებით, ორჯერ ნახევარსაათიანი სეირნობის ტოლფასია).

ნერვული ტაქიკარდიის ამოსაცნობი ყველაზე მარტივი ტესტი:

რამდენიმე წვთი კორვალოლი და ვალერიანი ერთმანეთში აურიეთ (რამდენი წლისაც ხართ იმდენი წვთი მიიღეთ, მაგრამ 50 წვთი მეტი არაა რეკომენდებული) და მიიღეთ. თუ ტაქიკარდია ამ ნარვის მიღებისთანავე გაგივლით, სავარაუდოა, რომ იგი ნერვული წარმოშობისაა.

ეს საინტერესოა

ხშირად, 16-18 წლის ახალგაზრდებს ტაქიკარდია უკითარდებათ. ამის ახსნა შეიძლება ორგანიზმში ჰორმონების ბობოქრობით, რაც გულს დამატებით ტვირთავს. 1-2 წლის შემდეგ ასეთი ტიპის ტაქიკარდია თავისთავად, მკურნალობის გარეშეც ქრება. ■




სირბილი ზონის სალად მუშაობას უწყობს ხელს

ნევროლოგებმა აღმოაჩინეს, რომ სირბილი ახდენს ტვინის სტიმულაციას და კარგად მოქმედებს გონებრივ შესაძლებლობებზე. სიბერესთან ბრძოლის ნაციონალურ ინსტიტუტში ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ სირბილი ხელს უწყობს მასსოვრობასთან დაკავშირებული ასობით ათასი ახალი უჯრედის ზრდას. ამ აღმოჩენამ შეიძლება, სიბერესთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.

ქარვა — ჯანმრთელობისა და ბედნიერების ქვა

ადამიანები ქარვას უძველესი დროიდან, სამკაულადაც იყენებდნენ და სამკურნალო საშუალებადაც. იგი აღიარებული იყო ყველა დაავადების მკურნალად და მის „ჯადოსნურ“ ძალაზე მრავალი ლეგენდა არსებობდა. ის დადებითად მოქმედებს ფარისებრ ჯირკვალზე, ელენთასა და გულზე. ქარვის სამკაული გვიუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ამინდის მკვეთრ ცვლილებასა და მაგნიტური ქარების ცუდ გავლენას ამსუბუქებს.



ადრე განსაკუთრებით, თეთრი სამკურნალო ქარვა ფასობდა — მას ნებისმიერი დაავადების უბადლო მკურნალად მიიჩნევდნენ. ამ ქვით მკურნალობდნენ ახლომხედველობას, კატარაქტას, გულის დაავადებებს, ანგინას, აჩრებდნენ ლებინებასა და სისხლიან ხველას, ათავისუფლებდნენ თირკმლებსა და ნალვლის ბუშტს ქვებისგან, აუმჯობესებდნენ შარდის გამოყოფას. თურმე, თირკმლებში ქვების წარმოშობის შესაფერხებლად, მარტინ ლუთერი ჯიბით მუდმივად ატარებდა ქარვის ნატებს.

ქარვის დახმარებით აძლიერებდნენ მუცლის ღრუს ორგანოებს. მას ფხვნილის სახით (წყალთან ერთად) ნიშნავდნენ კუჭის დაავადებების დროს; ვარდის ზეთში ან თაფლში გაგლესილი ქარვით შველოდნენ თვალისა და ყურის დაავადებებს, ასევე ნახეთქებს ფეხებზე. მიიჩნეოდა, რომ ქარვას შხამის აღმოჩენაც კი შეეძლო: „თუ სასმელი სავე ბოკალში ქარვის ნატებს ჩავევლებს და მასში გაჩნდება მოციმციმე, ტკაცუნის ხმის გამოცემი სხივი, ე.ი. იქ შხამია...“

ქარვა გამოიყენებოდა გულის ნასვლის (ქარვის ზეთი ნიშადურის სპირტთან ერთად), თავბრუს ხვევის, სისხლდენის, დაჩირქების, სიმსივნის, ძლიერი ხველის, ქლექის, კრუნჩხვებისა და ჰიპოქონდრიის წინააღმდეგ. ქარვით მკურნალობდნენ (მას მოიხმარდნენ პროფილაქტიკის მიზნითაც) რიგ ქალურ დაავადებას, გაცივებას და ე.წ. ჭიან კბილებს. მიიჩნეოდა, რომ ქარვა შველოდა ჭკუასუსტობასა და ჰაერის უკმარისობას, ცხელებას, სიყვილეს,

სიყრუეს, ნივთიერებათა ცვლის მოშლას, სისხლძარღვების დაავადებებს, ყვიანახველასა და კოლიკას ბავშვებში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ქარვა მისი მფლობელისთვის სილამაზისა და დღეგრძელობის მიმნიჭებელ საშუალებად იყო მიჩნეული. ორსულ ქალებს ქარვის მუდმივად ტარებას ურჩევდნენ — ასე ნაყოფიც კარგად განვითარდება და ნორმალური მშობიარობაც გარანტირებული იქნება.

ქარვის სამკურნალო თვისებებზე წერდა ცნობილი რომაელი ექიმი გალენი და აბუ ალი იბნ სინა (ავიცენა). ძველ წიგნებში სახალხო მკურნალების მიერ მოწოდებული, ქარვის უამრავი რეცეპტის ნახვაა შესაძლებელი. პოლონეთში ამ ქვისგან დამზადებულ ნაყენს დღემდე მიირთმევენ გაცივების, ყელისა და სასუნთქი გზების დაავადებების დროს. ცნობილია, რომ პოლონური ქარვის არაყი კარგად კურნავს ანგინასა და გაცივებას. ამ ქვისგან დამზადებული მუნდშტუკით სიგარეტის მოწევა ნიკოტინის მოქმედებით გამოწვეული კიბოს განვითარების რისკს საგრძნობლად აქვეითებს. ქარვის ფხვნილს ყნოსავენ (ისე, როგორც თუთუნს) ზემო სასუნთქი გზების დაავადებების დროს. და კიდევ, როცა ბავშვს კბილები ამოსდის, მას ქარვის ნატებს აძლევენ „გასახრავად“.

ქარვის მეშვეობით თავის ტკივილი იოლად დაცხრება: ავილოთ ქარვის გაპრიალებულზედაპირიანი ფირფიტა და მტკივნეული არე დავიზილოთ წრიული მოძრაობით (საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით). 10-15 წუთში ტკივილი უკვალოდ გაქრება.

ქარვის მჟავას სამედიცინო მოქმედების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა: ის ასტიმულირებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს თირკმლების მუშაობას, არის სტრესის, ანთების საწინააღმდეგო და მიიჩნევა ანტიტოქსიკურ საშუალებად. მისგან დამზადებულ პრეპარატებს შეუძლია სისხლში მჟავატუტინობის ბალანსის ნორმალიზება და მისუსტებული, ძალაგამოლეული მოხუცების მოძლიერება. ქარვა რეკომენდებულია გულის კუნთის პათოლოგიების, ართრიტის, ანემიის მკურნალობისას, ის არის სუნთქვის ფიზიოლოგიური სტიმულატორი და ა.შ.

ქარვას იყენებენ რელიგიური რიტუალების შესრულებისას — ის კარგად იწვის და გამოყოფს სურნელოვან კვამლს. ძველად, ახალდაქორწინებულებისა და ახალშობილების ოთახს ქარვის კვამლით ავსებდნენ, მიიჩნევდნენ, რომ ეს მათ ბედნიერებას მოუტანდა. კვამლი აცხრობს ასთმის შეტევას, ხველას და თანაც, იზიდავს და ანადგურებს მწერებს — სამეცნიერო კვლევებით დადასტურდა, რომ „ქარვის ხაფანგში“ 3000 სახეობის მწერი და 200 სახეობის მცენარე ებმევა.

ბელჯიკური ჯანმრთელობისთვის მანქანა(!)

მეცნიერებმა ჩაატარეს ნ-წლიანი კვლევა, რომელშიც 8800 ადამიანი მონაწილეობდა, რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ ტელევიზორთან გატარებული ყოველი საათი ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად მოქმედებს.

ადამიანის მიერ ტელევიზორთან ან კომპიუტერთან გატარებული ყოველი საათი 11%-ით ზრდის გულის დაავადებების და 9%-ით კიბოს განვითარების რისკს. ასევე იზრდება შაქრიანი დიაბეტისა და არტერიული ჰიპერტენზიის განვითარების რისკი.




სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ საიტზე: www.mkurnali.ge.
P.S. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.



ახალი ნომერი თქვანის მკურნაღი



სწამ გჯიღითან მინჯარო...



ადამიანი

სიძის მკვლელობაში გადახდილი 3 დოლარი და 6 წლის შემდეგ გასხადებული საიდუმლო

შეკვეთილი მკვლელობის დეტალები

2003 წლის 15 სექტემბერს თბილისში, ბასტრიონის 11 ნომერში შემზარავი მკვლელობა მოხდა. ყოფილი დეპუტატის, ლაერტ ზუბადალაშვილის შვილი, ზურაბი მეუღლესთან ერთად, კაზინოდან სახლში ბრუნდებოდა, როცა სადარბაზოსთან ჩაცხრილეს. მკვლელმა მას 5 ტყვია დაახალა, საკონტროლო გასროლაც განახორციელა და მიიძალა. თავის დროზე ბევრი ვერსია ტრიალებდა. მომხდარს მოკლულის ცხოვრებას, მის წარსულს უკავშირებდნენ. მას რამდენიმე ადამიანის მკვლელობაში ამხელდნენ. ამბობდნენ, რომ დანაშაული შურისძიების ნადაგზე მოხდა. გარდაცვლილზე მაშინ პრესაში ბევრი რამ დაინერა და ყველა ის საქმე გაიხსენეს, რომელიც ზურაბ ზუბადალაშვილის სახელს უკავშირდებოდა.

თავი სურსიალვა

6 წლის შემდეგ გაცხადდა, რომ რამდენიმე ადამიანი ამ დიდ საიდუმლოს მალავდა და მაშინ ზუბადალაშვილი შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლი გახდა. დრო გადიოდა და ამ საქმის მონაწილეები ალბათ მშვიდად იყვნენ, მათ შორის — შემკვეთები, რომლებიც მოკლულის ოჯახთან ურთიერთობასაც განაგრძობდნენ. „სუფთად“ შესრულებული „სამუშაო“ 6 წლის დაგვიანებით ძალოვნებმა გახსნილად გამოაცხადეს. როგორც ჩანს, ერთ-ერთმა მონაწილემ დიდი საიდუმლო თავის გადასარჩენად გამოიყენა და ციხეში ალაპარაკდა. სანაცვლოდ კი საპროცესო გარიგება მიიღო და დიდი ხნით პატიმრობაში ყოფნას ამ გზით დააღწია თავი.

2009 წლის 18 მარტს გაირკვა, რომ ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობის ორგანიზატორი და შემკვეთი მისი სიმამრი რევზა ჩაჩუა იყო, ერთ-ერთი მონაწილე კი — მისი მამიდაშვილი, ალმაატა გრიგოლია; საქმეში მოკლულის ცოლი, თამარ ჩაჩუა ფიგურირებს. თავდაპირველად იგი დანაშაულის დაფარვაში ამხილეს და ბრალიც წაუყენეს, შემდეგ კი თანამონაწილეობაში დაადანაშაულეს. ეჭვმიტანილად დაკითხვისას მოკლულის ცოლმა დანაშაული აღიარა, მკვლელობაში მონაწილეობაც დაადასტურა და თქვა,

რომ ყველაფრის საქმის კურსში იყო. თამარ ჩაჩუამ ეს ჩვენება ბრალდებულად დაკითხვისას შეცვალა და ძალოვნებს უკვე სხვაგვარი ახსნა-განმარტება მისცა — თანამონაწილეობა უარყო. ბრალი თამარ ჩაჩუას კი წაუყენეს, მაგრამ ციხეში ჯდომას გადაურჩა. როგორც წესი, ძალოვნები შეცვლილ ჩვენებებს არ იზიარებენ, მაგრამ ამჯერად რატომღაც, დათმობაზე წავიდნენ და დაკავებულს, რომელსაც 29 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა, აღმკვეთი ღონისძიება — პატიმრობა — შინაპატიმრობით (10.000-ლარიანი გირაოთი) შეუცვალეს. შემამსუბუქებელ გარემოებად ის დაასახელეს, რომ თამარს მეორე ქორწინებაში რამდენიმე თვის შვილი ჰყავს. ის 2 წლის წინ გათხოვდა (მისი ქმრის ყოფილი მეუღლე დღეს გიგა ბოკერიას ცოლია). საბოლოოდ, თამარ ჩაჩუასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა: 10.000 ლარი და 5-წლიანი პირობითი სასჯელი აკმარეს. როგორც ამბობენ, არც დაზარალებულ ლაერტ ზუბადალაშვილს გაუპროტესტებია ყოფილი რძლის გათავისუფლება. მასთან შვილიშვილი მივიდა და უთხრა: ბაბუ, მამა არა მყავს და ძალიან გთხოვ, დედასაც ნუ დამაპარგინებო!.. ამ სიტყვებმა მასზე იმოქმედა და შემზარავი ინფორმაციის მიუხედავად, აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა არ გაუპროტესტებია.

ლაერტ ზუბადალაშვილის ოჯახს საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა. იგი ცენტრალური ბაზრის დირექტორი იყო. არც რევზა ჩაჩუას უჭირდა მატერიალურად — შამპანურის ქარხნის დირექტორი გახლდათ. თავად ზურაბ ზუბადალაშვილი 23 წლის ასაკში ბანკი „თამარიონისა“ და ტელეკომპანია „თამარიონის“ მფლობელი იყო; ამასთანავე, მან კავკასიაში პირველი სატელეტური დაცვა შექმნა. ორივე ოჯახისთვის პრობლემას ცოლ-ქმრის ნარკომანობა წარმოადგენდა. როგორც ჩაჩუები ირწმუნებიან, ზურაბმა ცოლი ნარკომანად აქცია, მათ შორის არსებული სერიოზული უთანხმოებები კი ტრაგედიით დასრულდა.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებთან ერთად, საქმეში ფიგურირებენ: გიორგი ყუფარაძე, თეიმურაზ შარაშენიძე, ვასილ გოშაძე და როლანდ დილმელაშვილი. ყველა მათგანი დანაშაულის გახსნისას ციხეში იჯდა. ყოფილი „მხედრონელი“ დილმელაშვილი ნარკოტიკების მოხმარებისთვის, ადმინისტრაციული წესით იხდიდა სასჯელს და შარშან აპრილში უნდა გათავისუფლებულიყო; კა-გე-ბეს ყოფილ თანამშრომელს, გიორგი ყუფარაძეს 25-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი: ორ თანამზრახველთან ერთად, წლების წინ, სვანეთის უბანში აზერბაიჯანელი ძმების — ილჰამ და რასიმ გასანოევის მკვლელობაში ედებოდა ბრალი; ვასილ გოშაძის საქმეც საყოველთაოდ ცნობილია: ის „საქართველოს ბანკის“ გლდანის ფილიალზე თავდასხმაში იმხილებოდა. რაც შეეხება კიდევ ერთ პირს — თეიმურაზ შარაშენიძეს, — იგი სპეცდანიშნულების რაზმის, „ალფას“ ყოფილი წევრია; საქართველოში ე.წ. „ლიფტის ყუთი“ გამოიგონა, ამ გამოგონებისთვის ლიცენზიაც აიღო და საკუთარი ფირმა — „კომპიუტერ ლენდი“ შექმნა. გამოგონებამ წარმატება მოუტანა, მაგრამ კონკურენტები გამოუჩნდნენ. ამბობს, რომ ციხეში სწორედ კონკურენტების მფარველთა „წყალობით“ მოხვდა. მას 12 წლის წინ



დახურული საქმე გაუხსენეს და 2 პოლიციელის მკვლელობაში აშილეს. როგორც მისი ადვოკატი, გელა ნიკოლაიშვილი ირწმუნება, თავის დროზე საქმე დაიხურა, რადგან დადასტურდა, რომ ის თავს იცავდა, მოგვიანებით კი 9 წელი მიუსაჯეს. სასჯელის თითქმის ნახევარი მოხდილი ჰქონდა, როცა ზუბადალაშვილის მკვლელობის უშუალო შემსრულებლად აშილეს. მოგვიანებით იმავე დანაშაულისთვის 9 წელი მიუსაჯეს.

საქმის მასალების მიხედვით, რევაზ ჩაჩუამ შეიტყო, რომ მისი სიძე, ზურაბ ზუბადალაშვილი ქალიშვილს, თამარ სოსტავაძეს და აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ამ მიზეზით, 2003 წლის ზაფხულში სიძის მკვლელობა განიზრახა. გემის განხორციელებაში დახმარება მიმდებარდა, ალმატა გრიგოლიას სთხოვა. მოილაპარაკეს და დანაშაულის შემსრულებლებად გრიგოლიას ნაცნობები — როლანდ დილმელაშვილი და გიორგი ყუფარაძე შეარჩიეს. გრიგოლიამ მათ 2.000 დოლარად მკვლელობა შეუკვეთა. შეთანხმდნენ, ფულიც გადაიხადეს. ზურაბის ფოტოსურათი და რევაზ ჩაჩუას მიერ შექმნილი, PSM-ის სისტემის მაყუჩიანი იარაღიც გადასცეს. გრიგოლია ჩაჩუას მიერ მოპოვებულ ინფორმაციას მათ აწვდიდა და კარგად იცოდნენ, ზუბადალაშვილი რომელ დღეს რა მიმართულებით და რა მოდელის ავტომობილით მოძრაობდა.

რამდენჯერმე გეგმა ჩაიშალა. გადაწყდა — 23 ივნისს, საღამოს 11 საათზე თამარ ჩაჩუა მეზობელთან გავიდოდა და ბინის კარს ღიად დატოვებდა; ამ დროს, ჩაბნელებულ საძინებელში მყოფი ზურაბი შემკვებებს უნდა მოეკლათ...

როლანდ დილმელაშვილის ჩვენებებიდან:

„2003 წლის ზაფხულში ერთ-ერთ სახელოსნოში ნაცნობმა, ალმატა გრიგოლიამ

რევაზ ჩაჩუას დავალებით, ახლობლის ლიკვიდაცია შემოთავაზა. მითხრა, ის კაცი ნარკომანი და წამლის გამსაღებელია, ოჯახს აშნარებს, მოცილება უნდა და ამაში ჩაჩუა 2.000 დოლარს იხდისო. ორი დღის ფიქრის შემდეგ დავთანხმდი და მეგობარს, გიორგი ყუფარაძეს დაველაპარაკე, მასაც ფული და მაყუჩიანი იარაღი მოიტანა და ზუბადალაშვილის მარშრუტი დავვისახელა. მე და ყუფარაძე დავდიოდით იქ, სადაც ის უნდა მისულიყო... 23 ივნისს ბინაში უნდა შეესულიყავით. მე და გიორგი მალა ავედიო. ბინის კარი ღია დაგვხვდა. ნიღბები არ გვეკეთა. პერილოდა. მე წინ მივდიოდი, ხელში იარაღი მეჭირა, გიორგი უკან მომყვებოდა. დუბლექსის ტიპის ბინა იყო. მალა სართულზე კიბით ასვლა მომიხდა. შევედი. ოთახში მარჯვენა მხარეს ტელევიზორი ჩართული იყო, შუქი ჩამქრალი, ტახტზე ბიჭი იწვა; სიბნელეში ვერ გვხვდავო. მასთან ახლოს მივედი. დამინახა და წამოდგომა სცადა. გავისროლე, მაგრამ ავაცილე; შემდეგ პისტოლელი გაიჭედა და იძულებული ვიყავი, უკან გამოვბრუნებულიყავი. ისევე დაძაბა, კიბეზე დავევი. ამ დროს ყუფარაძეს შევეჯახე და კიბეზე დავგორდით. შემთხვევით დავიჭერი დანიო, რომელიც ყუფარაძეს ეჭირა. ყუფარაძემ გამოიძიყვანა. თავს ცუდად ვგრძნობდი — ფილტვში ვიყავი დაჭრილი. საავადმყოფოში მიმიყვანა და ოპერაცია გამიკეთეს... მერე ყუფარაძემ მითხრა, რომ საქმიდან გადიოდა და 1.000 დოლარი დააბრუნა. რეზო ჩაჩუა მთხოვდა საქმის ბოლომდე მიყვანას, რადგან შვილი ცუდ დღეში მყავდა. დაჭრილი ვიყავი, ამას მარტო ვერ გაგვეტებდი. გამახსენდა გვერდით კორპუსში მცხოვრები ბაჩო, იგივე თეიმურაზ შარაშენიძე. მას ბავშვობიდან ვიცნობდი, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ მქონია. ვუთხარი, რა სიტუაციაშიც ვიყავი და ისიც, რომ სხვაგვარად ეს საქმე არ გამოვიდოდა. მას მივეცი კოორდინატები (ვაჩვენე კორპუსი) „მაკაროვი“ ტყეებით და თანხა — 2.000 დოლარიც გადავეცი. ისიც ვუთხარი, როდის უნდა მისულიყო ის სახლთან. ბაჩო იქ ტრიალებდა. მე გზის მეორე მხარეს გადავედი, რომ მენიშნებინა. ზუბადალაშვილის მანქანა გამოჩნდა და ვანიშნე. ამის შემდეგ, მანქანა გავაჩერე და იქაურობა სწრაფად დავეტოვე. მერე ტელევიზორი გავიგე, რომ ის მოკლეს. შემდეგ დამატებით, შარაშენიძეს 1.000 დოლარი გადავეცი“...

ამგვარად, დილმელაშვილი შარაშენიძეს დანაშაულის შესრულებაში აშილეს. თავად ბრალდებული შარაშენიძე კი უარყოფს ამ ფაქტთან კავშირს და ამბობს, რომ ეს საქმე შეითიხსენეს და ამ გზით რეალურმა დანაშაულებმა პასუხისმგებლობას დააღწიეს თავი.

აი, რა ჩვენება მისცა **თაიშუაზა ზარაშენიძემ** სასამართლოზე:

„ეს ვერაგულად დადგმული სპექტაკლია, ამ საქმესთან არანაირი კავშირი არა მაქვს. 1995 წლამდე უშიშროების სპეც-

დანიშნულების ქვედანაყოფში ვმუშაობდი. დილმელაშვილს სახეზე ვიცნობ, რადგან 1994 წლამდე გლდანში, ერთ უბანში ვცხოვრობდით. ის ჩემი მეზობლის კლასელი იყო. „მხედრობაში“ რომ იყვნენ, ვიცოდი. ის და ყუფარაძე ირწმუნებიან, რომ ოფისთან შემხდნენ; არ გამოვირცხავ, მაგრამ მათთან არანაირი კავშირი და ურთიერთობა არ მქონია, არც იმ მკვლელობაზე გამიგია რამე. 42 წლის ისე გავხდი, რომ მკაცრად ვგმობდი მკვლევობას, მით უმეტეს — შეკვეთით. ყუფარაძე და დილმელაშვილი გაჭირვების გამო, შავბნელ საქმეებს რომ აკეთებდნენ, მაშინ მე 50 თეთრიც არ მქონდა, მაგრამ ეკლესიაში ვმუშაობდი, კანალიზაციას ვაკეთებდი და ბეტონს ვასხამდი. მერე შპს-ის დირექტორი ვიყავი. 30 თანამშრომელი მყავდა. ლიფტების ყუთი გამოვიგონე და ფირმა ძალიან სწრაფად იზრდებოდა. კვირაში 5-6 ათასი ლარი მქონდა შემოსავალი, კაცი პატრომ უნდა მომეკლა?! 2004 წელს არარსებული ბრალდებით დამიჭირეს და ნივთის დაზიანება წამიყენეს. კონკურენტის ძმაკაცი პროკურორი იყო და მან დამიჭირა. პროცესი გააჩიანურეს. მერე კი 12 წლის წინ დახურული საქმე გამიხსენეს, რაშიც გამართლებული ვიყავი; ამოიღეს არქივიდან და თავიდან გამასამართლეს. მიკვირს დილმელაშვილმა, რომელსაც ფაქტობრივად, არ ვიცნობ, რატომ დამასახელა. რაც შეეხება გიორგი ყუფარაძეს და ვასილ გოშაძეს, ისინი ავჭალის კოლონიაში ვნახე. მაშინ ზონაში სხვა გავარდა, რომ ორი პატიმარი, რომლებსაც 25 და 27 წელი ჰქონდათ მისჯილი, იქ გადმოიყვანეს. როგორც წესი, ასეთი მძიმე სასჯელებით იქ არავინ მოჰყავდათ. იქ გოშაძემ მითხრა, რომ ჩემი უბნელი იყო: შენ არ მიცნობ, მე შენზე პატარა ვარო. მან მითხრა, რომ ყუფარაძეც გლდანელი იყო და მიცნობდა. ყუფარაძემ მაშინ მითხრა, რომ დილმელაშვილთან ერთად, ჩემს ოფისში იყო; მე ასეთი რამ არ მახსოვდა... არ ვიცი, ზუბადალაშვილი ვინ მოკლა, კარგი იქნებოდა, ლაერტ ზუბადალაშვილი მოსულიყო და მისთვის თვალბეჭდში ჩამეხვდა, მე არა ვარ მისი შვილის მკვლელი“.

მოკლულის მამა, ლაერტ ზუბადალაშვილი სასამართლო სხდომებს არ დასწრებია, მის ინტერესს ადვოკატი იცავდა.

პროცესზე ალმატა გრიგოლიამაც აღიარა დანაშაული და დეტალურად გაიხსენა, თუ როგორ შეუკვეთა, ბიძაშვილის დაგვეთით, დანაშაული.

ალმატა გრიგოლიას ჩვენებიდან:

„რეზო მითხრა, რომ კაცი იყო მოსაკლავი და ამაში 2.000-3.000 დოლარს იხდიდა. ვუთხარი, ასეთ რამეს ვერ გავკეთებდი, მაგრამ მისი დაჟინებული თხოვნის შემდეგ ვუთხარი, რომ ვიცნობდი ერთ პიროვნებას, ვინც ამას გააკეთებდა. დილმელაშვილს შევთავაზე ეს საქმე. თუ საქმეს ვერ გააკეთებდა, ფულს უკან





დააბრუნებდა. მას მივეცი ფოტო და იცოდა, ვინც უნდა მოეკლა. ფული და იარაღი მივუტანე. მასთან ერთად ვხედავდი ყუფარაძეს, რომელსაც ვიცნობდი. მათ პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ჩაჩუხასთან... როდესაც საქმე ვერ გაკეთდა, დიღმელაშვილს ვუთხარი, რომ ფული დაებრუნებინა. მითხრა, რომ ფულს მთლიანად 3-4 დღეში დააბრუნებდა. ამ პერიოდში მოკლეს ზუბადალაშვილი. მივხვდი, ეს საქმე მათი გაკეთებული იყო. დიღმელაშვილმა მითხრა, ბაჩო გააკეთაო. მას არ ვიცნობდი. რეზომ 1.000 დოლარი დაამატა და დიღმელაშვილს მივეცი, მან მითხრა, ბაჩოს უნდა მივეციო. გავყვივი მას და შევიდა შუშუბიან ოფისში, ფულის გადაცემის მომენტი არ მინახავს“.

გომში და ყუფარაძე სასამართლოზე მოწმის სტატუსით წარდგინდა. ყუფარაძე დეტალურად აღწერდა მკვლელობის მცდელობაში მონაწილეობას, მაგრამ ის არ დასჯილა. გაირკვა, რომ სწორედ ამ ადამიანების მეშვეობით გაიხსნა დანაშაული და ამის გამო, მათ მიმეცხველები საგრძნობლად შეუმცირეს.

ასევე მოწმის სტატუსით დაჰკითხეს პროცესზე მოკლულის მეუღლე, თამარ ჩაჩუა. მან სხდომის დასურვა მოითხოვა. აღიარა, რომ პირველი თავდასხმის დროს კარი ღია დატოვა და ყველაფერი იცოდა. რაც შეეხება მკვლელობის დღეს, — ამბობს, რომ ქმარი მანქანასთან დატოვა და თვითონ გადმოვიდა, შემდეგ დაიწყო სროლები. მკვლელები დაბალი იყო, მისი სახე სიბნელეში არ დაუნახავს, თან მკვლელს ნიღბი ეკეთა. როგორც შარამინის ადვოკატი, გელა ნიკოლაიშვილი ამბობს, ამ ქალის მონაყოლმა დარბაზში მყოფები შეძრა. „სამინელ ამბებს ჰყვებოდა, ცემა-ნაწევა, „ნამალზე შესმა“ ჩვეულებრივი იყო; ერთმა დეტალმა შეძრა ყველა, როცა თქვა, — ცხინვალში ნამლის ასაღებად წამიყვანა, ფული არ ჰქონდა და ვილაც კაცებთან „ზალოგში“ 4 დღით დამტოვე; მამაჩემი რომ არ ჩამოსულიყო, არ ვიცი, რა იქნებოდაო... ის ბოდინს უხდიდა იმ ადამიანებს, ვინც განსასჯელის სკამზე იჯდა: მამაჩემი, ეს მკვლელობა მე უნდა განმეხორციელებინა და შარში სხვა არავინ უნდა გამეხვიაო“, — ასე იხსენებს მის ჩვენებას ადვოკატი. მის კითხვას, — რატომ არ გასცილდა ქმარს? — თამარმა ასე უპასუხა: განქორწინებაზე განცხადება მქონდა შეტანილი, მაგრამ მამას დახვდნენ და 7 ტყვია ესროლეს; მუქარები იყო და ვერ გავედგეო...

განაჩენში მითითებულია, რომ დანაშაულის ჩადენისას რევაზ ჩაჩუა შეურაცხადი არ ყოფილა და ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი ჰქონდა. სასამართლოზე იგი არ დაკითხულა, რადგან ადვოკატებმა მისი შეურაცხადობის საბუთი წარადგინეს.

პროკურორმა როლანდ დიღმელაშვილსა და ალმაბატა გრიგოლიას საპროცესო შეთანხმება გაუფორმა; ამის წყალობით, გრიგოლიას 7 წელი მიუსაჯეს, ხოლო დიღმელაშვილს — 8 წელი. რაც

შეეხება რევაზ ჩაჩუას, — მას სასამართლომ 19 წლითა და 6 თვით თავისუფლება აღუკვეთა, მაგრამ ციხის ნაცვლად, სასჯელის მოსახდელად, ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაამწესა. ყველაზე მძიმე სასჯელი თეიმურაზ შარამინიძეს ერგო: მას სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მხოლოდ მისმა ადვოკატმა, გელა ნიკოლაიშვილმა გაასაჩივრა გამოტანილი განაჩენი. იგი დასაცავის გამართლებას ითხოვს.

გელა ნიკოლაიშვილი, ადვოკატი:

„პირველი მცდელობის შემდეგ, ყუფარაძე გადის თამაშიდან და ფულს აბრუნებს, გრიგოლია დიღმელაშვილს ეუბნება, — თუ ვერ ასრულებ, ფული დააბრუნეო, — მაგრამ როგორც ჩანს, დახარჯული აქვს და ის ვეღარ აბრუნებს. ამის შემდეგ კლავენ ზუბადალაშვილს; ყველა ნიშნით ამას დიღმელაშვილი ახორციელებს, რომელიც იძულებულია, გააკეთოს, რადგან ფული არა აქვს. იმისთვის, რომ პასუხისმგებლობა აიცილოს, მან მკვლელობა შარამინიძეს გადააბრალა. აქ იწყება მისი ტყუილები. დამატებით ართმევს ფულს ჩაჩუას, იმ მოტივით, რომ შემსრულებელს უნდა მისცეს. ბაჩო შარამინიძე პრაქტიკულად, არ იცნობს დიღმელაშვილს, უბრალოდ, უბნელები იყვნენ და არავითარი მეგობრობა არ აკავშირებდათ, ეს დიღმელაშვილმა დაადასტურა. 11 წელი ერთმანეთი არც უნახავთ, არანაირი ურთიერთობა არ ჰქონიათ. პრაქტიკულად, არ იცნობ ადამიანს და წარმოუდგენელია, ასეთი რამ დაუკვეთო. რატომ უნდა მოეკლა შარამინიძეს უცნობი ადამიანი, მით უმეტეს — ბიზნესი აწყობილი ჰქონდა, ათეულობით ადამიანი — დასაქმებული და კარგი შემოსავალიც ჰქონდა?! ეს თანხა მისი ორი კვირის შემოსავალი იყო... ან რატომ უნდა ყოფილიყო დიღმელაშვილი დაინტერესებული, რომ ზუბადალაშვილი მინცდამინც ვინმეს მოეკლა, როცა თანხმანი იყვნენ, ფული უკან აეღოთ და ასე დაემთავრებინა საქმე?! გრიგოლიამ დაადასტურა, — 3-4 დღეში ფული უნდა დაებრუნებინაო. ფაქტია, ვერ დააბრუნა და დანაშაული ჩაიდინა. დიღმელაშვილმა დამატებით ფული რომ აიღო, იცოდა — უთვალთვალდნენ. ამიტომ საჩვენებლად შევიდა იმ შენობაში, სადაც შარამინიძის ფირმა იყო. ფული ჯიბეში ჩაიდო და უკან გამოვიდა. სად არის ლოგოკა მის ნათქვამში? თუ 3.000 დოლარი შარამინიძეს გადასცა, თვითონ რა მიიღო ამ საქმიდან, რა დაინტერესების გამო მოაკვლევინა ადამიანი?.. გარდა დიღმელაშვილის ჩვენებისა, სასამართლოს არავითარი მტკიცებულება არ გააჩნდა შარამინიძის წინააღმდეგ, მაგრამ ის მინც დაადანაშაულეს. დანარჩენებს საპროცესო გაუფორმეს. პირადად ვთხოვე ლაერტ



ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი

ზუბადალაშვილს, დასწრებოდა სხდომებს, რომ დარწმუნებულიყო შარამინიძის უდანაშაულობაში. მითხრა, — არ გამოვიცხავ, რომ მართლაც ასე იყო, მაგრამ ვერ დავესწრებო. მას პრეტენზია ჩაჩუასთან აქვს... შარამინიძესთან ავტანის კოლონიაში სპეციალურად მიიყვანეს ყუფარაძე და გომში, რომ მასთან

ურთიერთობა დაემყარებინათ. შარამინიძე იხსენებს: გადაკრულად დამინყეს ლაპარაკი, ვერ მივხვდი, რა ხდებოდაო. როგორც წესი, დიდი სასჯელის მქონე პირები იქ არ ხვდებიან; ესეც ამყარებს ჩვენს ვეჭვს, რომ ისინი იქ ცოტა ხნით შეგნებულად გადაიყვანეს. როცა შარამინიძე რუსთავის ციხეში მოხვდა, იქ გაიცნო ისინი, ვინც ყუფარაძესა და გომშიესთან ერთად, საკანში იჯდა. ისინი ადასტურებენ, რომ ამ ორმა პირმა ერთმანეთი ციხეში გაიცნო. დასაბუთებული ვარაუდია — ციხეში გაცნობილმა ორმა ადამიანმა მოიფიქრა და ზუბადალაშვილის დანაშაულის გახსნის სანაცვლოდ, სერიოზული შეღავათებიც მიიღო. ყუფარაძემ იცოდა, ვინ იყო დანაშაულის შემკვეთი და ეს თქვა. საბოლოოდ კი მსხვერპლი თეიმურაზ შარამინიძე აღმოჩნდა, რომელსაც ამ საქმესთან შეხება საერთოდ არ ჰქონია. თამარ ჩაჩუაც სრულიად სხვა გარეგნობის ადამიანს აღწერს. მოსამართლემ ალიბი მოითხოვა. წარმოუდგენელია, ადამიანმა გაიხსენოს 6 წლის წინ, 15 სექტემბერს, კონკრეტულ საათზე სად იმყოფებოდა. ჩვენი ინფორმაციით, ციხეში ზენოლა ხორციელდებოდა პატიმარ ჭუმბურიძეზე, რომელიც შარამინიძეს იცნობდა; მისი გამოყენებაც უნდაორდა, მაგრამ მან ნაშეპას გაუძლო, ეს ფაქტი გაახმაურა და სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ, დეტალური ჩვენებაც მისცა. ჩვენ დიდ სიურპრიზს ვუშვადებთ სააგელაციო სასამართლოს. შარამინიძე უდანაშაულოა და ის უნდა გამართლდეს!“ — დაასკვნის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი.



სოსხეაღი ზიჭის სიზმრები და სინკალსა და ლალიძის წყალს მონატრებული რუსული „კომედი ქლაბის“ ქართული წევრი

კარგად დააკვირდით ფოტოს: რუსული „კომედი შოუს“ ქართველი მოყვარულები იოლად ამოცნობთ ნიჭიერ ახალგაზრდას, რომლის გვარს რუსები „ძალიან ფრანგულად“ წარმოთქვამენ; ის არც „ქე“-ზე, არც „შვილ“-ზე და არც „ია“-ზე ბოლოვდება, ამდენად, „ძალიან არაკავკასიური“ „იერი“ არა აქვს... და მაინც — გვარიც ქართული აქვს, აზროვნებაც და გულიც-!! წლამდე სოსხეაღში ცხოვრობდა, მერე ომი დაიწყო და 2 წელი თბილისში დაყო. შემდეგ, ოჯახთან ერთად სანქტ-პეტერბურგში გადავიდა, დღეს კი მოსკოვშია და ბეგრისთვის საყვარელ შოუსში წარმატებით მონაწილეობს.

მართალია, ჩემი დიდი ხნის მეგობარი ზაქარა მატყალიძე ძალიან დაკავებულია, ინტერნეტში მაინც „გამოვიჭირე“ და მცირე დრო გამოვტყუე — მინდოდა, თქვენც ახლოს გაგეცნოთ.



ძლება. ყოფილმა სანქტ-პეტერბურგელმა „კავენშიკებმა“ შექმენით პროექტი, რომელსაც „სტენდ აპ კომედი“ ვუწოდებ და ყოველ ორშაბათს, — ნებისმიერი წარმოდგენის ჩასატარებლად ყველაზე წამგებიან დღეს გამოვდიოდით ერთ-ერთ კლუბში. ჩვენ წარმოდგენდით უანრს, სადაც მოღვაწეობდნენ ჯიმ კერი, ჯენი ფოქსი და ასე შემდეგ. ნელ-ნელა მასურებელიც მოგიმარაგდა და გულშემატიკივარიც. როცა ჩვენი წარმატებების შესახებ შეიტყო არტურ ჯენებევიანი, მაშინ უკვე არსებული „კომედი ქლაბის“ გენერალურმა დირექტორმა, გაუფრთხილებლად გვეწვია ერთ-ერთ შოუსზე და მოვეწონეთ... მერე არტური მოსკოვში გაემგზავრა, ერთ წელიწადში კი მეც მოსკოვში მიმიწვიეს.

ირმა სარმილაძე

— მახსოვს, აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, მე, ბიძაჩემი და ჩემი ბიძაშვილი დათო მატყა, რომელიც, ფაქტობრივად, ჩემი ძმა არის და ახლაც მოსკოვში ერთად ვცხოვრობთ, ზღვაზე საბანაოდ მივდიოდით. ჩავსხედით მანქანაში და უეცრად საშინელი ხმაური შემოგვესმა. მერე ვილაცამ თქვა: ომი დაიწყო. ჩვენ, რა თქმა უნდა, სახლში დაგვარბუნეს და გაცივებულმა ვიკითხე: ესე იგი, ზღვაზე ალარ წავალთ-მეთქი?... ბიძაჩემმა მიპასუხა: ზღვაზე ალბათ მე წავალ. გავბრაზდი: უჩემოდ რატომ უნდა წახვიდე-მეთქი? რა ვიცოდი, ბიძაჩემი „ზღვაზე წავალაში“ რას გულისხმობდა?! მერე, ერთ კვირაში მე, ჩემი უმცროსი ძმა ლევანი და დედა თბილისში გამოგვისტუმრეს, ბებიანაბაბუა, მამა და დანარჩენი მამაკაცები სახლების დასაცავად სოსხეაღში დარჩნენ... ასე დაიწყო ჩემი თბილისური ცხოვრება 11 წლის ასაკში და იმ დღიდან მოყოლებული, გზად ძალიან ბევრი კარგი ადამიანი შეხვდა. ჯერ კიდევ სოსხეაღში, გიორგი რატიანთან, სოსხეის თეატრის სპექტაკლებში ვმონაწილეობდი, ბავშვობიდან ვმღეროდი კიდევ, ამიტომაც შემომთავაზა თბილისში ჩემი ფორტეპიანოს პედაგოგმა მთვარედი ირმა სოსხეაღის მიერ მოწყობილი ქართველი მებრძოლების ოჯახების მხარდასაჭერ მართალონში მონაწილეობა. სწორედ იმ მართალონში შემახვედრა საბავშვო კომპოზიტორს, მანანა

მერაბიშვილსა და აჩი ფურცელაძეს... ოდნავ მოგვიანებით კი — შენ, რუსუდან ვარძიაშვილსა და საქართველოს რადიოს საყვანვილო პროგრამა „აბლაბუდას“ (ილიძის)... ის წლები არასდროს დამავიწყდება. ვერც ანსამბლ „ჯადოსნურ გზებს“ და ვერც ანსამბლ „აბლაბუდასა“ და გასტროლზე აღებულ პირველ ხელფასს დავივიწყებ (იციინის)...

— არც კი მახსოვდა, ხელფასს თუ გინდოდა... — ყოველი გასტროლის შემდეგ... მერე გადაცემა „აბლაბუდას“ ბავშვთა ქართული სიმღერის ჰიტალბომით ხომ მიმყავდა აჩისთან ერთად! ძალიან ლამაზი და საინტერესო დღეები იყო... ამ დროს უკვე სანქტ-პეტერბურგში ვცხოვრობდით და მხოლოდ ზაფხულობით ჩამოვდიოდით საქართველოში, მაგრამ თითოეული ზაფხული საკმაოდ ნაყოფიერი და დატვირთული იყო. სანქტ-პეტერბურგში კი ჩვენს ოჯახს ქართველი სათვისტომოს ხელმძღვანელი, ცნობილი ბიზნესმენი ბადრი კაკაბაძე დაეხმარა. მეც სკოლა რუსეთში დავამთავრე, შემდეგ ინსტიტუტში სახელმწიფოს მართვის ფაკულტეტი ავირჩიე, პარალელურად კი „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ წევრი ვიყავი, პრემიერლიგაშიც კი გამოვდიოდით. „კავე-ენმა“ ბევრი რამ მომცა, უპირველესად კი — სხარტი აზროვნება გამომიმუშავა. მივხვდი, რომ მატერიალური კეთილდღეობა არა მარტო პროექტის შექმნით, არამედ იდეებით, აზრებით მიღებული პროდუქციითაც შეი-

— მოსკოვში მთელი ჯგუფი წახვედით? — ათნი ვიყავით, მოსკოვის „კომედი ქლაბში“ კი სამი გადავედით; დანარჩენებიც რუსეთის სხვადასხვა სატელევიზიო არხზე მოღვაწეობენ, უმეტესწილად, „ტენ-ტენს“ გასართობ გადაცემებში. მეც ამავე არხზე გამოვდივარ თითქმის ყოველ შაბათს, გადაცემა „კომედი ქლაბში“. რასაკვირველია, სხვა პროგრამებშიც გვინვევენ მე და ჩემს მეგობრებს. ასე რომ, საინტერესოდ ვცხოვრობთ (ილიძის).

— ზურა, რას გვეტყვი რუსეთის კომედიურ შოუსში შენს წარმატებაზე? — ჩემი აზრით, ჯერ პოპულარობის პიკისთვის არ მიმიღწევია, თუმცა კარგად მცნობენ, ტაშსაც მიკრავენ, ესე იგი, მასურებელს მოგწონვარ კიდევ.

— აღარ მღერი? — სიმღერებს კვლავ ვწერ. მეგობრებთან ერთად ჩამოვაყალიბე ჯგუფი „ტუჩები“ და გამოვუშვით სინგლი, რომელსაც დავარქვით „ნოვი გოშოუოდა“.

— რა სტილი აირჩიეთ? — ჰიუმროკი... ეს სტილი ჩვენ დავამკვიდრეთ (ილიძის)... ჩვენ ვართ არაპროფესიონალი მუსიკოსები, ვქმნით არაპროფესიონალურ მუსიკას და სიმღერით ვხუმრობთ, ვიცინით... მოკლედ, ვაკეთებთ იმას, რასაც არ აკეთებენ სტიუდენტური და ბარი უაიტი, მაგრამ აკეთებენ ზურა მატყა, დემიტრი სოროკინი, ანდრეი ავერინი, ტიმურ ბატრუტიდინოვი და გავრი (იციინის). დღეს ეს



სტილი მომწონს, თუმცა პარალელურად, სერიოზულ კომპოზიციებსაც ვწერ. ალბათ, მისი შესრულების დროც მოვა — ჯერ მხოლოდ 29 წლის ვარ (ილიმის)... ახლა ახალ პროექტზე ვმუშაობთ. სრულიად იცვლება „კომედი ქლავის“ ფორმატი და მარტ-აპრილიდან ახალ „კომედის“ შევთავაზებთ მსაყურებელს. ეს იქნება უფრო დიდი ფორმატის, საათნახევრიანი შოუ, გარდა ამისა, კიდევ ერთ სიუჟერობს ვამზადებთ...

— ზურა, ჩანს, ძალიან დაკავებული ხარ. ალბათ ამის ბრალია, რომ იშვიათად ჩამოდიხარ საქართველოში.

— სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინ ვიყავი თბილისში — დაიკოს ქორწილში ჩამოვედი და ბევრი, ჩემთვის ახლობელი და უსაყვარლესი ადამიანი ვნახე, უპირველეს ყოვლისა — ჩემი ბებები. ერთი კვირით ვიყავი და შეძლებისდაგვარად, ბევრი რამ მოვასწარი. ისიც კი, რომ ჩემს 15 წლის უნახავ სოსუმელ თანაკლასეულს შევხვედროდი (იციან). მაგრამ ეს წინასწარ, მოსკოვიდან ჩამოსვლამდე დაგვეგმეთ — ერთ-ერთმა გოგონამ ითავა და ყველანი შევიკრიბეთ, ვინც იმ დღეს თბილისში ვიყავით. იცით, როგორ მოვიღიხინეთ?! ისე, მართალი ხარ, სამწუხაროდ, უკვე ძალიან იშვიათად ჩამოვდივარ საქართველოში...

— წლების წინ მახსოვს, თქვი: „ხანდახან, ისე მომენატრება საქართველო, ჩემი ბინის ფანჯრიდან ღრიალი მინდებდა: მენატრები-მეთქი!“ ახლა როგორ ხარ?

— ის დრო, როდესაც ფანჯრიდან ღრიალი მინდებოდა, რასაკვირველია, გავიდა. ისეთი განცდა დღეს მართლა აღარ მაქვს — აქაურობას შეეჩვიე. მაგრამ როდესაც ქართულ არხს, ქართულ ფილმს ან თუნდაც საქართველოზე გადაღებულ ფილმს ვუყურებ,

ბელთან ერთად ვარ...

— იცი, შენი სოსუმის სახლი რა მდგომარეობაშია — დაინგრა, კვლავ არსებობს ან ვინმე თუ ცხოვრობს იქ?

— არ ვიცი. რამდენჯერმე შემომთავაზეს აფხაზებმა იქ ჩასვლა, — უბრალო აფხაზებთან და რუსებთან ურთიერთობის პრობლემა არა მაქვს... არ ჩავედი (ჩაფიქრდა)... არ მინდა, ვნახო სახლი, სადაც ბავშვობა გავატარე, ახლა კი იქ სხვა მასპინძელი დამხვდეს... შეიძლება, თავი ვერ შევიკავო და... გაუგებრობაში მოვყვე. სხვათა შორის, ჩემი ოჯახის არც ერთი წევრი არ ჩასულა სოსუმში იმ უბედურების შემდეგ. ჩემი მშობლები ახლაც სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობენ, ჩემი უმცროსი ძმა ლევანიც იქ ცხოვრობს, სპორტული ჟურნალისტი, პარალელურად კი ბელორუსიის ერთ-ერთი მუსიკალური ჯგუფის პროდიუსერიცაა.

— მხარია, რომ გისმენ: რამდენი ხანია, საქართველოში ვერ ჩამოდიხარ, ქართულად კი კვლავ შესანიშნავად ლაპარაკობ, არც ქართული სული და გული დაგიკარგავს...

— მგონი, ამაზე არც უნდა ვსაუბრობდეთ — ეს ჩვეულებრივი რამ არის... ჩემი ოჯახის წევრები ქართველები არიან და შინ ჩვეულებრივ, ქართულად ვლაპარაკობთ — ქართველი საკუთარ ოჯახში სხვა ენაზე უნდა ლაპარაკობდეს?! რა არის გასაკვირი?... სადაც უნდა ცხოვრობდე, შინ შენ ენაზე არ უნდა ლაპარაკობდე, თანაც — კარგად?! ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ბევრი სომეხი მეგობარი შევიძინე. ისინი წლებია, უკვე აქ ცხოვრობენ, მაგრამ სომხური არავის დავინწყებია. მე რატომ უნდა დამავინყდეს ქართული?!

— მგონი, ძალიან გაგაბრაზე... ვეცდები, გუნება გამოგიკეთო. როდესაც თბილისის ფილარმონიის სცენასა და მართონზე გამოსვლას იხსენებდი, აღნიშნე, რომ პირველი თანატოლი, ვისთანაც სიმღერამ შეგახვედრა, აჩიკო ფურცელაძე იყო. მერე



უბედნიერესი ვიქნები, თუკი ქართველი მეუღლე მეყოლება

თქვენი გზები გაიყო: ის აქ დარჩა და ძალიან პოპულარული გახდა, შენ პეტერბურგში გაემგზავრე. წლები გავიდა და ძველი მეგობრები კვლავ ერთ ქალაქში — ამჯერად მოსკოვში აღმოჩნდით. და ახლა შენც პოპულარული ხარ ამ ქალაქში... ხშირად ნახულობთ ერთმანეთს?

— კარგად იცი, რომ ერთმანეთი

არც არასდროს დაგვიკარგავს. როდესაც თბილისში ჩამოვდიოდი, ჩვენს ხშირ შეხვედრას სწორედ აჩიკოს პოპულარობა აფერხებდა — ყოველთვის მოუცვლელი იყო და მხოლოდ ტელეფონით საუბარს ვახერხებდით. ახლა კი პირიქითაა: უკვე მე მაქვს დროის დეფიციტი, უფრო მოუცვლელი ვარ და მასთან ხშირად შეხვედრას ვერ ვახერხებ. თუმცა ტრადიციას არ ვლაღობთ და ძალიან ხშირად ვსაუბრობთ ტელეფონით ან სკაიპით.

— ვიცი, აჩიკოს მეუღლე ჰყავს. შენ რატომ არ დაოჯახდი?

— ჯერჯერობით, ვერ ვიპოვე ის ერთადერთი, ვისთვისაც დავიბადე (იციან).

— ყოველთვის აღნიშნავდი, რომ აუცილებლად ქართველ გოგონას შეირთავდი ცოლად. ახლაც ასე ფიქრობ?

— გულს ვერ უბრძანებ, თუმცა ადამიანს ტვინიც აქვს... ჩემს ტვინს კი ძალიან უნდა, რომ შინ დაბრუნებული ჩემი შვილები ქართულად ლაპარაკობდნენ. საერთოდაც, მინდა, რომ ჩემს მომავალ ოჯახში ყოველთვის ქართულად ლაპარაკობდნენ... ბუნებრივია, ჩემი სურვილები არ გამოირიცხავს სხვა ეროვნების ადამიანის სიყვარულს — მთავარია, სრული გაგებით, ადამიანი იყოს. მაგრამ... უბედნიერესი ვიქნები, თუკი ქართველი მეუღლე მეყოლება (ილიმის).

— ზურა, რა გენატრება ყველაზე მეტად საქართველოში?

— ხინკალი და ლალიძის წყალი (ილიმის)... რადგან „გამომტეხე“, იცოდე, დაპატიუებაც მოგიწევს (იციან).

— თანახმა ვარ, ოღონდ მალე ჩამოდი, თორემ გადავიფიქრებ...



მურა მშობლებთან ერთად

მანაც სამშობლოზე ფიქრობ. ასეთი ფიქრები სიზმრებშიც არ მასვენებს. ჩემი სოსუმის სახლი, სკოლა და მიწა კი ყოველ ღამეს მესიზმრება და ამ სიზმრებში ყოველთვის სხვადასხვა ახლო-



ჩოპოჩ სპეციან მოზაჩლეაი სიეპაჩულის დღეს

არის თუ არა ვალენტინობა ქრისტიანული ღმერთების

ვალენტინობას ანუ სიყვარულის დღეს ქუჩაში მოსიერნე შეყვარებულნი წყვილების უმეტესობას ხელში ვარდი ან მინდვრის ყვავილი ეჭირა, ზოგს ცელოფანის პარკში ჩადებული, ლამაზად შეფუთული საჩუქარი, სხვები კი მართალია, ხელცარიელნი, მაგრამ მაინც, ბედნიერები მიაბიჯებდნენ. ჩემი დღევანდელი რესპონდენტების უმეტესობა შეყვარებული გოგო-ბიჭები არიან, ერთ-ერთი მათგანი კი სიყვარულისგან იმედგაცრუებული ადამიანია, რომელიც ვალენტინობა დღეს მხოლოდ საკუთარ თავს უძღვნის საჩუქარს.

ლიკა ქაჯაია

სალი, 18 წლის:

— ვალენტინობის დღესასწაული ძალიან მიყვარს, რადგანაც ამ დღეს შეყვარებული მანებივრებს ხოლმე. მაგალითად, 2008 წელს 4 ნითელი და 1 ყვითელი ვარდი მაჩუქა. ჩემმა დაქალებმა თაიგული რომ ნახეს, „დაიშოკნენ“, ისე მოეწონათ.

გიო, 20 წლის:

— კარგი, ერთი, არც ისეთი ლამაზი იყო.

სალი:

— ოოო, თავმდაბლობს ახლა (იციან)... 2009 წელს სუნამო მაჩუქა, ახლა კი ცოლობა მთხოვა და თითზე ოქროს ბეჭედი წამომაცვა. ნახე, რა მაგარია!

— მართლაც, ლამაზი ბეჭედი. შეყვარებულს თავად რა აჩუქე?

— საფულე ვაჩუქე, რომელშიც 10-დოლარიანიც „ჩაუბრძანე“. იმედია, ფული არასდროს გამოეღვევა, თორემ მე დამადანაშაულებს — ცუდი ხელი გაქვსო.

გიო:

— კარგი, რა, ასეთ რალაცებზე შენთვის როდის მისაყვედურია?

— აბა, რის გამო საყვედურობ ხოლმე შეყვარებულს?

— უყურადღებობის გამო...


სალი:

— უყურადღებო სულაც არ გახლავართ, მაგრამ რა ვქნა, ზოგჯერ ისეთ ხასიათზე ვარ, შეყვარებულთანაც კი არ მინდა ლაპარაკი.

— დაქორწინებას როდის აპირებ?

გიო:

— ახლო მომავალში — მარხვა



დამთავრდება თუ არა, ხელს მოვანერთ და თავლობის თვესაც მოვიწყობთ. ჩემები რალაცას ჩალიჩობენ, უნდათ, რომ ეგვიპტეში გაგვიშვან. იმედია, პირამიდებში არ დავიკარგებით (იციან).

სალი:

— ნუ გეშინია, ჩემთან ერთად არსად დაიკარგები!

სალისა და გიოს ბედნიერება ვუსურვე, მე კი, მომდევნო „საკბილოს“ ძებნაში, ალექსანდრეს ბაღში ამოვყავი თავი, სადაც სიცივისგან მობუზული წყვილი შევნიშნე და მათთან დაუფიქრებლად მივედი.

— ვალენტინობის დღესასწაულს გილოცავთ.

ირაკლი:

— გმადლობთ, თქვენც მრავალს დაესწარით.

— აშკარაა, რომ ერთმანეთი გიყვართ...

— რატომ გგონია?

— სხვა შემთხვევაში, ბაღში ვდომით თავს არ გაიყინავდით.

— ჰო, ალბათ.

— დღეს შეყვარებულს რა აჩუქე? ნელკა:

— თბილი სიტყვები, მსურვალე ჩახუტება მაჩუქა და აბა, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს (იციან)?

ირაკლი:

— ფული რომ მქონდეს, საჩუქარს რას დაგიდევდით, შეყვარებულს თბილ ადგილას წავიყვანდი და ხაჭაპურს მაინც ვაჭყევდი.

ნელკა:

— როცა შენ გვერდით ვარ, არც ჭამა მინდა და არც — სმა. თანაც, შენს მკლავებში სიცივისაგან ვერ ვგრძნობ.

— აუფ, ეს რა მაგარი გოგო გიშოვი! ცოლად რომ მოიყვან, იმაზე დარდი არ მოგიწევს, რა აჭამო და ასვა...

ირაკლი:

— (იციან) შენ გგონია, მართლა ჰაერით იკვებება? ასე რომ იყოს, ასეთი ფუმ-ფულა კი არ იქნებოდა.

ნელკა:

— არა, ჭამა მართლა მიყვარს, მაგრამ შეყვარებულის გვერდით შიმშილსაც კი ვერ ვგრძნობ ხოლმე... ირაკლის ლამაზი სანთებელა ვაჩუქე, რომელსაც იმედია, სხვა რალაცებივით არ დაკარგავს.

— და რას კარგავს ხოლმე?

— თავს კარგავს ხოლმე, თავს (იციან).

ირაკლი:

— ერთხელ ნასვამ მდგომარეობაში ვიყავი და დამინახა, ვილაც გოგოს რომ ვეტორლიალებოდი; ჰოდა, მას შემდეგ სულ ამ ამბავს მახსენებს. ერთხელაც იქნება და მისი ეს ამორჩევა ყელში ამოვიძვია...

ნელკა:

— კარგი, რა, ბუსუნა, ხომ იცი, ამასაც სიყვარულით გეუბნები. მაშინ ძალიან ვიეჭვიანე და...

ირაკლი:

— აი, ასეთები ხართ ქალები, უსაფუძვლოდ ეჭვიანობთ ხოლმე...

ნელკა:

— რალა უსაფუძვლოდ, ქალს კუდში დასდევდი, ეხვეოდი... იცით, ისამ წინა წელს ჩურჩხელები მაჩუქა. სხვათა შორის, ისეთი გემრიელი ჩურჩხელა არასდროს მქონდა ნაჭამი.

ირაკლი:

— ჰო, თბილი ჩემი ხელით ავკინძე, თათარაში ამოვავლე და ალბათ, იმიტომაც მოგეჩვენა უჩვეულოდ გემრიელი; შენ კიდევ, სისულელეების გამო მიბრაზდები!



— ჩურჩხელა წელს რატომ არ მოუტანე?

— (იციანის) სოფელში არ გამიშვა, უნდა, სულ გვერდით ვყავდე და ჩურჩხელას თბილისში ხომ არ გავაკეთებდი?! აი, მომავალ წელს თუ გამიშვებს, ბევრ სასუსნავს ჩამოვუტან და სიყვარულის დღეს ისე დავატებო, რომ მწარე სიტყვა მთელი წლის განმავლობაში არ მითხრას.

სიცივისაგან გაღურჯებული ირაკელი და ნელა ბაღში დავტოვე, მე კი შემდეგი რესპონდენტების ძებნას შევუდექი. შეყვარებული წყვილების უმეტესობამ ჩემთან ლაპარაკი არ ისურვა, — ხელს გვიშლი, შენთვის არ გვაცლავიაო, მაგრამ ბოლოს, ქაშუეთის ეკლესიის წინ ჩამომსხდარი გოგო-ბიჭი „შევაბი“.

მაიკო, 15 წლის:

— დღეს იკამ ერთი წითელი ვარდი მაჩუქა და მას მთელი წელიწადი შევინახავ. ძალიან კარგია, ვალენტინობის დღესასწაული რომ არსებობს. მართალია, იკა სხვა დროსაც მჩუქნის ხოლმე ყვავილებს, მაგრამ ამ დღეს შეყვარებულთან ერთად ყოფნას სულ სხვა მუღამი აქვს.

იკა:

— მე სტუდენტი ვარ და შეყვარებულს ის ვაჩუქე, რაც შემეძლო. როცა მუშაობას დავინიჭებ, მერე უფრო კარგ რამეს ვუსასხოვრებ.

მაიკო:

— ვარდზე უკეთესი რა უნდა მაჩუქო?

იკა:

— სხვა თუ არაფერი, სადმე დაგპატივებ...

მაიკო:

— რესტორანში ან კაფეში რომ წავსულიყავით, ეკლესიაში არ მოვიდოდით და ერთმანეთისთვის არ ვილოცებდით.

იკა:

— რატომ, ერთი მეორეს ხელს არ უშლის...

მაიკო:

— ამას ახლა ამბობ, მაგრამ როცა კუჭი გაძღება, მერნმუნე, მერე სულიერებაზე ნაკლებად ზრუნავ. ასე რომ, მე დღეს ბევრ იმ გოგონაზე ბედნიერი ვარ, ვინც რესტორანში „გააჯაზა“.

— მაიკო, შენ თუ აჩუქე შეყვარებულს რამე?

— სამწუხაროდ, მე ვერაფერი ვუყიდე.

იკა:

— მთავარი საჩუქარი კი არა, ჩვენი სიყვარულია!

მაიკო:

— აუფ, ეს სიტყვები დედაჩემს რომ გაეგონა,

ძალიან გაუსხარდებოდა და საუკეთესო სასიძოდ დაგასახელებდა (იციანთან).

ამ წვეილსაც ბედნიერება ვუსურვე და იქვე მდგომ ახალგაზრდა ყმანვილს გამოველაპარაკე.

ზაზა, 17 წლის:

— შეყვარებული არა ვარ და აბა, ვის რა უნდა ვაჩუქო?!

— არც არასდროს გყვარებია?

— კი, იყო დრო, როცა კლასელი გოგონა მიყვარდა, მაგრამ მერე, გადავიყვარე. ვერ ვიტან მოლაღატე ადამიანებს!

— ეი, მან გიღალატა?

— ჰო, მიღალატა და ამის არც კი შერცხვა — ჩემს ძმაცაცს გაჰყვა ცოლად. ჰოდა, მას შემდეგ გოგონებისკენ არც კი ვიყურები. ასე მგონია, ყველა მათგანი ბუნებით მოლაღატეა.

— და არც არავისთან ძმაცაცობ?

— როგორ არა, ძმაცაცები მყავს!

— საინტერესოა, ბიჭებთან ძმაცაცობაზე რატომ არ აიცრუე გული? შენ ხომ მეგობარმაც გიღალატა...

— რომ ამბობენ: ქალი ეშმაკზე ადრე დაიბადო, მართალია; მჯერა, ჩემი ძმაცაცი მან შეაცდინა.

— იქნებ, პირიქით მოხდა?

— ამაზე ფიქრიც კი არ მსურს!.. ვალენტინობა დღეს მხოლოდ საკუთარ თავს ვუძღვნი საჩუქარს — აბა, უკეთესი ვინ მყავს?

— საკუთარ თავზე შეყვარებული ხარ?

— ჰო, შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ...

ამ სიტყვების შემდეგ, ზაზამ ხელი აიქნია, უცნაურად ჩაიცინა და გამერიდა. ეტყობა, მეც მოლაღატე ადამიანების კატეგორიას მიმაკუთვნა და ჩემგან გაცლა ამჯობინა...

მართალია, საზოგადოება 14 თებერვალს ვალენტინობას აღნიშნავს, მაგრამ საინტერესოა, არის კი ის ქრისტიანული დღესასწაული? როგორც ცნობილია, რომის კათოლიკური ეკლესია ამ დღეს ორ წმინდანს უკავშირებს: რომაელ მღვდელ ვალენტინს და ტერნის ეპისკოპოს ვალენტინს. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი კლავდიუს II-ს მეფობის დროს, 269 წელს ეწამა. მათ შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. კათოლიკე თეოლოგების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი განსხვავებული მონაშენები იყვნენ, რომელთაგან ერთი რომიდან 60 კმ დაშორებით, ხოლო მეორე — via Flaminiana-ს გზაზე დაკრძალეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ნამების შემდეგ ორივე მონაშენს თავი მოჰკვეთეს. 469 წელს რომის პაპმა, გელასიუსმა 14 თებერვალი ვალენტინის ხსენების დღედ დაანწესა.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ვალენტინის დღესასწაულს წარმართული ფესვები უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუ ხალხურად მოცემებს დავუჯერებთ, მღვდელი ვალენტინი (და არა ეპისკოპოსი) შეყვარებულთა მფარველი და მეოხი გახლდათ. თურმე, კლავდიუს II, რომელიც ომებს აწარმოებდა, მიიჩნევდა, რომ დაოჯახებული მეომრები ცუდად იბრძოდნენ და ამიტომაც, რომის იმპერიაში ახალგაზრდების დაქორწინება აკრძალა, მღვდელი ვალენტინი კი შეყვარებულ წყვილებს ჯვარს ჩუმად სწერდა. იგი სწორედ ქრისტიანი მონაშენების დახმარებისა და ჯვრისწერების აღსრულებისათვის შეუპყრიათ და სასტიკად უტყუებიათ. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ციხეში ყოფნისას, იგი დამტყვევებლის ბრმა ქალიშვილს დაუახლოვდა და შეუყვარდა კიდეც. სიკვდილის წინ კი მისთვის სასიყვარულო ბარათი მიუწერია, რომელიც ასე მთავრდებოდა: „შენი ვალენტინისაგან“. ალბათ, აქედან მომდინარეობს ევროპული ხალხური ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, ვალენტინობას გაგზავნილი ბარათით ვაჟი თავისი რჩეულის ვალენტინი ხდება, ხოლო გოგონა — ვალენტინა.

დღემდე, ევროპასა და ამერიკაში, 14 თებერვალს შეყვარებულები ერთმანეთს სასიყვარულო ბარათებს, საჩუქრებს, ყვავილებსა და ტუბილულს უგზავნიან. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ვალენტინი ბავშვებს საკუთარ ბაღში დაკრე-





ფილ ყვავილებს ჩუქნიდა, ხოლო როდესაც მღვდელი დაატყვევეს, ბავშვები მიდიოდნენ მასთან და სიყვარულის ნიშნად, ციხის გისოსებიან სარკმელში ყვავილებს ყრიდნენ. აღსანიშნავია, რომ ძველ რომში, 14 თებერვალს იუნონასადმი (ქორწინების ქალღმერთი) მიძღვნილი დღესასწაული აღინიშნებოდა და ამ დღეს ფრინველთა დაწყვილების დღესასწაულსაც ზეიმობდნენ. მომ-

დევნო დღეს კი, 15 თებერვალს ლუპერკალიის ანუ ნაყოფიერების წარმართულ დღესასწაულს აღნიშნავდნენ. ამ ღამეს რომელი გოგონების სახელებს წერდნენ ფურცლებზე და მათ ერთ ჯამში ყრიდნენ; შემდეგ, ვაჟი მათგან ერთ-ერთს ამოირჩევდა და მისი პარტნიორი ხდებოდა გოგო, რომლის სახელიც ამ ქალაქზე იყო დანერვილი. სწორედ წილისყრის ეს წესი და ლეგენდა ბარათის შესახებ

(რომელიც მოწამემ სიკვდილის წინ, ბრმა გოგონას გაუგზავნა) დაედო საფუძვლად ევროპაში 14 თებერვლის ანუ ვალენტინის დღესასწაულის აღნიშვნას. მართლმადიდებელი ეკლესია 14 (27) თებერვალს არ მოიხსენიებს ვალენტინის სახელით ცნობილ წმინდანს და ვალენტინობა, როგორც სიყვარულის დღე, არც კათოლიკური ეკლესიის მიერ აღინიშნება.

თინეიჯერები გვწერენ

ამჯერად, ეჭვი გამიჩნდა, რომ თინეიჯერებმა მოილაპარაკეს და ყველამ ერთად მომწერა თავისი მოსაზრება ტელევიზიებთან, გადაცემებთან დაკავშირებით. რამდენიმე მათგანს აქვე გთავაზობთ, ზოგიერთი მესიჯის ავტორს კი დროებით „დავჭარავ“.

ბუსა:

„ამბობენ, რომ ქართული ტელევიზორცე ხალხის გარყვანაზეა გადასული. აქაოდა, შორენა ბეგაშვილი სექსს გვასწავლისო და საცოდავ გოგოს ლამის, მთელი ქვეყანა აუჯანყდა; იმას კი არავე ამბობს, რომ შორენას გამოჩენამდე, სექსს ბრაზილიური სერიალები გვასწავლიდნენ. პირადად მე, სწორედ სერიალების წყალობით გავიგე, თუ როგორ ჩნდებიან ბავშვები, მანამდე კი სრულ ბნელეთში ვცხოვრობდი და კომპოსტის ვაჭებ-ვადიდებდი... ახლა მოვანმა ნანკა კალატოზიშვილი ამოიღო მიზანში და მის ლანძღვა-გინებაზე არიან გადასული. ტელენამყვანის რა ბრალია, თუ მას რალაცების თქმას პროდიუსერი ავალდებულებს? „სიმართლის დროში“ ბესო-კესო რომ მიიწვიეს, ამ უბედურ ადამიანთან ერთად, ნანკაც გამოთათხეს — მას სალაპარაკოდ როგორ დაუჯდაო? აბა, ნებისმიერ თქვენგანს გადაუხადონ ფული და ვნახავ, ბესოსნაირებს თუ რა დაელაპარაკებით!.. ზოგი ნანუკა ჟორჟოლიანს ლანძღავს — აბა, რას ჰგავსო? კაცო, ალბათ, თავადაც უნდა, კეტრინ ზეტა ჯონსივით ან ანჯელინა ჯოლივით ლამაზი იყოს, მაგრამ ქართული გარეგნობის მქონე ჩვეულებრივი გოგოა და ამის გამო უნდა ვლანძლოთ? ჰო, მართალია, ცოტა ძველბიჭურად აცვია, უცნაურად დადის, მაგრამ ასე აცმევენ, ასეთი მანერები აქვს და რა ქნას?! დავიჯერო, მისი გამკრიტიკებლები უფრო დახვეწილები ხართ?.. ნუ, მაია ასათიანზე აღარ ვლაპარაკობ — მისი სიცილი და გამოხედვაც კი ბევრს უშლის ნერვებს. კი, ბატონო, თუ მაია არ მოგწონთ, ნუღარ შეხედავთ — გადართეთ სხვა არხზე... ნინო ქაჯაიაზე ნაკლებს ლაპარაკობენ და ეს მხოლოდ და მხოლოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის დამსახურებაა — ამ არხს ხომ თითქმის არავინ

უყურებს... აი, დავით აქუბარდიას გადაცემას კი მართლა ბევრი მაყურებელი ჰყავს და სწორედ ეს მიშლის ნერვებს. როგორ შეიძლება, მოგწონდეს ჟურნალისტი, რომელსაც გადაცემის მსვლელობის დროსაც კი სძინავს?! აი, ეგა ვართ ქართველები — სხვისი გაკრიტიკება გვიყვარს, საკუთარ ქმედებებს კი არ ვაკონტროლებთ“.

რუსიპირი:

„რა დღეში ხარ, საცოდავო საქართველო! ჩვენს ქვეყანას, ჩვენს პატარა, მუჭისხელა საქართველოს ყოველთვის უამრავი მტერი ჰყავდა, მაგრამ ყველა დავამარცხეთ, ყველაფერი გადავლახეთ და ახლა? — XXI საუკუნეში ჩვენ თვითონ ვუთხრით საძირკველს იმ მიწას, რომლის ასაყვავებლად უამრავი ვაჟკაცის სისხლი დაიღვარა. ჩვენი ქვეყანა უსამართლობით გაიჟღენთა. ქართველი საზოგადოება (თუ შეიძლება, ბრბოს საზოგადოება დავარქვათ) ხედავს მხოლოდ იმას, რისი დანახვაც სურს და არა იმას, რაც რეალურია. მაგალითად: ჩემი ქართულის მასწავლებელი მიმტკიცებს, სწორი ფორმაა „ავღნიშნეო“, მე კი მას ვუპასუხებ, ამჯერად, „გზის“ ფურცლების მეშვეობით: — ჯერ „ლ“ იწერება, მერე კი — „ვ“. ჩვენ გვგონია, რალაცაში ბევრ ფულს თუ გადავიხდით, ხარისხიან საქონელს ვიყიდით, მაგრამ ნურას უკაცრავად!.. უფროსებს რომ ჰკითხო, სკოლა აპოლიტიკურია, არადა, დასამუშავებლად გვაძლევენ თემას: „ჩემი თვალთ დანახული რუსეთის აგრესია“. ჰო, ჩვენ უნიჭო „ნიჭიერსაც“ კი წლის პროექტს ვუწოდებთ და, აგვესო თვალეტი ნაცრით (ბედნიერია ის, ვისაც ნაცრის ბიზნესი აქვს). მემანიშვილი კიდეც ჰო, უნიჭიერესი კაცია, მაგრამ ასათიანი? (მისი კისკისი და ჩაცმულობა ცალკე თემაა, მგონი, ავთანდილი ეკვიფება)... „გამოსერიალდა“ ახალი თაობა. ქალაქლებო, თქვენ ერთადერთი უპირატესობა გაქვთ — ინტერნეტი და ბევრი

სატელევიზიო არხია თქვენთვის ხელმისაწვდომი, ჩვენ კი მხოლოდ „რუსთავი 2“-ს ან „იმედს“ ვართ მიმტერებული, სადაც სულ სერიალი, სერიალი და კიდეც ერთხელ, სერიალი გადის... „მოპრუნული ტუჩებით ნათქვამი: მე გვი ვარ“ — ეს უკვე მეტისმეტია! საუბრები სექსზე — რა უბედურებაა? ხალხნო, თქვენ თუ იცოდით, რომ ადრე ქალიშვილები არ იყვნენ?... „კომპარია ეს ყველაფერი! ქართველები ყველაფერს და ყველას ტაშს ვუჭრავენ. გამოვა ვილა, იტყვის, — გვი ვარო და ეს ისე გვიხარია, რომ ტაშის კვრისგან ხელები გვიწითლდება... ოჰ, რა დღეშია ჩვენი პატარა გემრიელი საქართველო; ღვთისმშობლის წილი ქვეყანა უსამართლობას მიაქვს და „მაფიის ლამეში“ გამოუდგებიან, მათგან იმარჯვებენ. გული მტკივა...“

პაპიტა:

„ვა, კაცოოო, ეს „ნიჭიერი“ რა უნიჭობის თავშესაყარი აღმოჩნდა, რა. ათასი კაციდან ერთი თუა მართლა ნიჭიერი და სალი ჭკუის მქონე. ისე, ყველაზე გასაოგნებელი ის მეგრული კაცი იყო, რომელმაც თბილისში 40-სართულიანი წყველა ჩამოიტანა. კაცო, წყველის გარდა, სხვა ვერაფრით წარმოაჩინა თავისი ნიჭიერება? დაწერა, ბატონო, ლექსი, სიმღერა და გამოსულიყო, რას „ამოულიტა“ მთელი სამყარო?! ქალი რომ იწყევლება, იმას ვერ ვიტან და კაცის წყველა სად გაგონილა?! მოკლედ, ამაზრუნე ტიპი იყო. საცოდავი მისი ნაცნობ-მეზობლებ-მეგობრები. ისე, არა მგონია, მისნაირ ადამიანს მეგობარი ჰყავდეს. ფუი, ეშმაკს! კიდეც კარგი, არ ვიცნობ, თორემ შიშისგან სულს განუუტყვებდი... აი, ის პატარა ტყუპი გოგო კი ძალიან მაგრად მომეწონა. გაიხარონ და გაგვახარონ, სიმავალუამიერ! ის კაციც მომეწონა, მიღწერა ცოლს რომ მიუძღვნა, ძალიან „საკალელი“ იყო... ქართველმა ალა პუგაჩოვამ დაგლიჯა, რა. „ფუჩუნა“ ქალი, მაიას მოხიბვლას თავისი პროფესიით, ჟურნალისტობით აპირებდა... ვიი, საქართველოვ, რა დღეში ჩაგაგდო შენმა უნიჭო მოსახლეობამ. სირცხვილი, ქართველებო, ჩვენი, სირცხვილი!“



ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გაიმუშავებული

ქართული ენის

განმარტავითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-6

ამფსონი (ძვ. საუბ.) — ამყლი, ავანჩავანი, თანამესუფრე.

ამქარი სპ. (ისტ.) — 1. ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანება, ამხანაგობა. 2. (ძვ.) გადატ. თანამოსაქმე, ამხანაგი.

ამქელი (ძვ.) — ბებიაქალი.

ანგალი (საუბ.) — ლაზლანდარა, მასხარა.

ანგალა — საკლავის ნაწილი, მუხლიდან ბეჭის სახსრამდე, მხარი უბეჭოდ.

ანდამატი ბერძ. (საუბ.) — 1. იგივეა, რაც მაგნიტი; 2. (ძვ.) იგივეა, რაც ალმასი.

ანდედ (კუთხ.) — იგივეა, რაც ალალებედე.

ანდერძნამაგი სპ. (ძვ.) — წერილობითი ანდერძი.

ანეული — ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად.

ანეულობა — ანეულის ხენის დრო.

ანთოლოგია ბერძ. — სხვადასხვა ავტორის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული.

ანთრაკი ბერძ. — ძვირფასი თვალის ერთგვარი.

ანთრაციტი ბერძ. — საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი.

ანოფელესი ბერძ. — კოლო, რომელიც მალარიას ავრცელებს.

ანტიპოდი ბერძ. — ვინმესთან შედარებით საპირისპირო თვისებათა მქონე ადამიანი.

ანტრეკოტი ფრ. — საქონლის ხორცის ნეკნებშუა ნაწილი. ასეთი ხორცის შემწვარი ნაჭერი.


ანტრეპრენიორი ფრ. — სათეატრო წარმოდგენების, კონცერტების მომწყობი კერძო პირი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ზიზლუსი

ზიზლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



* * *

(ქალია დილა...)

ქალია დილა,

მიწა – ქალი

სალამო – ქალი...

წვიმა ქალია...

ყველაფერი

ქალივით მიყვარს...

და როცა ვინმე

ჩემზე უკეთ

ადიდებს დილას, –

ასე მგონია:

მე რო მიყვარს, –

მართმევენ იმ ქალს.

მუხრან მაჭავარიანი



მოდინა
ინსა
ინგინა



მე, პრეზიდენტი
და
მსოფლიო ჩემპიონი

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 - 6

* * *

1919 წელს საბჭოთა რუსეთმა ქართველი ბოლშევიკების — სტალინის, ორჯონიკიძისა და საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ეროვნული უმცირესობების დახმარებით ანტისახელმწიფოებრივი ბოლშევიკური რევოლუციები შექმნა. აფხაზეთში ასეთ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ნესტორ ლაკობა, ხოლო სამხრეთ ოსეთში — პლიევი. დაიწყო გლეხთა გამოსვლებით მანიპულირება, რაც შემდგომ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბოლშევიკთა გამოსვლებად იქცა. ორივე აჯანყება სანაყის ეტაპზევე ჩაახშვეს როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი ოსური და აფხაზური ორგანიზაციების მეშვეობით.

1920 წლის მაისში რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, 1921 წლის თებერვალში საქართველოს შემოიჭრა და მის დასამარცხებლად სწორედ ის ძალები გამოიყენა, რომლებიც 1919 წელს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში აქტიურობდნენ.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისი დაეცა და რუსმა ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს. აფხაზ და ოს კომუნისტებს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების

„Всё обнажённое прекрасно, лишь раздетое смешно!“
(Юкио Мисима)

დამხობაში განუღი დახმარება დაუფასეს და რეგიონებს ავტონომიური სტატუსი მიენიჭათ. კერძოდ, სამხრეთ ოსეთს — ავტონომიური ოლქის, აფხაზეთს კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, რომელიც ამ სტატუსს 5 წლის მანძილზე ინარჩუნებდა.

ოსები ალანების შთამომავლები არიან, კავკასიაში ჩამოსახლებული ინდოევროპული რასის წარმომადგენლები. ოსეთის ეთნოსი საქართველოში შუა საუკუნეებში დასახლდა. ცხინვალის რეგიონში კომპაქტურად XVII-XVIII საუკუნეებში ჩასახლდნენ. 1914 წლის აღწერით

ცხინვალში სულ 4 ოსური ოჯახი ცხოვრობდა. 1989 წლის მონაცემებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ ცხოვრობდა ორჯერ მეტი ოსი მოსახლეობა, ვიდრე შიგნით.

რუსეთის განსაკუთრებული დაინტერესება ამ რეგიონის ავტონომიური სტატუსით განპირობებული იყო იმით, რომ 1919 წელს რუსეთს დერეფანი სჭირდებოდა უღელტეხილზე და სწორედ ამის გამო ააჯანყეს მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობა.

რაც შეეხება აფხაზებს, ისინი საქართველოს უძველეს მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ. საქართველოს მეფეები ქართველთა, კახთა და აფხაზთა მეფეებად იწოდებოდნენ, აფხაზი დიდებულები კი ქართველთა მეფის ვასალებად იყვნენ ცნობილი. აფხაზეთი ყველაზე გვიან შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო როდესაც კავკასიელები რუსეთის იმპერიას წინ აღუდგნენ, აფხაზების დიდი ნაწილი, როგორც სხვა მთიელი მაჰმადიანები, ომში ჩაება, რის შედეგადაც რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება, — ჩრდილო კავკასიის მთიელების, მათ შორის, აფხაზების, მასობრივად გადასახლება თურქეთის იმპერიაში. XIX საუკუნის 60-იანი წლები ამ მოვლენას

მუჰაჯირობა ეწოდა. სწორედ ამიტომ არიან დღეს ასე მცირერიცხოვანი აფხაზები. ზემოთ ხსენებული მოვლენის გამო აფხაზეთში, პრაქტიკულად, მხოლოდ ქრისტიანი და წარმართი აფხაზები დარჩნენ.

რუსეთის იმპერია კავკასიის სამართავად მუდმივად ცდილობდა კავკასიელი ხალხების დაპირისპირებას და ხშირად მიზანსაც აღწევდა.

1989 წლის აღწერით აფხაზეთში მხოლოდ 85 ათასი აფხაზი ცხოვრობდა, რაც ეთნიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა იქ მცხოვრები ქართველებისა და სომხების რაოდენობას.

„პერესტროიკის“ პერიოდში საქართველოში, ისევე როგორც ბალტიისპირეთში, ანტიცენტრისტული და ანტისაბჭოთა ძალები გაძლიერდნენ.

რუსეთის უშიშროების კომიტეტმა ამ პროცესის შესაჩერებლად სხვადასხვა სახის ინტერფრონტების შექმნა დაიწყო, დაიწყო ანტიცენტრისტულ ძალებთან ბრძოლა და პროსაბჭოთა, პრორუსული პოლიტიკის გატარება. საქართველოს ტერიტორიაზე საამისოდ აფხაზ და ოს პოლიტიკურ ელიტას იყენებდნენ. პირველი დარტყმა სამხრეთ ოსეთის (სადაც ოსი მოსახლეობა 54%-ს შეადგენდა) პრორუსულმა ძალებმა თბილისს მიაყენეს. 1990 წელს, თბილისთან შეუთანხმებლად, სამხრეთ ოსეთის დეპუტატთა საბჭომ ავტონომიური ოლქის სტატუსი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსამდე აამაღლა და მოსკოვს საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლისა და რუსეთთან შეერთების თხოვნით მიმართა. ამის პასუხად საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა როგორც ეს გადაწყვეტილება, ასევე ავტონომიური სტატუსი და ოლქი და რეგიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები შეიყვანა. მაშინდელი ხელისუფლება ხისტი პოლიტიკითა და მოუქნელობით გამოირჩეოდა (ზ. გამსახურდიას რეჟიმი).

1990-1992 წლებში ლოკალური შეტაკებები მიმდინარეობდა. ორივე მხარეს მრავალი ათასი ადამიანი დაიღუპა, ხოლო დევნილები რაოდენობამ მრავალ ათასს გადააჭარბა. 1992 წელს, დაგომისის ხელშეკრულების თანახმად, ცეცხლი შეწყდა და ცალმხრივი სამშვიდობო ძალები (ჩრდილო ოსეთი, რუსეთი და საქართველო) შეიქმნა.

1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე რუსეთმა სამჯერ დაარღვია ხელშეკრულება.



ბაქჯვას

არეულ ქვეყანაში, ალბათ, უხერხულიც არის დალაგებული ცხოვრება, ჰოდა, ჩვენც ქვეყნის შესაბამისად გვერეოდა აფრები. ჩემი ქეთი და სოლოლაკელი გიო ნეფარიძე, 1986 წლიდან თავდავიწყებული შეყვარებულები, კვლავ ამოდ ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ მშობლები თავიანთი არჩევნის გარდაუვალობაში. არც მარიკუნას გემი მიდიოდა სრული სვლით. მე და ნუკრი კი შვიდწლიანი თანაცხოვრების მერე ერთმანეთს დავშორდით, მიზეზი ქართულად ბანალური იყო. ნუკრის ცხოვრებას დროდადრო ნაირ-ნაირი სახეობის „პეპლები“ ამშვენებდნენ და ისევ ქართული ტრადიციისამებრ, მათთან გატარებული ყოველი ღამე პირდაპირ ჩემს ტელეფონზე აისახებოდა. „კეთილისმსურველის“ ზარი უტყუარი გარანტიაა ცოლქმრული იდილიის დასარღვევად. თავიდან მჯეროდა იგავ-არაკების, რომელსაც ღალატში გამოჭერილი ნუკრი უხვად თხზავდა. მერე და მერე, ვითარება იმდენად დაიძაბა, ეზოზე, კრილოვი და ლაფონტენი ერთდროულად რომ გაცოცხლებულიყვნენ და ახალი ქმნილებები მოეძღვნათ ჩვენი ბზარგაჩენილი ოჯახისათვის, სამშველი მაინც არ იქნებოდა. თავმოყვარეობა სულის მდგომარეობაა! — ან გიყვარს და პატივს სცემ საკუთარ სულს, ან აფურთხებ მასში. ჩემი ღრმა რწმენით, არც ერთი კაცი არ ღირს იმაზე ძვირი, ვიდრე საკუთარი სული. ქალი, რომელიც მზადაა, კაცს ყველაფერი აპატიოს, მიუხედავად ასეთი დამცირებისა, ღალატისა და სიძვისა, უკან დააბრუნოს, სარეცელი კვლავ გაუყოს და შვილებს ფარისევლურად დაანახვოს „ოჯახური სიამტკბილობა“, თავადაც მეძავია, იმაზე უფრო დიდი მეძავი, ვიდრე ქუჩაში „მომუშავე“ ქალები. მათი მიზანი ბიზნესია. როდესაც სულს ყიდი, სხეულის გაყიდვა რაღაა? მხოლოდ ხორცის ზეიმი? მკვდარ სულს ისევ გაყიდული ხორცი სჯობს.

მე ჰოროსკოპით ღრიანკალი ვარ, თანაც მამალი ღრიანკალი, თუ კუდზე ფეხი არ დამადგეს, მშვიდობისმოყვარე და მოსიყვარულე ვარ, აი, კუდზე ფეხდადგმული კი — საშიში და შურისმაძიებელი. მართალია, ამ მანკიერების გამოსწორებას დიდი ხანია

ცდილობ, მაგრამ უშედეგოდ. ორივე მხრიდან მშობლების ვედრება ოჯახის შენარჩუნებაზე მარცხით დამთავრდა. ჩემი მხოლოდ ბებუას ესმოდა, მისთვის ჩვეული მანერით ნათქვამი საბოლოო სიტყვაც ასე უღერდა: „Ваш сын мог сидеть на коне, а он залез на ослу под яйца!“ ენოსონა, როგორც ყოველთვის, შოკის მომგვრელი, ნალდი და უტყუარი იყო. ერთადერთი, რაზეც ვფიქრობდი, ეფექტურად წასვლა იყო. წასვლა, რომელიც მისვლაზე ძლიერი იქნებოდა. მორიგი ჩხუბის შემდეგ ნუკრიმ რადიკალურ ზომებს მიმართა და სიტყვებით — „არსადაც არ წახვალ“ — გაიჯახუნა კარი და სატელეფონო სადგენბიც წინასწარ მომზადებული „ვიქტორინოქსის დანით გადაჭრა.“

მე უმალ დავეწაფე მენამულისფერ, თავბრუდამხვევ შურისძიების გეგმას: გაუჩინარება მესუთე სართულიდან! ჩაგანავების აივანი ავარიული და საკმაოდ დახრილი იყო, ქვევიდან „ლოჯიების მოშენების“ ცოცხალი მემბრანა — ამოშვერილი ბეტონის ძელები არასტუმართმოყვარედ გამოიყურებოდა. მე ერთ-ერთი სარეცხის თოკი ჩაჭყერი, აივნიდან გადავკიდე და ნელნელა ქვევით ჩაცურება დავიწყე.

მეოთხე სართულზე ძალიან სიმპათიური და საყვარელი სომხური ოჯახი ცხოვრობდა. დღესაც თვალწინ მიდგას ბიძია ოვანესის შემოღილი სახე, როდესაც თოკზე ჩამოკიდებული დამინახა.

— უკაცრავად, კარი ჩამეკეტა, შეიძლება თქვენგან გავიდე? — ვთქვი, რაც ენაზე პირველად მომადგა. პასუხი არ მიმიღია. მოხუცი მეზობლის ხელში ჩაისჭიქა შესამჩნევად აცახცახდა.

როდესაც დედაჩემმა ხელებგადატყავებული დამინახა, შემდეგ კი ჩემი ამბავიც მოისმინა, ზღურბლზევე ჩაიკცა. სამაგიეროდ, „მტერი“

დამარცხებული და დემორალიზებული იყო. გადატყავებული ხელბიც, გაოგნებული ძია ოვანესიც და გულწასული მანანაც ის ფასი იყო, რომელიც მე ამ რევანსისტულ-აკრობატულ ნომერში გადავიხადე.

შინ დაბრუნებული ნუკრი კიდე დიდხანს ვერ მოდიოდა გონს. გემამ გაამართლა!

„ქიშის საათი“

ჩემი ცხოვრება თავიდან იყო დასალაგებელი, მე კატეგორიული უარი ვთქვი დედასთან დაბრუნებაზე და მიმარჩინა, რომ ეს იმ მომენტში ჩემი ერთ-ერთი ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იყო. მე დამოუკიდებლად არსებობა უნდა მესწავლა!

დამეთანხმებით, რომ 90-იან წლებში საქართველოში ნაქირავებ ბინებში მხოლოდ რაიონიდან ჩამოსულები ცხოვრობდნენ და ჩემმა გადაწყვეტილებამ ბინის დაქირავების თაობაზე ოჯახის წევრები საგონებელში ჩააგდო.

— დღეიდან ყველა გადაწყვეტილებას მე ვიღებ სეპარატისტული წესით! მე და მხოლოდ მე! — კატეგორიულად განვაცხადე და უნებლიეთ გავიფიქრე, რომ დედაჩემის მაშინდელი შეცდომა ჩემს დღევანდელობას ახალ რეალობას სძენდა. ან ვინყებ ახალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას, ან იმ ნაცრისფერ მასას ვემსგავსები, რომელიც მუდმივად სხვისგან იმართება. თოჯინამარიონეტი კარგია მხოლოდ ერთი სპექტაკლის სათამაშოდ, მერე მას ძველ ზარდახშაში ინახავენ და ვინ უწყის, კიდე როდის იხილავს დღის შუქს?

მე არ ვიყავი ძაფზე გამობმული თოჯინა, მე ვიყავი პატარა ბიჭის დედა, რომელსაც ამ უსაზღვროდ გაძვირებულ ქვეყანაში თავისი შვილისთვის კარგი კვება, განათლება და მოვლა უნდა უზრუნველყო! და მე ამას ვაკეთებდი... რადგან განქორწინების დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილება გამემართლებინა, თუნდაც საკუთარ თვალში.

საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა სწორედ ის სასურველი კომპანია იყო, სადაც ნებისმიერი ადამიანის ამბიცია კმაყოფილდებოდა. ცნობილი სახეები ნარნარად დაიარებოდნენ ტელევიზიის დერეფნებში,



მე-2 არხის სტუდიაში, ქეთი კეკელიასთან ერთად



„ზევიდან“ დაპყრებდნენ ახალბედებს და თითქოს ეუბნებოდნენ:

— ეს ადგილი დაკავებულია, ჯერ ჩვენი დროა, რომელიც დიდხანს გაგრძელდება...



ზაზა შენგელიასთან ერთად

სახელმწიფო ტელევიზიამდე ორი კერძო კომპანია — „იბერვიზია“ და „თამარიონი“ უკვე მოვლილი მქონდა. „იბერვიზიაზე“ გასართობ-შემეცნებითი გადაცემა მიმყავდა, „თამარიონზე“ კი რუსული ანალიტიკური გადაცემა, რომელიც იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩემი მენეჯერი ზურა დვალი იყო, სწორედ მასთან ერთად მიხდებოდა ყოველკვირეულად სამართების პირზე გავლა, რადგან ჩვენი სიუჟეტები ხან „მხედრონის“, ხან კი ამა თუ იმ „ჩინოვნიკის“ გაღიზიანებას იწვევდა. ბუნებით საოცრად თბილი, მაგრამ მტკიცე ხასიათის ზურა ყოველი არასასიამოვნო მოვლენის მერე მანყნარებდა: „Не бойсь, Моршкина, всех не перебьют“, „Нас мало, но мы в тельняшках“. ზურა მოგვიანებით მთელი ჩემი ცხოვრების თანამგზავრად და აზრთა უპირველეს გამზიარებლად იქცა. კერძო ტელეკომპანიები სულს ლაფავდნენ, თანაც ბავშვობიდან გამოყოლილი საყვარელი „აკვარიუმის“ აურა უფრო მიზიდავდა. ამ დანებებულებას ჩემს წარმოდგენაში თავისი სუნი, სახე და ფერი ჰქონდა და, რა თქმა უნდა, აუცილებლად ნათელი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, მეოთხედან მერვე კლასამდე ყოველ ხუთშაბათს საყმანვილო გადაცემა „შევისწავლოთ რუსული ენა“ მიმყავდა. მისი ავტორი და წამყვანი, ცნობილი ტელედიქტორი ირინა მათიაშვილი, ჩვენი მეზობელი, ბებიასა და დედაჩემის დიდი მეგობარი გახლდათ. ქალბატონმა ირინამ კარგად იცოდა ჩემი ლინგვისტური მონაცემები და ამიტომ ბებიას დაჟინებით სთხოვა ჩემი ტელევიზიაში მიყვანა. ასე შევჩივი ეკრანს. დღემ-

დე მასხოვს ტელევიზიის სასადილო საჭოსა და არაჟინის განუმეორებელი გემო. ან იქნებ მაშინ ყველაფერი ასეთად მეჩვენებოდა?

მოკლედ, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი პირველი არხის საეთერო სივრცის დაპყრობა და ამისათვის პირდაპირ საინფორმაციო სამსახურის განყოფილებისაკენ გავუშურე.

1994 წელი... ზედიზედ დახურული კერძო ტელეკომპანიები, ქაოსი, სიბნელე, პურის რიგები, სიცივე და გაუტანლობა. გაუტანლობა შინ და გარეთ, აზრდილება და ცქეული ადამიანები თითქოს ერთმანეთის სისხლით იკვებებოდნენ, ყოველდღე ტკივილი, ვება და გოდება. თითქმის ყოველ სადარბაზოში დასვენებული სასახლის სახურავების ავისმომასწავლებელი სიმრაველე... ახალი სასაფლაოები, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, ისე აღმოცენებულიყვნენ ქალაქის შუაგულში. ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ, ცოცხლებმა, ეს ტვირთი სიცოცხლის ბოლომდე ვატაროთ.

მარადისობას შეუერთდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი გუშინდელი „ლიმილის ბიჭები“: ლადო, რემკა, ვასო, ირაკლი... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი „პატრიოტთა თამაშებს“ შეწირული თაობა. მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება დუხჭირ-დუხჭირ წინ მიიწევა და, ძირითადად, ზღაპრით, დროდადრო კი სწრაფად, გამეტებით და უკანმოუხედავად.

მე პატარა ბავშვით მარტო დარჩენილი სამსახურის ძიებაში ვიყავი. მართალია, ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დავამთავრე და ახლა დედაჩემის დაჟინებულ თხოვნით ასპირანტურაში ვსწავლობდი, მაგრამ ყოველდღიური შემოსავალი და თანაც პერსპექტიული სამსახური მჭირდებოდა. იმ დროს მოდური კოოპერატივები და ათასი ჯურის სააქციო საზოგადოებები არანაირად არ მისებლავდა, ამიტომ გადაწყვიტე, ბედი ბავშვობიდანვე საყვარელ და ჩვეულ ორგანიზაციაში მეცადა. ჩემი უფროსი მეგობარი ლია ბურჭულაძე „მოამბის“ რედაქტორი გახლდათ. ლია ის იშვიათი ქართველი ქალია, რომელიც მიუხედავად ცხოვრებისეული აღმართ-დაღმართებისა, ყოველთვის კარგად გამოიყურებოდა, რაც უნ-

და მომხდარიყო, ოპტიმისტურ განწყობაზე იყო და აბსოლუტურად ყველა თემაზე კომპეტენტური აზრი ჰქონდა. ასაკი კი მას, როგორც კარგ კონიასს, მხოლოდ სიმაგრესა და ფასს სძენდა.

— **Мартышка** (ასე მეძახდა მოფერებით), მგონი, არ იქნება ურიგო, შენ რომ მამუკამ განახოს, — გამომიცხადა ლიამ ერთ მშვენიერ დღეს.

— ვინ მამუკამ? — შევეკითხე მე.

— ვინ და, არეშიძემ, საინფორმაციო სამსახურის უფროსმა.

— „სალამო მშვიდობისა“ რომ მიჰყავდა? კარგი რა, ლია, ლადაობ? ჩანწყობის გარეშე ვინ მიმიღებს? არ იცი მანდ რა ხდება?

— ეგ შენი საქმე აღარ არის, ხვალ სოლიდურად ჩაიცივი და მოდი, მე შეგახვედრებ, დანარჩენი შენ იცი, — ლია მკაცრი და შეუვალი იყო.

მეორე დღეს ლია ტელევიზიის ფოიეში საშვით ხელში მელოდებოდა და ბოლო გაფრთხილებას მაძლევდა:

— სიტყვებს ნუ წელავ, ნუ იტყვლარტყები და კიდევ, ახლავე გამოიღე სადექი რეზინი პირიდან! — მე უყოყმანოდ დავემორჩილე „შემდეგ“ ბურჭულაძის ბრძანებას.

მამუკა თბილი და სასიამოვნო ადამიანი ჩანდა.

— ძალიან კარგი, — მითხრა მან, — ლიამ უკვე მიაბო შენ შესახებ, ახლა ცოტა მომატებული ხართ თუ ეს შენი ნორმალური წონაა? — შეკითხვა იმდენად მოკის მომგვრელი იყო, რომ ხმა ძლივს ამოვიღე. მამუკა მისვდა ჩემი შეცბუნების მიზეზს, — არა, ისე არ გამიგო, შესანიშნავად გამოიყურები, საქმე ის არის, რომ ეკრანი რვა კილოგრამს ამატებს და ამიტომ გკითხე.

— ვიცი, — ამოვილულულე მე, — მიმუშავია ტელევიზიაში, ისე, 58 კილოგრამს ვინონი, სიმაღლე — 172.

— კარგი, აბა, ეს ტექსტი წამიკითხე, — მითხრა მამუკამ და რალაც ნაჯღაბნი გამომიწოდა.

— აქ რა უნდა გავარჩიო? — უკმაყოფილება ვერ დავმაღლე მე.

— აბა, როგორ გინდა, პერსონალური მემანქანე უნდა მუშაობდეს შენთვის? ხან ასე იქნება, ხან ისე.

მიუხედავად იმისა, რომ მამუკა კარგს არაფერს მეუბნებოდა, გასაგები იყო, რომ მოვეწონე, — რადგან ამდენს მცდიდა, ესე იგი მოვეწონე! დაუჯერებელია, მე პირველი არხის საინფორმაციო გადაცემას ნაკვიყვანი!



— ყოველდღე 5-6 საათი ხმაი-
ლალი კითხვა, მერე მოხვალ და
კიდევ ვნახოთ. ჰო, ბი-ზე იმუშავე,
რალაც სპეციფიკური ბი გაქვს, ოჯახ-
ში რა ენაზე ლაპარაკობ?

— რუსულად, — ვთქვი მე.
— გასაგებია, მოკლედ, არანაი-
რი რუსული, ყური გადააჩვიე და
ერთ კვირაში გელოდები.

ერთმა კვირამ მეცადინეობასა და
ვარჯიშში განვლო. ვისხენებდი ჯერ
კიდევ სკოლაში ნასწავლ მეტყვე-
ლების სავარჯიშოებს: „ბდგი-ფთქი,
ფთქი, ბდგე-ფთქე, ფთქე, ბდგო,
ფთქო, ფთქო, ბდგუ, ფთქუ, ფთქუ ...

— ყოჩაღ, უკეთესია! — შემაქო
მამუკამ და ლიას დაუძახა, — შე-
აგდე დღეს ეთერში.

— სად? — სასონარკვეთით ვი-
კითხე, — მე? ეთერში? არა, არა,
ჯერ მზად არა ვარ, არა, სხვა დროს
იყოს. აი, ხვალ მომზადებული მო-
ვალ და მერე.

მაგრამ ლიასა და მამუკას თით-
ქოს ჩემი აღარ ესმოდათ, ისე ჩა-
ეფლნენ სატელევიზიო ქაოსში.

„ქვიშის საათი“, საღამოს ანა-
ლიტიკური გადაცემა, პირადად მა-
მუკას ნოუ-ჰაუ იყო.

ამ გადაცემაში ახალბედა ჟურ-
ნალისტები მუშაობდნენ, ამიტომ იმ
პირქუშ დროს თუ „ზედმეტი სი-
მართლე“ გაძვრებოდა ეთერში, მა-
შინვე ახალგაზრდა კოლექტივს
პბრალდებოდა. სტუდიაში მოვარ-
დნილ უკმაყოფილო ხალხს მამუკა
ასე უხსნიდა: რა ვენა, პატარები
არიან და სწავლობენ, ხომ არ დავხო-
ცავო? „მოვარდნილთა“ შორის ლი-
დერობდა ევროპული გარეგნობის,
მაგრამ კომკავშირული სულის მა-
ტარებელი გიორგი ბარამიძე, რო-
მელიც გამუდმებით აპროტესტებ-
და „მოქალაქეთა კავშირის“ გაკრი-
ტიკებას და „ურჩი“ ჟურნალისტის
დაუყოვნებლივ დასჯას მოითხოვ-
და. მიუხედავად იმისა, რომ მე სა-
ტელევიზიო სივრცეში უკვე ჭიპი
მქონდა მოჭრილი, დებიუტი მაინც
ძალიან მამფოთებდა, ჯერ ერთი,
ქართულად, პირველ არხზე, თანაც
ასეთ კოლექტივში. რამე რომ შემე-
შალოს?

დრო ეთერის წინ უსაზღვროდ
გაინელა. ხელისგულები ისეთი ოფ-
ლიანი მქონდა, რომ ტექსტზე მე-
ლანი იღობებოდა. აი, უკვე მე-
რამდენედ ჩემს თავს ვუზბნებოდი,
„უნდა შეძლო, თუ არა და დარჩები
ისე, იმუშავე სადმე გამყიდველად
ან იქნები მთელი ცხოვრება ვილაც
ლიპიანი ფულის ტომრის საყვარე-
ლი“. არ ვიცდი, ესთეტიკურმა მო-
მენტმა გადაწონა და ლიპიანი ბი-
ძის პერსპექტივა არცთუ ისე მიმ-
ზიდველად მეჩვენა, მაგრამ ეთერი

შედგა. არც ერთი სიტყვა არ მახ-
სოვს, რაც მაშინ ვთქვი. სტუდიი-
დან გამოსულს ღია და მამუკა მე-
ლოდებოდნენ. ღიამ ტექსტები გა-
მომართვა და თავში ჩამარტყა.

— გილოცავ, Мартышка ოლონდ
შემდეგში რკინის ვარდი აღარ თქვა!
— მითხრა ბედნიერმა ღიამ. მისმა
პროტეჟემ ივარგა!

— რა „რკინის ვარდი“? — ვი-
კითხე დაბნულმა.

— გამოთქმაა ასეთი — „რკინის
ფარდა“, ანუ წინაღობა და არა
„რკინის ვარდი“, — მოთინებით
ამიხსნა მამუკამ და ეს იყო ჩემს
ცხოვრებაში პირველი, მაგრამ არა
უკანასკნელი არეშიძისეული განმარ-
ტება.

თალასი

1996 წელი ერთ-ერთი ყველაზე
მძიმე წელია ჩემს მეხსიერებაში.
ეს იყო დანაკარგისა და სასონარ-
კვეთილების წელი. ხშირად მიფიქ-
რია, რომ განგება ასეთ პერიოდ-
ებს განსაზღვრავს და სულიერი
სიმტკიცის შესამოწმებლად გვიგ-
ზავნის. იმის მიხედვით, თუ რამ-
დენად მედგრად და შეუპოვრად შეხ-
ვდები განსაცდელს, განისაზღვრე-
ბა შენი მომავა-
ლი არის ამ ქვე-
ყანაზე.

პოლიტიკური
ვითარება ქვეყა-
ნაში და, კერძოდ,
რუსეთთან ურთი-
ერთობაში, მუდ-
მივად ცვალება-
დი და მერყევი
იყო. ასეთივე
იყო ჩემი ყოფაც
სატელევიზიო
სივრცეში. მიუხე-
დავად იმისა,
რომ საკუთარ
თავს მენტალი-
ტეტითაც და
ენობრივადაც
ყოველთვის ქარ-
თველს მივაკუთ-
ვნებდი, მავანში
ჩემი გვარი მა-
ინც უსიამოვნო
შეგრძნებებს ბადებდა. ალბათ, ეს
იმ კომპლექსიდან გამომდინარეობ-
და, რასაც პროვინციული ბუნება
მავანთ კარნახობდა. ფაქტი კი ერ-
თია, მე ვენიერებოდი რუსულ-ქარ-
თულ დაპირისპირებას. მოტივი
მტკიცე იყო: „რა დროს მოსახლეო-
ბისათვის მტრული გვართ ნერვე-
ბის მოშლა? საინფორმაციო გა-
მოშვება ქართული გვარის მატა-
რებელს უნდა მიჰყავდეს!“

სტატისტიკის მიხედვით, საქარ-

თველო პირველ ადგილზეა გადა-
კეთებული გვარების რაოდენობით.
როცა მიფიქრია, რამდენს აქვს ჩემ
გარშემო გაქართველებული რეალო-
ბა, სურათი საკმაოდ შთამბეჭდავი
მიმილია.

ჩემთვის, როგორც ფესვების, ჯი-
შისა და ჯილაგის პატივისმცემ-
ლისათვის, ამგვარი გარიგება ერ-
თობ მიუღებელი და მეტიც, უპი-
დურესად შეურაცხმყოფელია.

მოკლედ, შედეგი ერთი და იგი-
ვე იყო, — მე, როგორც წესი, „უკე-
თესი“ დროის მოლოდინში ეთერს
ვტოვებდი. ასე რომ, რუსულ-ქარ-
თული დიპლომატიური ურთიერთო-
ბის რღვევა არაერთხელ გამხდარა
ჩემი გულისწყრომის მიზეზი.

წარმოიდგინეთ, განვითარებულ
ქვეყანაში, მაგალითად, ამერიკაში,
ებრაელ ტელენამყვანს მხოლოდ
იმიტომ აძლევენ დისკვალიფიკაციას,
რომ ღაზას სექტორში კვლავაც არე-
ულობაა, ან საფრანგეთში აფროა-
მერიკელების მანიფესტაციის შემ-
დეგ შავკანიან ტელენამყვანებს სჯი-
ან! როგორია? მაგრამ ჩვენს ქვეყა-
ნას, ალბათ, არც 1997 წელს და
არც ახლა, მიუხედავად უამრავი
ისტორიული მაგალითისა, პრეტენ-



ტელეკომპანია ენ-გე-ვის
სტუდიის სააპარატში

ზია სრულ ტოლერანტობასა და ჩა-
მოყალიბებული სამოქალაქო საზო-
გადოების არსებობაზე არა აქვს
და არც ჰქონია. პირადად მე მიმი-
ტვევია ჩემი „სულთამხუთავები-
სათვის“, მით უმეტეს, რომ ყოვე-
ლივე ზემოთ თქმული მხოლოდ ორ-
მაგად აძლიერებდა ჩემში თავი-
სუფლებისა და სამართლიანობის
მუხტს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გავგიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
ნ. „გზა“ №37, 2009
— №6, 2010

გორა მანველიძე

სოსუმადან მიღებული ცნობა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასთვის: რიტა დრანდის იზოლატორიდან ერთი დღის წინ გაეთავისუფლებინათ.

— გაათავისუფლეს? — გოგამ გაოცებულმა წამოიწია სანოლიდან, როცა ერეკლემ ამის შესახებ უთხრა.

— გაათავისუფლეს და თან, არა მხოლოდ ის — მისი ბიძაშვილი, რომა ლაკობაც და ყველა დანარჩენი აფხაზიც.

— კი, მაგრამ რასთან დაკავშირებით?

— შენ მე გამაგიჟებ! — გაეცინა ერეკლეს. — ცოტა ხნის წინ მოსვენებას არ მაძლევდი: ვიდრე ის გოგო იზოლატორშია, რა დამამშვიდებდესო?! — ახლა კი გაიძახი: რატომ გაათავისუფლესო?!

— ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს.

— მართალი ხარ. ამ შემთხვევაში კი მიზეზი ასეთია: საქართველოს ხელისუფლებამ კეთილი ნება გამოიჩინა და ყველა აფხაზი ტყვე უპირობოდ გაათავისუფლა.

— მერე სად არის ახლა ის ხალხი? — ჰკითხა გოგამ.

— აფხაზი ტყვეები გუმისთის ხიდზე მიიყვანეს და მათი ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცეს.

— ესე იგი...

— ესე იგი, შენ კიდევ კარგა ხანს ვერ შეხვდები იმ გოგოს, — არ დაამთავრებინა ერეკლემ, — ვიდრე ბრძოლები არ დამთავრდება, ის გაგრაში ველარ დაბრუნდება, შენ კი გუდაუთაში ვერ ჩახვალ. ასე რომ, ახლა, გინდა თუ არ გინდა, მხოლოდ

ერთ რამეზე მოგიწევს ზრუნვა — ჯანმრთელობაზე!..

ექიმმა გულდასმით გასინჯა გოგა. პულსი და წნევა შეუმონმა, თვალებში ჩააცქერდა. მერე სთხოვა: ადექი და ოთახში გაიარ-გამოიარეო. გოგამ თხოვნა შეასრულა. კედელთან მივიდა და უკან გამობრუნდა.

— თავბრუსხვევას გრძნობ? — ჰკითხა ექიმმა.

— არა, — უპასუხა გოგამ.

— არ მომატყუო! თავბრუ თუ გეხვევა, ესე იგი, ტვინის შერყევისგან ჯერ არ განკურნებულხარ. დროთა განმავლობაში კი თავბრუსხვევა მოიმატებს და საბოლოოდ, აუტანელ ტკივილში გადაიზრდება, — გააფრთხილა ექიმმა, — სჯობს, ერთი ან ორი კვირა კიდევ გაატარო სანოლიში, ვიდრე მერე თავიდან დაიწყო მკურნალობა. ახლა ჩვენი ყველაზე მთავარი საზრუნავი ტვინის შერყევაა. ჭრილობა უკვე მოგიშუშდა და მოშუშებულიც რომ არ გქონდეს, არ შევწუხდებოდი, დაუფიქრებლად გაგნერდი საავადმყოფოდან. ქირურგი ხარ და არ გაგიჭირდება თავის მოვლა.

— კარგად ვგრძნობ თავს.

— მაშინ, საავადმყოფოში შენი დატოვების მიზეზიც აღარ მქონია. განერილი ხარ, — ლიმილით უთხრა ექიმმა, — დაუვაკვირდე შენს მეგობრებს?

— ჩემს მეგობრებს? — გაუკვირდა გოგას. — რისთვის?

— რომ მოგაკითხონ. ერეკლემ გამაფრთხილა: რამე თუ დასჭირდეს, მაშინვე დამიკავშირდით, — უპასუხა ექიმმა.

...ერეკლე და სტავრო ჯერაც გაგრაში იმყოფებოდნენ. გოგა მათ სთხოვდა: მე არაფერი მიჭირს, სოსუმში დაბრუნდით და თქვენს საქმეებს

მიხედეთო. მაგრამ ერეკლემ კატეგორიული უარი თქვა სოსუმში მის გარეშე დაბრუნებაზე. პოლიცია უკვე შეგვეზა და სახლში დაბრუნება შეგიძლია, მაგრამ ვიდრე მე თვითონ არ ჩაგიყვან სოსუმში და თბილისში არ გაგზავნი, თავს მშვიდად ვერ ვიგრძნობო!.. სტავრო კი მასთან ერთად ჩამოვიდა გაგრაში და უკან მარტო დაბრუნებას აღარ აპირებდა. ახლა ისინი გოგასთვის კარგად ნაცნობ სანატორიუმში, „ისკრაში“ ცხოვრობდნენ. იქ ადგილობრივი მოხალისეებისგან შემდგარი ქვედანაყოფი იყო დაბანაკებული. მათ შორის, ერეკლესა და სტავროს რამდენიმე ნაცნობიც ერია და მათაც ბევრი აღარ უფიქრიათ — მოხალისეებს შეუერთდნენ და მათთან ერთად იცავდნენ კოლხიდას აფხაზთა შემოტევებისგან.

— ერეკლე გაგრაში არ იქნება, — მცირე ხნის შემდეგ თქვა გოგამ.

— მაშ, რას იზამ? შენ ხომ გაგრაში ნაცნობები არ გყავს!

— არაფერია, რამეს მოვახერხებ.

— თუ გინდა, სოსუმში გამგზავრებაში დაგეხმარები. კომენდატურაში ნაცნობები მყავს.

— არა... არსად მეჩქარება. გაგრაში რაღაც საქმეები მაქვს.

— ისეთი ხომ არა, რომლის გამოც საავადმყოფოში მოხვდი?..

— შეიძლება, ასეთიც იყოს... — ჩაილაპარაკა გოგამ.

— იცოდე, არსად გაგიშვებ! — დაემუქრა ექიმი.

— ვხუმრობ.

— კარგი... გენდობი... მაშინ, ჩაიცივი და დაბლა ჩამოდი. პირადად უნდა გაგაცილო. ექიმი ხარ და მიხვდები, რასაც ვგრძნობ, როცა პაციენტი ჯანმრთელი გადის საავადმყოფოდან, — თქვა ექიმმა და პალატის კარი გაიხურა.

გოგა კი სანოლზე ჩამოჯდა, მზერა ფანჯარას მიაპყრო და ფიქრს მიეცა.

„რა უნდა ვქნა ახლა?.. დავივინყო ყველაფერი და ისე დავბრუნდე თბილისში, ვითომც არაფერი მომხდარა?.. ამაზე ფიქრიც არ ღირს. რა მელის თბილისში? სახლი, სამსახური, დედ-მამის საფლავი და უსასრულო კომპარით სავსე ლამეები! როგორ ვიცხოვრო ბინაში, რომელშიც დედ-მამა დამიხოცეს?.. როგორ ვიმუშაო საავადმყოფოში, რომლის ყოველი კუთხე იმავე მოგონებებში დამაბრუნებს?.. როგორ მივიდე საფლავზე, რომლის ხილვისას მხოლოდ ერთი სახე დამიდგება თვალწინ?! ვიცი, რომ ამას ვერ შევძლებ, მაგრამ ვთქვათ... ვთქვათ, ვაიძულე თავი და ყველაფერი დავივინყე. ბინის შეცვლაც შეიძლება, სამსახ-



ურისაც... დაღუპულ დედ-მამასაც და-
ვადანაშაულებ, რომ მათაც მიუძღ-
ვით წვლილი ამ უბედურებაში, მა-
გრამ საკუთარ თავს ხომ ვერსად
გავექცევით!.. ის, რაც იყო, აღარა-
სოდეს დაბრუნდება... აღარ იქნება
დედა, აღარ იქნება მამა და მეც
აღარასოდეს მექნება მშვიდი ღამე...“
— ფიქრებში ჩაძირულს რიტას სახე
წარმოუდგა თვალწინ — თითქოს
ჯადოქარმა უხილავი ფუნჯით მოხ-
აზა ფანჯრის მინაზე ნაცნობი ნა-
კვთები. რიტა სვედითა და ტკივილით
აღსავეს თვალებით შემოსცქეროდა,
თითქოს ეუბნებოდა: ესაა შენი პირო-
ბა?.. აღარ გჭირდება და გონებაში
მხოლოდ ერთი აზრი გატრიალებს
— რაც შეიძლება მალე მოშორდე
აქაურობას და ყველაფერი დაივიწყო!..

— არა!.. — თავისდა უნებურად
წამოიყვირა გოგამ. — მე შენ არა-
სოდეს დაგივიწყებ და მარტოსაც
არ მიგატოვებ!..

ყვირილი იმდენად ხმამაღალი
გამოუვიდა, რომ ოთახში მედდამ
შემოიხედა.

— რა მოხდა? — ჰკითხა გოცე-
ბულმა.

— არაფერი, — მისკენ გაუხედა-
ვად თქვა გოგამ და საფეთქლები
მოისრისა.

ექთანს აღარაფერი უკითხავს, მაშ-
ინვე გაიკეტა კარი. გოგა კი ადგა
და ჩაცმას შეუდგა.

რიტას სახლის მიგნება არ
გასჭირვებია. აფხაზმა ქალმა
დანვრილებით აღუნერა მწვანე ბალში
ჩაკარგული, ფართოაივნებიანი, გე-
დივით თეთრი სახლი, რომელშიც
მისი ოჯახი ცხოვრობდა.

სახლთან მიახლოებისას მღელვარე-
ბა დაეუფლა.

„რა უნდა ვუთხრა მის მშობლებს?
— გაიფიქრა გოგამ. — ვინ ვარ და
რისთვის მოვედი?..“

ფიქრში ჩაძირ-
ულმა რაღაც
მოძრაობა შენიშ-
ნა. პირველ
სართულზე ფარდა
ოდნავ შეირხა.
ფარდასა და ფან-
ჯრის რაფას
შორის დარჩენილ
ჭრილში ვილაცის
სახის ნაწილი
გამოჩნდა. ცოტა
ხანი გაუნძრევლად
იდგა; მერე უკან
დაიხია და ფარ-
დაც ნელ-ნელა,
თავის ფანჯარას
ჩამოეფარა.

„სახლში ვილაც

არის, მაგრამ შეშინებულია.
საშინელებაა — ადამიანის შესაშინე-
ბლად მისი სახლის წინ უცხო ად-
ამიანის გამოჩენაც კმარა, —
გაიფიქრა გოგამ. — ცოტა ხნის წინ
ამ დღეში იმყოფებოდნენ ქართველე-
ბი, დღეს აფხაზებს ეშინიათ. არა...
ბრყვივა ის, ვისაც ამ ადამიანების
შერიგების იმედი აქვს. ეს აღარ
მოხდება. ამიერიდან აქ მხოლოდ გამ-
არჯვებულსა და დამარცხებულზე
იქნება ლაპარაკი და არა ერთმანე-
თის გვერდით მცხოვრებ ორ მეზო-
ბელზე. დაივიწყებენ ქართველები იმ
დამცირებას, რომელიც მშობლიური
სახლების მიტოვებისას განიცადეს?..
არ დაივიწყებენ და აფხაზებიც არ
დაივიწყებენ იმ შიშს, რომელსაც
სახლის წინ უცხო ადამიანის
გამოჩენისას განიცდიან!..“

ამასობაში მოსახვევში ასაკოვანი
ქალი გამოჩნდა. რუსს ჰგავდა. თმას
ასაკისთვის შეუფერებელი, ჭრელი
თავსაფარი უფარავდა. თავი ძირს
ჩაეხარა და აუჩქარებლად მიუყვებო-
და ტროტუარს.

— უკაცრავად... — შეეხმინა გოგა,
როცა ქალმა გვერდით ჩაუარა. —
აქ ცხოვრობთ?

ქალმა ეჭვით შეათვალა იერი და
მერე უპასუხა: კი, აქ ვცხოვრობო.

— იური ლაკობას ვეძებ. ეს მისი
სახლია? — განაგრძო გოგამ.

— არ ვიცი... — ცივად მოუჭრა
ქალმა და მაშინვე განაგრძო გზა.

„ამასაც ეშინია. არ იცის, ვინ ვარ,
— მტერი თუ მოყვარე და არ უნდა,
უნებლიეთ მეზობლის უბედურების
მიზეზად იქცეს, — გაიფიქრა გოგამ
და ჭიშკარს მიუბრუნდა.“

ჭიშკარი ღია დახვდა. გოგამ ეზო
გადაკვეთა, სახლს მიუახლოვდა და
კარზე დააკაკუნა.

სახლიდან არავინ გამოხმაურებია.
გოგამ მეორედ დააკაკუნა.

ამჯერად ნაბიჯების ხმა მოესმა.
კარი გაიღო და გოგამ ორმოცდა-

თიოდე წლის საფეთქლებზეჭალარავე-
ბულ მამაკაცს მოჰკრა თვალი. მის
უკან სანდომიანი ქალი იდგა, რომელ-
იც ძალიან ჰგავდა რიტას.

— იური ლაკობა ბრძანდებით?
— ჰკითხა გოგამ.

— დიახ.

— არც კი ვიცი, რითი დავინყო...
— განაგრძო გოგამ. — მე ის ექიმი
ვარ, რომელიც თქვენმა ქალიშვილ-
მა შეიფარა.

მამაკაცს ნერვიულად შეუტოკდა
ყვირილი, მაგრამ არაფერი უთქ-
ვამს.

— მე რიტამ გადამარჩინა...
— რისთვის მოხვედი აქ?! —
ყინულივით ცივი ხმით ჰკითხა მა-
მაკაცმა.

— მე დავალბებული ვარ რიტას-
გან და მისი დახმარება მინდა.

— ჩემს შვილს არაფერი სჭირდ-
ება ქართველებისგან!

— რიტამ სხვანაირად აღმინერა
თავისი მშობლები... — დაუფარავი
გულისტიკივით თქვა გოგამ. —
მეც მდევნიდნენ აფხაზები, მაგრამ
ამის გულისთვის თქვენ მტრად არ
მოგკიდებიათ!

— რომას შენ გაუკეთე ოპერა-
ცია?

— მე გაუკეთე.

— და შენ გეძებდა რაულ ხიუბა?
— დიახ, — დაუდასტურა გოგამ.

იური ლაკობა მცირე ხნით ჩიფ-
იქრდა, მერე უკან დაიხია და თქვა:
შემოდით.

სახლი სადად, მაგრამ გემოვნებით
იყო მოწყობილი. ვრცელ სასტუმრო
ოთახს, რომელშიც მასპინძელი
შეუძღვა, ჩუქურთმებიანი ბუხარი ამშ-
ვენებდა. ფანჯრებზე ფარდები იყო
ჩამოშვებული, თითქოს სახლის ბი-
ნადარნი ამითაც ცდილობდნენ გარე
სამყაროსკენ გამიჯვნას. გოგამ ბუხრის
თავზე რიტას სურათს მოჰკრა თვა-
ლი: გოგონა პალმებში ჩაფლული
სანაპიროს ფონზე იყო გადაღებუ-
ლი; თეთრი კაბა ეცვა
და იცინოდა... მასპინძელ-
მა თვალი გააყოლა გო-
გას მზერას და თქვა:

— შენ ჩემი ძმისშ-
ვილი, რომა გადაარჩინე.
ამისთვის ყოველთვის
მუდამ შენი მადლიერი
იქნები, მაგრამ შენვე
მოუტანე უბედურება
ჩემს ოჯახს!

— ამ ომმა მრავალ
ოჯახს მოუტანა უბე-
დურება! — უპასუხა
გოგამ.

— ომმა, რომელიც
აფხაზებს არ დაუწყიათ!
— ცივად მიუგო მასპინ-
ძელმა.





— დღეს ამას მნიშვნელობა აღარ აქვს და მეც არ მოვსულვარ თქვენთან ამ საკითხზე სალაპარაკოდ. მე მხოლოდ რიტა მანიტერესებს... მისი



დახმარება მინდა!

— რიტას არ სჭირდება შენი დახმარება!

— მაპატიეთ, მაგრამ უკვე თქმულს ვუბრუნდებით, — შენიშნა გოგამ.

— მაშინ, ასე გეტყვი: რით უნდა დაეხმარო რიტას?... რისი გაკეთება შეგიძლია მისთვის?..

— ეს მან თავად უნდა გადაწყვიტოს, — გაუბედავად წარმოთქვა გოგამ.

— რატომ გგონია, რომ რიტა შენს დახმარებას ელის და საერთოდ, რაიმე დახმარებას მიიღებს შენგან?

— იმიტომ, რომ... რა აზრი აქვს ამის დამალვას?! ადრე თუ გვიან, მაინც უნდა გაიგოთ: მე და რიტას ერთმანეთი გვიყვარს...

გოგას ვერც კი წარმოედგინა, რომ ამის თქმა ასე გააშმაგებდა იურის. მას სიტყვაც კი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ სახენამოჭარხლებული მასპინძელი კბილების ხრჭიალით დაიძრა მისკენ... ვინ იცის, რა მოჰყვებოდა ამას, რიტას დედა რომ არა, — ის მაშინვე წინ გადაუდგა ქმარს, მკერდში ჩააფრინდა და შიშით ჩასძახა:

— არა!.. არა, შენ ყველას დაგვლუპავ!

იურიმ ძლივს მოთოკა თავი. შეჩერდა, წამოწებულ მზერა გოგას სახეში მიაპყრო და ავად გამოცრა:

— ნადი... ნადი და საერთოდ დაივიწყე ჩვენი არსებობა!

— მე მესმის თქვენი, მაგრამ დაფიქრდით იმაზე, უნდა თუ არა რიტას, რომ დაივიწყოს!.. — მძიმედ წარმოთქვა გოგამ.

— ნადი! — კბილების ხრჭიალით გაიმეორა იურიმ.

გოგა მიხვდა, რომ ასეთ მდგომარეობაში მასთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა და კარისკენ წავიდა. უკვე ზღურბლზე იდგა, როცა შემობრუნდა, მზერა გაუსწორა მასპინძელს და უთხრა:

— მხოლოდ ერთ რამეს გკითხავთ. ის მაინც მითხარით: სად არის ახლა რიტა და გაქვთ თუ არა მასთან ურთიერთობა?

იურიმ გააფთრებული მზერით უპასუხა და გოგასაც აღარაფერი უთქვამს, კარი გაიკეტა, ეზო გადაკვეთა და ქუჩაში გავიდა. მაგრამ შორს არ წასულა: რიტას მამასთან საუბარმა იმდენი ძალა წაართვა, რომ გზის გაგრძელება ვეღარ შეძლო, იქვე, გზის პირას, ტროტუარზე ჩამოჯდა და სახე ხელებში ჩარგო.

რამდენიმე წუთი ასე იჯდა. მერე მოახლოებული ნაბიჯების ხმა ჩაესმა. თავი ასწია და გვერდზე გაიხედა. მის სიახლოვეს რიტას დედა იდგა და თვალებზე ცრემლმომდგარი შეჰყურებდა.

— რა გქვიათ? — ჰკითხა აფხაზმა ქალმა.

— გოგა...

— მე გეტყვით, სად არის რიტა, მაგრამ პირობა მომეცით, რომ მაშინვე წახვალთ და აღარასოდეს დაბრუნდებით აქ!

— ნავალ, — ყრუ ხმით უპასუხა გოგამ.

— რიტა გუდაუთაშია. ჩვენ შევძელით მასთან დაკავშირება. ვთხოვეთ, რუსეთში წასულიყო. ასე რომ მოქცეულიყო, ჩვენც იქ ჩავაკითხავდით, მაგრამ მან არ მოინდომა.

— რატომ?... რატომ არჩია თქვენთან შეხვედრას, ალყაშემორტყმულ ქალაქში დარჩენა?! — გაუკვირდა გოგას.

— იმიტომ, რომ ის არ ეძებს სიმშვიდეს. ის ბრძოლას აპირებს... ბრძოლას იმ ხალხთან, რომელმაც დაუმსახურებლად მიაყენა ასეთი ტკივილი!.. ახლა კი ნადით... გთხოვთ... — აკანკალებული ხმით თქვა ქალმა, მაშინვე ზურგი შეაქ-

ცია და სახლისკენ წავიდა.

გოგამ მზერით გააცვილა რიტას დედა. მერე ძალა მოიკრიბა, ადგა და მძიმე ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

სანატორიუმის მთავარ შესასვლელთან ათამდე შეიარაღებულ ახალგაზრდას მოეყარა თავი. სამნი კაპოტახდილი, გვერდებზეჭყყილი „უიგულის“ ძრავას ჩაჰკირკიტებდნენ, დანარჩენებს კი შესასვლელიდან მარჯვნივ, მოზრდილი პალმის სიახლოვეს, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მოეყარათ თავი.

გოგამ მანქანის კუთხეში გათულ მოხალისეებს გვერდზე ჩაუარა და მოქეიფებთან მივიდა.

— გამარჯობა!..

— გაგიმარჯოს! — უპასუხეს მოქეიფებმა.

— ერეკლეს ვეძებ, — განაგრძო გოგამ.

— ერეკლეს?... ვინ არის? რა გვარია?

— ასათიანი.

თანამეინახებმა ერთმანეთს გადახედეს და შემდეგ უპასუხეს:

— არა, ძმაო, აქ ასეთი არავინაა.

— თქვენ ხომ გაგრის ბატალიონიდან ხართ?

— ჰო, — დაუდასტურეს.

— ჰოდა, ისიც აქ უნდა იყოს... სოხუმელია. მასთან ერთად ბერძენი ბიჭიცაა... სტავრო, — მიანიშნა გოგამ.

— აა... თავიდანვე ეგრე გეტქვა! — გაისხენეს მოქეიფებმა. — სანატორიუმში მოიკითხე. პოზიციებზე თუ არ არის გასული, იქ იქნება.

— გმადლობთ, — თქვა გოგამ და წასასვლელად შებრუნდა, მაგრამ მოქეიფებმა შეძახილით შეაჩერეს:

— მოიცა, ძმაო. სად მიდიხარ?... გადაითიელები კი არ ვართ. ერთი ჭიქა დაგვილიე... დაგვლოცე...

ამ სიტყვებთან ერთად, ჭიქა არაყი მიანოდეს. საავადმყოფოდან გამოწერისას ექიმმა მკაცრად გააფრთხილა გოგა, — სასმელს ახლოსაც არ გაეკარო, განსაკუთრებით არაყსო. მაგრამ მაინც არ უთქვამს უარი. გრძნობდა, რომ არაყი მცირედ შევებას მაინც მიანიჭებდა.

— გაგიმარჯოთ! — უთხრა მოქეიფებს და ჭიქა მოიყუდა.

შინნახადმა ჭაჭამ ყელი ჩასწავა და მკერდი გაუთბო.

— ჰა... როგორია? — გაიცინეს მოქეიფებმა. ერთ-ერთმა კი ბოთლით ლუდი მიანოდა: დააყოლო.

მაგრამ გოგამ უარი უთხრა, მოქეიფებს მადლობა გადაუხადა და ზღვის სანაპიროზე აღმართული სანატორიუმისკენ წავიდა...

სანატორიუმის ეზოში მოხალისე-



ბი ტრიალებდნენ. მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება, ყველა თავისი საქმით იყო გართული, მაგრამ ის იყო, შენობას მიუახლოვდა, რომ ორმა ახალგაზრდამ გზა გადაუჭრა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხეს მათ.
— მეგობარს ვეძებ. შემოსასვლელში მითხრეს, აქ უნდა იყოსო, — უბასუხა გოგამ. მისდა გასაოცრად, ახალგაზრდებმა უეცრად ავტომობილები მიუშვირეს და უყვირეს: არ გაინძრეო!
— რა მოხდა? — დაიბნა გოგა.
— არ გაინძრე-მეთქი, ნაბიჭვარო! — ყვირილი განაგრძო ერთ-ერთმა, მეორემ კი ავტომობილის კონდახი მთელი ძალით ატაკა მუცელში.

დარტყმამ სუნთქვა შეუკრა გოგას და მიწაზე დასცა. იმავე წამს მის გარშემო მოხალისეთა ჯგუფი შეგროვდა. ყველას აინტერესებდა, ვინ იყო უცნობი და რით დაიმსახურა კონდახის დარტყმა.

— აფხაზი დივერსანტი! — გაიძახოდა ახალგაზრდა, რომელმაც გოგას კონდახი ჩაართყა.

— აფხაზი?! — გაუკვირდათ მოხალისეებს. — რომელი გიჟი გაბედავდა დღისით აქ მოსვლას?!

— მოიცათ... ახლავე გავარკვევთ, ვინ არის, — ერთ-ერთი ახალგაზრდა შეტრიალდა და მამაკაცი, რომელ-

იც შორიდან ადევნებდა თვალს, თავისთან მიიხმო.

— აბა, კიდეც ერთხელ შეხედე: ვინ არის ეს ტიპი და სად გინახავს ადრე? — ჰკითხეს მამაკაცს.

კაცი დაიხარა, გოგას სახეში ჩააცქერდა და მერე თქვა: აფხაზია, ომის დანყებამდე სანატორიუმში თავის ძმაკაცთან, დიმა ჯინჯოლიასთან ერთად მყავს ნანახიო.

— სახელი იცი?
— გუდაუთელია... რაულ ხიუბა,
— დამატა მამაკაცმა.

— რას იტყვი, მართალია ეს კაცი, თუ — არა?! — გოგას ჩასძახეს აფხაზებმა.

— არა... ცდებო... ერეკლეს დაუძახეთ... ის გეტყვით, ვინცა ვარ, — გაჭირვებით უბასუხა გოგამ.

— მოიცათ... მოიცათ... — მოხალისეებს წვეროსანი ახალგაზრდა გამოეყო. — შენ ერეკლეს ძმაკაცი ხარ?

— ჰო...
— თბილისელი... ექიმი... გოგა გქვია...

— ჰო, მე ვარ...

— ეე, რა ტიპები ხართ! — ბრაზით ესროლა წვეროსანმა მოხალისეებს და გოგას ადგომაში დაეხმარა. — აზრზე არა ხართ, რას

აკეთებთ. ჯერ ნერვები მოინწერიგეთ და იარაღს მერე მოჰკიდეთ ხელი!..

— იცნობ მაგ კაცს?.. ნაღდად ქართველია?.. — აქეთ-იქიდან დაყარეს წვეროსანს.

— აზრზე ვარ, ვინც არის. ასათიანისა და სტავროს ძმაკაცია. ამის გულისთვის ჩამოვიდნენ გაგრაში, თორემ სოხუმში საომარზე მეტი რა ჰქონდათ?!

— რატომ მოგვატყუე?! — მოხალისეები გამაგებულები მიუბრუნდნენ მამაკაცს.

— არ მომიტყუებხართ, — შეშინებული ალუღლულდა კაცი, — ის არის. სანატორიუმში მოდიოდა ხოლმე. მერე ხმა გავარდა: კოლონიდან გაქცეული მკვლელიაო!

— თავი დაანებეთ, ამ კაცს არაფერი დაუშავებია, — გამოესარჩლა გოგა.

— როგორ თუ არ დაუშავებია?!

— დაიბნენ მოხალისეები. — ჯერ გვითხარი, ცდებო, ახლა ამბობ, დამნაშავე არ არისო!

— მოკლედ, რაც მოხდა — მოხდა. შეეშვით მაგ კაცს და დაიშაღეთ, — თქვა წვეროსანმა, მერე მოხალისეთა წრე გაარღვია და გოგას სანატორიუმისკენ წაიყვანა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რადიომკურნალი

იპოვე შენი მკურნალი
„ჯალიცობის“
ეთერში!

ყოველ ოთხშაბათს,
15:30 საათზე
სალომი
ლილუაშვილთან
ერთად





სედიის სუნიელი

სვეტა კვარაცხელია

ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, № 51, 2009 - №6, 2010

კახიმ ჩემს გაფითრებულ სახეს მზერა მოავლო და ტუჩები მოკუჟმა.

— მაგრამ... მე შენ მჭირდები... — მიმართვის ფორმა შეცვალა მამაკაცმა.

ამ სიტყვებმა ელდასავით დაშიარა სხეულში, ვიგრძენი, ვნებამოძალებული როგორ ავირიე.

— იმედი მაქვს, მსოლოდ... საქმიან დამოკიდებულებას გულისხმობთ... — ხმადაბლა ვთქვი, რათა დამეკონკრეტებინა, რა ჰქონდა მხედველობაში.

— მართლა ამის იმედი გაქვს? — თავი ოდნავ დახარა და გულისყურით დამაშტერდა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. გული გალიაში ახალგაომსწყედული ჩიტივით ამოფრთხილდა, სუნთქვა შემეკრა, თავბრუსხვევაც ვიგრძენი...

— გახსოვს, ამას წინათ გითხარი, ლამაზი მეჩვენები-მეთქი, — დაიჩურჩულა, — მე შესის, რომ ეს სიგიჟეა. შენ ჩემთან მუშაობ და პასუხისმგებელი ვარ, არ განყენინო... თუმცა, ჩემი ბრალი სულაც არ არის, რომ ასეთი ლამაზი ხარ... მაცდურად ლამაზი.

მისი ნათქვამი ექოსავით ჩამესმოდა ყურში. მე ხომ ბოროტად ვიყენებ მის ნდობას, მე ხომ ნამდვილი თაღლითი ვარ, რომელიც პირადი გამორჩენის მიზნით შეიპარა მის ცხოვრებაში... და როცა იგი ამას გაიგებს, შემოძულვს... მერედა, როგორ შემოძულვს...

— როგორ გავიგო თქვენი სიტყვები? რას გულისხმობთ, რომ თუკი ჩვენ შორის რამე მოხდება, ძალის გამოყენებაში დაგადანაშაულებთ? არც ისეთი ბოროტი ადამიანი ვარ... მეც შესის, რომ ეს ყველაფერი სიგიჟეა, ამიტომაც აჯობებს, ნავიდე აქედან, თანაც დროზე.

— შეიძლება, მართალიც ხარ... — ჩახრინწული ხმით მიპასუხა და ღრმად ჩაფიქრდა. — ესე იგი, ოფიციალურ განცხადებას აკეთებ ნასვლის თაობაზე?

ფართოდ გახელილი თვალებით შევცქეროდი, მეშინოდა, არ დამთანხმებოდა... მე ხომ შეგნებულად ვთქვი ეს, რათა იგი შემხვეწებოდა, არ წახვიდე, დარჩიო. და

ისე მინდოდა ეს ყველაფერი ეთქვა, რომ იძულებული გავცხადე, „გადამეფიქრებინა“.

მან ნაზი, მოფერებითი უესტით მომადო ლოყა ლოყაზე და ვნებიანად მიჩურჩულა:

— ჩემს სახლში ძიხად რომ არ მუშაობდე, ალბათ ასე დამნაშავედ არ ვიგრძნობდი თავს... არადა, რა საშინლად მინდა კიდევ ერთხელ გაკოცო... თავს ვერ ვერევი...

ყელში რაღაცამ ძლიერად ნამიჭირა. იგი ისე ახლოს იდგა ჩემთან, მისი სუნთქვა მესმოდა. კვილაბდე მინდოდა, ეკოცნა და ამ ნდომას მთელი არსებით ვებრძოდი, რათა კიდევ ერთი შეცდომა არ დამეშვა...

— მაგრამ ნუკი?... — მოზღვავებული ემოციისგან ხმა ამიკანკალდა, თავის შეკავება მიჭირდა, ლამის იყო, დაცლილიყო ჩემი მოთმინების ფიალა. — იმის გამო არ იგრძნობ თავს დამნაშავედ, ბავშვს რომ ატყუებ? — ჩემდა გასაკვირად, მეც „შენობითზე“ გადავედი.

მან არაფერი მიპასუხა, თუმცა ტუჩებზე ღიმილია გადაურბინა.


— ნუკივ მოგვიანებით ვილაპარაკოთ, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ და ტუჩები მომიახლოვა...

სიამოვნებისგან თვალები დავხუჭე, უსაზღვრო ლტოლვას ვგრძნობდი მის მიმართ და თავს ვერაფერს ვუხერხებდი...

თავდაპირველად მისი ტუჩები საოცრად ნაზი იყო, ისე სათუთად მკოცნიდა, თითქოს ეშინოდა, არაფერი მტკვნოდა, შემდეგ კი... შემდეგ უფრო თამამი და მომთხონი გახდა... თითქოს უზარმაზარი ტალღები ჩემი გონების ნაპირებიდან უკიდევანო ოკეანეში მიმაქანებდა და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ საბოლოოდ არ აღმოვჩნდი მისი ალერსის ტყვეობაში...

ღმერთო! მგონი, მიყვარს ეს კაცი! ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ შემაშინა და ერთდროულად შთანთქა კიდევც...

მისი კოცნა კი უფრო და უფრო შთამბეჭდავი ხდებოდა... მამაკაცი თავდავინყებას მიეცა... მას არაჩვეულებრივად ეხერხებოდა ეს... ჩანდა, რომ ძალიან კარგი საყვარელი იქნებოდა...



კახიმ ცალი ხელი ძლიერად მომხვია წელზე, მეორე პლედისკენ გაიწვინა, გვერდზე მოისროლა და სანოლზე მიმანვინა... ვგრძნობდი, როგორ ოსტატურად „მამასახლისობდნენ“ მისი თითები ჩემს მკერდზე, თქობებზე, ფეხებზე...

წინააღმდეგობის განევა არც მიცდია, მკლავები ყელზე შემოვაჭდე და მის ალერსს ალერსით ვუპასუხე...

ამწუთას ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდ კი მოესურვა, ოღონდ კი არ გაჩერებულეყო, მაგრამ, თითქოს ჩემს ფიქრებს ჩასწვდაო, მოულოდნელად შემიშვა ხელი.

— რამე მოხდა? — შეცბუნებულმა წამოვიჩიე.

მან გაშლილ თმაზე ნაზად ჩამომისვა ხელები.

— შენც ხომ იცი, რომ ახლა თუ არ გაჩერდი, მერე საერთოდ ვეღარ გაჩერდები... — დახშული ხმით მითხრა.

გულისცემა უარესად გამიხშირდა, მთელი ჩემი არსება ყველაზე თამამი სურვილებით იყო გახურებული.

ხელი ასწია და სახეზე სათუთად ჩამომისვა. შევხედე... ჩვენი მზერა კვლავ ერთმანეთს შეხვდა...

— ვგრძნობ, როგორ მეძახი თვალებით, როგორ მემუდარები, არ გაჩერდე... გინდა ჩემთან? — ეს სიტყვები ისეთი ტონით იყო ნათქვამი, ნებისმიერ ქალს გაუჭირდებოდა უარის თქმა, არათუ მე... თუმცა წამიერად მაინც შევყოყმანდი... ვაითუ, ამით ყველაფერი გავაუჭუჭო... ვაითუ, აქვე



დამთავრდეს ჩვენი ერთმანეთისადმი ლტოლვა...

მას ჩემი თანხმობა სჭირდებოდა, თანხმობა იმისა, რომ მასთან სექსის წინააღმდეგი არ ვიყავი, რომ მის მიმართ უკვე გამიჩინდა გარკვეული გრძნობა...

იმის მაგივრად, ჩემს პასუხს დალოდებოდა, შარვლის ლილბის შესხნა დამიწყო... ყოველგვარი დარცხვენის გარეშე... თამამად, თავდაჯერებულად... კიდევ ცოტაც და... სრულიად შიშველი აღმოვჩნდი მის წინაშე... იგი კარგა ხანს ტკბებოდა ჩემი შიშველი სხეულის ყურებით... ნერწყვი კინალამ სასულეში გადამცდა... ნერვიულობისაგან აღგზნებული მკერდი კენესით ინევედა მამაკაცისკენ. კახიმ თავი დახარა და ყელზე დამეკონა...

— შენ ისეთი ლამაზი ხარ, ქეთევან, — ოდნავ გასაგონად წარმოთქვა და სურვილით ანთებულმა ისე ძლიერად მიმიკრა გულზე, ლამის გონი დავკარგე. მის მკლავებში გამომწყვდეული ერთიანად ვთრთოდი.

მამაკაცი არ ჩერდებოდა... მკოცნიდა და მეფერებოდა... არც მე ვრჩებოდი ვალში, თან ისე მყავდა ჩახუტებული, თითქოს მეშინოდა, სადმე არ გამქცევოდა.

— იმედია, ეჭვი არ გეპარება, რომ ძალიან მინდა შენთან, — ზედ ყურთან მიჩურჩულა.

— არა, არ მეპარება, — მეც ჩურჩულით ვუპასუხე.

— მაშინ სხვა აღარაფერი დაგვრჩენია... — თქვა და ტუჩებით კვლავ გააგრძელა ხეტილი ჩემს ყელ-კისერზე, მკერდ-მუცელზე, თან ორივე ხელით ტანსაცმელს იხდიდა, რომ დრო არ დაეკარგა...

მოულოდნელად შევნიშნე, როგორ ამოიღო შარვლის ჯიბიდან... პატარა შეკვრა... პრეზერვატივი...

ღმერთო! მას ეს ყველაფერი დაგეგმილი ჰქონდა. როცა ჩემთან მოდიოდა, უკვე იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა! თითქოს ცივი წყალი გადაამასხესო, სწრაფად მოვიცილე მისი ხელები.

არა, მას ნამდვილად არ ვადანაშაულებდი იმაში, რაც განიზრახა. ბოლოს და ბოლოს, მე თვითონ მივეცი ამის უფლება, მე თვითონ ჩამოვეციდე ყელზე. მიუხედავად ამისა, სულაც არ მინდოდა, ვილაცას გამოვეყენებინე თავისი ჟინის დასაკმაყოფილებლად, თუნდაც ეს ვილაცა კახი ყოფილიყო. შემთხვევითი კავშირებისგან შორს ვიყავი, თუ არ ჩავთვლით ნიუ-იორკში თემურთან გატარებულ ერთ ღამეს. ის ღამე ხომ გამიხდა სანანებელი და არ მინდოდა, მსგავსი რამ კიდევ ერთხელ განმეორებულიყო ჩემს ცხოვრებაში.

გარდა ამისა, ანდრონიკაშვილს ხომ სხვა ქალთან აქვს რომანი? რისი იმედი უნდა მქონდეს? ამ ღამეს ხომ გაგრძელდება არასდროს ექნება? ტყუილად უნდა მეტკინოს გული.

— კახი! არ გინდა, გთხოვ... —

პანიკაში მყოფმა წამოვიყვირე, როცა იგი ჩემ გვერდით დანვა.

— სიფრთხილის გამოჩენა ყოველთვის აუცილებელია, — ჩემი დარწმუნება სცადა მამაკაცმა, არც უფიქრია, შიშის გამო თუ ვამბობდი მასზე უარს, — შენც ხომ არ გინდა, რომ დაორსულდე.

მან კვლავ მომხვია მკლავები და თვალებდახუჭულმა ჩემს ტუჩებს დაუნყო ძებნა.

— ძალიან გთხოვ, გაჩერდი... — ვგრძნობდი, უფრო და უფრო სუსტად ვუნევედი წინააღმდეგობას, მიუხედავად იმისა, რომ მართლა აღარ მინდოდა, მომფერებოდა.

— კახი, არასწორად ვიქცევით, — სასონარკვეთილმა უკვე ხმა ავიმალღე.

— რატომ? — გაკვირვებულმა ასწია თავი და ყურადღებით შემომხედა.

— არ ვიცი... — საწოლის კიდეზე მიგდებულ მაისურს დავავლე ხელი და გადავიცივი, — ჩემი აზრით, ძალიან ცუდია ეს ყველაფერი... ყოველ შემთხვევაში, კარგი ნამდვილად არ არის.

— მე სულაც არ მომჩვენებია ასე, — მამაკაცი ლოგინზე წამოჯდა და გაღიზიანებულმა თავისი ხშირი შავი თმა თითებით გადაივარცხნა.

კახი ბრაზობდა... ამის მიხედვით ძნელი არ იყო. მესმოდა მისი და ვერც ვერაფერში ვადანაშაულებდი... მეც თბრაზობდი, ოღონდ მხოლოდ ჩემს თავზე... არ უნდა შემექმნა ასეთი სიტუაცია, არ უნდა მოვდუნებულიყავი, თავქარიანივით არ უნდა აველოდი მოზღვავებულ გრძნობებს...

ქვედა ტუჩი კბილებშუა მოვიქციე და შევხედე... გული მომეწურა... ვიგრძენი, რომ სიგიჟემდე მიყვარდა იგი... სულ რაღაც სამ დღეში, სულ რაღაც სამოცდათორმეტ საათში შემიყვარა თავი... არავინ თქვას, სასწაულები არ ხდებო... ვერც კი გეგამჩნიე, როგორ დამემართა ეს, როგორ შემოიპარა ეს გრძნობა ჩემს გულში...

არა, ახლავე ავდგები და სიმართლეს ვეტყვი. არ შემიძლია ამდენი ტყუილი. იგი არ იმსახურებს ამას. ამნუთას საერთოდ აღარ მაინტერესებს სტატია, არც

რედაქცია და არც ჩემი რედაქტორი... ჩემი სამსახური არ მაინტერესებს საერთოდ... ის დასაწავი სტატია არარაობაა ჩემს გრძნობებთან შედარებით.

...მაგრამ რა რეაქცია ექნება მას ყოველივე ამზე? თავიდან, რა თქმა უნდა, ძალიან განრისხდება. მერე? მაპატიებს? რომ არ მაპატიოს? ამ შუალამეს კარში რომ გამაგდოს? ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სერიოზული გრძნობა აკავშირებს ჩემთან.

— შენ და ჯულის გიყვართ ერთმანეთი? — მოულოდნელად შევეკითხე, რადგან ამნუთას მის პასუხზე იყო დამოკიდებული, ვეტყოდი თუ არა სიმართლეს, თუმცა ვიცოდი, ცუდად ვიქცეოდი, როცა მისი სულის მტკივნეულ ადგილს უსრცხვილოდ ვეხებოდი.

გარდა ამისა, შეიძლებოდა ეფიქრა, რომ შეგნებულად ვაღიზიანებდი.

ჯულის სხენებაზე ანდრონიკაშვილი მაშინვე მოიღუშა.

— ძალიან გთხოვ, გამიგე, კახი, — უკვე ხმაილა ვთქვი და წინადადება უნდა გამეგრძელებინა, რომ გვერდითა ოთახიდან ბავშვის ტირილის ხმა მოისმა.

სასწრაფოდ დამოვედი საწოლიდან და შარვალი ამოვიცივი, თან ჩქარ-ჩქარა დავამატე, — მე უნდა ვიცოდე... და თუ თქვენ შორის სერიოზული ურთიერთობაა, გამოდის, რომ სწორად მოვიქციე, როცა ჩემთან დანოლაზე უარი გითხარი...

მანაც დაიწყო ჩაცმა, ჩემი ნათქვამისთვის წამითაც არ მიუტყვევია ყურადღება, კოპებშეკრული თავისთვის რაღაცას ფიქრობდა.

— კახი... — ხმადაბლა დავეუძახე.

წამით შემომხედა, მხოლოდ წამით და მომეჩვენა, რომ მის თვალებში ზიზღი ჩამდგდარიყო. გული შემიქანდა. ვიცოდი, რომ ჩემი შეკითხვა არ მოეწონებოდა, მაგრამ ასეთ მზერას მაინც არ ველოდი.

— კახი... — ხელმეორედ დავეუძახე. ნუკიმ ტირილს უმატა.

— ნავალ, ვნახავ, რა ატირებს, — ვთქვი, რადგან პასუხი არ გამცა.

— არა, — წამოიძახა მოულოდნელად და ხელი მხარზე დამადო, — მე თვითონ ნავალ. შენ ხომ უკვე „დანერე განცხადება“ გათავისუფლებს თაობაზე, დავაგინყდა? — ამ სიტყვებით მამაკაცი ბავშვის საძინებელში გავიდა.

დილით ფანჯარაში შემოჭრილმა მცხუნვარე მზის სხივმა გამაღვიძა. სასწრაფოდ ავდექი და მოკლე ქვედაბოლო და უმკლავებო მაისური ჩავიცვი. ძალიან დაღლილი ვიყავი და არც იყო გასაკვირი — ზედიზედ ორი ღამე საერთოდ არ მიძინია.

სააბაზანოდან გამოსულმა თმა დავივარცხნე და სარკეში





ჩემს გამოსახულებას მივაშტერდი. სახე გამფითრებოდა, თვალების ირგვლივ კი ნაცრისფერი ტომრები მეკიდა. მთელი ღამე თეთრად გავათენე, თან იმაზე ვფიქრობდი, დილით რა მეთქვა კახისთვის.

ღრმად ამოვიოხრე და ბავშვის ოთახში გავედი. ნუკი სანოლში არ დამხვდა... კარგა ხანს დაეყურებდი მაქმანებით განწყობილ პატარა საბანს და თვალები ცრემლებით მევესებოდა. ღამით მესმოდა, როგორ კრუსუნებდა ბავშვი, რალაც სიტყვებით როგორ ეალერსებოდა მამაკაცი პატარას, რათა დაემშვიდებინა. იმნუთას საშინლად მომინდა, მათთან გაესულიყავი, მაგრამ თავი შევიკავე... ვერ გავბედე. მერე კი, როცა ნუკის ტირილი მიწყდა, ფეხავრეფით მივუახლოვდი კარს და ჩუმად შევიჭყიტე შინით. კახი ფანჯარასთან, დეივანზე ჩამომჯდარიყო, ბავშვი გულზე მიეკრა და ორივეს ჩასძინებოდა... პატარა ისე ჰყავდა ჩაბლუჯული, თითქოს ვიღაცისგან თუ რაღაცისგან იცავსო... ამ სანახაობამ გული მომიკლა...

რამდენიმე წუთის განმავლობაში ქანდაკებასავით ვიდებდი და ჩემს სანუკვარ მამაკაცს მივჩერებოდი. თმა შუბლზე ჩამოშლოდა და მშვიდად სუნთქავდა. ისეთი საყვარელი იყო, სურვილმა წამომიარა, ახლოს მივსულიყავი მასთან, შეხებოდი... თითები მის თმაში შემეცურებინა, მოვფერებოდი და ჩურჩულით მეთქვა მისთვის, თუ როგორ მიყვარდა... რა თქმა უნდა, ეს არ გამოიკეთებია... ჩემს ოთახში დაგბრუნდი და სანოლზე მივესვენე... მიუხედავად იმისა რომ საძინებელში ძალიან ცხელოდა, მე მცოცოდა... მცოცოდა სიმარტოვისა და სევდისგან...

ახლა კი გათენებულზე, კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამეჭირა თავი მას შემდეგ, რაც ღამე მოხდა. ვიგრძენი, რომ ცოტათი მეშინოდა კიდევ მამაკაცთან შეხვედრის...

სამზარეულოსკენ გავეშურე... უცერად კახის ხმა შემომესმა. თავიდან მეგონა, რომ ნუკის ელაპარაკებოდა, მაგრამ ჯულის სახელი ასხენა და მივხვდი, სხვას ელაპარაკებოდა. შევჩერდი. კარი შეღებულ იყო. კახი ჩემკენ ზურგით იდგა, ცალ ხელში ტელეფონის ყურმილი ეჭირა, მეორე ხელით კი ცდილობდა, ფავით სავეს კოვზით ნუკისთვის ეჭმია.

— როგორ ხარ? — თბილი, მზრუნველი ხმით ეკითხებოდა ვიღაცას. — სიმართლე გითხრა, ძალიან ვნერვიულობ შენზე. ნუკიმაც მოიწყინა უშენოდ, — დაამატა და ცოტა ხნის პაუზის შემდეგ ხმაშლდა გაცივდა, — კარგი, კარგი, დეივოს მაგივრად აუცილებლად ვაკოცებ.

ამის გაგონებაზე მკერდში ჩხვლეტა ვიგრძენი. როგორც ჩანს, კახის მართლა უყვარს ჯული, თუმცა კი ამბობს, მასზე დაქორწინებას არ ვაპირებო... თითქოს შევბაც კი ვიგრძენი — როგორც ჩანს, ნუხელ სწორად მოვიქეცი.

კარი საჭიროზე მეტი ხმაურით გამოვალე და სამზარეულოში შევედი. მამაკაცმა მოიხედა და შემამჩნია თუ არა, ყურმილში ჩასძახა.

— ჯული, ახლა უნდა წავიდე. ესე იგი, მალე გნახავ, არა? იმედია, სრულიად გამოჯანმრთელებული დამხვდები... კარგი, კარგი... მეც, ძვირფასო, — სიცილით დააყოლა ანდრონიკაშვილმა და ყურმილი დაკიდა. მისი წუნანდელი გულცივობა სადღაც გამქარაიყო.

— დილა მშვიდობისა, — რაც შეიძლებოდა, ლაღად მივესალმე და თვალი ავარიდე, — საღამო, სიხარულო, — ნუკისკენ დავისხარე და ლოყაზე მსუბუქად ვუჩქმტიხე.

პატარამ გამიღიმა. ღიმილმა მის ფუმფულა ლოყებზე ფოსოები გააჩინა. რა საყვარელია! თან როგორ გაუხარდა ჩემი დანახვა! რა მალე შემეჩვია... ღმერთო, რა გამაძლებინებს მის გარეშე! სასონარკვეთილი გაბუქურისკენ მივტრიალდი და ყავა დავისხი, დრო რომ მომეგო და თავი ხელში ამეყვანა.

როცა ფინჯნით ხელში მაგიდას მივუჯექი, კახიმ შენიშნა:

— დაღლილი სახე გაქვთ...

მართალია, ძალიან გულგრილად იყო ნათქვამი, მაგრამ ეს არ იყო მთავარი... მთავარი ის იყო, რომ მან კვლავ თავაზიანი ფორმით მომმართა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისთვის ისევე უცხო გავხდი...

იძულებული შევიქენი, შემეხედა. ჩემგან განსხვავებით, მას საკმაოდ დანყნარებული სახე ჰქონდა, აშკარად დასვენებული და გამოიყურებოდა. როგორც ჩანს, ბავშვის საძინებელში გატარებულმა ღამემ მასზე პირიქით, დადებითად იმოქმედა.

— ჰო, ცოტათი დავიღალე, — უხასიათოდ ვუპასუხე.

— იცე? ვიფიქრე, კარგი იქნება, თუკი დღეს დაისვენებ. გადით ქალაქში, გაერთეთ...

გაოცება ვერ დავფარე.

— დავისვენო? ისედაც დასვენებული არ ვიქნები დღეიდან? მე ხომ აღარ ვმუშაობ თქვენთან, — მეც „დავიცავი“ ზრდილობის ფორმებში...

— თქვენ ჩემთან იმუშავეთ მანამ, სანამ წერილობით განცხადებას არ დამიდებთ მაგიდაზე.

— მართლა? — სიმნრით გავიცინე, — ვერ ვხვდები, რა თამაშს თამაშობთ, ბატონო კახი...

— არანაირ თამაშს არ ვთამაშობ, — მან მხრები აიჩეჩა, ნაბიჯი წინ გამოდგა და ბავშვს თავზე გადაუსვა ხელი. ისე ალერსიანად გამოუვიდა, ცახცახმა ამიტანა, თითქოს ჩემს თმას ეფერებოდა, — მე მართლა არ მინდა, რომ წახვიდე, — ხმა დაუთბა.

ისევ წუნობით... ისევ იმავე ტონით, როგორც ნუხელ... სევდა და დაღლილობა ერთდროულად შეინიშნებოდა მის ხმაში... ღმერთო, როგორ მაგიჟებს ეს ტონი... ეს სიტყვები...

საოცრად დაუცველად ვიგრძენი თავი.

— კახი... იცი, საქმე რაშია?.. შენ ჯული გიყვარს, მე კი... — მეც „დავარღვიე“ მიმართვის ეტიკეტი.

— მოიცა, არ გინდა, ახლა ნუ შეეხები

ამ თემას. ჩემი აზრით, მე და შენ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს გრძნობებზე, რალაც-რალაცები ბოლომდე გავარკვიოთ... ამისთვის ამაღამ უნდა დარჩე. თუ თანახმა ხარ, მერე ყველაფერს მოგიყვები ჯულიზე.

გაოგნებისგან მეგონა, ყბა ჩამომივარდა-მეთქი. გულმა გამალებით დამინყო ცემა.

— მაშინ ახლავე მომიყვი, — ვეღარ მოვიტონე და შევთავაზე...

რა სულსწრაფი ვარ... რაც უნდა იყო, ჩემი პროფესია მაინც სისხლში მაქვს გამჯდარი, თან ისე, რომ მოსვენებას არ მაძლევს. ძალიან ავლელდი. შემეშინდა, მოულოდნელად არ გამეცა თავი.

მამაკაცს გაცინა, თითქოს ბოლომდე დააკმაყოფილა ჩემმა სიტყვებმაო.

— მოგვიანებით, — თქვა და ჩემკენ წამოვიდა, — დღეს მე და შენ ერთად გავისეირნებთ სადმე — მხოლოდ მე, შენ და ნუკი.

— მაგრამ...

— ნუკისთვის ყველაფერი გაამზადე, კარგი? გამოსაცვლელი ტანსაცმელი, პამპურსი, ქუდი, საჭმელი, წყალი... შენთვისაც, სხვათა შორის, არ დაგავიწყდეს საცურაო კოსტიუმი, მზისგან დამცავი კრემი, პირსახოცი და სათვალე... თუ რომელიმე არ გაქვს, გიშოვი, არ გამიჭირდება... — ამ სიტყვებით თვალებში ჩამაშტერდა, მერე უეცრად გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით დატოვა სამზარეულო.

მე და ნუკი მარტონი დავრჩით...

მანქანა მთელი სისწრაფით მიქროდა ტრასაზე.

— სად მივდივართ? — გაუბედავად ვკითხე.

— ფოთში, — მშვიდად მიპასუხა.

— იქ რა გვინდა?

— იქ ჩემი იხტა გველოდება, მინდა, გაშლილ ზღვაში გაგასეირნოთ ორივე. წინააღმდეგი ხარ?

— არა, რა თქმა უნდა, — ლამის შევიკვლე სიხარულისგან.

— მიკვირს, რომ არ იწვიმა, — შენიშნა უცებ.

— რატომ უნდა ეწვიმა? — გავიკვირე.

— ზაფხულის ამ დროს ქობულეთში ყოველთვის წვიმს. რატომღაც, წელს ამინდმა ტრადიციას უღალატა.

არაფერი ვუპასუხე.

— ალბათ იმიტომ, რომ შენ ხარ ჩამოსული. ხომ ხედავ, ამინდსაც როგორ უყვარხარ, — გაიცინა.

კინალამ ვკითხე, კიდევ ვის ვუყვარვარ-მეთქი, მაგრამ დროზე შევიკავე თავი. არ მინდოდა, გამონწვევად მიეღო ჩემი შეკითხვა. გაკველუცების ხასიათზე სულაც არ ვიყავი.

მართლაც საოცარი ამინდი იყო. ცხელოდა, მაგრამ სასიამოვნოდ... მთელი გზა ზღვის სანაპიროს გავეყურებდი, ერთხელაც არ გამიხედავს მისკენ...

იმაზე მალე ჩავედით ფოთში, ვიდრე მოველოდი. პორტში შესულმა კახიმ მანქანა ავტოსადგომზე დააყენა, გადმოვიდა,



ვილაც მამაკაცს კარგა ხანს ელაპარაკა, მერე უკანა სალონის კარი გააღო და ბავშვი გადმოიყვანა.

— ნამოდი, ახლა ჩემს იახტას გაჩვენებ, — ღიმილით მომმართა და წინ გამიძღვა...

თეთრი იახტა იყო, პატარა, კოხტა და ლამაზი. გემბანზე ჯერ თვითონ ავიდა, ნუკი კაიუტაში ჩაიყვანა და ეგრევე ამობრუნდა. მერე ჩანთები გამომართვა და ამოსვლაში მომეხმარა.

— ბავშვთან ჩადი, მეც მალე ჩამოვალ, — თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, ისე მომმართა და მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა.

ვინრო კიბეს დაბლა ჩავუყევი... ნუკი მანუქში იჯდა და თავისთვის ჭკლობინებდა. ცოტა ხანში გრუხუნის ხმა გაისმა, მივხვდი, ძრავა იყო და იმწუთას რყევაც ვიგრძენი...

ასე მეგონა, ეს ყველაფერი სიზმარი იყო. ვერ წარმომედგინა, ოდესმე კახი ანდრონიკაშვილის იახტაზე თუ ამოვყოფდი თავს.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. დროის შეგრძნება აშკარად დავეკარგე. უეცრად ძრავას ხმა შეწყდა. როგორც ჩანს, უკვე გაშლილ ზღვაში ამოვყავით თავი. კაიუტიდან ამოვედი და მიმოვიხედე. ირგვლივ ლურჯი წყლისა და ცისფერი ჰორიზონტის გარდა არაფერი ჩანდა. ნაპირიც ჩანდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან შორს, შავი ზოლივით. კახიმ ღუზა ჩაუშვა და ჩემკენ მოტრიალდა.

საოცრება იყო. ნუთუ ეს მე ვარ? ნუთუ ჩემს თავს ხდება ეს ყველაფერი? რატომ? რით დავიმსახურე? დავიჯერო, მართლა მოვნიონვარ? თუ უბრალოდ, ქალს არის მონატრებული და ჩემი სახით გემრიელი, გამზადებული ღუკმა ჩაუვარდა ხელში?

ხარბად შევისუნთქე მარილიანი ჰაერი... ისეთი მძიმე იყო, თითქოს ნესტიან ყოფილიყო გაუღენთილი... იქნებ ასეც იყო... არ ვიცი...

კახიმ თეთრი მაისური გაიხადა და ლურჯი შორტის ამარა დარჩა.

— ცხელა, არა? — გამომხედა, — არ გინდა, სანამ ვისადილებთ, იბანაო? აქ სულ სხვა წყალია, ისეთი არ გეგონოს, როგორიც ნაპირთანაა.

პასუხად მხოლოდ მხრები ავიჩქრე, თან თვალს ვარიდებდი, რომ მისთვის არ შემეხედა.

— მოდი, მორიგეობით ვიბანაოთ, — შემომთავაზა, — მე ბავშვს მივხედავ, შენ ზღვაში ჩახტები, შემდეგ — პირიქით, კარგი?

პასუხს არც კი დალოდებია, შორტი უცებ გაიძრო და წყალში თავით გადაემვა...

რა სასიამოვნო სანახავი იყო, როცა მკლავები მოუსვა... ძლიერი მკლავები... ისე მიაპობდა ტალღებს, თითქოს დღეფინი ყოფილიყო... ნეტავ მეც ასე ვცურავდე... არა, ცურვა როგორ არ ვიცი, მაგრამ ასე ვერ შევძლებ... ვერასდროს...

ღილით, წამოსვლის წინ კახიმ გამაფრთხილა.

— იახტაზე მხოლოდ ჩვენ ვიქნებით — მე, შენ და ნუკი. არავითარი უურნალისტები და ფოტორეპორტიორები.

ახლა მხოლოდ ეს სიტყვები მიტრიალებდა თავში. იცოდეს მაინც, ვისთან აქვს საქმე! სინდისის ქენჯენა ვიგრძენი... საინტერესოა, მომიყვება ჯულიზე რამეს? ხომ ამისთვის წამომიყვანა აქ? არა, მხოლოდ ამისთვის არა. ჩვენს გრძობებზეც ვილაპარაკოთო, მითხრა...

დავიჯერო, მართლა განიცდის ჩემ მიმართ რამეს? რომ მითხრას, მიყვარხარო... არც იცნებო, ქეთი!.. თუმცა, ფაქტია, მას ჩემთან მარტო დარჩენა უნდოდა. მალევე ამოვიდა წყლიდან. მერე მე „გავრისკე“ და ლივლივა ზღვაში ჩავტეხი, მაგრამ არა მისნაირად, თავით. ამდენი სად შემიძლო!.. ამდენი სად ვიცოდე!.. რამდენიმე მეტრზე გავცურე და გამოვცურე...

მესიამოვნა. ნაპირიდან ასე შორს და ასე ღრმა წყალში არასდროს ვყოფილვარ.

— როგორი წყალია? კარგი იყო? — მკითხა, როგორც კი გემბანზე ამოვძვრი.

— ძალიან, — მორიდებით გავუღიმიე და ხელი მისკენ გავიშვირე, რომ ჩემი პირსახოცი გამოემართია... ხელი გაიქნია, არ მომცა.

— გეყოფა, მომეცი, — სიცილი ვერ შევიკავე და მისკენ გავიწიე. შეეცადა, ნამერთია პირსახოცი. მან კვლავ გაიქნია ხელი, თან მზერა ჩემს სველ სხეულს ხარბად შეავლო.

— მომე, რა. — მე კი მეგონა, არასდროს მთხოვდი, — ეშმაკურად მითხრა და როგორც კი პირსახოცს ხელი შევავლე, თავისკენ დაქაჩა, ჩამიხუტა და მგზნებარედ მაკოცა.

მისი კოცნა მოუთმენელიც იყო და მგრძობიარეც, მწველიც და მაცდუნებელიც... ვიგრძენი, როგორ დადენი მის მკლავებში. ძალაგამოლეული მივეყრდენი მის ფართო მკერდს და თვალები დაგუხუქე.

უეცრად ნუკი აჭიჭყინდა. სწრაფად გავერიდე მამაკაცს.

— ჩავალ, დავხედავ, — სუნთქვაგახსირებულმა ძლივს ამოვთქვი, თან ვბრაზობდი ჩემს თავზე, რომ კახის უარს ვერაფერზე ვეუბნებოდი. ასე მეგონა, მას მხოლოდ ჩემი სხეული სურდა და აქ სასაუბროდ კი არა, ჩემს საცდუნებლად შემომიტიყუა.

— ქეთევან! — დამიძახა და სანამ კაიუტაში ჩავიდოდი, მაჯაში ჩამავლო ხელი.

— ბავშვს ალბათ მოშივდა. ჩემი აზრით, ფლირტი მოიცდის, არსად გაგვექცევა... ასე არ არის? — გამომწვევად შევცინე... და მივხვდი, რომ ჩემი რეპლიკით მიზანში მოვარტყი.

მამაკაცს სახე მოექუფრა.

— როგორც იტყვი, — თქვა და მხრები აიჩქნა მხოლოდ.

ნუკი მანუქში წაქცეულიყო. ბავშვს მივეფერე და წამოვყავინე, მერე სველი სხეული გავიმშრალე და ჩავიცვი. იქნებ ცუდად მოვიქცევი, ასე რომ ვუთხარი?



რატომ ნაკვბინე? განა თავად არ ვცდილობ, ვაცდუნო? გამოტყედი, ქეთი, გულახდილი იყავი! იქნებ მართლა დალაპარაკება უნდა და არანაირი სხვა ქვენაგრძობა არ ამოძრავებს? მაშინ რატომ მაკოცა? მერედა, ჯული? განა ამ დილით არ იყო, მარგველაშვილს თბილად და მზრუნველად რომ ელაპარაკებოდა? ეს რომ გამახსენდა, გული არემი აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. აშკარაა, სურს, რომ ნუხანდელი ღამე აქ დაასრულოს, იმიტომაც წამომიყვანა. ჯულის მე ვერასდროს შევცვლი. მის ადგილას კახი არასდროს დამაყენებს. ეს ფაქტია, რომელსაც ვერსად გავუქცევი. მას მანამ ვჭირდები, სანამ ის ქალი დაბრუნდება. მერე კი... მშვიდობით, ძიძავ! აღარც გამიხსენებს...

ნუკიმ წაიტრია. მისკენ შევბრუნდი.

— რაო, პატარავ, მოგშივდა? ვიცი, ვიცი, სიხარულო, ახლავე მოგხედავ, — ალერსიანად ვუთხარი გოგონას და ჩანთაში შვრიის ბურღულის ძებნა დავიწყე. როგორ შემაყვარა თავი ამ ბავშვმა — არანაკლებ, ვიდრე მამამისმა. რა მეშველება მათ გარეშე! როგორ მომენტრება ორივე! მით უმეტეს, როცა სტატისა გამოვაქვეყნებ, არასდროს მომიცემა შესადლებლობა, ვნახო ისინი! კახი ახლოსაც არ გამიკარებს!

იქვე, კუთხეში მიდგმული სამგზავრო გაზუჭრა ავანთე და ფაფის მოდულებას შევუდექი. „არა, მე არ მიყვარს ანდრონიკაშვილი, ეს უბრალოდ, გატაცებაა და მეტი არაფერი. არ შეიძლება, სამ დღეში შეგიყვარდეს მამაკაცი“, — ჯიუტად ჩავაგონებდი ჩემს თავს, თან კოვზით გამალებით ვურევდი პატარა ქვებს, — „რამდენიმე დღეში ყველაფერი დამავიწყდება და მერე სიცილითაც კი გავიხსენებ ამ ამბავს“. ამის გაფიქრებაზე თითქოს ოდნავ მომეშვა გულზე... მომეშვა კი? უეცრად გამოვლებე კარს ჩრდილი დაეცა... კაიუტაში კახი ჩამოდიოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



აჭვი ანუ სიყვარულისთვის გაჩენილი...



დაა სუსპირიძე

— გამატარებ?! —

ტონი იმპერატორულია, მაგრამ სიტყვა — მოზომილი. გამბედაობა რომ მოეკრიბა, სიამოვნებით ეტყოდა: მოლაღატეც... არარაობაზე, გაეთრიე ოთახიდან, ფეხებში მეზღანდებიო, — მაგრამ გონებაში ათასჯერ დანყობილი ამ საშინელი ტექსტიდან მხოლოდ ინტონაციაა გადარჩა და ამოიფრქვა.

— ტასიკო და ვინკო დღეს ჩემს სანახავად მოვლენ?

ქმრის პასუხი — მისი იგნორირებაა, საქციელიც: მას ხომ აზრადაც არ მოსვლია, ფეხები ჩამოელაგებინა სკამიდან და გაუტარებინა..

„ამაზრუნეოო!“ — დასჭყება გონებაში, მაგრამ ეს სიტყვაც მხოლოდ სახეზე აღიბეჭდა.

— მოვლენ! — მიუგდო ქმარს და სავარძელში გემრიელად გამხლართულ, სიმპათიურ მამაკაცს შემოუარა. როგორ უნდოდა, ერთხელ მაინც გაებედა და ეთქვა მისთვის, — შე არაკაცო, მოლაღატეც, შე ეროვნული ღირსების არმქონეც, შე მოქალაქეობადაკარგული მქელთანევე, დამეკარგე თვალთახედვიდან!.. მაგრამ ყოველთვის დუმილს არჩევს. ნეტავ, რატომ ვერ ახერხებს, ის ამოთქვას, რასაც ფიქრობს? არ არის მოლაღატე თუ?! მაშინ, რატომ თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი და რუსების ემისარი გახდა საკუთარ სამშობლოში?.. ემისარიო? ემისარი კი არა, შპიონი! თუ ასე არ არის, აბა, რა ჯანდაბად უნდა, საღამოებს ტელევიზორის წინ რომ ატარებს, საინფორმაციო გადაცემების დეენაში, ანდა — მისი საუბრები მოსკოვიდან რას ნიშნავს?.. სხვაზე არაფერზე ელაპარაკება, აღარაფერზე! მიუგდებს ხოლმე ბავშვის მოკითხვას ორ სიტყვად და მერე მხოლოდ პოლიტიკით ინტერესდება. რუსეთის საინფორმაციოებმა ასე და ასე თქვეს და სიმართლე რომელიაო?.. მერე ალბათ, იმ გრძელფეხება გო-

მბიოს უყვება თავისი ქვეყნის ამბებს, სულ სექსი, სექსიო, რომ გაიძახის, მის საძაგელ კისერს მოხვეული. ერთი ანახვა! ერთი დაანახვა, ვისში გაცვალა სამშობლოც და ოჯახიც, მორალიც და ზნეობაც!.. ღმერთო, როგორ დაკანწავდა, არა თვალებს ამოსთხრიდა!

— ტელეფონია, მარიამ! — წყნარად ეძახის ქმარი. აეთრეს და უპასუხოს თავად... ის რა, მდივანი ხომ არ არის?! ჰოდა, კი არ უპასუხებს, მის სიტყვას მონასავით კი არ შეასრულებს, ადგება და მისსავე ხერხს გამოიყენებს: ვითომც არ ესმის, რა უთხრეს. რეკოს ტელეფონმა... ჰოდა, რეკავს კიდევ. მარიამი ამ ზარებიდან შეიტყობს ხოლმე, რომ ხან ერთ მეგობარს ენატრება მისი ქმარი და სპეციალურად მის პატივსაცემად გაშლილ სუფრაზე ეპატიჟება, ხან მეორე უშლის პურმარილს მაინცდამაინც იმ რესტორანში, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს მარიამს, მესამეს მისი დაბრუნებისთვის ჩათქმული შესანიშნავი მოჰყავს და ქალაქგარეთ, ეკლესიაში მიდიან მოსალოცად. მერე მდელით გამიღვალს სუფრასთან უფლის სადიდებელსაც ამბობენ და ერთმანეთის ნახვის, ურთიერთობის სურვილსაც იკლავენ... უყვართ. ჰო, სიყვარულია ეს, მაგრამ მარიამისთვის გაუგებარი. სანახავად კია სიამოვნო: იმ დღესაც ფანჯრიდან გადასცქეროდა და კინაღამ გული გადაუქანდა — ექვსნი იდგნენ ერთად, მთელი კლასი, იმ ოხერი სკოლის, სადაც მისი ქმარი გაზარდა, ყველა ცნობილი ბიჭი. ისეთები იყვნენ, ფანჯრებიდან გადმოცვივდნენ მეზობლის ქალები... უღიბოები, მადლები... სამხედრო ფორმა ხომ მახინჯ კაცებსაც ძალიან უხდება და ამათ კიდევ — განსაკუთრებით! სანადიროდ მიდიოდნენ... ეჰ, ლამაზი კია, განათლებულიცა და ჭკვიანიც, მაგრამ მერე მარიამს რა?.. შვილი და ოჯახი, საყიდელი და საზრუნავი, მარტობა და განვლილი, გატანჯული დღეები და ღამეები. ეს ხანდახან კი ჩამოდის, მაგრამ სხვისი სუნი ასდის თითქოს. იმ გრძელფეხილებიანი ქალის, მარიამს რომ არ უნახავს და არც არაფერი სმენია მის შესახებ, მაგრამ ფიქრებში რომ დახატა...

ტელეფონი რეკავს ისევ, ეს კიდევ ფიქრებში გაერთო.

— მარიამ, შენ გირეკავენ, — ეძახის ქმარი.

პატარა გამარჯვებაა, მაგრამ გამარჯვებაა მაინც: ხომ წამოდგა იმ ოხერი სავარძლიდან და აიღო ყურმილი, თანაც, იმას კი არა, მარიამს ურეკავენ...

— გისმენთ, — უპასუხა და ტანში გაცვივა. ის კაცია, ჰო, ჰო, ისაა... ღმერთო, რა უდროო დროს ურეკავს! ან, უფრო სწორად — რას ურეკავს?! იქითა მხრიდან მის ჯანმრთელობაზე, განწყობილებაზე წუხან, როდის ეცალიაო, ინტერესდებიან... არა, ამდენს არ ელოდა. ან სად, როგორ, ვისგან გაიგო მისი ტელეფონის ნომერი?.. ქმარი აქვეა, ეს ყველაფერი როგორ ჰკითხოს თან-

ამოსაუბრეს?! რომც ჰკითხოს, იმას მაინც ხომ ვერ ეტყვის, ქმარი რომ ადგას თავზე. ის მაინც ვერაფერს მიხვდება, ეს კიდევ, ჰო, ეს ანუ ქმარი მოკლავს... მიხვდა, როგორც იქნა — დიხაც რომ მოკლავს! ან თუ არ მოკლავს, გაეყრება მაინც. მერე იკითხოს უხიხარული და განვლილი დღეები, მერე იგლოვოს დაკარგული ახალგაზრდობა და მარტობაში გატარებული ღამეები. ახლა, როცა მისი ქმარი დაბრუნებაზე ლაპარაკობს, როცა შორეულ გეგმებს უზიარებს, ყოველთვის ჰგონია... არა, დარწმუნებულია, რომ ის ამ გეგმებს იმ ვილაც უცნობი ქალის მიზნით წელავს, მერე კი, თუ ვერ მოახერხა და ქმარი უაზრო ეჭვიანობაში ჩაითრია, ის განვლილი გეგმები საერთოდაც წაიშლება. მოკლედ, ერთი დანკაუნება უნდა და ქმრის მესხიერებაში მარიამი სამუდამოდ ამოიშლება უფარვისი ფაილივით.

უცბად შეიცვალა ყველაფერი — ახლა მარიამი ხდება მოლაღატე... თან, ქმრის ლაღატი მხოლოდ მის ფიქრებშია, მისი „უნებლიე ლაღატი“ კი აქ, ყურმილიდან იღვრება ნახ სიტყვებად. გადარჩენის ინსტინქტი ჩაირთო: „დიხა, კარგად ვარ, გამაღლობთ, თქვერ როგორ ბრძანდებით?“ — ჰკითხა თანამოსაუბრეს და ზურგს უკან გაოცებული შვრია იგრძნო. არ მობრუნებულა, სავარძლის სახელურს მიეყრდნო და მშვიდად გააგრძელა: „დიდი მადლობა, რომ მომიკითხეთ, დავმშვიდდი და გავთბი. დიხა, არ გაცვიფრებულვარ, ნამდვილად კარგად ვარ. ყველაფერისთვის უღრმესი მადლობა... ჩემმა მეუღლემაც მადლობა შემოგიტოვალათ. მინდოდა თქვენთვის დამერეკა, რომ მადლობა გადამეხადა... დიხა, ვიცი, რომ ნატალიმ მოგასწავლათ ჩემი ნომერი“.

არადა, იქითა მხრიდან მის ცრემლიან, ეშხან თვალბეზე, სახეზე აფარებულ, მთროთოლავ, თლილ თითებზე საუბრობდნენ... სხვა რა უნდა ექნა?! ყურმილი თავის ადგილზე დააბრუნა, სავარძელში გადაგორდა და კისკისი დაიწყო.

— მარიამ! — მხოლოდ სახელით მიმართა ქმარმა, მაგრამ ეს მოთხოვნა იყო, სამი ძახილის ნიშნით, — ამისენი!

— არა, ვერ გაიამბობ, მომკლავ! — გაულიმა უტიფრად ქმარს და თვალბეზე ჭინკები აუთამაშდა.

— მარიამ! — სამი, ათი ძახილის ნიშანი „ალიმართა“ ქმრის ინტონაციაში.

— დაცა, დავლაგო აზრები და გამბობ, — ფეხები გაჭიმა მარიამმა. ზუსტად ისე, როგორც ამას მისი მეუღლე აკეთებდა ხოლმე. კაცი ფეხზე ადგა, სავარძელში გამოტოვდა ცოლს სკამი მიუჩოჩა, ფეხებში დასწვდა და ზედ შემოაწყობინა. — კარგად მოეწყვე ხომ? — ჰკითხა და იმ სკამს შემოაჯდა ცხენივით, მარიამის ფეხები რომ შემოიღო, ვითომცდა მზრუნველად.

— მიამბე. — ქმრის ტონალობაში ძახილის ნიშნები აღარ, მაგრამ მოთხოვნა მაინც დარჩა, თუმცა მარიამმა იგრძნო, რომ ეს მოთხოვნა ეჭვისგან აბსოლუტურად თავის-



უფალი იყო. თუ, ასე არ იყო და მამაკაცი თვალთმაქცობდა?... ახლა ქალმა გონება უნდა მოიკრიბოს და ეს უსიამოვნო ინციდენტი თავისდა სასარგებლოდ შემობრუნოს. თან, მარიამი ხომ დამნაშავე არ არის. უფრო სწორად, მარიამი უნებელი დამნაშავეა. ეს კი ნიშნავს, რომ ის უდანაშაულოა. კარგი ლოგიკაა? ასეა და — მორჩა!..

სხედან ასე პირისპირ, შესცქერიან ერთმანეთს თვალბუბი. დუმილის დრო დამთავრდა; ახლა თუ არ დაინწყებს თხრობას, ინტერესი მრისხანებაში გადავა და მერე რაც უნდა უთხრას, ველარ დააჯერებს.

— ეს შენს ჩამოსვლამდე მოხდა. ორი დღით ადრე... წვიმდა, საშინელი თავსხმა იყო. რატომღაც, ფული არ მედო ჩანთაში და ტაქსი ვერ გაფაჩერე. ციოდა. ამ კაცმა ავტობუსის გაჩერებიდან სახლამდე მომიყვანა. ჰოდა, ხომ ვიყავი სველი! მომიკითხა ახლა... — სიმართლე თქვა მარიამმა. ამოისუნთქა, პატარა ბავშვივით გაიღიმა და ფეხები ქმარს გაშეშებულ მარჯვენა ფეხზე შემოაწყო.

— ახლა დანვრილებით მოგიყვები, — გააგრძელა თავად.

— გახსოვს, თბილისში დიდი მიტინგი რომ მოეწყო? იმ საღამოს მოხდა. შენც მელაპარაკე ლამით, მაგრამ აღარ მოგიყევი, ახალ პოლიტიკურ ამბებზე მეკითხებოდი. არ გიკითხავს, როგორ ხარო... დილით ადრე გავედი სახლიდან. ბავშვი სკოლაში მივიყვანე და უკან მოვბრუნდი. აქ საქმე არაფერი მქონდა. ვინჩიალე, ვიბორიალე, მაგრამ ვერ მოვისვენე. ხომ არის ხოლმე ასე ხანდახან? ისეთი სიცარეილე იყო, ისე-

თი სიჩუმე. არც ტელეფონი რეკავდა, არც არავინ მოდიოდა. სახლი სუფთა იყო, სადილი — გაკეთებული, სარეცხი — გარეცხილი, გაუთოებული. ტელევიზორში 52 არხი ვატრიალე, დაწვევი, ავდევი. მოკლედ, ბევრი ვინვალე. ბავშვი იმ დღეს დედაჩემს უნდა წაეყვანა თავისთან. ვიფიქრე, ჩემბთან გავალ-მეთქი, მაგრამ მიფხვდი, იქაც ვერ მოვისვენებდი. არც თეასთან მინდოდა, არც მავასთან, არც სადმე სხვა, ჩვეულ ადგილას, სადაც, როგორც წესი, სანუნუნოდ, თანაგრძობის მისაღებად მივდივარ, ვიღებ კიდევ თანაგრძობას, ოღონდ კმაყოფილებამურეულს, — ეგ შენ არ გესწავლება: ადამიანები სიამოვნებით თანაგრძობენ, ბედნიერებიც არიან ამ თანაგრძობით, რადგან თავად მათ იგივე პრობლემა არ აწუხებთ... მოკლედ, ეკლესიაში წავედი.

— თანაგრძობის მისაღებად. რომელში?

— მაღლა, წყნეთში. იქ მითხრეს, რომ დედა თამარი ლოცვით სასწაულებს ახდენს, ჰოდა, წავედი. ვიფიქრე, რომ იმ დღეს ქალის მოსმენა მჭირდებოდა. ქალური, უანგარო თანაგრძობა.

— მაგრამ რა განუხებდა, ვერ გავიგე. რა თანაგრძობა გჭირდებოდა, რისგან დაცვა — უსაქმურობისგან?..

ეს „კაცური“ განსჯა იყო. ამაზე მარიამს ადრე აგრესია გაუჩნდებოდა, მაგრამ ეს ადრე — 10 წუთის წინ და კიდევ მთელი წინა ცხოვრება, ახლა კი — არა. ამ მამაკაცურად უხეშმა, მეტიც, ვირულმა შენიშვნამ, ქილიკმა მის ცხოვრებაზე, ახლა მარიამს ვერც ხასიათი ნაუხდინა და არც გაბოროტება გამოიწვია.

— ვეჭვიანობ შენზე, — უთხრა ქმარს სრულიად მშვიდად — ვეჭვიანობ და თავი უსარგებლო, ლამაზი ნივთი მგონია. არც ემოციის, არც ვნების, არც აზრის გაჩენა რომ არ შეუძლია...

— ამიტომ გადაწყვიტე, რომ შეიძლება, უცხო მამაკაცს ჩაუყვდე მანქანაში?! — მაინც გაბოროტდა კაცი.

— ამ კითხვაზე არ გიპასუხებ, იმიტომ, რომ ვინმე უბებო. მე კი მინდა, ჩემი გულახდილობის წუთები არ გააფუჭო. გავაგრძელო?

— ჰო, მოუთმენლად გელი. — კაცის ეს სიტყვებიც იქედნური იყო და გამოხედვაც. მაგრამ

მარიამმა წყნარად გააგრძელა და არც ფეხი ჩამოუნეცია.

— მთელი დღე ეკლესიაში გავატარე. ვუსმინე, ვილოცე... თავიდან ისევ საოცარ სიცარეილეს ვგრძობდი, მაგრამ მერე და მერე, გული გამიბოძა. თუ რამე კარგი მომხდარა ჩემს ცხოვრებაში, გამახსენდა. ის კარგი, ცოტა იყო, მაგრამ — დიდი. სიმშვიდეც ვიგრძენი, ძალაც მომივიდა, მაგრამ ამოცანა — რაშია ჩემი დანიშნულება? — ვერ ამოვხსენი. ჰო, დანიშნულება, რომელიც ახლა ასე ჩანს — დამლაგებელი, მოსამსახურე, მომვლელი, მზარეული... ვითომ ამისთვის გავჩნდი?! მოკლედ, მოსალამოვდა. მომშივდა, შემცივდა. გარეთ ამინდი გაფუჭდა, წვიმა წამოვიდა. ადამიანები შემოდიოდნენ, სანთლებს ანთებდნენ, ლოცულობდნენ... ზოგი გულმხურვალედ, მოურიდელად, ზოგი — მორიდებით, დაძაბული. ყველას ეტყობოდა — ხშირი სტუმარი იყო იქაურობის თუ ჩემნაირი, იშვიათი, დაბნეული... რაღაც მომენტში, რატომღაც, გული ძალიან ამიჩუყდა და ცრემლები მომერია. რომ არ ავტირებულყავი, ჩქარ-ჩქარა გამოვედი ტაძრიდან და ავტობუსის გაჩერებისკენ გავემურე. ცრიდა. გაჩერებამდე მივალწვი. იქ ბევრი ხალხი იდგა. პირველ ავტობუსში ვერ ავედი, რადგან ზემოდან გატყენილი ჩამოვიდა. სოფლის წესის თანახმად, ბერიოდულად, მსუბუქი მანქანებიც აჩერებდნენ და ნაცნობები, მეზობლები მიჰყავდათ. ისე შემცივდა, ფეხებსაც ველარ ვგრძობდი. ამ ცერად „დახრილმა“, სუსტმა წვიმამ მთლიანად დამასველა და გამლუპა. საგულდაგულოდ მოვიჩხრიკე ფიბრები, საფულე, ჩანთის ყველა კუთხე-კუნჭული, მაგრამ ნამდვილად, მხოლოდ ხურდა ფული მქონდა, ტაქსის ვერ ავიყვანდი. გავაგრძელე ლოდინი. როგორც იქნა, ავტობუსიც გამოჩნდა. სავე იყო ისიც. ღმერთო, დაძვინარე-მეთქი! — შევთხოვე უფალს. გაჩერდა ავტობუსი, მომანვა ხალხის ნაკადი და ავედი. შევედი თუ არა შიგნით ფეხი, შემრცხვა: ღმერთო, ირგვლივ რამდენი გაჭირვებაა, რამდენი უბედურება, სიკვდილი, ცრემლი, სისხლი, ტკივილი, მე კი რისი გულისთვის განუხებ-მეთქი?! — გავიფიქრე. ხალხი ამოდიოდა და ამოდიოდა. მძლიოცი იდგა და ელოდა, როდის გაივსებოდა მისი მანქანა. ამ ნაკადმა ისე მოიმატა, უკან გადავინაცვლე. მერე, ერთი ლონიერი ქალი მომანვა და სადღაც მომისროლა. იქ ბავშვები იდგნენ და რომ არ მიმეჭყლიტა, კარში ჩავედევი... მერე თავი ველარ შევიმაგრე და... მოკლედ, ხალხმა ამიყვანა და ჩამიყვანა კიდევ ავტობუსიდან... ნუ იცინი. რა გაცინებს?! წარმოიდგინე — გაყინული, სველი, უფულო... ისევ წვიმაში აღმოვჩნდი...

— არ ვიცი, — გიფიქვით ხარხარება კაცი.

— მე ჩამოვალწვი იქიდან, შენ კი გგონია, რომ ისევ იქ ვარ! — გადაიროა მარიამი.

— არა, ეს მე ჩამოვდივარ 3 თვეში ერთხელ შენთან, შენ კი გგონია, რომ მოსკოვში ვრჩები... — შეუტია ქმარმა. — რა მოხდა მერე?! მგონი, ყველაზე გავრძელება იხ. გვ. 99

თაყარ მამასახილი

„ქარაბადინი“

ხალხური საგუჟინლო ჩესეაზეაი

ფასი: 7 ლარი

ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე დაყრდნობით შექმნილი ძველი ხალხური ნოტატივები

იუნიკოდი ნიშნის მაღაზია და საგაზეთო ჯინსურაჟი

ნიშნის სასლუი პოხანა: 38 26 73; 38 26 74



მარი ჯაფარიძე

თითქოს სიტუაცია დაიძაბა. ორივენი გაჩუმდნენ, რაღაცის მოლოდინში. ხუთიოდე წუთი თავ-თავიანთ საფიქრალს ჩაულრმავდნენ. შემდეგ ირაკლის ტელეფონმა დარეკა.

— ჰო... კარგი... გასაგებია... გმადლობ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა ირაკლი.

ტელეფონი გათიშა და დაფიქრდა.

— რა გითხრეს? — დაინტერესდა ანა.

— 4 ნომერი ჩაუწერიათ...

— მერე?

— ერთ-ერთი მათგანი გიორგის მანქანის ნომერია...

— გიორგის? — გაუკვირდა ქალს.

— გინდა, თქვა, რომ გიორგი იდგა და გვითვალთვალებდა?

— ასე გამოდის...

— კი, მაგრამ რატომ?

— ეგ კითხვა მე კი არა, გიორგის უნდა დაუსვა.

— თქვენ ხომ მეგობრობთ?

— კი, ვმეგობრობთ. გიორგი სანდო კაცია, საიმედო მეგობარი და დარწმუნებული ვარ მასში... ეჭვს ვერ შევიტან... ერთადერთი მიზეზი შენ ხარ, ანა...

— მე? მე რა შუაში ვარ?

— გიორგის შენ უყვარხარ. წლების მერე შენთან შეხვედრამ გაუახლა გრძნობა. ჰოდა, ახლა ცდილობს, დაადგინოს, რა ხდება ჩვენ შორის და აქვს თუ არა რაიმე შანსი. სხვა მიზეზი, რომ გიორგის ჩემთვის ეთვალთვალა, არ არსებობს. ეგ კაცურში არ ჩაიჭრება.

— კი, მაგრამ თვალთვალი კაცურია?

— მე მისი მესმის და არ ვამტყუნებ. ჩემთვის არაფერი უთქვამს და არ უკითხავს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ძალიან განიცდის, არჩევანი ჩემზე რომ გააკეთე.

— მაგრამ ეს ხომ შენი ბრალი არაა? გიორგის ბავშვობიდან ვიცნობ და რაც

თავი მახსოვს, იმის მერე ვუყვარვარ. ასე რომ... წესით, მას უფრო ჰქონდა შანსი, მაგრამ არ მიყვარს და არც მყვარებია, მიუხედავად იმისა, რომ მართლა კარგი ადამიანია, დადებითი პიროვნება, ვაჟკაცი და თანაც, საკმაოდ სიმპათიურიც... ასე რომ, შენ არაფერ შუაში ხარ... ეგ ჩემთვის არაა გაჩენილი და ეგაა.

— მაშფოთებს ეს სიტუაცია. მეგობრის დაკარგვა არ მინდა. არადა, როგორია, როცა იცი, რომ შენს ძმაცხს შენი საყვარელი ქალი უყვარს. სიყვარული და ქალი ისეთი რამაა, რომ შესაძლოა, უამრავი შეცდომა ჩაგადენინოს. მაგალითად, ასეთი, როგორიც დღეს ჩაიდ-

ინა — მოვიდა და შორიდან გვითვალთვალებდა... შენ კიდევ ამბობ, პრალაში არ წამოხვიდეო, — ლევანს გაეცინა და ანას ცხვირზე თითი ჩამოჰკრა.

— იქნებ სულაც უარი ვთქვა მაგის შემოთავაზებებზე?

— არა, ახლა ვერ უღალატებ, იცის ადამიანი, რომ ფული აქვს და ქარხნის საყიდლად მიდის... ახლა ღალატი არ გამოვა. უნდა წახვიდე. უფრო სწორად, უნდა წავიდეთ.

— კარგი, როგორც შენ იტყვი...

— უყურე ამ თაღლითს, როგორც მე ვიტყვი, ისე იქნება, არა? სულ ისე მოიქცევი, როგორც მე მინდა?

— ჰო, აბა, რა, — კვკლუცად გაიღიმა ანამ.

— არ მჯერა! ამის შანსი არაა, რომ ანა ისე მოიქცეს, როგორც სხვას სურს... ნუ მატყუებს, შენ პატარა თაღლითო, თორემ დაგსჯი.

— შენ რა, გგონია, რომ მე იმის წინააღმდეგი ვარ, ვინმემ ჩემ მაგივრად მიიღოს გადანყვებილები? ვინმემ თავის თავზე აიღოს ყველა პრობლემა? სულაც არა, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ადამიანი არ არსებობს, ვინც ამას გააკეთებს. იძულებული ვარ, ყველაფერი ჩემს თავზე ავიღო.

— მე ხომ ვარ? — წარბები აზიდა მამაკაცმა.

— შენ ხარ, მაგრამ არ ხარ...

— ისე, ძალიანაც არ გაგიხარდება, მაგრამ ჩვენს საუბარს უნდა დავუბრუნდეთ. რაო, რატომ ვიყავი ლევანთანო, რა თქვი?

— არაფერი მითქვამს.

— ანა, მე მინდა, რომ ყველაფერი ვიცოდე შენ შესახებ. უფრო მშვიდად ვიქნები.

— მე და ლევანს შვილი გყავს, — უცებ, ერთი ამოსუნთქვით თქვა ქალმა და გაჩუმდა.

ირაკლი დაფიქრდა.

— ერთი ღამე იყავი მასთან და დაორსულდი?

— ჰო.

— მერე?

ანამ რადგან ყველაზე მთავარი სათქმელი თქვა, დანარჩენის მოყოლა აღარ გასძენებია. ყველაფერს დანვრლებით მოჰყვა.

— და როცა ამბობდი, ახალი ადამიანი შემოდის ჩემს ცხოვრებაშიო, ბავშვს გულისხმობდი?

— ჰო, მას... ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო და თან ამდენი რამ ისე მოკლე დროში მოხდა, რომ გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი. ამიტომ ცოტა დაბნეული ვარ, ცოტა — შუშინებული, ცოტა — ალელვებული და ასეთ მდგომარეობაში შეცდომის დაშვების მეშინია...

— ანა, მე გულწრფელი ვარ შენთან ურთიერთობაში. იმედია, იმას არ ფიქრობ, რომ შენი რამე მჭირდება და ანგარება ან სხვა მიზანი მამოძრავებს... მიყვარხარ მაგ შენი საიდუმლოებებიან-ცხოვრებებიანად. ჩემი იმედი ყოველთვის გქონდეს. ნებისმიერ დროს მზად ვარ, შენი წილი ტყვიც კი მივიღო.

— იმედია, საქმე სროლამდე არ მივა, — გადაიკისკისა ანამ.

გუნება უცებ გამოუკეთდა. საიმედო საყრდენი იგრძნო... დავითი გაახსენდა, ყველაზე საიმედო მამაკაცი მის ცხოვრებაში. ახლა კი ირაკლიც.

მამაკაცმა ხელი მოხვია და გვერდზე მიიკრა. ნიკაპი თავზე დაადო და ანას ნაამბობს გუნებაში კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი.

— ხვალ ბავშვის სანახავად რომ წახვალთ შენ და ლევანი, მეც წამოვალ. შენ გვერდით ვიქნები, იმას რომ სენტინენტალური გრძნობები არ აეშალოს.

— კარგი, — დათანხმდა ანა, — მე წავალ, — დაამატა შემდეგ.

— როგორც გინდა. რადგან არ იშლი, შეგიძლია, წახვიდე, მაგრამ მე ის მიკვირს, შენი გულახდილობის სამაგიეროდ ჩემგანაც იმავს რომ არ ითხოვ.

— მე შენსავით აბუზარი არ ვარ, თუ მოგინდება, შენ თვითონ მომიყვები.

— კი მინდოდა, მაგრამ აბა, არ გიკითხავს და...

— რომ დავრჩე, მომიყვები?

— კი.

— კარგი, მაშინ გისმენ.

— მე შენსავით ჩახლართული ამბავი არა მაქვს, მაგრამ შესაძლოა, მაინც საინტერესოდ მოგეჩვენოს. წლების წინ, როდესაც პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, ჩემს მეზობლად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გადმოვიდა საცხოვრებლად. გოგო ძალიან ლამაზი იყო და დავინახე თუ არა, გული გადამიქანდა. კარგა ხანს მეგონა, რომ კარის მეზობლად ოჯახი გადმოვიდა, გოგონა კი მათი შვილი იყო. სადარბაზოში ვაბრჩულებდი ხოლმე, რომ მისთვის თვალის მომეკრა.

ამასობაში ზაფხული მოვიდა და მე



მთელი 3 თვით დასასვენებლად წავედი. უკან დაბრუნებულმა ისევ „დავუბადიებდე“ მეზობელს და რომ დავინახე, ლამის გული გამისკდა. მუსცელი წამოზრდოდა. ფეხმძიმედ იყო. გულს შემომეყარა.

ჩემს არყოფნაში დედაჩემი კარის მეზობლებს დაახლოებოდა და მისგან გაეციე, რომ თურმე ჩვენთან რომ გადმოვიდნენ, ახალდაქორწინებულები იყვნენ. მაშინ 2 თვის ფეხმძიმე ყოფილა და მუსცელი არ ეტყობოდა. ახალი მეზობელი იმავე საღამოს შემოვიდა ჩვენთან. დედამ ჩემი თავი გააცნო. ხელი რომ ჩამოვართვი, ლამის გული წამივიდა. თუამ დედასთან ცოტა ხანს იტორავა. მერე კარზე დააკაკუნეს. ჩემი ქმარი იქნებოდა, წამოხტა და გავიდა.

ქმარი შედარებით უფროსად გამოიყურებოდა. ეს გოგო 19-20 წლის იქნებოდა, ქმარი კი 35 წლის, სულ ცოტა. რაც ქმარი გადიოდა, სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ სხვისი ცოლი მიყვარდა, თან — ფეხმძიმე. ჩვენთან ხშირად შემოდიოდა, ერთმანეთს დაუუახლოვდით და საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. უფრო სწორად, ის მთელიდა მეგობრად, თორემ მე ყურეზამედ ვიყავი შეყვარებული.

ასე მოვიდა მისი მშობიარობის დრო. გოგონა დაიბადა. მთხოვეს, ბავშვი მომენათლა. იმათ უარი ვერ ვუთხარი, მაგრამ ისე გავაკეთე, რომ ნათლობამდე 4 დღით ადრე შინიდან წავედი, დავიბარე, დასაგულეთში მივდივარ-მეთქი. 2 დღის მერე კი დავრევე და დედას ვუთხარი, პოლიციამ დამაკავა, საგანგაშო არაფერია, გაარკვევენ სიმართლეს და მალე ჩამოვალ-მეთქი. თან ვთხოვე, მამისთვის არაფერი ეთქვა, მაგრამ დედამ საიდუმლო არ შეინახა, რადგან უფიქრია, რომ მარტო ვერ გავართმევდი პრობლემას თავს და მამას დახმარება დამჭირდებოდა. მამა საკმაოდ მალალ თანამდებობაზე მუშაობდა და ფაქტობრივად, ყველაფრის გაკეთება შეეძლო. მამამ შეძრა ქვეყანა, სადა ჩემი შვილიო, მაგრამ ვერც ერთ განყოფილებაში ჩემს კვალს ვერ მიაგნო. შემინებულნი ქუთაისში ჩასულა, რომ გაერკვია, სად გავქრი. ძებნა გამოაცხადეს. მე კი ბათუმში, სასტუმროში ვიყავი და ქალაქში მანქანით გამოვედი თუ არა, მაშინვე პოლიციამ დამაკავა. მამაჩემი სასწრაფოდ ჩამოვიდა ჩემთან. ძალიან გაბრაზებული იყო. რაში დაგჭირდა ტყუილის თქმა, ვინმე გიშლიდა აქ ყოფნას თუ რა, დღეს ნათლიად იყავი დაპატიჟებული და იმდენი ადამიანობაც არა გაქვს, რომ იმ ხალხს პირობა მიეცი და უღალატეო. უეცრად, ეს რომ თქვა, გაჭმედა. — ბიჭო, რაშია საქმე, შენ განგებ ხომ არ აარილდე თავი ნათლობასო? — მკითხა. — არამეთქი. — არა კი არა, როგორ არა, ის გოგო ხომ არ გიყვარსო? — ვიცოდი, ჩემი უარი ყალბი იქნებოდა და ამიტომ არაფერი ვუპასუხე. — შენ, როგორც ჩანს, მომავალში მაგ ოჯახში ჩარევას აპირებ და ნათლობაზე უარი იმიტომ უთხარი; ჩემი ხელით დაგახლი ტყუიას, მაგ გოგოს რამე რომ გაუბედოლო.

...მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დამტოვა იქ, — ზეგ ჩამოდი, დედაშენს კი დავამშვიდებ, რომ კარგად ხარო, — დაიბარა და წავიდა. შინ რომ დავბრუნდი, მამასთვის თვალეში შეხედვის მრცხვენოდა. მან სამსახურში დამიბარა და იმდენი მელაპარაკა, იმდენი მორალი მიკითხა, რომ გადავწყვიტე, როგორმე იმ გოგოს დავინყება მომხერხებინა. წლები გადიოდა, მე კი მაინც მიყვარდა. საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ასე არ იყო, მაგრამ...

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, იმ ზაფხულს დასასვენებლად თურქეთში წავედი. იქიდან რომ მოვდიოდი, საზღვრამდე ასე, 150 კილომეტრი მქონდა დარჩენილი, რომ გზაზე ახალგაზრდა გოგონა გადმოიხტა. ძლივს მოვასწარი დამუხრუჭება. მანქანა გავაჩერე და გადავედი. ქართველი ხარო? — შეშინებულია მკითხა. — კი-მეთქი. — როგორმე საზღვარზე გადამიყვანე, თორემ დავილუპებო. მანქანაში ჩავსვი და გამოვიკითხე, რა უჭირდა. თურმე ვილაც ქალს გაუყიდა თურქზე და ბორდელში გამოუკეტავთ. 2 კვირის წინ გამოპარულა და ტყეცყე უხეტიალია, თან ცენტრალურ გზას არ სცილდებოდა. საზღვართან ფეხით ვაპირებდი მისვლას, მაგრამ ბოლო 3 დღეა, საჭმელიც არ მიჭამია და ფეხით სიარულის თავი არა მაქვსო. ფული გადავიხადე საზღვარზე და ისე გადმოვიყვანე. შინ რომ მივიყვანე, ოჯახი სიხარულით ცას ეწია. მთელი 3 თვე დაკარგული ეგონათ და ცოცხალი რომ დაინახეს, გაუხარდათ. ამ გოგოსთან ურთიერთობა არ გამინყვებია. ძალიან კარგი გოგო აღმოჩნდა. დავხმარე და სწავლა დავანყებინე. საკმაოდ ნიჭიერი აღმოჩნდა და მალე სწავლის ფულის გადახდაც აღარ მიწევდა. სტიპენდიაც კი დაენიშნა. მივეჩვიე მასთან ურთიერთობას და რამდენიმე ხნის შემდეგ უფრო ახლო ურთიერთობა დავინწყეთ.

— ანუ, საყვარლები გახდით? — დაინტერესდა ანა.

— ჰო, შეიძლება, ასე ითქვას. ამან თუა თითქოს გადამავიწყა. ჩემთან ოჯახში მიმყავდა, ყველას გავაცანი და ალბათ ცოლადაც მოვიყვანდი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დამირეკა და მითხრა, დღეს ვთხოვდები, ის ბიჭი ძალიან მიყვარს და გთხოვ, ხელს ნუ შემეშლი, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულიაო. გაოგნებული დავრჩი. მერე გავიგე, რომ თავისივე ჯგუფელს, ღარიბ-ღატაკს გაჰყოლია. ვიცი, რომ როცა ვინმე გიყვარს, ამ შემთხვევაში ფულსა და ქონებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც ძალიან გამივივრდა, ასეთი გადაწყვეტილება

რომ მიიღო. ამ ამბიდან 1 წელი იყო გასული, როცა ერთ დღეს შინ მარტო ვიყავი და თუა შემოვიდა. ამაში უჩვეულო არაფერი იყო. ყავა მომიდღულეო, მითხრა. მოვედულე. დაჯდა, გაბოლდა და ცდილობდა, თვალი აერიდებინა. რალაცის თქმა გინდა, მგონი, და ვერ ბედავ-მეთქი. — კი, მინდა, დიდი ხანია, შენთან ლაპარაკი მინდა, მაგრამ ვერ ვებედავო. რაშია საქმე-მეთქი? — იცი, ის გოგო რატომ გათხოვდაო? — იმიტომ, რომ სხვა უყვარდამეთქი. — არა, იმიტომ, რომ მე ვუთხარი, მე და ირაკლის ერთმანეთი გვიყვარს, უკვე დიდი ხანია, საყვარლები ვართ და ჯობია, დაშორდე, რადგან დაქორწინებას ვაპირებთ-მეთქიო. გაოცებისგან პირი დავალე. — ასე რატომ მოიქეცი-მეთქი? — იმიტომ, რომ მიყვარხარო. ენა ჩამივარდა. ხმა ვეღარ ამოვიღე. ვიცი, რომ შენც გიყვარვარ და უარყოფას აზრი არა აქვსო... რამდენიმე დღის შემდეგ, დღისით თავისთან დამიძახა და იმის მერე ჩვენი გზები აღარ გაყრილა, რამდენიმე წლის განმავლობაში.

— ახლა სადაა ის თუა? — ეჭვიანობისგან ლამის მოკვდა ანა.

— ის დაქვრივდა. ქმარი მოუკვდა. დედა იძულებული გახდა, რომ მასთან გადასულიყო. მერე ნელ-ნელა დავცილდით ერთმანეთს. სიმართლე რომ გითხრა, სანამ მიუწვდომელი იყო, მანამდე უფრო მიზიდავდა. ჩემი გახდა თუ არა, მის მიმართ თითქოს ინტერესი დაკვარგე და საყვარული სადღაც გაქრა.



ეტყობა, სხვა თვალთ შევხედე და მისი სილამაზე უარყოფითმა თვისებებმა დაჩრდილა, რომელიც არც ისე ცოტა ჰქონდა.

- ჩემზეც ასე რომ დაგემართოს?
- როგორ?
- როგორ და გული რომ გაგიცივდეს?
- ნუ გეშინია, არ დამემართება.
- ისე, მე რომ წავიდე, გული დაგწყდება?
- ძალიან...
- მაინც უნდა წავიდე და ხვალ შევხ-



გდებით, — ანა წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

ირაკლი არ შესწინააღმდეგებია. მანქანამდე მიაცილა. ჭიშკარი გაუღო და სანამ თვალს არ მიეფარა, მანამდე იდგა და გაპყურებდა.

დილით ანა ირაკლის ზარმა გააღვიძა.



— რომელ საათზე მიდიხარ ბავშვის სანახავად? — ირაკლი კარგ გუნებავზე ჩანდა.

— გაღვიძებას და გონზე მოსვლას თუ დამაცდი, მაშინ დავრეკავ და გავარკვევ.

— შენს ეზოში ვარ, ახლა ამოვალ ზემოთ და კარი გამიღე, — მამაკაცმა ტელეფონი გათიშა.

— ვინ იყო? — კარში თმაგანწილი ნინო გამოჩნდა.

— ირაკლია, ამოვა ახლა და კარი გაუღე, — ანა უხალისოდ წამოდგა. ვერ გამოიძინა და მოთენთილი იყო.

მისაღებში გასულს ირაკლი უკვე იქ დახვდა.

— მოკლედ, ჩაენერე ბარემ ჩვენთან, კბილის ჯაგრისი, ფლოსტები და სპორტულები მოიტანე და დარჩი, — ანამ თმა შეიკრა და მამაკაცს გაუღიმა.

— სიამოვნებით დავრჩები. ქალბატონო, თქვენ წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? — მიმართა ოთახში შემოსულ ანას დედას.

— მე თქვენ არ გიცნობთ, — სერიოზული სახით უპასუხა ქალმა.

— სირცხვილი არაა, ანა? დედაშენი მე არ უნდა მიცნობდეს? მე ირაკლი ვარ, ქალბატონო, თქვენი მომავალი სიძე.

სიტყვა „სიძის“ გაგონებაზე ანა უცებ შემობრუნდა, ირაკლის სახეზე დააკვირდა. ვერ გაიგო, ხუმრობდა თუ მართლად ამბობდა.

— რომ არ გიცნობდეთ, გასაკვირი არაა, იმდენი სიძე მყავდა უკვე, რომ ზოგიერთი აღარც კი მახსოვს, — გაიღიმა ქალმა.

— დედა! — ანამ შეჰყვირა.

— ასე არაა? — არ დათმო დედამ. — სამაგიეროდ, მეორე აღმოჩნდა უნიჭო მაგ საქმეში და ერთხელაც ვერ გათხოვდა.

— დაგვანებე თავი, რაა, — ახლა ნინო შეეხვეწა.

— კი, ბატონო, მე კი დაგანებებთ, მაგრამ ეს კაცი არ დაგანებებთ, სანამ შენს დას კიდევ ერთხელ გათხოვებამდე არ დაითანხმებს.

ირაკლი ჩუმად იდგა და გულიანად იცინოდა.

— ნუ გეშინიათ, ქალბატონო, ამჯერად, იმედია, უკანასკნელად გათხოვდება თქვენი შვილი, — თავი გალანტურად დაუკრა და საძინებლისკენ მიმავალ ანას თვალი გააყოლა.

— ლევანმა დარეკა, ერთ საათში უნდა შევხვდე. მანამდე ყავას მოგიდუღებ და წყალს გადავივლებ, — საძინებლიდან გამოსულმა ანამ სამზარეულოს მიაშურა.

ცოტა ხანში ანამ 2 ფინჯანი ჩამოდგა მაგიდაზე და თვითონ სააბაზანოში შევიდა. რამდენიმე წუთში წასასვლელად მზად იყო. ირაკლის გაუკვირდა კიდევ, ასე ოპერატიულად რომ მოახერხა გამზადება.

წასვლა ირაკლის მანქანით ამჯობინეს. დანიშნულ ადგილზე ლევანი უკვე მისული დახვდა. ირაკლიმ მანქანა მის მანქანას მიუყენა და ანამ ხელით ანიშნა, ჩვენთან გადმოიჯექო.

ლევანს ირაკლის დანახვა არ ესიამოვნა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. საერთო სალაში თქვა და უკანა სავარძელზე მოთავსდა.

ირაკლი ხმას არ იღებდა.

ანაც მხოლოდ — აქეთ მოუხვიე, იქით მიუხვიეო, ეუბნებოდა.

როგორც იქნა, მივიდინე.

— მანქანა ეზოში დგას, — თქვა ანამ და რამაზის მანქანაზე მიუთითა.

— ეს მანქანაა? — ლევანს ლამის გული გაუჩერდა.

— ჰო, ესაა.

— ამ მანქანის პატრონს ვიცნობ, თან — კარგად, — ძლივს ამოთქვა სიტყვები.

— მართლა? საიდან? — ანა და ირაკლი თითქმის ერთდროულად შებრუნდნენ უკან.

— საერთო მეგობრების წრე და კარგა ბლომად თავგადასავალიც გვაქვს... მის გოგონასაც ვიცნობ, ანა ჰქვია, ძალიან საყვარელი ბავშვია. სხვათა შორის, ახლა რომ მისი სახე წარმოვიდგინე, მართლა ძალიან გგავს. მე არ ვიცოდი, თუ ნაშვილები ჰყავდათ. მათი შვილი მეგონა, — ლევანი ძლივს სუნთქავდა, — მე მგონი, ცუდად ვარ, — თქვა შემდეგ.

— ექიმთან ხომ არ წავიდეთ? — ირაკლი ძალიან შემინდა, როცა ლევანის გაფითრებულ სახეს შეხედა.

ანამ ჩანტიდან ვალიდოლი ამოიღო და მიანოდა.

მამაკაცს თითქოს მოერიდა, სისუსტე რომ გამოავლინა და თავი უხერხულად იგრძნო.

— აუ, მე რომ შენს ადგილზე ვიყო, ნალდად მხევედა გული, — გაამხნევა ირაკლიმ, რომ ლევანს უხერხულობა მოხსნოდა, — ის კი არა და, ახლაც ისე ენერგიულობ, ხელებიც მიცახცახებს.

— შენ ბავშვთან რაიმე კონტაქტი გქონია? — ანა ისევ ძველ თემას დაუბრუნდა.

— კი, როგორ არა. ხშირად ვკონტაქტობდი, კალთაშიც ხშირად მჯდომია და მოფერებებოდა კიდევ. რას წარმოვიდგენდი, ჩემი შვილი თუ იყო?! — გაოგნებამ კიდევ არ გაუარა ლევანს.

— მამასადაამე, ჩვენ შეგეძლია, მასთან კონტაქტი გავაგრძელოთ ისე, რომ ეჭვს არავინ შეიტანს. შენ მამამისს ჩემს თავს, როგორც საცოლეს, შეყვარებულს თუ საყვარელს, ისე გააცნობ და მერე ერთად შევხვდებით ხოლმე ანას.

— არა, ეგ იდეა არ მომწონს. აუცილებელი არაა, რომ ასე გააცნოს შენი თავი. სხვა რამის მოფიქრებაც შეიძლება.

— ჩვენს ლაპარაკში ნუ ერევი, — ბრძანებდავით გაისმა ანას ხმა.

ირაკლიმ წარბი აზიდა და გაბრაზებით უხედა.

— ანა, მე ვთქვი, არ მომწონს-მეთქი! — არ დაუთმო.

— ეგ კაცი პროფესიით ვინაა? — ანას მამობილზე იკითხა ირაკლიმ.

— ფინანსისტია. როგორც ვიცი, დიდი კომპანიის ფინანსური დირექტორია, — სხარტად უპასუხა ანამ.

— კი, ასეა, — ლევანიც დაეთანხმა.

— სამსახური რომ შევთავაზო, არ გამოვა?

— არა მგონია, რადგან თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობს იქაც, სადაც მუშაობს.

— ყველაზე მოკლე და კარგი გზა ისაა, რაც მე ვთქვი და იმით სულაც არაფერი დაშავდება, თუ ერთ ტყუილს ვიტყვი, — ანა დათმობას არ აპირებდა.

— ახლა რა ვქნათ? — ირაკლი თითქოს დაყაბულდა, მაგრამ გონებაში მაინც გადაარჩია რამდენიმე ვარიანტი.

— ახლა დაველოდოთ, მამა-შვილი ალბათ ბებიას სანახავად წავლენ და რომ ჩამოვლენ, ლევანი ვითომ შემთხვევით შეხვდა. თან ჩემს თავსაც გააცნობს და ბავშვსაც ახლოდან ვნახავ, — ანას უკვე დალაგებული ჰქონდა გეგმა, — მიდი, იკა, მანქანა ეზოში შეიყვანე.

ის იყო, ეზოში შევიდნენ, რომ სადარბაზოდან ანა და მამამისი გამოვიდნენ. ანას სუნთქვა შეეკრა.

— მიდი, ლევან, გადადი, — გაამხნევა მამაკაცი და ახედა.

ლევანი თვალგაშტერებული უყურებდა ბავშვს და ხმას ვერ იღებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნილები

მეტიჩრობის ხარისხი

„სხვის მაგივრად მიღებულ გადან-ყვეტილებას მე მეტიჩრობას ვუნოდებ და აქვე მინდა, საჯაროდ ვაღიარო, რომ საკუთარ თავს მეტიჩრობის დარგში მაგისტრის ხარისხს ვანიჭებ (გასაოცარი თავმდაბლობაა, არა?). ქაქანი ჩემი სტილია და სხვის მაგივრადც გადამიწყვეტია რალაც-რალაცები. ყოველ წელს, თებერვალში, გოგონები ფულს ვაგროვებთ, რომ ბიჭებს ე.წ. „ბიჭების დღე“ მივულოცოთ (ვიცი, გავიგეთ, რომ ეგ საბჭოთა ჯარისკაცის თუ რალაც ეგეთის დღეა, მაგრამ ჩვენ ქეიფის მიზეზი გვინდა). მოკლედ, შარშან ფული კი შეგვრიბეთ, მაგრამ თავმოუბმელობის გამო ბოლო დღემდე ვერ მოვახერხეთ ვერაფრის ყიდვა. გადავწყვიტეთ, ორი გოგონა სკოლიდან წავსულიყავით და საჩუქრები გვეყიდა. სანამ გათავისუფლების მიზეზს მოვიფიქრებდით, ზარიც დაირეკა ისე, რომ მე და ნინომ „ჩვენებების“ შეთანხმება ვერ მოვახსნარით. ნინის გადაუწყვეტია, გულახდილად მოეყოლა და წასვლის ნებართვა ეთხოვა მასწავებლისთვის. მე კიდევ... ყველაფერი ისევე ჩემს თვალს დავბრალე (მერამდენედ, თან) — ექიმთან ვარ ვიზიტზე მისასვლელი-მეთქი. — აუჰ, აბა, ბიჭების საჩუქარი?! — გაოცდა მასწავ. ვაიმე, თებერვალი კი იყო, მაგრამ ელდისგან ისე დამცხა, აგვისტო მიმიქარავს. უცებ გადავაკეთე — მასწავ, ჯერ ექიმთან უნდა მივიდე, მარტო ხომ არ გამიმეებთ, ნინი წამომყვეს, მერე კი საჩუქრებზეც გავივლით-მეთქი. არ ვიცი, სახეზე მიმიკანაშლილმა და ტყუილში თითქმისგამოჭერილმა როგორ მოვახერხე მასწავის დარწმუნება, მაგრამ ფაქტია, გაგვიშვეს იმ დღეს. არა, რა, შევთანხმებულყავით მაინც, რა უნდა გვეთქვა, ან მე ვინ მექაჩებოდა ენაზე, ნინის მაგივრადაც რომ მოვიფიქრე მიზეზი. სამაგიეროდ, ჭკუა ვისწავლე და თვალებს აღარ ვიმიზეზებ ხოლმე. თუ დაბეჭდავ, მარი, საჯაროდ ვუხდი ბოდიშს ჩემს „მასწავს“, ყველაფრის გამო. ცუდლუტს მოენატრეთ, აკლიხართ და... რატომ არავის ვასოვარ? ჩუბი“.

„ყველაზე ჩემი“

„მასზე საუბარი ყოველთვის მიჭირდა, მიჭირს და ვიცი, ყოველთვის გამიჭირდება. არც ის ვიცი, რა დავარქვა. თქვენთან

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ბავშვებო და დიდებო. როგორ ხართ? ისევ ქებას იმსახურებთ და შეგაქებთ კიდევ. მაღლობა, რომ ჩემს თხოვნას ასე გულისყურით ეკიდებით, მაგრამ მე გაქებთ და თქვენ კი საყვედურებით მავსებთ: „მარი, რალაც 4 კინკილა მესიჯს ვგზავნი და იმასაც არ ბეჭდავ? ნინა მესიჯს ვუცადე, მეორე ნომერში გადმოვა-მეთქი, მაგრამ ამაოდ. არ უნდა ვამესიჯებდე, ისე გავბრაზდი. მაგ „მობილიზაციას“ კიდევ ერთი ფურცელი დაუთმე და ყველა მესიჯი დაეტევა და კმაყოფილები ვიქნებით. გადარეული“. ასეთ მესიჯს იმ ადამიანებ-ისგან ვიღებ, ვისაც ჩემი აზრით, სიკეთეს ვუკეთებ და ჩემს მობილურზე მოსულ, „მობილიზაციისთვის“ გამოგზავნილ მესიჯს ვუბეჭდავ-ამიტომ, ალბათ სიკეთეს აღარ გავაკეთებ და წესისა და კანონის მიხედვით დავბეჭდავ მესიჯებს. ამიტომ, „მობილიზაციის“ შესავალი (რომელსაც ალბათ არაფერ კითხულობთ, უკვე) გადაიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ საყვედური უსამართლოა. ახლა კი თქვენი მესიჯები.



სხვის მაგივრად მიღებული გადაწყვეტილება



მოკლე ჩართვა

გამალიზიანებალი
მავნი ჩვევა

• მგონი აღარავისთვის აღარაა უცხო, რომ ჩემი ყველაზე მავნი და შესისხლხორცებული ჩვევა პნკენაა, რომლის გემოსაც ჩემ გარშემო უახლოეს რადიუსში მყოფი ადამიანები აგემოვნებენ. ოღონდ, ყველა კი არა, ვინც ძააალიან მიყვარს, ისინი... ასე უცნაურად გამოვხატავ სიყვარულს და რა ვქნა? SWEET-GIRL.

• საოცრად წესიერი ადამიანი რადიკალურად ვიცვლები, როცა ვთვრები. ჩემს დაქალებს ჩამოგუვლი და სათითოდ ვაგინებ ხოლმე. ისინიც მიჩვეულები მისმენენ. მაგით ვხვდები, რომ უკვე მთვრალი ვარ. ხრუხუნა.

• ვის არ აღიზიანებს ნეტავ ვიცოდე, ჩემი მავნი ჩვევა? სახლში, ბაზარში, სამარშრუტო ტაქსიში, სადაც უნდა ვიყო (მავინყდება, გგონიათ?), რომ დავინწყებ ნეკა თითიდან და ისმის ტკაცატკუტუნი, ნუნებამდე მიმყავს ფრჩხილები, კვნეტი, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ფეხის ფრჩხილებს ვერ ვწვდები, თორეემ. იუდას კაცი.

• გამალიზიანებელის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვევა არააა, ყოველ ხუთშაბათს ტაშ-ფანდური რომ მაქვს გამართული? არ არსებობს, ხუთშაბათს ცუდ ხასიათზე ვიყო. სანტა

• ჩემი მავნი ჩვევა? უპ, ყველა სიგარეტზე მედავება, თან ახლა რამხელა ასოებით აწერენ კოლოფზე — „მონევა კლავს“. ჰოდა, გაუჩნდათ და მიეცათ სალაპარაკო, ვისაც არ ეზარება. დაე, მომკლას, მარა ვერ ვანებებ თავს, ამ დასაწავს. :) P.S. კოლუმბის ასე და ისე, თამბაქო რომ გააცნო ევროპას...

• ყველაზე მეტად რაც მალიზიანებს ადამიანებში და მავნი ჩვევა ვთვლი, ჭამის დროს პირის წლაპუნია. ისე ვლიზიანდები, საქმელსაც ვერ ვჭამ, თუ ასეთ სიტუაციაში მოვხვდი. შოკოლადა.

• სოფელში ვაარ, ჰოდა, მაშინ ბევრი ვიყავით სახლში და ღამე ერთ სანოლში სამნი ვიწეით. ამ მამაჩემმა რომ ამოუშვა სვრინვა, ველარ დავიძინე. ეს მისი მავნი ჩვევაა, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს და იმედია, რომ წაიკითხავს, არ გამიბრახდება. ანგელოზი.

რა სახელით მოვისხენიო, აქ მყოფებმა რომ არ იცნონ? ბევრისთვის ნაცნობი ადამიანია. ერთმანეთი დიდი ხნის წინ გაიცანით. სულ შემთხვევით, მაგრამ მალევე დაფეგობრდით. არაჩვეულებრივი ადამიანია, როგორც გარეგნულად, ასევე — პიროვნულად. ჩემი სული და გულია. არა, მარტო ჩემი კი არა, ყველა მისი მეგობრის, ნაცნობისა და საერთოდ, გარშემო მყოფების. უცებ დავახლოვდით და ძალიან კარგად ვიყავით ერთმანეთთან, ოღონდ ეგაა, დღემდე არ ვიცი(თ) ვინ ვიყავით ერთმანეთისთვის. მთავარია, რომ ვიყავით ჩვენ — მე და ის. ერთმანეთისთვის მიძღვნილი დღეებითა და საათებით გადიოდა დრო, ვსაუბრობდით, ვფიქრობდით, მე ვოცნებობდით, ის — არ ვიცი... დღეები ისე უცებ მიდიოდა, მეგონა, მიფრინავდა. დროსთან ერთად, ჩვენც მიფრინავდით, ოღონდ ოცნებებში... თანდათან, დღითი დღე ვგრძნობდით, რომ უფრო და უფრო ღრმად ვდგამდი ნაბიჯს ოცნებაში. მერე, ერთ დღესაც, ნაკვამით და ერთმანეთს აღარ ვუღაპარავდით. მეორე დღეს მეგონა, ყველაფერი მოგვარდა და თავს მშვიდად ვგრძნობდი, მაგრამ როგორც დიდი ავაკი ამბობდა, „მაგრამ ხანგრძლივს სოფელი, გაახარებს ვისმე განა?!“ არც ჩემთვისაა ეს წუთისოფელი მონყალე და ლმობიერი. ჰოდა, ისიც ადგა და წავიდა ისე, რომ არაფერი უკითხავს ჩემთვის. არც ის, მინდოდა თუ არა ეს მე, არც ის, რას ვიგრძნობდი... მარტო ერთი სიტყვა დამიტოვა და წავიდა... ძნელია, როცა გადაწყვეტილებას შენ მაგივრად იღებენ და არჩევანის საშუალებას არ გაძლევენ. მას წარმოდგენაც არ აქვს, რა მოხდა ჩემს გულში, მისი ნასვლის შემდეგ. არც მე ვიცი, მასში რა ხდებოდა. მარტო ის ვიცი, რომ ძალიან განვიცდიდი. მალე ინანა თავისი სასტიკი საქციელი და დაბრუნდა, მაგრამ ყოველთვის არ მიგიღებენ. ყველაფერს აქვს თავისი დრო და თქვენც დაფიქრდით ამაზე, საყვარლებო. ეცადეთ, ასეთი შეცდომა არ დაუშვათ და დიდი ტკივილი არ მიაყენოთ თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანებს. ჩვენ ერთმანეთი ნაწილობრივ დავკარგეთ, მაგრამ ის მაინც ყოველთვის იქნება „ყველაზე ჩემი“. მე ხომ ის ყველა იმ სიყვარულით მიყვარს, რაც სამყაროში არსებობს. ის ჩემია, მხოლოდ ჩემი, ყველაზე, ყველაზე ჩემი. თქვენი პენელოპე“.

ერთიცი დაისვენებს და მეორეც...

„ჩემს მეგობარ ნინისთან და მის 2 წლით უფროს დაიკო ანისთან ვდაქალობდი. მას შეყვარებული ჰყავდა. ბიჭი ეუბნებოდა, ან ცოლად გამომყევი, ან დავშორდეთო, ან კი ვერ წყვეტდა და ასე დაშორდენ ერთმანეთს... მის შეყვარებულს გიო ერქვა. არ მოვწონდი, რადგან სულ ვეუბნებოდი და აგრესიულად ვექცეოდი. ან დაშორდა გიოს და ჩამოდნა ცოცხლად... 3 დღე ისე იცრემლებოდა, სულ „მარგალიტებს“ ყრიდა. დამტანჯა მისმა ყურებამ და ჩემს არეულ ტვინსა და გონებას ბევრი არ უფიქრია, მოვპარე ანის ტელეფონი და მივწერი მის ტურფას მესიჯი: „გადავწყვიტე, დღეს, 4 საათზე კიკვიძის ბაღში გნახავ. არ დამირეკო და არც მომწერო, არ მინდა, რაიმე იეჭვრო“. გასული მესიჯები „რეპორტიანად“ განვანადგურე და ანის ტელეფონი დავუბრუნე. 4 საათი რომ დაიწყო, ანის გასვირინება შევთავაზე. სახლში მარტო ბებო იყო და ამით ვისარგებლე. ჯერ იუარა, მაგრამ მერე წამოვიდა. მზესუმიზირა ვიყიდეთ და ბაღში დავსხედით. ცოტა შიმშია შემოპყრო, მაგრამ ისე გავერთეთ მზესუმიზირის წკაპუნში, რომ 4 საათიცი მოვიდა. გიო რომ დინახა, ანის სახე აუჭრელდა. ცოტა მოშორებით, ზურით დავჯექი, რათა ელაპარაკათ. მივიხედე და რას ვხედავ? აღარც ჩემი ან არის ადგილზე და არც გიო... გიჟივით გავიქეცი, შიში მიპყრობდა, ვაიმე, ახლა ბებიამისი თავს „გამიმთვლებს“-მეთქი, მაგრამ საოცრება — ბებიამისმა თქვა, ერთიცი დაისვენებს და მეორეცი, ორიცი იტანჯებოდაო. ნინიც მოვიდა, ანის მშობლებიც და ატყდა ნიკვინი. მე კი გავასწარო... ვზივარ ჩემი სახლისკენ მიმავალ „მარშრუტკაში“ და ან მირეკავს: „ეს რა უცებ გადამინყვიტე გათხოვებაო?“ მე ვითომ ვერ მივხვდი. გიომ კი მითხრა, ყველაზე მეტად მეჯავრებოდი და შენ ვინ ყოფილხარო. მიმისხდნენ ცულლუტობას. თუმცა, უკვე აღარავინ დამტუქსავდა, ან და გიო ბედნიერები იყვნენ. ეს თემა დედამისმა თუ წაიკითხა, ვაი მერე შენს წესს, მაგრამ სანამ მე საქართველოში წავალ, იქამდე დაავინყდებათ. ახლა ანის და გიოს პატარა ანგელოზი ჰყავთ, რომელიც ჩემი ნათლული უნდა იყოს. მოულოდნელად გადავწყვიტე ანის გათხოვება. მიყვარხართ. ნესი-ნესუკა“.



ყაშირის დასახლისში იყო სიყვარა, მოძლიცი, ვისთანაც საქიშო იყო, იძსთან შეხვიეს

მხიარული ბებო

„ამ კვირას ბებოს გულმა შემოუტია და საავადმყოფოში დავანინეთ. დილიდან გვიან ლამედვე იქ ვიყავი. პალატაში 3 პაციენტი იწვა. ერთ-ერთი მწ წლის ქალბატონი ძალიან ენერგიული და ხალისიანი იყო. ღამე, დაძინების დროსაც კი არ ჩერდებოდა, სულ სასაცილო ამბებს ჰყვებოდა, ეს კი მისი გულისთვის საზიანო იყო და ექიმებს მისთვის დამამშვიდებელი ნემსის გაკეთება უნევდათ. ჰოდა, თქვენი ნებართვით მოგიყვებით მის დედამთილზე, ოღონდ პირველ პირში. გოგო რომ გავათხოვე, ჩემი დედამთილი ჩამოვიდა, ლოგინი გავუშალე ჩემი შვილების ოთახში, მაგრამ ის ჩემს ოთახში, ჩემს ლოგინზე დანვა. ვეხვეწე, ადექი, ქალო, წამო, შენთვის უკვე გაგზალე-მეთქი, მაგრამ ვერაფრით დავძარი. მეტი რა გზა მქონდა? მეორე საწოლზე ჩემს ქმარს მივუწევი გვერდით, ამასაც მოუნდა ცუდლუტი და შემანუხა ხელის ფათურით. — გაჩე, კაცო, რა დროს ეგ არის, აგერ დედაშენი წევს და ღვიძავს-მეთქი. — ოო, რა ღვიძავს, არ გესმის, როგორ ხვრინავს? იმას ოღონდ დავთანხმებულობავი და სულ არ აინტერესებდა არაფერი. თავი წამოვნიე და დავინახე, ჩემი დედამთილი წამომჯდარა და სულგანაბული გვისმენდა. 2 კვირა გაგრძელდა ასე. დაიტანჯა ჩემი ქმარი. ერთ დილას უმტყუნა ნერვებმა, ადგა, იყიდა სურსათი, ჩაისვა დედამისი მანქანაში და წაიყვანა სოფელში ისე, რომ მისთვის არ უკითხავს, უნდოდა თუ არა წასვლა. ასეთი მხიარულია, ბებო თამარი. ჭრიჭინა.“

ცხვირაბზუებული

„თემამ ერთი ჩემი ლექტორი გამახსენა, თან შენ მიერ დასათაურებული ჩემი გზაწილის — „აი, რატომაა გასათხოვარი“, ერთგვარი პასუხიც იქნება და ახლავე გეტყვი, რატომაც... მოგახსენებთ, გაზაფხულის მზის ელვარება ყველაზე მეტად ახალგაზრდებს შეუღლიტინებს ხოლმე, ტვინსა თუ გულში. რაღაც გადატრიალდ-გადმოგიტრიალდება ორივე მათგანში და გემღერება — „ვარდობის თვეს როგორ გავძლო მარტო?“ სწორედ ასეთი „ამღერებულობა“ დაემართა ერთ ჩემს „პაკლოს“, რომელიც გაზაფხულის გამო ალბათ (რადგან მერე ისე გაქრა, როგორც ჩემს ხელისგულზე დაცემული

ფიფქი) ვეღარ ძლებდა მარტო და მზეზე მასთან ერთად „მიმფიცებულს“ ეძებდა... ასეთი ადამიანის პოვნის მიზნით კი მზის „ამოცხუნვარებისთანავე“ „უნისთან“ აესვეტებოდა და იყო ერთ ამბავში... ერთ-ერთი ასეთი ჩემთვის არასასიამოვნო ვიზიტისას, ჩემი მოთმინების „ჯამ-ჭურჭელი“ აივსო და მკაცრად დალაპარაკება გადაწყვიტე. ჩავუტარე ლექცია (მაგრამ მგელს სახარებას უკითხავდნენო, იმაზე იყო ნათქვამი), რის გამოც საკუთარ ლექციაზე დამაგვიანდა და ჩემმა „ლექტორჩამ“ სახეზე მკვეთრად გამოხატული ემოციების გამომწვევი მიზეზი მკითხა. მეც, ვინაიდან და რადგან თვითონაც მამაკაცი ბრძანდებოდა, მოვასწენე მისი სქესის წარმომადგენლის „საქმენი საგმირონია“ და იცით, რა მიპასუხა? ახლავე ბოდიში მოუხადე, იცი თუ არა, რომ 7 ქალზე 1 კაცი მოდის და ეგრე თუ ცხვირი იბზუე, გასათხოვარი დარჩებიო (თვითონ ძალიან „ქალუსია“ ტიპია (მომიტყვოს) და გულში გავიფიქრე: — შენისთანა კაცზე ნახევარი ქალიც არ მოდის-მეთქი. ჰმმმ! მისთვის რომ დამეჯერებინა, ახლა მინიმუმ, 2 ბავშვი უნდა მყავდეს და მათი „სიმფონიური“ ტირილის ფონზე უნდა გნერდებ ამ გზაწილს... არა, მააარ... შენ მინიც ხომ მიცნობო? ჩემი ბავშვი წარმოგიდგენიაა? SWEET-GIRL.“

მატყუარა გინეკოლოგი

„დედამ რომ გაიგო, ჩემზე ფეხმძიმედ იყო, საშინლად განიცადა, რადგან ძალიან გადატვირთული იყო და ფიზიკურად მეორე ბავშვზე ზრუნვა აღარ შეეძლო. აბორტის გასაკეთებლად ზესტაფონში წავიდა. ახლა რომ შეუძლიათ, 7 თვის ბავშვი მოკლან, ადრე თურმე 2 თვეს თუ გადასცილდებოდა, აღარავინ დააკარებდა ხელს. დედა მალალი და დიდი ქალია. ექიმმა გასინჯა და უთხრა, რომ 3 თვის ფეხმძიმე იყო და ხელს ვერ მოჰკიდებდა, რადგან მისი გულისთვის საციხედ ვერ გაიხდიდა საქმეს. წამოვიდა დედა საშინლად ცუდად მყოფი სახლში და ჩაება ცხოვრების ორომტრიალში. როცა ივარაუდა, რომ 4-5 თვის ფეხმძიმე იქნებოდა, წავიდა სამშობიაროში, კონსულტაციაზე. ექიმმა გაკვირება ვერ დამალა, რა დროს კონსულტაციაა, ჯერ 3 თვის ორსული ხარო. ანუ მამინ, როცა აბორ-

ტის გაკეთება უნდოდა, 1 თვის იყო. ექიმმა კი როცა გაიგო, მატერიალურად არ უჭირდა და თანაც მარტო 1 შვილი ჰყავდა, გადამწყვეტილება დედას მაგივრად მიიღო. მოატყუა და დედას უღამაზესი გოგონა, მე კი სიცოცხლე მარქუა. დღეს დედა მის სახელზე ტაძარში სანთლებს ანთებს. ჭრიჭინა“.

სიკეთის მქნელი

„ჩემი დაქალი ჩემს ძმაცაც უყვარდა. ვიცოდი, რომ ნათიასაც უყვარდა ბაჩო, მაგრამ მას საშინლად აწვალდა და ყოველთვის უარით ისტუმრებდა. ამ ყველაფრისთვის ბოლო რომ მომელო, დავურევე ბაჩოს და საღამოსთვის შესვედრა ვთხოვე. მერე ნათიასაც ვთხოვე შესვედრა იმავე დროს და იმავე ადგილას. როდესაც ერთმანეთი დანახეს, მათი გაოცებული თვალებისთვის უნდა შეგეხედათ. ჯერ ბაჩოს ვუთხარი, ახლა მე წავალ და აბა, შენ იცი-მეთქი, მერე ნათიას ჩაგჭურჭლე, შენებურად არ დაინყო-მეთქი და წავედი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეორე დღით სკოლისკენ მომავალი, ხელიხელჩაკიდებული და თვალებგაბრწყინებული წყვილი დავინახე. მანდილოზავრი“.

სინანული

„ჩემი დაქალი 30 წელს რომ მიუახლოვდა, მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, მის საქმეში ჩავრეულიყავი და გამეთხოვებინა. გავაცანი ჩემი ქმრის შორეული ნათესავი. თავიდან ჩემს დაქალს არ მოეწონა ბიჭის პირობები. უმალღეს კი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ შეძლებული ოჯახის შვილი არ იყო. ამის გამო უარი უთხრა. გავიდა კიდევ 2 წელი. ის ისევ მარტო იყო და ერთ მშვენიერ დღეს შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და გადაწყვეტილება მიიღო. არც ისე ცუდი ბიჭი ყოფილა, რა აქვს ჩემი დასაწუნო და გაიპარნენ. შეეძინათ 2 შვილი. ცხოვრობდნენ ტკბილად, მაგრამ ჩემი დაქალი ძალიან მძიმე სენით გახდა ავად და ტრაგიკულად დამთავრდა მისი ცხოვრება, მე კი დღემდე ვნანობ, რომ მის მაგივრად მივიღე გადაწყვეტილება. რომ არ გათხოვილიყო, იქნებ ახლა ცოცხალი ყოფილიყო. ამ ამბის შემდეგ ვცდილობ, არავის საქმეში არ ჩავერიო. გერაბიმი“.

„გუგლი“ ზეპირად

„ნახეთ, არა, ქუთეთისში რა ფორმითაც სწავლობდნენ ცურვას? ანუ ხმელეთზე, უწყლოდ. ა, მაგნიარი რამე ხდება ჩემთანაც, ოღონდ ცურვას კი არა, კომპიუტერს ვასწავლი, უკომპიუტეროდ. ე.ი. სოფლად ყოფნისას დამინახავდა ქ-ნი დალი და დაინწყებდა: — ბოშო, გამაგებე რამე ი ჩემოდნებისა, ასე რო გედირია მთელი მსოფლიო. ჰოოოო. ჰოოოო, გადავწყვიტე, გამენათლებინა და ვიცოდი თუ არ ვიცოდი, ყველაფერი ვასწავლე. ფორმატის



დადი ხელოვნებას ყოველივეს ლოკიყობს და მოყოლდნელია



მოკლე ჩართვა

გამალიზიანებალი
მავნი ჩვევა

ჩემი გამალიზიანებელი მავნი ჩვევა ისაა, რომ სულ ვჩხუბობ, პატარა რალაცაზეც ვფეთქებ. ჩემი ძმა მეუბნება, ცოფის სიმპტომები გაქვსო. ოჰ, რას გვიშვრება ეს მთავრობა. ნინია.

• ბუტია და ყველასთვის ნერვების მომშლელი ვარ. ამავდროულად — ტრაბახაც. სხვების გამწარება მიყვარს. გობლინი.

• მოუთმენელი ვარ და ყველაფერი ეგრევე მინდა. აი, ხუთშაბათს ველი და არ ჩაანს. უკვდავი ხმა.

• ვაიმე, მე თავიდან ბოლომდე მავნი ჩვევა ვარ, მაგრამ სხვისი მავნი ჩვევებიდან „სემიჩკის“ კნანუნი და ჭამის დროს პირის წკლაპუნის მალიზიანებს... თან იმდენად, რომ სურვილი მიჩნდება, რამე მძიმე საგანი ჩავთხლიშო... ნერვოზის გაძლიერების უებარი საშუალებაა ჩემთვის. ჭორიკანა.

• ფრჩხილების კვნება და ხვრინვა. აი, ორი მავნი ჩვევა, რომელიც ჩემი ნერვული სისტემის ცენტრზე დამანგრეველად მოქმედებს.

• ჩემი ყველაზე მავნი ჩვევა ესაა, რომ კალმის თავების გემრიელად ჩაკებრა მიყვარს. რა ვქნა, ტო, ჩემდა უნებურად მეღვინება და...

ფურცელზე დაეხატე დესკტოპი, დაბლა — პანელი, სიგრძე-სიგანეზე ფილები და წავიდა... ჰოდა, ქ-ნო დალი, მიიტან ისარს ამ დიდ „ე“ ასოზე (ინტერნეტს გულისხმობ) და დაწკაპუნებთ 2-ჯერ. მევერე მალა, თეთრ ზოლში ჩაწერ მისამართს და... აქ გავიჭედე! რალა ამეხსნა მტეტი? ესეც ასე! მერე შვილიშვილთან და ნამდვილ კომპთანაც (თუ ჰქონდათ, ვერ თქვა? მახოხისტია ეს ქალიც, რა) მიმაცუნტულა, ამასაც ასწავლეო (აი, ბებო ხომ გავანათლე, და...). შვილიშვილი 7 წლის ლუკა და როგორც ან უკვე გამოცდილ პედაგოგს, პირველი კითხვა მაჯახა: რალაცის მოძებნა რომ მინდა და არ ვიცი, სად უნდა მოვძებნო, ეგ როგორ უნდა მოვძებნო (ყველაზე მარტივი მაგალითი ტავტოლოგიის)? ნუ, მივხვდის-ავით, რაც უნდოდა და ავუხსენი „გუგლი“. ექსეიგი, აქ რომ დაანკაპუნებ, ჩაწერ სიტყვას, მერე ეს გამოგიგდებს შემდეგ რალაცას (თან ისრებით ვაკვირებ შედეგებს), ეს რალაცა კიდევ, სხვა რალაცას და ბოლოს მიაგნებ, რაც გინდა, გაიგემეთქი? კიო, მიპასუხა. ჰმ, მე ვერ გავიგე ჩემი ახსნილი და ნეტავ ამან რა გაიგომეთქი, ჩამეცინა... 2 დღეში სტუმრად მოვხვდი ისევ მათთან, კომპს მიუჯექი

და ლუკას ნაწერი ფურცელიც ვიპოვე, შემდეგი სიტყვებით, რომლებიც ისრებით იყო დაკავშირებული: ძუძუთუბი-ქალბი-ვიდეო. რას ერჩით? აუთვისებია ბავშვს გაკვეთილი. დამავოი“.

სეფე სიტყვა

„სხვის საქმეში ქექვა არაა-მეთქი ჩვენი საქმე, სულ ვმოდვრავ ჩემს ცხვირს. ჰოდა, გავიხადეთ კრედო — არავის საქმეში არ ვერევი ჩვენ... მაგრამ თუ იმ გამონათქვამიდან გამოვალთ, ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არისო, შესაბამისად, ხშირად თუ არა, ხანდახან მაინც წავცდები ხოლმე, რა ვქნა, ამქეაგება ეს ცხვირი და მიკარგავს მოსვენებას მანამ, სანამ არ გავერკვევი უცნობ-ნაცნობ-მეგობრების ცხოვრებისეულ და ჩემთვის გაურკვეველ ამბებში. ჩემი კრედო ისიცაა, რომ სხვების მაგივრად არ უნდა მივიღო გადაწყვეტილება, მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე და ერთხელ მეც მივქარე, ჩემი დაქალის დაცვა რომ გადაწყვიტე მრისხანი და ეჭვიანი შეყვარებულისგან. მოკლედ, ეს ჩემი მეგობარი თავის შეყვარებულზე გაბრაზებული, ჩამოვიდა ჩემთან სტუმრად. მეც ვიცოდი, ხშირად კამათობდნენ და ურთიერთობის დასაწყისშივე გამოუფტანე განაჩენი მათ სიყვარულს, საკუთარი დედუქციური დაკვირვების საფუძველზე. ჰოდა, იმას ვყვებოდი, ვიქაქანეთ, განვიხილეთ მათი პრობლემები და ბედის გამრიგება და მეგობრის მაგივრად, გადაწყვიტე: — უნდა დაშორებოდა! ჰოდა, მთელი დამე ვმოდვრე და კარტივით ვუფრიალე ცხვირწინ მიზუზები, რატომაც უნდა ეთქვა უარი. სანამ მე ყბას ვიღლიდი ლაპარაკით, ამასობაში მიტოვებულ-განრისხებული შეყვარებული მოიჩქაროდა თურმე სიყვარულის გადასარჩენად და თენებისას დაგვადგა კიდევ თავზე. მე გადაწყვეტილება მიღებულ მქონდა უკვე და (არა, მაინც რა ჩემი საქმე იყო?) გათამამებულმა იმით, რომ საკუთარ სახლში სეფე სიტყვაც ჩემი იყო, გამოვაცხადე, ამ ოჯახიდან ეს გოგო შენთან არ წამოვა-მეთქი და მიუფჯახუნე კარი, მაგრამ რად გინდა? ამ პერსონა ნონ-გრატამ, უცხვირპიროდ მამცნო, რომ უყვარდათ ერთმანეთი და სიკვდილამდე ერთად უნდა ეცხოვრა. ამ სიტყვებმა გული მომიღბო და კითხვის თვალთ გადავხედე

მეგობარს. ეს უკანასკნელი აქამდე თუ კიოდა, ჩემს მაგივრად რატომ ლაპარაკობ, მე შენთან მაცხოვრებელი არ ვარო, ახლა დაბნეული იდგა და ცრემლიც კი დავლანდე. ერიჰა, მგონი ამათ მართლა უყვართ ერთმანეთი და თავი ჩემო, შენ მურმანი გამოდიხარ-მეთქი, ელვასავით გაელვებულმა ფიქრმა შეარყია ჩემი ციხესავით ურყევი პოზიცია, დაქალის არგატანების შესახებ. უხმოდ გამოვტრიალდი, ავიღე მეგობრის ჩანთა, ჩავდე სასიძოს მანქანაში და ათასი ეჭვით დახუდებული შემოვედი სახლში. ეს ორი გადაწყვეტილება — დაშორება-დაბრუნება, რომლის გადაწყვეტაც 24 საათში მოვასწარი მეგობრის მაგივრად, ახლაც ძვალავით მაქვს გაჩხერილი ყელში და უკვე დანადგვილებით ვიცი, სადაც ნამდვილი სიყვარულია, ყველა მესამე თამაშობს მურმანს. მემე“.

„თვალი ქალი“

„მარ, ისევე მე ვარ, ყოველადუზარმაცესი ჩუმი, რომელსაც უყვარხართ და შემდეგ ხუთშაბათამდე მოუთმენლობა და თქვენი სიყვარულის საშიში სინდრომები აღენიშნება. გასაოცარ ქალაქში ვცხოვრობთ და აქ ყველაფერი უცნაური და განსხვავებულია. ნიკო გომელაურის არ იყოს, „ჩვენს ქალაქში არაფერი მაოცებს“. ავტობუსის კონტროლიორებზე უკვე ლეგენდები დადის, ჩვენს ქალაქში. ჰოდა, ძალიან მალე მეც გავხდი ერთი სიტუაციის მონაწილე (ვაი! — აქ შუბლზე ხელის შემოტაცუნების ხმა). როგორც „განმანათლეს“, მონაწილე ტყავს! ჰოდა, თუ ტყავს, „თვალი კაცი“ (ჩემს შემთხვევაში „თვალი ქალი“) ყყოფილვარ. აბა, ისინი „თვალი-ქალის“ ნაამბობი (რა პოეტურად უღერს?!). მე, კომპოსტოსავით შეფუთული, სახეზე კი სუდარასავით კანმემომხვეული, ველოდი გაჩერებაზე ჩემს ყვითელ „რაშს“ (მოკვდავთ ენაზე, ავტობუსს). ისე მციოდა, პირდაპირ გაჩერებზევე ვაკეთებდი რივერ-დანსის მოცეკვავის უნიჭო პაროდის და ჯიუტი თხასავით ფეხებს ვაბაკუნებდი. გამიმართლა და ჩემი ოცნების ყვითელი „რაში“ მოვიდა. კონტროლიორებთან ერთად ავედი ავტობუსში. ერთი მათგანი წინა კარიდან ამოვიდა და იქ შეამონმა ბილეთები, მეორემ უკანა ნაწილი შეამონმა. ბოლო სკამებზე სულ მოსწავლეები ისხდნენ. უკან მყოფ კონტროლიორს წინამ გამოსძახა: — მანდ რა ხდება, ყველას აქვს ბილეთები? ამან უპასუხა, ამათთან ყველაფერი



კომპნიტამდე ერთი ყვირის სიც-
მცხოვრად დაძმჩენდა

უფასოაო. გასაგებია, რომ უფასო მგზავრობა იგულისხმავს, მაგრამ სულელურად კი გამოიყენება და მოსწავლე გოგონების გულისწყობა და დანარჩენების ჩაბურთვამდე სიცილი გამოიწვია. ისეთი ხარხარის ატყდა, კინაღამ ავტობუსმა მოძრაობის ტრაექტორია შეიცვალა. ჰოდა, მარ, თუ მოგეონა „თვალ-ქალის“ ნაჯღაბნი, მიმაბეჭდე სადმე, რა... ჩუპი“.

ძალით დაქორწინებულები

„გაღის რაიონის ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ბერბიჭა, მის მეზობლად კი — შინაბერა. მათი სიყვარულის ამბავი მთელმა სოფელმა იცოდა, მაგრამ ერთმანეთს არ უტყუებოდნენ, თავიანთი ზედმეტი თავმოწონებისა და სიამაყის გამო. ამ უკადრისობაში კი ორივემ სიბერეს მიუტყაუნა. აი, აქ კი თანასოფლელებმა იყოჩაღეს. გადანყვიტეს, ნებით თუ არა, ძალით დაექორწინებინათ ორი უკადრისა. შეუგროვეს 2 კვირის სამყოფი სურსათი, პირადი ნივთები, ორი ალუმინის „კალიცოც“ ითრიეს და დათქვეს ქორწინლის დღე. ეს ნანატრი დღეც გათენდა. ბერბიჭა მშაკაცებმა, ხოლო შინაბერა დაქალებმა სოფლის განაპირას, ერთ პატარა სახლში მოტყუებით წაიყვანეს. ამ სახლს ერთადერთი ფანჯარა ჰქონდა, რომელსაც რკინის გისოსები გაუკეთეს. ასევე ერთადერთი რკინის კარი გარედან ჩატყეს და უკადრისა შეყვარებულები შიგ დატოვეს. მართალია, გამოსვლას ითხოვდნენ, მაგრამ ვინ გამოუშვებდა? ჰოდა, 2 კვირის შემდეგ რომ მიაკითხეს, ისეთი ბედნიერები იყვნენ, აქეთ უხდიდნენ მადლობას. H1N1“.

აქტიური და ჭკუამხიარული

„ჯული აქტიური, ენერგიული და თავნება ქალია. 17 წლის ასაკში გათხოვდა. ქმარმა ვერაფრით მოარჯულა თავნება გოგო, შეეგუა მის ზუსტურებს და დღემდე ასეა. ჯული ახლა 40 წელსაა გადაცილებული, მაგრამ ისეთი ჭკუამხიარულია, მშურს მისი. ორი ბიჭი ჰყავს. ერთმა თავისი ნებით მოიყვანა ცოლი და მასთან გადავიდა საცხოვრებლად. ჯული გულდამშვიდებული და გახარებული იყო, ჯერ იმით, რომ ბიჭი დააქორწინა და მერე იმით, რომ ქორწინილი და მოლხენა ელოდა. ეს კარგი, მაგრამ სადარდებელიც ბევრი ჰქონდა. მეორე ბიჭიც ხომ უნდა დაექორწინებინა? თუმცა, ეს არც ისე ადვილი იყო. გურამი თავისებური ბიჭია. რომ მოვიყვან, რით ვარჩინო? შესჩივლებდა ხოლმე დედას. ისიც უცებ აგვარებდა მის პრობლემებს. შენ მოიყვანე შვილო, ცოტას მე დაგეხმარები, ცოტას მამამშენი და ყველაფერი მოგვარდებაო. თუმცა, გურამს ვერც დედის დაპირებებმა და ვერც მშაკაცების ზეწვნა-მუდარამ ვერ გადაანყვიტინა ცოლის მოყვანა. ჯულის მეგობარს ორი გოგონა ჰყავდა. ქალს ერთ-ერთი მარიამი მოსწონდა სარძლოდ.

მეორეს შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ ძალიან ლამაზი და მხიარული იყო, პირადად არ იცნობდა, რადგან უცხოეთში იყო წასული. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავეგარძელო, გურამმა და მარიამმა ერთმანეთი გაიცნეს. ბიჭსაც მოეწონასავით, არც უარი უთქვამს მასთან ურთიერთობაზე და არც თავი გაუგიჟებია, არიქა, ეს გოგო უნდა გახდეს ჩემი ცოლიო. გურამის მაგივრად ჯული ყოველდღე სტუმრობდა სარძლოს, აქებდა და ადიდებდა. ერთი სიტყვით, შვილისთვის აბამდა, რა. შეიძლება ითქვას, ყველაფერი მშვიდად მიდიოდა, მაგრამ უეცრად ლენაკო (მარიამის და) ჩამობრძანდა უცხოეთიდან. ჯულიმ ეს ამბავი რომ გაიგო, იმწამსვე დაადგა თავზე მეგობარს, რათა მისი ქალიშვილი გაეცნო. გაიცნო კიდევ, მასავით ჭკუამხიარული. ახლა ის მოეწონა სარძლოდ. დიდ გაჭირვებაში ჩავარდა ქალბატონი. დიდი მონდომების შედეგად, შვილს ლენაკო შეახვედრა. გურამისი რა გითხრათ, მაგრამ ლენაკო მოხიბლული დარჩა მისი მამაკაცურობით და რადგან მარიც არ იყო წინააღმდეგი, დისთვის შეყვარებული დაეთმო, მომავალმა ჭკუამხიარულმა რძალ-დედამთილმა გურამის მაგივრად მიიღო გადანყვიტლება და იმდენი ქნეს, სანამ ლენაკო გურამს არ მისთხოვდა. ამ შემთხვევაში, სხვის მაგივრად მიღებულმა გადანყვიტლებამ ნამდვილად კარგი შედეგი გამოიღო. სულ სიამტკბილობაში ცხოვრობენ რძალ-დედამთილი და ყოველდღე ახალ-ახალ ოინებს უწყობს ოჯახის ნეერებს. განსაკუთრებით გურამი ხდება მათი ოინების მსხვერპლი. თქვენი ლუნა“.

ღის გადამრჩენელი

„ჩემი დედიკო ფეხმძიმედ იყო და მარტო მე მითხრა. თან მოაყოლა, დედა გენაცვალოს, არსად თქვა, არ ვიცი, გავაჩენ თუ არაო. მე კიდევ, რისი ურჩი გოგო ვიქნებოდი, ამას შევირგებოდი? შევკრიბე მთელი ოჯახი და ვამცნე ახალი ამბავი. მერე ყველამ რომ დაურეკა დედიკოს და მიულოცა, რაღას იზამდა? კი გამიჩინა დაიკო. მართალია, ჯერ არ მინახავს თათუკა (საზღვარგარეთ არიან მშობლები და ჩემი დაიკოც იქ დაიბადა), მაგრამ მაინც უმაგრესი გრძნობაა. 18 წლის ვარ და 2 წლის ულამაზესი და მყავს. დედიკოს მაგივრად კი გადავწყვიტე, მაგრამ სამაგიეროდ, ყველა მოგებული დავრჩით. :-“ ურჩი გოგო“.

დედის სურვილით

„ერთმანეთი საერთო მეგობართან გაიცნეს და მალევე შეუყვარდათ. გარკვეული დროის მანძილზე ხვდებოდნენ კიდევ. მალე ამ ამბავმა პოტენციური სასიდედროს ყურამდეც მიაღწია, რომელიც სულაც არ მოხიბლა ობოლ და ღარიბ ბიჭთან დანათესავების პერსპექტივამ და თავისი ქალიშვილი კარგა ხნით სახლში გამოკეტა. მერე გრძნობა განელდა და ახლა ის

გოგონა მდიდარი ბიჭის ცოლია, დედის სურვილისამებრ. მიტოვებული ყმანვილი კი ყველა მდებარეობით სქესის წარმომადგენელზე წინასწარ იმედგაცრუებული და ყოველთვის მზად აქვს კითხვა: ფულის გამო შეყვარებულს მიატოვებ? სვანის ასული“.

საპორტო ქალაქის თავისებურება

„მოგესხენებათ, ბათუმი საპორტო ქალაქია და თუ ოჯახში ბიჭია, აუცილებლად ასწავლიან „საზღვაოს“. რა იცი, რაში გამოგადგებაო და ამ გადანყვიტლებას ძირითადად მშობლები იღებენ (იმედია, მომავალში არ ინანებენ). ინგლისურის „მასწავ“ გადანყვიტა, დაედგინა ჩვენი ცოდნის დონე გვევითება ინგლისურად: სახელი, მამის სახელი, სკოლა. ჰოდა, ვინც ინგლისური არ იცოდა, პასუხები დაიზებირა. ერთს აერია და „მასწავ“ სახელი რომ ჰკითხა, ამან უპასუხა, მე-14 საჯარო სკოლაო. რუსულის ტესტს ვწერდით და კითხვა შემდეგში მდგომარეობდა: „სემეინოე პოლოჟენიე“. გვერდით მჯდომი მეკითხება, ეს რა კითხვააო? გავვხუმრე და ვუთხარა, ოჯახში „პალაჟენია“ ვის მიჰყავს ანუ ვინაა მთავარი-მეთქი. ამანაც დაიჯერა და პასუხად „ოტეც“ მიაწერა. სპეციალობის „მასწავ“ ეკითხება კურსელს: გემი რომ ჩაიძირება, რა უნდა იქონიო თანო? წამოდგა სანყალი, იმის მოლოდინში, რომ პასუხს ვეუთხოდით (საცურაო ყილეტი), მაგრამ ვუთხარით, პარამუტიო და მიაძიტად უპასუხა. ასე რომ, ძვირფასო მშობლებო, აცალეთ თქვენს შვილებს საკუთარი არჩევანის გაკეთება, თორემ წალეკა ბათუმი მეზღვაურებმა. კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

თბილისელი სარძლო

„ერთ ამბავს გიამბობთ. ჩემს მეზობლად მოხუცი ქალი და შვილიშვილი ცხოვრობდნენ. ბებია შეუძლოდ გახდა და სიკვდილი პირას რომ იყო, შვილიშვილი დაიბარა და უთხრა: ბებია, ცოლის მოყვანას თუ აპირებ, თბილისელი გოგო მოიყვანეო. — რატომ, ბებიაო? — რატომ და მაგათ მთვეში უჩდებათ შვილი და იქნებ შვილიშვილს მოვესწროო. გადარეული“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“.
გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com



„XXI საუკუნის ტენდენსია — ინტერნეტით გათხოვება“

„ის გააკაცა დაივიწყა, ოჯახს ნუ დაუბრკვ“

„გზის“ №6-ში დაიბეჭდა ტანჯულის მესიჯი, სათაურით — „კაცი, რომელიც მიყვარდა, ცოლიანი აღმოჩნდა“. გოგონა გვერდით: „ის მთვის წინ, ინტერნეტით გავიცანი, მერე სახლშიც მესტუმრა, ჩემი ოჯახი გაიცნო; ერთ დღეს კი დედამისმა დამირეკა და საშინლად გამლანძღა — თურმე, ორსული ცოლი ჰყოლია“. ამ ყველაფრის გამო, ტანჯული იმედგაცრუებულია და როგორც თავად აღნიშნა, ცხოვრების ხალისიც კი დაკარგა.

ლიკა ქავაია

სვანის ასული:

„ეტყობა, იმ ყმაწვილს ოჯახური იდილია, ფეხმძიმე ცოლზე ზრუნვა მობეზრდა და დროებით, შენთან განტვირთვა გადაწყვიტა... საინტერესოა, ოჯახში რატომღა გესტუმრა? უნდა სცოდნოდა, რომ ეს ქვეყანა ძალიან პატარაა, საერთო ნაცნობი უთუოდ აღმოგაჩნდებოდა და მის საიდუმლოსაც აეხდებოდა ფარდა. ეტყობა, ყველაფერი ვერ გათვალა. იმედია, თქვენ შორის სერიოზული არაფერი ყოფილა. ამ მაგალითზე ჭკუას ისწავლი და შემდგომში, ადამიანებს სხვა კრიტერიუმებით შეაფასებ. მე თუ მკითხავ, საგანგაშოდ შენ კი არა, მის ცოლს აქვს საქმე, რადგანაც მისი ქმრისნაირი ტიპები არ იცვლებიან და ალბათ, სამწუხაროდ, ასეთი უსიამოვნო სიურპრიზებით კიდევ ბევრჯერ გაანებივრებს. ისე, პირადად მე, ვირტუალურ ურთიერთობას სერიოზულად არ აღვიქვამ“.

POISON WOMAN:

„ჩემი აზრით, შენმა მამაომ კარგი რჩევა მოგცა. იფიქრე იმაზე, რომ უნამუსო ადამიანის გვერდით ცხოვრების ღირსი არ ხარ. ისე, ყველას ვურჩევ: ინტერნეტით გაცნობილ ადამიანს დიდად ნუ ენდობით! ღმერთი გფარავდეთ“.

კლიოპატრა:

„ჩემო კარგო, ალბათ ხვდები, რომ იმ კაცს, გართობის გარდა, არაფერი უნდოდა. არ ვიცი, რატომ ექცევიან ადამიანებს ასე, რატომ უნგრევენ გოგონებს ცხოვრებას?! სიხარულო, შენ მისი დავიწყება უნდა შეძლო, სხვის ოჯახს ვერ დაანგრევ. უფალი იყოს შენი მფარველი. ღმერთმა გაგაძლიეროს, სწორ გზაზე გატაროს. მას მიენდე და ბევრი ილოცე“.

გუზლუნა:

„მინდა გითხრა, რომ ის კაცი შენი ფიქრისა და ცრემლების ღირსი არაა. ვიცი, მისი დავიწყება გაგიჭირდება, მაგრამ უნდა შეეშვა, აღარ დაუჟავშირდე. „გზის“ წინა ნომერში, „გზავნილებში“ დაიბეჭდა ჩემი მესიჯი, სათაურით — „ბუბლუნას მონანიება“ და თუ მას ნაიკითხავ, დარწმუნ-



დები, რომ შენს თავგადასავალზე უარესი რალაცებიც ხდება. პირადად მე, ერთმა ადამიანმა საბოლოოდ გამანადგურა. ახლა მისგან შვილი მყავს და ამიტომაც, ველარასდროს გაეთხოვდები — შვილიანი ქალის შერთვა არავის სურს. ერთ ბიჭს ვუყვარდი, მაგრამ მისმა მშობლებმა განაცხადეს: — შვილიან ქალს რძლად არასდროს მივიღებთო! ჩემო კარგო, ბედნიერებასა და წმინდა სიყვარულს გისურვებ, ყველა სანუკვარი ოცნება აგსრულდეს! თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი. ღმერთი იყოს შენი მფარველი“.

ჭრიჭინა:

„ლიკა, ძალიან გამიკვირდა, „გზის“ წინა ნომერში ჩემი რჩევა რომ არ დაბეჭდეს. ჰოდა, ახლაც მოგწერ, რომ რუისპირი მიყვარს!.. რაც შეეხება ტანჯულს, მას ძალიან მძიმე რამ დასტყდომია თავს, მაგრამ გამოსავალიც უპოვია. ასე რომ, ისლა შემიძლია, ტანჯულს ვურჩიო: ჯერ კარგად გაიცნოს რჩეული და ოჯახს მერე გააცნოს. ძალიან კარგია, რომ გრძნობები მოთოკა და დაშორდა“.

შოკოლადა:

„ჩემო კარგო, მოძღვარზე უკეთეს რჩევას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ მოგცემს. სულიერ ტრავმას მხოლოდ დრო და მსურველ ლოცვა თუ მოგიშუშებს. სულით არ დაეცე და შურისძიებაზე არ იფიქრო. ღვთის ნყალობად ჩათვალე, რომ დღესდღეობით, ის ადამიანი შენ გვერდით არაა. უფალი შეგწიოს, გნაცვალე. თუ სულიერი მეგობარი დაგჭირდება, შენ გვერდით მიგულე“.

ბიორბი, კახეთიდან:

„თავი არ დაიტანჯო იმაზე ფიქრით, ვინც მოგატყუა. სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა და ის უხალისოდ არ უნდა გაატარო. იმ ცოლიან კაცს შენ მიმართ სერიოზული გრძნობა რომ ჰქონოდა, თავიდანვე სიმართლეს გეტყვოდა. ის შენთან ურთიერთობით უბრალოდ, გაერთო, მერე კი იმედგაცრუებული დაგტოვა. მჯერა, შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ადამიანი, რომელსაც გულწრფელად შეუყვარდები. წარმატებებს გისურვებ“.

გუსუნა:

„ჩემო კარგო, ძალიან ძნელია, როცა საყვარელი ადამიანი გლაღატობს, მაგრამ მას მართლა რომ ჰყვარებოდი, არ დაგიმალავდა და გეტყვოდა, დაოჯახებული ვარო. მან სიმართლე არ გითხრა, რაც იმას ნიშნავს, რომ შენთან მხოლოდ გართობა უნდოდა. გირჩევ, დაივიწყო და ისეთი ადამიანი შეიყვარო, ვინც შენი ღირსი იქნება. აბა, წარმატებები!“

იკუპაპა:

„ჩემო საყვარელო, პირველ რიგში, შენზეა დამოკიდებული, როგორ იქნები. თუ მოინდომებ, იმ მატყუარა კაცის აწრდილისგან გათავისუფლებას აუცილებლად შეძლებ. საერთოდ, მე თუ მკითხავ, ასეთ მოლაღატე მამრებს სიკვდილით უნდა სჯიდნენ, თანაც, განსაკუთრებული სიკვდილით. დამერწმუნე, ცხოვრება ძველებურად უნდა განაგრძო... მამაოს რჩევა აუცილებლად გაითვალისწინე. იცოდე, მისნაირი არარაობის გამო აღარ ინერვიულო. შენს ცხოვრებაში სულ მალე გამოჩნდება ისეთი მამაკაცი, რომელიც ცხოვრებას ნამდვილად სასწაულად გიქცევს. სხვა დროს კი გაითვალისწინე, რომ ასეთი ნაცნობობა სანდო არ არის და ეცადე, პრობლემები თავიდან აიცილო. წარმატებებს გისურვებ! მჯერა, ამ ტყუილის დავიწყებას შეძლებ. იცი, რატომ? — იმიტომ, რომ ქალი ხარ, ჩვენ კი, ქალებს ბევრი რამ შეგვიძლია და დიდი ძალა გვაქვს. წინ წარმატებისკენ და დიდი სიყვარულისკენ!“

მომთხანი დედა:

„ძალიან რთულ სიტუაციაში ხარ, მაგრამ გთხოვ, ის მამაკაცი დაივიწყე, ოჯახს ნუ დაუწვრვებ, მით უმეტეს, რომ პატარას ელოდებიან. მერწმუნე, სხვისი ოჯახის დანგრევა ყველაზე დიდი ცოდვაა“.

ROCK BIBI:

„ჰაი“. გოგონებო, რა გჭირთ, უცოლო ბიჭები დაილია თუ დადებილდით? სიხარულო, ეგ კაცი უნდა დაივიწყო, ის შენი ღირსი არაა. მაგას თავისი ორსუ-

ლი ცოლი არ უნდა და შენ ენდომები? — გიყენებს, სხვა არაფერი. მისნაირი კაცები გილოტინაზე უნდა გაიყვანონ“.

ლუნა:

„ახლო მეგობარიც კი არაა სანდო და შენ ვირტუალურ სამყაროში გაცნობილ კაცს ენდე?.. იმას, რაც მოხდა, ვეღარ შეცვლი. იცოდე, მისნაირი ადამიანი სიყვარულის ღირსი არაა და ამიტომაც, მის გამო თავს ნუ დაიტანჯავ. ის ორგული და მატყუარა კაცია. მერწმუნე, დედამისს რომც არ დაერევა და შენთვის სიმართლე არ ეთქვა, ის მაინც მიგატოვებდა. გეთანხმები, ცუდი იმედგაცრუება, მაგრამ მისგან დატოვებულ იარებს დრო აუცილებლად მოგიშუშებს. მთავარია, სულიერად იყო ძლიერი. დაელოდე და აუცილებლად გამოჩნდება ისეთი ადამიანი, ვინც გულწრფელად შეგიყვარებს. ცუდზე არ იფიქრო და მიუხედავად ყველაფერისა, გახალისდი. გკოცნი“.

დადუნა:

„არ ინერვიულო, გამაგრდი. იცოდე, ეგ ადამიანი შენი ხსენების ღირსიც არაა. ღვთის წყალობით, მალე თავს კარგად იგრძნობ. ღმერთს ებარებოდე“.

ეშვაკუნა:

„სხვისი ოჯახის დანგრევის ცოდეა არასდროს „აიკილო“, თანაც — ორსული ცოლი ჰყოლია. იმ ბავშვის რა ბრალია, დონ-ჟუანი მამა რომ ეყოლება? მას მშობლები სჭირდება, შენ კიდეც, წინდახედულება გმართებს — თითქმის უცნობ კაცს ასე დაუფიქრებლად როგორ ენდე?! მომავალში მაინც, თავი არავის მოატყუებინო!“

კუდრაძე:

„ჩემო კარგო, შენმა სიტყვებმა ჩემი წარსული გამახსენა. დაახლოებით წლინახევრის წინ ინტერნეტით გავიცანი ადამიანი, რომელსაც შენგან განსხვავებით, პირისპირ არ შევხვედრივარ. ერთმანეთის მიმართ გრძნობა ჩვენდაუნებურად გაგვიჩნდა და როცა მივხვდით, რომ ერთერთის გარეშე ვეღარ ვძლებდით, მან აღიარა: მინდა იცოდე, ცოლს გაშორებული ვარ და კიდეც, 2 შვილი მყავსო... მოკლედ, სასონარკვეთილება და იმედგაცრუება ქარიშხალივით დამატყდა თავს, მაგრამ ჩემი დედიკოს დახმარებით, გონს მალევე მოვეგე — იმ კაცს ურთიერთობის გაგრძელებაზე უარი ვუთხარი და ისიც ვთხოვე, რომ საკუთარი ოჯახის შესანარჩუნებლად ყველაფერი გაეკეთებინა. გინდ დამიჯერე, გინდ — არა, მაგრამ დღესდღეობით, ის თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობს, მე კი ღმერთმა ნამდვილი სიყვარული გამომიგზავნა და ახლა, თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევ — ალბათ, უფალმა დამასაჩუქრა იმისათვის, რომ საკუთარი ბედნიერება სხვისი უბედურების ხარჯზე არ ავაგე. ჩემი რჩევა იქნება, გრძნობებს მოერიო! იმ ადამიანმა დღეს თუ თავის ფეხმძიმე ცოლზე თქვა უარი და ურთიერთობა შენთან გააბა, რა გარანტია გაქვს, რომ ხვალ იმავე სიტუაციაში თავად არ აღმოჩნდე-

ბი?! იცოდე, ეს ღვთისგან მოვლენილი განსაცდელია, ნამდვილი სიყვარული კი წინ გელის“.

ურბი გოგო:

„სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, ის უნდა დაივიწყო!.. დარწმუნებული ვარ, შენც ასევე ფიქრობ. წარმატებები!“

ზოფიალა გვირილა:

„მამაოს რჩევა გაითვალისწინე, ილ-ოცე გულწრფელად და უფალი არასდროს მიგატოვებს, ის გიჩვენებს და გაგინათებს ცხოვრების გზას. მან ეს განსაცდელი იმიტომ მოგვლინა, რომ ცხოვრება ისწავლო. გასაგებია, რომ გული გტკივა და თავს დამცირებულად გრძნობ, მაგრამ ვეღარაფერს შეცვლი. მერწმუნე, იმ ადამიანის გამო ტანჯვა და მასზე ფიქრიც კი არ ღირს, ბოლოს და ბოლოს, მას ხომ ოჯახი აქვს, მეუღლე ჰყავს და შვილსაც ელოდება. აბა, დაფიქრდი, როცა კაცი ორსულ მეუღლეს ასე ექცევა, შენ რა ხეირს დაგაყრის?.. ნლებთან ერთად, შენი ტკივილიც გაქრება და ნამდვილი სიყვარულიც გეჩვენება. წარმატებებს და სულიერ სიმშვიდეს გისურვებ!“

გულა:

„ის ადამიანი შენს ყურადღებას არ იმსახურებს, ყოველთვის გახსოვდეს, რომ მოგატყუა. მერწმუნე, დრო და უფალი გიშველის, ის კაცი ნერვიულობადაც არ ღირს. მადლობა ღმერთს, რომ მისი საიდუმლო მალე გაიგე“.

მეამბოხე სული:

„ჩემო კარგო, სიყვარული დანაშაული არაა და ბრალიც არაფერში მიგიძღვის. ბევრი ცოლიანი არაკაცი ერთობა ინტერნეტით და ერთ-ერთი მათგანის ანკესზე შენც წამოეგე. ცხოვრება გრძელდება და მალე ჰორიზონტზე ღირსეული ადამიანიც გამოჩნდება. ეცადე, დაივიწყო ის, რაც მოხდა. ვიცი, ეს ფაქტი ტრაგედიად გეჩვენება, მაგრამ უარესებიც ხდება ხოლმე. დარდასა და ვარამს ნუ მიეცემი, უღირსი ადამიანის გამო

ტირილი არ ღირს. ბოლოს და ბოლოს, მან ხომ ცოლის ორსულობით ისარგებლა და გართობა გადაწყვიტა. საბრალო მისი ცოლი, ასეთ არაკაცთან ცხოვრება რომ უნევს“.

რუხიანი:

„შეუძლებელია, ის კაცი გიყვარდეს. ადამიანის გასაცნობად (თანაც, ინტერნეტით), მთვე ძალიან ცოტაა. შენ ძალიან თამამი გოგო ყოფილხარ, მან კი მოგატყუა. მგონი, არ ღირს დარდი იმის გამო, ვინც ამას არ იმსახურებს. რაც მთავარია, დღეიდან გეცოდინება, რომ მშობლებს უცხო კაცი არ უნდა გააცნო, მით უმეტეს, სახლში არ უნდა მიიყვანო. XXI საუკუნის ტენდენცია — ინტერნეტით გათხოვება, მაგრამ იცოდე, ასეთი ოჯახების 97% ინგრევა. ერთი კვირის წინ ჩემი კლასელი საჩხერეში გათხოვდა (მე თელავიდან ვარ), მეორე დღეს კი დედა გარდაეცვალა. ჰოდა, ახლა ძალიან იტანჯება, რადგანაც მამა სახლში არ უშვებს... მგონი, ეს მაგალითი იქნება ბევრი გოგოსთვის. წარმატებებს გისურვებ!“

ზიტა:

„ყველა მამაკაცი ერთნაირია! დამიჯერე, მაგ ფლიდის გამო ცრემლების ღვრა არ ღირს. რაც ყველაზე სანყენია, ადამიანის ჭკუას საზღვარი აქვს, მაშინ როდესაც, ადამიანის სისულელე უსაზღვროა... ვიდრე სისულელეს ჩაიდენ, უნდა დაფიქრდე!“

ბრუზინკა:

„ვიდრე ადამიანთან სერიოზულ ურთიერთობას გადაწყვიტ, მის შესახებ ყველაფერი უნდა გაიგო. აბა, რა გირჩიო? თავადაც ხომ იცი, რომ მასთან საერთო მომავალი არ გაქვს. დაივიწყე და ახალი ცხოვრება დაიწყე. P.S. არ მეგონა, EKO BOY-ს რუსისპირთან თუ ჰქონდა კონფლიქტი. ნიკი რომ დაენერა, რუისპირს ცუდად არ მოეხსენიებდი. ბოდიში, „ბრატ“.

„მამიდაშვილი ცდილობს, „ლოვე“ ამახიოს“..

პ.ს. გ.შ. 20 წლის:

„გამარჯობა. თავს საშინლად ვგრძნობ და მგზავნელებო, თქვენი დახმარების იმედი მაქვს. სულ ორჯერ ვიყავი შეყვარებული. ერთხელ დაქალი მიპირებდა საყვარელი ადამიანის „ახევას“. მართალია, „ლოვე“ მასაც ჰყავდა, მაგრამ მაინც, ჩემს შეყვარებულს დაადგა თვალი. მეც ავედქი და, დავუთმე, — საზიარო კაცი არ მჭირდება-მეთქი... ახლა

მეორედ შემიყვარდა და არც ისაა გულგრილი ჩემ მიმართ. ამჯერად, მამიდაშვილი ცდილობს, „ლოვე“ „ამახიოს“ და ჩემი სახელით „ესემესებს“ სწერს. რაც მთავარია და როგორც არ უნდა გაგვიკვირდეთ, შეყვარებული მასაც ჰყავს. მითხარით, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ამ ბიჭის დაკარგვას მართლა ვეღარ გადავიტან, მოვკვდები. რჩევებს ნუ დაიზარებთ, გთხოვთ“.

P.S. გ.შ. ასე თუ პოეზიის წერილის ნაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმუსიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.



მოზილი-ზაცია



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

1. ვარ 36 წლის გასათხოვარი ქალიშვილი, დედისერთა, უმაღლესი განათლებით, ეკლესიური. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36-37 წლის მამაკაცს. მაღალს, თბილისელს ან რაიონიდან, ეკლესიურს, სიმპათიურს, დასაქმებულს, ბიზნესმენს. ცოლს გაცილებულმა და არასერიოზულებმა გათხოვთ თავი შეიკავოთ.

2. ვარ 32 წლის. არ ვარ გათხოვილი. მაქვს სუფთა წარსული. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გამოუმეზაუროს სამსახურით უზრუნველყოფილი, თბილისში მცხოვრები, 36 წლამდე ასაკის მამაკაცი.

3. ვარ 55 წლის, ქვრივი, სიმპათიური, თბილი ადამიანი. დამძალა მარტოობამ. მსურს მქონდეს ოჯახი. გამოუმეზაუროს სე-

ყურადღება! გათავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოზილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გამოფერვა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

რიოზული, თბილი, ერთგული, ბინითა და მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანი.

4. გავიცნობ მორწმუნე, 25 წლამდე ბიჭს, რომელიც მეგობრულად დამიდგება გვერდით. 19 წლის.



ქანკაბი

5. გავიცნობ სენაკელ გოგოს. დემონი ვარ.

6. გავიცნობ ქალიშვილს, მხოლოდ 25 წლამდე. ვარ 33 წლის პიროვნება. სასურველია, დასავლეთიდან. ასაკოვანმა და არასერიოზულებმა თავი შეიკავოთ. გელით.

7. „გზა“ №6, მე-8 მესიჯის ავტორ ნათიას მიეცით ჩემი ნომერი.

8. ვარ 40 წლის, სიმპათიური მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილ ქალ-ბატონს. განქორწინებულები და ქვრივებიც გამოუმეზაურონ!

9. ვარ 21 წლის ბიჭი. გავიცნობ 16-21 წლის თბილისელ გოგოს.

10. ნატალის გაცნობა მინდა. ოთო, 25 წლის.

11. მსურს გავიცნო 27 წლამდე ასაკის მანდილოსანი. ვარ მარტო.

12. გავიცნობ 20-24 წლამდე გოგონას.

13. ვარ 27 წლის ბიჭი, მცხეთის რაიონიდან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-25 წლამდე გოგოს. მსურველები გამოუმეზაუროთ.

14. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს, 18-დან 25 წლამდე.



სხვადასხვა

• ბექა, მაგრად მენატრები. ერთი სული

მაქვს, როდის გნახავ, შენ კი მესიჯსაც არ მწერ. :(სალი.

• CRAZY GIRL, გაგეცნობი, აბა რას ვიზამ? :) უბრალოდ, ჯერ ვერ გავერკვიე ამ სისტემაში. :) მომხედეთ და თქვენთან ვარ. CRAZY GIRL, მაგარი ხარ. გაკოცეთ ყველას. ატარეც-სია.

• ASHLEY, უბრალოდ, მანამ ვინიკვინე, სანამ ვილაც არ გამოუმეზაურა. :) კარგი ხარ. ატარეც-სია.

• ASHLEY PCD, ინგლისურის აზრზე არ ხარ. :-). ისწავლე მაინც, სირცხვილია. თე-დიოუს13.

• ASHLEY PCD, მაგარი ხარ, კანჭებშივე შეგატყე. :) აი, BEYONCE რომ ახსენა, უკვე ეჭვიც აღარ მეპარება, რომ ჩემიანი ხარ! GREEN GIRL, ჩაგეხუტე. :) ატარეც-სია.

• ბერბიჭ, მალევე მიხვდი ძამი, ხუმრობას (ვირებს აკვირვებთ ხურმის ხურმოება), მე და ჩემი მზე გადავუხდით ბაღებს პურობას. გევალებოდეს ნათლობაში ჯვარით სტუმრობა. მევე.

• ირმუშკა, თვალს არ დაუფუჯერე, ჩემი ნიკის წაკითხვისას. დიდი მადლობა, შემწენ-ვისთვის. არა მგონია, გამორჩეული ვიყო, იმდენია აქ კარგი. რალა დაგამალო და გამ-ახარე. მევე.

• უკვდავ ანახაბახა პოეტო... აი, ასე იწყებოდა ჩემი მესიჯი და რატომღაც სხვისი მესიჯი მიება. მის რეალს მე არ შევხები-ვარ, მასთან ჩხუბი რომ მდომოდა, მიზევი თავიდანვე მქონდა. მე არავის ვუხები. მოკ-ითხვა ირმუშკას, ალინას, კამის, გრუზის, მოხუცს, ტირიფსა და მგზავრს. ძალიან მიყ-ვარხართ, მეგობრებო! ლუნა.

• წინაზე დაგემუქრეთ, დამხვდით-მეთქი, მაგრამ საკუთარი სახელის მიწერა დამავინ-ყდა. :) ძალიან საინტერესოები ხართ, გენ-აცვალეთ. ვერძი.

• ცხოვრება მშვენიერია! ვისაც გვეჯერა, გაგატარეთ! :) ყველაფერ ცუდში არის რაღაც კარგიც. იყავით ოპტიმისტები. გაკოცეთ. ვერძი.

• იცით, რა მომწონს თქვენში? ცდილობთ, ერთმანეთს გვერდში დაუდგეთ, მეგობრობთ, გიყვართ... ამიტომაც მიყვარხართ, დაუსწრე-ბლად. :) გაიხარეთ. ვერძი.

• ბერბიჭაჯ, „გზიდან“ წასვლა აზრად არ მოგივიდეს. ქუთაისში „გზავნილებს“ კითხ-ვა შენი და ენიგმას მესიჯებით იწყება. მა-გრად გიყვარხარ და გაფასებთ. კარგი ად-ამიანი ხარ. ცისმარი.

• დროს ფუჭად ნუ დახარჯავ, ხურდას არავინ დაგიბრუნებს. ეს ჩემი ბრძნული ნა-ფილოსოფარი (გაკვადნიერდები) აზრია. ისე,

მგონი, სწორ გზაზე ვდგავარ. :) ვერძი.

- სულ ვფიქრობ, დაწერო თუ არა წიგნი ჩემი ცხოვრების შესახებ? მგონი, უნდა უარყოფილად ვიპასუხო. მინც არავინ დაიჯერებს. :-/ არადა... ეჰ... ვერძი.
- ილო, ჩემო უძვირფასესო, ძალიან მენატრები. ჩვენი მონატრება მალე ერთად ყოფნით შეიცვლება, უფლის წყალობით. ყველა კარგად ვართ. გკოცნი. მზია.
- ილო პაპა, ძალიან გვიყვარხარ. გვენატრები. არ ინერვიულო. ყველა კარგად ვართ და დიდი წარმატებები გვაქვს. მალე ჩაგვხუტებით. ბარბარე, ნინო, ია, სალო, ლადო, თაკო.
- სალამიიიი. როგორ ხართ? ხომ მიმიღებთ? მე მომთმენი დედა ვარ, მაგრამ ნიკს ვიცვლი და დღეიდან ცაკალელი გოგო ვიქნები... მიყვარხართ ყველა. ცაკალელი გოგო.
- თქვენთან მეგობრობა მინდა, თუ მიმიღებთ. უკვე 4 წელია, თქვენს ყურნალს ვკითხულობ და უთქვენოდ ცუდად ვაარ. ძალიან მიყვარხართ. მოვეფეროთ მუდამ ერთმანეთს. ცაკალელი გოგო.
- დღეიდან სულ მოგწერ, მინდა, ყველამ ვიმეგობროოოოოო. მიყვარხართ, ცაკალელი გოგო.
- ASHLEY, მართლა მეძახის ფსიქოლოგია, ლექსიკა და პოზი გავს. შეიტენე შენაირები. არ ნაჯდა ყველას?! არა, მგზავნებო? ღმერთმა დამიფაროს, დოლარსავით გველი ვიყო. ნაგლი.
- ხან ელიაც უნდა იყო და მტერთათვის გაიელო დობილო და მეგობარო, სიტყვა ბარაქ-ხევერიელო. გენაცვალე სამართალში, ჩემო ბრძენო აზიელო. აი, მესმის შოუუ. რეკორდ! ბერბიჭა.
- გეფერებით ათენილებს, მტერი რომ მკბენს, მტკივა ზატოო მაგიერში, თქვენა მყავხართ, ნადველი რომ გამიფანტოთ. ახალგაზრდა ბებიავ და საყვარელო ემიგრანტი. თვალს გააჭყუნებთ. ბერბიჭა.
- ვინც გეგონე, ის არ ვარ, შენი არ ვარ, სხვისა ვარ. ნაგლო, რომ აღარ ვბრახობ, ღვთის წინაშე ვფიცავარ. ოღონდ გკითხავთ, ენიგმას ვინც მალევე ბუზრდებით, მის მაგიერად ყველანი რქებზე მე რად მეგებით? ბერბიჭა. ათინა, შენთვის ფილოსოფოსობა არ მითხოვია. მახსოვს, შენც ჭამდი ენიგმას. ირმუშა, ზოგს უპასუხობა არავინ აუვარდება ხოლმე. ბერბიჭა.
- გოეთუც რომ დაგეთანხმა, ვა, რა მაგრამ გამიხარდა, იმედია, დაგიჯერებთ, ზოგიერთი ინანკა-ვსტანკა. მეც მუხლს გიყერი რაინდულად, ხელზე კოცნით, პარიფანკავ. ლოყაზეც მუჟა. ბერბიჭა.
- ბერბიჭიჭ, ერთი ამისხენ, რა პონტში უნდა ნახვიდე? ვისაც არ ევასები, ბარემ ის ნავიდე. ასეთი ფაფორიტის წასვლა-დარჩენაზე საუბარი, ცოტა არ იყოს და უხერხულია! დამავოი.
- ლამაზებო, როგორ ხართ? უკვდავო ხმაო, მიყვარხარ ძლიერ, ცდუნებავ, მომენატრე, ლამაზო. ფლამინგო და რუისპირო, ჩემი ძვირფასი მეგობრები ხართ. სიკვდილ, მოკვდი? ჭრიჭინა.
- ნაგლო, რაც შენ ქენი, ეგ ბუუსუსუნობა კი არა, უსუსუნობაა. აზიელო, რას მინახილკარავარე (ნახე, რა ერის გასატყის მივეცი?) ეგ ფსუტიანები? ბრავო! ბიის! იეეს! ბოქს! მუჟა! ენიგმა.
- ჯუსტ ნათი, მეც მოგიკითხავ. ნათკა ჩიქოვანი. შეგიძლია, ასე მომქმენო „ოდნოზე“. ბოა, მე და მკუშუნამ გაკოცეთ. :) GREEN GIRL.
- რომ გიყურებთ, მეციხნება. GREEN GIRL.
- იუდას კაცო, რა გვარით მომმართავ? „გზავნი“ ვართ, ჯარში კი არა. :) გამასინჯებ

იმედია, ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს... გაკოცე ბევრი. GREEN GIRL.

- ჩხრიალ, დედა არა, მაშიდა ტერეზა ვარ. :) კი კაცო, ეჭვი გეპარება, რომ უამრავი კაცი მყავდა? :) ყოფილი საყვარლები ტრუსების კოლექცია მაქვს. :) SPONGE BOB-ები, BUGS BUNNY-ები, სმაილიკები ასატია და DON'T WORRY, BE HAPPY-ები აწერია. :) ისე, საკმაოდ კარგად ჩანს ჩემი ნიკი, შემთხვევით რომ არ შემოგვეთხოს ჩემი SMS-ები და თუ ასეთი უინტერესო ვარ, რატომღა კითხულობ? ან შენი ბალანსი მიდის თუ... იმას თუ გავითვალისწინებ, ყოველთვე რამდენი ბიჭი მთხოვს ხელს, გაუთხოვრობის პრობლემა არ უნდა მანუხებდეს, არა? :) P.S. ნიკს აშკარად ამართლებ. პ.კ. ASHLEY PCD.
- აუ, ლოვეს კაცების ჩემი SPONGE BOB-ის გამოსახულებიანი ტრუსი უნდა ვაჩუქო და თან ლამაზად შევეფუთო. :) ვაგზალზე ვნახე და... :) რა კაიფი იქნება?! :) ASHLEY PCD.
- გადარეულო, ჩემს შექმას არ გირჩევ, ძვლები და თმები გაგეჩხირება ყელში. :) გამიხარდა შენი პირადად გაცნობა. მისტერ, ჩემმა ვიზუალმა იმდენად მოგხიბლა, რომ შემირიგდი? :) ASHLEY PCD.
- ღმერთო ჩემო! გული გადამიქანდა, იმ ბიჭის წერილი რომ ნავიკითხე გრაფთან, თვითმველელობას რომ აპირებს. არამც და არამც არ იფიქრო თავის მოკვლაზე, თორემ ჯოჯოხეთში მოხვდები და ახლობლებს უდიდეს ტივილს მიავყენებ. ASHLEY PCD.
- დიკი ანგლო, მისარია, რომ დასერიოზულდი. არა მიშავს ქალი, თვავდ? მოიცა, რა! რა დროს გათხოვება? გაერთ, ამ ცხოვრებაში ერთხელ მოდიხარ! ASHLEY PCD.
- იუდას კაცო, გმადლობ. ჯუსტ ნათი, ქეთი ლალიაშვილი ვარ, 19 წლის. 3 ფოტოალბომი დეგს: ASHLEY PCD, ზამთარი და ASHLEY-კუნა შობას და 10 ფოტკა. ASHLEY PCD.
- აზიელო, ზუსტად 2 წელი და 6 თვეა, „გზის“ ჩათელი ვარ. გადარეული აღ ვალ, დედადა... :(საკალელი, პატალა ბაღლი ვალ. :) ASHLEY PCD.
- უკარება გავიცანი, ულამაზესი ქალუკა. WOW! ჩვენი პატრული, ელისო რა ძან მაგარი ქალია! აღფრთოვანებული! SWEET, ტვბლ ადამიანს ტვბილი ნიკი გაქვს და არ შეიცვალა, გთხოვ.
- გიპაჩე მაგ მარმელადივით ლოყებში, შე ცუნცულავ, შენა. ჩემი თოჯინა, სესიც დამიბრუნდა. გენათალეთ. ASHLEY PCD.
- ლუნა, რეალს ნუ ეხები! ჩემი დაიკოა და არავინ შეეხოს ცუდად! ბერბიჭ, ენიგმა ხარ? ვერ ვიფიქრებდი... ესორავნო, კახ, მაგარი ხარ! P.S. ყიფლიბანდები რას ნიშნავს? :) ASHLEY.
- მოკოლად, დავიგრუზე შენ გამო. :(იმ ადამიანთან შერიგების არანაირი შანსი არ გაქვს? :(ASHLEY PCD.
- ირმუშა, ბუთუსუ, მისს, ტანჯულა და ა.შ. იპტიურეთ, გოჭუნებო და 1-2 მესიჯის მერე არ დაიკარგოთ. გიპაჩეთ. ASHLEY PCD.
- აუ, გაცნობები არ უნდა გავმავხო ხოლმე. რომ ვკითხულობ, სიცლისგან მუცელი მტკივდება. :) 36 წლის ქალიშვილმა და 19-დან 50 წლამდე გაცნობის მსურველმა, დაგლიჯა. :) ASHLEY PCD.
- თქვენ ხომ არ იცით, იდუმალი ქალი რა ღოსა და ხაჭაპურს ავეთებს. მჭადი ხომ საოცრებაა, ცდუნება ნანას ტყემალზეა შეყვარებული, მაგარი ხელი გაქვს, ნანაა. ჭრიჭინა.
- შმ... „წორმალორი ქალის დღის რეჟიმი“ მომეწონა. :) მე აშკარად არანორმალორი ვყოფილვარ. :) ASHLEY PCD.

- „მინირომანი“ ნინიზე რამდენი ვიტირეე... :(მარ, გექნები, მიპასუხე, ნამდვილი ამბავია? ASHLEY PCD. (ნამდვილი ამბავია, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა, — ავტ).
- ნა. ღვთისმშობელს სთხოვეთ შენვენა შვილის პოვნაში და გულწრფელად მოინანიეთ თქვენი ცოდვა. აი ნახავთ, წმინდა ქალწული შეგვენებათ და მალე გულში ჩაიკრავთ თქვენს პირმშოს. უფალი გფარავდეთ. ASHLEY PCD.
- სიყვარულის დღეს გილოცავთ ლამაზებო, კახეთში მეც მინდა :(იმედია, მალე ჩამოვალ. უკვდავო ხმავ, ერთი სული მაქვს, როდის ჩაგვხუტები. რუისპირო, მიყვარხარ. ჭრიჭინა.
- პატარა ცრემლო, ის გოგონა შენ ხარ? ანტიდეპრესანტი, მაგრამ ვიხალისე შენს გზავნილზე. ვაიმე, აუტოფავია რა კომმარია! სტატიის კითხვისას სულ ტანში მბურძკავდავ. ASHLEY.
- ეს კვირა რალაც, ძან მხიარულად გავატარე. :) ჯერ იყო და, გასაშრობად გამათბობელთან დადებული თეთრული დაწვენი; მერე შამპუნის ნაცვლად ბალზამი ვიყიდე, 3-ჯერ რომ დავისხი და არ აქაფდა, მერე ნავიკითხე, თურმე ბალზამი ყოფილა. :) ბოლოს, 2 ტიპი ამევიდა და გზავნილსათვის „სალალობო“ წამიკითხა (მომიღვინეს პონტში). ASHLEY PCD.
- ირავლი ბოა, მოხარული ვარ შენი დაბრუნებით. იმედია, სხვა, ძველი მგზავნილებიც მოგბაძავენ. პაჩეტი. ASHLEY PCD.
- ხალხნო! თუ გინდათ, რომ ნავიდე, სამუდამოდ ნავალ. აღარ შემიძლია ამდენი ლანძღვა-გინების ატანა! თუ გსურთ, რომ დავრჩე, დავრჩები. ჩემი ბედი თქვენს ხელთაა. ASHLEY.
- შოთა ტყემელაშვილს: კვირას გელოდებოდი, 14-ში. ძალიან მანყვინე. გავნცასთან დარევე ამ დღეს და ჩემთან არა. არაა პრობლემა, ისე მოგექცევი შენც და არ გენყინოს მერე. ეთო.
- რას ამბობ ჩემო ბერბიჭავ, უნდა დაგეტოვო ობლები? მაგ აბრუნეს გადაგიტეხავ, თუ ჩემკენ გადმობრუნდები. რად მინდა თავი ცოცხალი, თუ გვერდით არ მყვოლები? გატოცე. ცისია.
- ზუკ, მაგრამ დავიგრუზე. ნა. ახლად მიჭვდი: აბორტი გაიკეთე, ხომ? ღვთისმშობელს ყოველდღე მიტევება შესთხოვე. ASHLEY PCD.
- „თინიჯერებში“, EKO BOY-ის რჩევებში, აზიელი რომ აწერია რჩევას, ის ჩემი რჩევაა. ასე რომ, ყველამ გაიგეთ, რუისპირი საუკეთესო და შუცვლელი მეგობარია. ჭრიჭინა.
- MOONSINE, როგორ მოკალი საკუთარი ძალი? თანაც, შენს SMS-ში ოდნავი სინანულიც კი არ იგრძნობა! ღმერთო, ყველაზე სასტიკი ცხოველი მართლაც ადამიანია! ჯერ მარტო ის სანყალი სპილო რომ ჩამოახრჩვეს, რამდენი ვიტირეე. :(ჩემს ბუნწულა ქალუკა პუჩას რამე რომ მოუვიდეს, ხომ გავრეკე! გამათობებლთან ადგილი ყოველთვის გარანტირებული აქვს, საბანასაც ვახურავ და ისე სძინავს. ჩემი შამპუნითა და ბალზამით ვაბანავებ, კის ვაჭმევ და კის ვასმევ. სულში ვისვამ. ASHLEY PCD.
- ვამე, ფოტოკურიოზების იხვნიებზე ჩემი იხვები გამახსენდა. პატალა, ყვითელი ნკაპუნები იყვნენ. ყოველ დღით, სტადიონთან, ბალახებში ვმწყვსავდი ხოლმე. ASHLEY PCD.
- ასეთია ASHLEY-კუნას ბედი, მგზავნილებს ლანძღვა დასდევს უკან და ბალანსის ნახევარზე მეტი, მათ პასუხებს მოანდომოს უნდა. მე რას გიშლით, ვგზავნი რასაც მინდა, ჩა-



აობა არის ნება ჩემი, თუ განუხებთ SMS-ი ბევრი, ამესიჯეთ მერე ჩემზე მეტი. ASHLEY PCD.

• ელექტრა, ფეშენა, ბერბიჭა, აზიელი, SWEET-GIRL, პარიუანკა, ჩუბი და გამომრჩა კიდო ვიინცხა, ჩემი ფავორიტები არიან! იტოგში, მაგარი ჭკვა ხალხი ხართ, რააა! დამავოი.

• ვალენტინობა მოვიდა, თუმცა ეს ჩვენ არ გვებება, ჩვენი ყოველი ასი სულ სიყვარულით თენდება. მაინც გილოცავ, ძვირფასო, ერთად ვიმარჯვოთ მტერზედა. გოც-ფი. ცხრათვალა.

• დადუნა, ჩემო სიყვარულო, მინდა, სულ გახარებული და ბედნიერი იყო ნინისთან, მარისთან და ზღარბუნებთან ერთად. მიყვარხარ, ჩემო მშვენიერო მეუღლე. ნუგზარი.

• დადუნა ქიზილაურო, გოცნი, მიყვარხარ. მრავალ სიყვარულის დღეს დაესწარი. შენზე უზომოდ შეყვარებული შენი მეუღლე, ნუგზარი ახალკაცი.

• რა გამაჩნია, ჩემი რომ გშურდეს? დიდი ტანჯვაა ჩემი ცხოვრება... თითქოს სიკვდილთან შეხვედრა მსურდეს, სიცოცხლე ისე მეუცხებება. დათო.

• და სატრფომ გული რომ მომიძღვას თავისი, მე მასზედ სონეტებს დავწერდი ხალხისთვის... მაჩუქე გული, რააა!!! მემე.

• მუშუკუდ, სიხარულო, ძალიან მენატრები. ერთი სული მაქვს, როდის გამოხვალ.

• როგორ ხარ, ჩემო კარგო? ჩვენთან ყველაფერი კარგადაა. გელოდები და გვენატრები. ელენე.

• გამარჯობა, ანი აუცილებლად ვითანამშრომლებ თქვენთან და მოგვწერ. სიმბათით ვარ განწყობილი მარი, თქვენ მიმართ და საერთოდ, „გზის“ მიმართ. მაია.

• არ ვიცი ახლა სად ან ვისთან ხარ, მაგრამ ვიცი, რომ არ ფიქრობ ჩემზე, ეგ გულგრილობა გთხოვ, მეც მასწავლე, რომ აღარასდროს ვიფიქრო შენზე. მეგრელი.

• ზუკას მინდა ვუთხრა, რომ მისი ბრალი არ არის და თავის დადანაშაულებას აზრი არ აქვს. ახლა ძლიერი უნდა იყოს და მეგობრის ოჯახს გვერდით დაუდგეს. ჯარისკაცი ხარ. მზე20.

• ერთს გეტყვი, ღმერთმა განსაჯოს, ვისი დაწერილია ის ლექსი. არაფერს ვეტყვი მეტს... შენ მმტრობ, მაგრამ აცროდი გარე შაშვ. :) აი, მე ვინ ვარ, არაა შენი საქმე. :) „გზაში“ სხვისთვის ცილისწამებით დაწერილი ქულები მშვიდობაში მოგახმაროს ღმერთმა. :) უკვდავი ხმა.

• აუ მააარ, დამავოის არ იყოს და მეც გამიჩნდა სურვილი, ნომინაციები დასახელო... მიდი, რააა, ჯიგრულად... იქნებ ყველაზე ლენჩი, სულისშემანსულებელი, საზიზლარი და ბუზლუნა მგზავნელის ნომინაცია მაინც შემეხდეს... ვინ იცის, ვინ იცის... მიყვარხააართ... SWEET-GIRL.

• გილოცავთ სიყვარულის დღეს... (მართალია, არამართლმადიდებლურია, მაგრამ...). თელი ცხოვრება ნამდვილი, წრფელი და უანგარო სიყვარულით გაგელიოთ და რაც მთავარია, არასოდეს გენაწოთ თქვენი არჩევანი... ერთ ადამიანს კი დიდიდი მადლობა... მიხედება თვითონ, რისთვისაც... არ ხარ ღირსი, მაგრამ... SWEET-GIRL.

• შენდობის კვირა და ყველა მომიტევეთ, თუ რამე განწყინეთ... მიყვარხაართ... SWEET-GIRL.

• მინდა მოგენატრო ისე.../ ჩემკენ გამოიქვე მისევ.../ როგორ მოგენატრო, იცი-ი?/ მე რომ მენატრები, ისე... SWEET-GIRL.

• მააგარად გამიხარდა აპოლონას დაბრუნება... შაა, გიო, როგორ იყო, მე და ელეს რომ გვიმტყიცებდი, რაღაც-რულაცებს?

(ნუ, აღარ გაგამხელ, ახლა). ნამდვილი მგზავნიელი „გზის“ გარეშე ისე ვერ გაძლებს, როგორც ჩემი დაქალი თევზი, ზურციკა ვერ ძლებს უწყლოდ... ჰოდა, აი, შენც აქა ხარ, უკვე... SWEET-GIRL.

• მეგონა, ჩემი იყავი.../ მე ხომ ამ ფიქრით ვკრთებოდი.../ მეგონა, ჩემთვის სუნთქავდი/ მე ხომ ამ სუნთქვით ვკრთებოდი.../ მეგონა შენი თვალები/ ჩუმად სიყვარულს ხედავდნენ.../ მეგონა, ჩვენი გულები/ თითქოს და ერთად ფეთქავდნენ.../ მეგონა, ჩვენი ოცნება/ ფრთას შეისხამდა, იფრენდა.../ მეგონა, ძლიერ გიყვარდი/ მაგრამ მე მხოლოდ მეგონა.../ SWEET-GIRL.

• დამალა ცილისწამებამ, თუმცა გულს არა ხვდება დარდია, დრო გადის, დაიძახს-ოვრეთ, თებერვლის მერე მარტია! მე მხოლოდ ჩემსას ვიძახი, არავის არ ვეძებ ბრალსაო, მეგობრებისთვის ვამღერებ, მხოლოდ უკვდავსა ხმასაო. სოფი, ხარ ჩემი რომეო, ჭორიკან, გოცნი გულშია, ცდუნებას, გენაცვალეები, სითბოთი საესე სულშია. ჩუპი, და ხარ და მიყვარხარ, კიკოსაც შემოვევლები, ლემონას შლადრი რითმანი, კომნატრება, ვერ ხვდები? გაკოცე ყველა, ჩემბო, ნუკი დამძახავთ ნურავინ, მუდამ მე თქვენთან ვიქნები, სხვა ნიკით, თუ ხმა უკვდავით.

• ღამე იცვალა შავი საბანი/ ცისფრად თენდება დილა ნამიდან/ მე ვხვდები დილას, როგორც მეგობარს/ გადმოპარული, ურჩი ღამიდან/ და მესის კითხვა: რათა ბნელი ღამე, რომელიც თენდება თეთრად/ ბინდ-გასაყარზე, განთიადისას/ ლოცვას ამბობენ ორივე ერთად/ ღამეა ჩემი, დილაა ჩემია/ თვეები მისდევს საათებს, წამებს/ რაც იცის ღამემ, არ იცის დილამ/ რაც იცის დილამ, არ იცის ღამემ/ ორივეს გულში ერთი სული ძვერს/ ორივეს გულში ერთი კარია/ მალე იცვალა ღამე საბანი/ რომ ერთად შეხვდნენ კვლავაც განთიადს/ უკვე ნებისია, თუ საუკუნე/ რომ განთიადი რაღაცას მალავს/ დღეს უყვარს ღამე, ღამეს კი დილა/ და ალიონზე უყვება ზღაპარს/ ბუნებით შექმნილ ასეთ სინთინდეს/ ვინ აღუდგება, მას იცავს ჟამი/ ამ დილით უცებ, განთიადისას/ შემშურდა მათი, სულ ერთი ნამით. უკვდავი ხმა.

• ამ ნომერში დაბეჭდავ თუ არ დაბეჭდავ, მარიკუნა, აბა გვითხარითიიი/ „გზავნილებში“ ისეთი რამ დაიბეჭდა, როგორ არ ვთქვა, აბა მითხარითიი/ ზოგი ხარობს, ზოგი ბრაზობს, გზავნილებში ბევრი არ თმობს/ მეჩვენება თუ ნამდვილად სწორად მახსოვს?/ რა დაბეჭდე, არ დაბეჭდე, გვითხარი/ ის მგზავნიელი ვინ არი?/ ჭორი იყო, მაგრამ არა ჭიროდა/ კანიბალკას სიცილები ისმოდა/ აშლიეკუნა სოფლებზე კიოდა/ და SWEET GIRL-ი შაქარით ცვიოდა/ გზავნიდა ჰეე, დიდი და პატარა/ მარისთან ჰეე, ბეჭდავდა, ხან — არა.../ ყოველ ნომერს მოჰქონდა სიცილი/ კვირიდან კვირამდე ზე-იმი/ ვახ, მარიამ, რა ყოფილხარ ამისთანა/ მაგ მისივებს ხან ბეჭდავ და ხან კი — არა/ ამ კვირამაც კვლავ სიცილში გაიარა/ ის მგზავნიელი ვინ არი/ სულ ხუთშაბათს ველი განა, ჩუბი და კამით კმარა/ სულ სიცილი გვირდაა ჩვენ/ მარი, გესმოდეს, ჩვენი გჯეროდეს, „გზაში“ კეთილი რჩებოდეს.../ „გზავნილებში“ არასოდეს ციოდეს და სუყველა მგზავნიელმა და დიოდეს/ თემა იყო, ხალხი არა ჩიოდეს, აღარავის გული აღარ სტიკოდეს/ გზავნიდეს ჰეე, დიდი და პატარა/ მარისთან ჰეე, ბეჭდავდეს ჩქარ-ჩქარა.../ ყოველ ნომერს მოჰქონდეს სიცილი, კვირიდან კვირამდე ზეიმი. ვაფარძე, რა ყოფილხარ ამისთანა/ მაგ მისივებს ხან ბეჭდავ და

ხან კი — არა/ ამ კვირამაც კვლავ სიცილში გაიარა, ის მგზავნიელი ვინ არი/ ის მგზავნიელი ვინ არიი/ ის მგზავნიელი ვინ არიი/ ის მგზავნიელი ვინ არი/ :) უკვდავი ხმა.

• როგორ ხართ, ჩემო კარგო ხალხო? ეს კვირა ძალიან მაგრად დაიწყო ჩემთვის. ორშაბათ დილით ახლობელი მიმესიჯებს და მეუბნება, ათინანა შენი ნიკიო? ძალიან გამიხარდა, ჩემთვის მართლა უცნობმა, მაგრამ ნაცნობმა ადამიანმა ამომიცნო და საკუთარმა დამ — ვერა. ხომ მაგარია? ჭკუით იყავით და ერთმანეთს ნუ ჭამთ. ათინანა.

• თიკუნია999, მეც ძალიან მინდა გაგიცნო, მაგრამ მხოლოდ ერთი გზა არის. არ მინდოდა სახალხო და დანერა მაგრამ ახლა უნდა დავწერო. იმედის გრაფიოში, ომონი-ზუე, ჩემს კორდინატებს დავტოვებ და ისე თუ დამაიკვირდები. ათინანა.

• ვერ გაგიგე მარ, ამ ხალხს ორნიკი-ანობაზე რა პრობლემები აქვთ? :) გილოცავ ვალენტინობას, მარ! არ მნამს ეს დღე, მაგრამ მომილოცეს და მეც გილოცავ, საკუთრივ შენ! :) ვემე.

• ძალიან დიდი მადლობა მარი, რომ საშუალება მომეცა, გავმდარეყავი იმ დიდი ოჯახის წევრი, რასაც „მგზავნილები“ ჰქვია. ძალიან დიდი ინტერესით ვკითხულობ „UL-TRIX“-ს და სწორედ ამ რომანის საშუალებით აღმოვაჩინე მგზავნიელთა რეალური საშარო და გადაწყვიტე, მეც გამეზიარებინა თქვენთვის ჩემი ამბები. ამიტომ, ამიერიდან ვეცდები, ჩემი მხიარული, ხალისიანი და ზოგჯერ კრიტიკული მესიჯებით გავამხიარულოთ, თუ ჩემი ტვირის საწური მარის მოწონებას დამისახურებს. ბავშვებო, თქვენი გაცნობა მინდა, მაგრამ რომ არ ვიცი, როგორ შეგეხმიანოთ? ანტიდემურსანტი.

• სამწუხაროდ, ჩემი SMS-ის შინაარსი სხვანაირად გაიგეს. მე არაერთი ქართველიდან გამიგია, რომ ოცნებობენ სხვა ქვეყანაში სამუდამოდ ცხოვრებაზე. მხოლოდ იმიტომ, რომ თურმე იქ მეტი თავისუფლებაა. ეს ძალიან მანუხებს. ქართველი ქართველთა აღარ ჰგავს. გული მტკივა. მე არ ვგულისხმობ იმას, ვინც სამუშაოდ არის გადახვენილი. მე მათთვის, თუ ვინმეს გული გატკინეთ. თუმცა, სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი. მარტოსული.

• მინდა თქვენ, თქვენს ჟურნალს დე ყველა მგზავნიელს მივულოცო მიტრობის დღესასწაული. მრავალს დაესწარი. ამ დღის მაღლი გფარავდეთ, თქვენ და მთელ საქართველოს. მისის ფორტუნა.


• გზავნილებში გაიყო გზები, გაიყო ჩვენი ლენჩა და ურვაც, ერთი სავსე ვარდების ტევრით, მეორე გზას კი ნისლები ბურავს. შენ შეუყვები პირველ გზასავალს და უკან ერთხელ არ მოიხედე, წყნის გვირგვინს ღიმილქვემ ჩემალავ, მივეყვები ძნელად სავალ გზის ხედებს. შენთან იოლად მოდის იღბალი, მე შურით შევექვერ ცნაჭრილ არწივს, უცნაურია ცხოვრება ჩვენი, როცა ვერადაც მუდმივად ელი, როცა სიმორეს ვივლი მშველი და გულს გისერავს გრძნობები მწველი...

• აუუუ, მაგარი დავიგრუბე, ახალი მეგობრები მინდა მყავდეს და შექმნიანეთ, მგზავნილებო. კარგი ადამიანები ჩანხართ. მარტოსული.

• მარი, ღამე მშვიდობის. იმედია, არ გაგადვიძე. დღეს პატრიარქის გამოსვლას ვუყურე და მიტევებაზე ისაუბრა. მე, როგორც მორწმუნე ადამიანი, დაფვიქრდი და გადაწყვიტე, შეგირდევ და ერთმანეთს მიუტყვოთ, კარგი? EKO BOY, ადამიანი ლეგ-



შამპანურდაუღეველი, უშარვლო, შეუღებავი, არც ისე შეუხედავი, არ შეერცხვინა ქართული, მამაპაპური მანდილი, აყალმყალის გარეშე, ემზადებინა სადილი... ასეთ ქალს ძნელად იშოვი, რა ცუდი ბედი გრგებია, მასეთი შვილი მე ვარო, მითხრა... მეზობლის ბებიამ... აფროდიტა.



გილოცავ

- მთვარემ მზეს მიულოცა, ვარსკვლავებმა ცას, ლამემ დღეს, ქარმა ხეს, მე კი შენ გილოცავ დაბადების დღეს. ბესოს, ლელასგან.
- ბებია ნამალაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 თებერვალს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, ბარაქსასა და წინსვლას, საყვარელ ადამიანთან ერთად. 4.
- მანანა არჩაიას დაბადების დღეს ულოცავენ თავისი უახლოესი მეგობრები, ირაკლი და ნატა. უსურვებენ უღვე სიყვარულს, ბედნიერებასა და დაჭკვიანებას.
- ბუთხუზა ბიჭუნას, ნიკვას 58 ბინაში, ბაჩო ბილისოძეს დაბადების დღეს ვულოცავ. 109 წელი მომელოცოს, ბედნიერად. მეზობელი და კლასელი, თამუნა, მერვე სართული.
- 20 თებერვალს, პანუა გიორგი ხურციძის ვულოცავთ 2 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობას და მომავალს. ქუთაისში შენი კარის მეზობლები, თამუნა, მარიკა და ინგა.
- აკაკი გელენიძე, გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ ბედნიერებას და თავისუფლებას. შენი მამიდაშვილი, სოფო აბელაშვილი.
- 14 თებერვალს, ჩემს უსაყვარელს ნიაკოს: მთვარემ მზეს მიულოცა, ვარსკვლავებმა — ცას, ლამემ — დღეს, ქარმა — ხეს მე კი შენ გილოცავ დაბადების დღეს და სიყვარულის დღეს. გკოცნით.
- ილო, გილოცავ მზიას დაბადების დღეს. მზია ჩემთანაა და კარგადაა. სახლში გურგენია. მე ყველაფერს ვაკეთებ შენთვის. ვიცი, მალე ვიქნებით ერთად. ცოტა მოითმინე. გოჩა.
- ბაღდათში მცხოვრებო მარი გრძელძიქვ, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და უღვე სიხარულს.
- დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს 2 ულამაზეს ანგელოზს, თეო ჯიქურსა (25 თებერვალი) და ნინი დოთიაშვილს (28 თებერვალი). სიხარული და სიყვარული არ მოგკლებოდეთ. ASHLEY PCD.
- ვალენტინობას გილოცავ მარ, ლამაზ და უბერებელ სიყვარულს გისურვებ, მთელი ცხოვრება. შოკოლადა.
- ვალენტინობას გილოცავთ, მგზავნელებო. ვისაც გყავთ, ღმერთმა ბედნიერად გამყოფოთ, ვისაც არა და მალე გემოვნოთ ნამდვილი სიყვარული.
- 19 და 24 თებერვალს ვულოცავ ტიტოს და ნონას დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი. ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ. შენი ლელა.
- ჩემს სიცოცხლედ და სიხარულ შვილს,

- გიგა ზარიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. 22 თებერვალს 14 წლის ხდება. ბევრი ლამაზი და ბედნიერი წელი შეგემატოს, ჩემო ცეროდენავ.
- დაბადების დღის იმ ლამაზ ღამეს, შენი აკნისთვის ღმერთს ულოცია, ერთი სიცოცხლე რაა შენთვის და ისიც შენთვის დამილოცნია. იხარე და იბედნიერე, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.
- ჩემს საყვარელ დეიდაშვილს, ლევან ფარჯიკას ვულოცავ დაბადების დღეს, 22 თებერვალს. ჩემო კარგო, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, უღვე სიხარულს, ბედნიერ მომავალსა და დიდ და ლამაზ სიყვარულს! მიყვარხარ. მაისა.
- 17 თებერვალს ათენში მყოფ მამუკა ბენდელიანს დაბადების დღეს ვულოცავ და ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, თავის ოჯახთან ერთად. თიკუშ, მიყვარხარ, სიხარულო.
- გოგი და ზვიკა ფიცხელაურებს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 თებერვალს. გისურვებთ ბედნიერებას. ამირანი.
- გაბედნიერება მინდა მივეულოცო ჩემს საყვარელ დისშვილს. გულით გილოცავ, სიხარულო. გისურვებ შენი ლამაზი სიყვარულით გეფრინოს ჩვენს ლამაზ საქართველოში და სადაც ფეხი დაგედვას, სულ ია-ვარდებით ყოფილიყოს თქვენი გზა მოფენილი. გისურვებთ, გქონოდეთ ერთმანეთის მიმართ ბევრი ალერსი, სითბო, ღიმილი და კოცნა. გებრწყინოთ თქვენი სიყვარულით. უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის. შენი ზაირა დიდა.
- ქუთაისში, ჩემს საყვარელ შვილს, ლამა ციბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 26 თებერვალს და ჩემს საყვარელ და უცნობ რძალს, გაბაძე მაღონას, 15 მარტს. ჩემო შვილებო, მრავალი ბედნიერი დაბადების დღე გაგიტენდეთ, საყვარელ მამუსთან და ახლა რომ ელოდებით, იმ შვილთან ერთად. ღმერთმა სულ ბედნიერი გამოყოფთ. გკოცნით.
- 26 თებერვალს მინდა დაბადების დღე მივეულოცო ჩემს საყვარელ ადამიანს, რეზი ასლამაზიშვილს. გისურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. ღმერთი გფარავდეს მუდამ. მარი.
- გია ნოზაძეს 19 თებერვალს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ცხოვრებაში სიკეთეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერად ყოფნას, საყვარელ ოჯახთან ერთად. გვარავდეს ღმერთი.
- ოთარ ვაშყმაძეს დაბადების დღეს ვულოცავ, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებ. მონატრებით, მეუღლე ნათელა და მძახალი, დარია.
- დიდ ჯიხაიში, ჩემს მონატრებულ დედას, თამარ ვაშაკიძეს ვულოცავ 20 თებერვალს, 60 წლის იუბილეს. დედა, მრავალს დაესწარი, შენს მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. მუდამ გახარებული მენახე. ძალიან მიყვარხარ. შენ ჩემი ყველაზე დიდი იმედი ხარ. მენატრები, გკოცნი. ნანა.
- ბათუმში (ბენ ზემი) ცოტნე დიდიას ვულოცავ 19 თებერვალს დაბადების დღეს. ცოტნე, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ და ლამაზ მომავალს. ლელია დეიდა.
- დაბადების დღეს, 24 თებერვალს ვულოცავ იტალიაში, ანა შარაშენიძეს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. შენი ბიძაშვილი, თიკო. მენატრები ძალიან.
- 18 თებერვალს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ერთადერთ და უსაყვარელს დედას, იზაბელას. ჯანმრთელი და მუდამ გახარებული ყოფილიყავი. გკოცნით ბევრს. შენი ელზა, რამაზი და ზუკა.

- 22 თებერვალს დაბადების დღეს ვულოცავთ იკუნა ხოსროიაშვილს. ჯანმრთელი, გახარებული და ბედნიერი ყოფილიყავი, მთელი ცხოვრება, ჩემო სიხარულო. ძალიან გვიყვარხარ. ზუკა.
- გიული და გია ქავთარაძეები დაბადების დღეს ულოცავენ თემურ სხირტლაძეს. შენი ცხოვრება ყოფილიყოს მზის სხივით გაბრწყინებული, ღვთის მადლით გამდიდრებული, უფალი გწყალობდეს, წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს, გლოცავდეს მუდამ დედა ქართლისა, გზას გინათებდეს ცხოვრებისას, ძალა კამკამა, წმინდა სანთლისა. თემურ, ძალიან გვიყვარხარ მთელ ოჯახს. გიული და გია ქავთარაძეები.
- დაბადების დღე გვინდა მივეულოცოთ ათენში თემურ სხირტლაძეს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და უღვე სიხარულს. გფარავდეს უფალი და დედის ლოცვა. გიო და ბექა ქავთარაძეები.
- უსაყვარლეს და სათნო ქალბატონს, ნინო კურტანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობასა და უფლის წყალობას გისურვებ, ჩემო ნინო, მშვიდობით დაბრუნებას სამშობლოში და გახარებას, შენს შვილებთან და შვილიშვილებთან. დიდი სიყვარულით, ცისანა მამაიაშვილი.
- ჩემს მონატრებულ შვილს, გიორგი კაპანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. აგრეთვე გიორგისა და მადონას ვულოცავ გაბედნიერებას. სულ ბედნიერები და გახარებულები მყავდით. სიყვარულით შეგაბეროთ ერთმანეთს. უფალმა დაგლოცოთ. თქვენი მონატრებული დედა მზია.
- ჩემს რძალს, ზოია არაბიძე-ფხაკაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. საყვარელ ოჯახში შვილებთან, შვილიშვილებთან და ყველა საუკეთესო ხალხთან ერთად. გაიხარე, გამარავდი, ჩემო ზოი. მენატრები, მიყვარხარ, გკოცნი. გილოცავს მული, ნიურა.
- ჩემს მონატრებულ მამას, მურმან ფხაკაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, გამარავდი და მრავალჯერ მომელოცოს. ნიურა.
- ტყაირში მცხოვრებ სალომე ჩხოვაძეს მინდა მივეულოცო ოქროს დაბადების დღე. ვუსურვებ, ოქრო გზაზე ევლოს ცხოვრების მანძილზე. ვუსურვებ სკოლის დამთავრებას, შემდეგ უმაღლესში სწავლის გაგრძელებას. გაიხარე, საყვარელ მშობლებთან ერთად. გკოცნის ნიურა ბებია.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლო ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გასურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბებთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ტაიმ-აუზი

ყველაზე ცნობილი კოქტეილები

კოქტეილის შექმნის უამრავი ვერსია არსებობს, მაგრამ ახლა ყველაზე რეალურს შემოგთავაზებთ. 1770 წელს ნიუ-იორკის ერთ-ერთი ბარის მუშატრონეს საყვარელი მამალი დაეკარგა და ხალხს შეჰპირდა: ვინც მას იპოვის, ჩემს ქალიშ-

ლი ერთმანეთში აურია და ასე წარმოიშვა ახალი სასმელი „კოქტეილი“ (Cock Tail ანუ მამლის კუდი). დღესდღეობით ყველაზე პოპულარული კოქტეილებია:

„მოხიტო“, რომელიც პირველად 1930 წელს, კუბაში დაამზადეს;

პუერტო-რიკოული „პინა კოლادا“ ყველაზე ტკბილი სასმელია. მას თეთრი რომის, ქოქოსის ლიქიორისა და ანანასის წვენიდან ამზადებენ;

1920 წელს ფრანგული რივიერის ერთ-ერთმა ბარმენმა „კოსმოპოლიტენი“ დაამზადა. ეს სასმელი პოპულარული სარა-ჯესიკა პარკერის წყალობით გახდა — სერიალში „სექსი დიდ ქალაქში“ მისი გმირი მხოლოდ ამ ლიქიორს სვამდა;

ტეკილა „სანრაიზი“ ყველაზე ლამაზი კოქტეილია. იგი ტეკილით, ფორთოხლისა და ბროწეულის წვენიდან მზადდება. ბროწეულის



წვენი ჭიქის ფსკერზე ილექება და ამომავალი მზის ეფექტს ქმნის;

„დაიკირი“ ერნესტ ჰემინგუეის საყვარელი სასმელი ყოფილა. იგი პირველად სამთო ინჟინერმა, ჯენიგს კოქსმა დაამზადა. კუბური სიცხისგან თავდასაღწევად, მან რომი და ლაიმის წვენი ერთმანეთში აურია და ყინულები დაუმატა;

1893 წელს, კუბის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად, ერთმა ამერიკელმა ოფიცერმა კუბის სიმბოლო, რომი „ბაკარდი“ და ამერიკული „კოკა-კოლა“ ერთმანეთში აურია — ასე წარმოიშვა კოქტეილი „კუბა ლიბრე“;

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული კოქტეილის — „სისხლიანი მერის“ ავტორი ამერიკელი ბარმენი პიტ პეტუა. ამ სასმელს სხვადასხვა ინგრედიენტს უმატებენ, მაგრამ მისი ძირითადი კომპონენტები ტომატი, სოუსი „ტობასკო“ და არაყია.



ვილს მივათხოვებო. მამალი ერთმა ოფიცერმა იპოვა, მაგრამ მას კუდი აღარ ჰქონდა. სიხარულისგან დაბნეულმა ბარმენმა რამდენიმე სასმე-

სულელური სიკვდილი

1871 წლის 17 ივნისს, ადვოკატი კლემენტ ვალანდიგანი მკვლელობაში ექვმიტანილს იცავდა და მისი გამართლების მიზნით, იარაღით იმის დემონსტრირება მოახდინა, თუ როგორ შეეძლო გარდაცვლილს თვითმკვლელობა ჩაედინა. იარაღმა გაისროლა და ადვოკატი ადგილზე გარდაიცვალა, მისი დაცვის მქვემ მყოფი კი გაამართლეს.

1935 წლის 17 სექტემბერს, ბეისბოლისტ ლენ კენეკს ავიამგზავრობისას პილოტთან შეკამათება მოუვიდა. პილოტმა მას ცეცხლჩამქრობი მოუქნია და სპორტსმენი ადგილზევე მოკლა.

1940 წლის 10 ივნისს, შავკანიანმა აქტივისტმა და ნაციონალისტმა მარკუს ჰარვიმ Chicago Defender-ში საკუთარი ნეკროლოგი წაიკითხა და გარდაიცვალა.

1990 წელს ედვარდ იუხნიევიჩი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით საავადმყოფოში წაიყვანეს. მედპერსონალის დაუდევრობით, ავადმყოფი საწოლიდან გამოვარდა და გარდაიცვალა.

2008 წელს ბრიტანელ დევიდ ფიალს დასანგრევად მომზადებული კორპუსიდან გამოსახლება არ სურდა და პროტესტის ნიშნად, ელექტრონერხით თავი მოიკვეთა.



გაძვირებული პროდუქტები და დაზარალებული მოსახლეობა

სანავი და მედიკამენტების დიდი ნაწილი იმპორტირებულია — საქართველოს ბაზარზე არსებული პროდუქტების დაახლოებით, 70% იმპორტირებულია. შესაბამისად, ლარის კურსის გაუფასურება დოლარის მიმართ ამ პროდუქტებზე ფასის ზრდას მომენტალურად იწვევს ანუ ბიზნესი მაშინვე რეაგირებს ლარის გაუფასურებაზე, რათა არ დაკარგოს ის მოგების მარჯა, რომელზეც გაუფასურების დაწყებამდე მუშაობდა.

ხარჯების სტრუქტურაში ერთი კომპონენტის გაძვირება იწვევს საერთოდ, მოცემული პროდუქტის გაძვირებასაც. სურსათისა და პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასის მატება გაძვირებისკენ უბიძგებს სხვადასხვა სერვისსაც და არაძირითად პროდუქტებსაც; მეორე ფაქტორი, რამაც შეიძლება, ადგილობრივ ბაზარზე ფასების ზრდა გამოიწვიოს, არის მსოფლიო ფასები. მაგალითად, საქარზე ფასის ზრდა ბოლო პერიოდში ძირითადად, იმით იყო გამოწვეული, რომ მსოფლიო ბაზარზე ზრდის ტენდენცია შეიმჩნეოდა. უფრო მეტიც, შესაძლოა, ის კიდევ უფრო გაძვირდეს... მაგრამ არის შემთხვევები, როცა საერთაშორისო ბაზარზე ფასი არ იცვლება (ან პირიქით, შესაძლოა, შემცირდეს კიდევც), მაგრამ ადგილობრივ ბაზარზე ფასების ზრდის ტენდენცია მაინც შეინიშნება. მაგალითად, სანავის ბაზარი, მედიკამენტების ბაზარი და სხვ. რატომ ხდება ასე? — მომენტალურად გადავდივართ მესამე ფაქტორზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ფასების ზრდის მაპროვოცირებელია. ეს გახლავთ საქართველოში არსებული ბიზნესგემენტების დიდი ნაწილის მონოპოლიზაცია ანუ დღეს ძალიან ბევრი ბიზნესგემენტია, სადაც არის ან მონოპოლიური, ან ოლიგოპოლიური მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზრის დიდი წილი ერთი ან რამდენიმე კომპანიის ხელშია და დიდი შანსია იმისა, რომ ისინი ერთმანეთთან გარიგდნენ, ფასები აკონტროლონ, რაც

ბუნებრივია, მათ მოგებას გაზრდის. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ნავთობპროდუქტების ბაზარი, ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარი, მედიკამენტების ბაზარი. ასეთი ტენდენცია კვების პროდუქტების იმპორტშიც შეინიშნება, განსაკუთრებით ზეთის, შაქრის, მარილის იმპორტში — ეს სფეროები მეტნაკლებად, მონოპოლიზებულია.

კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც შესაძლოა, არა მარტო პირველადი მოხმარების პროდუქტების, არამედ ყველაფრის, მათ შორის სერვისის, მომსახურებისა და ნებისმიერი კომპანიის საქმიანობის გაძვირება გამოიწვიოს, გამკაცრებული ადმინისტრირებაა. რა თქმა უნდა, ადმინისტრირება უნდა იყოს მკაცრი და გადასახადს ყველა უნდა იხდიდეს, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო დროს, წინასაარჩევნოდ ხშირდება ფაქტები, როცა კომპანიებს ჯარიმები უნებდებოდა ანუ ბევრი არაგეგმური ხარჯის გაღება უნევთ. ბუნებრივია, კომპანია ამას თავისი მოგებიდან ნაკლებად იხდის — მიიჩნევს რა ხარჯად, პროდუქციის თვითღირებულებაში შეაქვს, ეს კი ცხადია, ბაზარზე ფასების მატებას იწვევს.

— **საბაჟო დაბეგრის პროცედურებიც შეიცვალა. რიგ პროდუქტებზე გაიზარდა საბაჟო გადასახადი, ზოგზე კი პირიქით — შემცირდა. ბაზარზე სამომხმარებლო ფასების ზრდა აშინებს ხომ არ განაპირობებს?**

— პროდუქტის იმ სახეობებისთვის, რომლებზეც საბაჟო გადასახადი გაიზარდა, ეს არაპირდაპირი გადასახადია და ის პირდაპირ შედის პროდუქტის ფასში, მაგრამ ძირითადი მაინც, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ბია და არა მგონია, ამ საბაჟო დაბეგრას თვისებრივი გავლენა მოეხდინა ზოგადად ბაზარზე. თუმცა, რა თქმა უნდა, საბაჟო გადასახადის ზრდა იწვევს იმ პროდუქტებზე ფასების ზრდას, რომლებიც მოექცა გაზრდილი საბაჟო გადასახადის დაბეგრის არეალში.

— **რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების შეზღუდვის შემდეგ, ადგილობრივი ბაზარი უკრაინული ნარმოების პროდუქციამ დაიკავა. ამბობენ, რომ სურსათის გაძვირება უკრაინიდან იმპორტის შეფერხებამაც გამოიწვია.**

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ხომ არ შეიზღუდება უკრაინული პროდუქციის იმპორტი საქართველოში?

— თუკი გაუარესებული პოლიტიკური მდგომარეობა იმ ქვეყანაში, საიდანაც ძირითადი პროდუქტების იმპორტი ხორციელდება, ლოჯისტიკურ პროცესებს შეუშლის ხელს და იმ სერვისს გააძვირებს, რომელიც პროდუქციის ჩამოტანას უკავშირდება, ბუნებრივია, ეს ფასების ზრდას გამოიწვევს. თანაც, უკრაინა არის იმ ძირითადი სავაჭრო პარტნიორების სამეულში, საიდანაც ჩვენთან კვების პროდუქტების იმპორტი ხორციელდება... იმისათვის, რომ სიტუაცია დარეგულირდეს და მომავალში ფასების ზრდა რაღაც სუბიექტურ ფაქტორებზე არ იყოს დამოკიდებული, აუცილებლად უნდა მოხდეს ბაზრების დემონოპოლიზაცია. ბოლო პერიოდში ლაპარაკია ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნაზე. ეს თავისთავად, კარგია, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ იქნება ეს ანტიმონოპოლიური სამსახური და რამდენად ქმედითი იქნება ის... ვფიქრობ, უნდა გაიხსნას ბაზრები, კონკრეტულ ბაზრებზე ბევრი კომპანია უნდა იქნას დაშვებული და შემდეგ, ეს კომპანიები იზრუნებენ იმაზე, რომ უფრო დაბალ ფასად უფრო კარგი სერვისი შესთავაზონ მომხმარებელს. ვინაიდან მომხმარებელს ექნება ფართო არჩევანი, კომპანიები კონკურენტულ რეჟიმში მუშაობით შეძლებენ, მას პროდუქტი უფრო დაბალ ფასად მიანოლონ. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფა — პროდუქტების ფასებზე მისი მცირედი მერყეობაც (გაუფასურება) კი აისახება.

— **როგორ ფიქრობთ, დღეს არსებულ ფასებში თვითღირებულე ბაზე მეტი მოგებაა?**

— მონოპოლიური ბაზარი სწორედ იმას ნიშნავს, რომ კომპანიები მუშაობენ იმაზე მეტ მარჯაზე, ვიდრე ჩვეულებრივ კონკურენტულ პირობებში და შესაძლოა, მათი მოგება 50%-ზე მეტსაც შეადგენდეს, მაშინ, როცა, კონკურენტულ ბაზრებზე ნორმალური მარჯა 10-20%-ის ფარგლებშია.

— **და ეს ფასები ცხადია, მომხმარებელს აწევს ტვირთად.**

— ყველაზე მეტად მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენა ზარალდება, რომელიც მეტწილად, პირველადი მოხმარების პროდუქტებს მოიხმარს. ფასების მატება ამ ადამიანების ყოფას საოცრად ამძიმებს.



ყველაზე მეტად მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენა ზარალდება



დასაწყისი იხ. გვ. 81

საუკეთესო ადგილს მივადევით...

ეს ადგილი მართლაც, საუკეთესო იყო, იმიტომ, რომ სასწაულს ჰგავდა. წყნეთის წვიმიან დაღმართზე მარტო დაგდებულ მარიამს გული ამოუფდა და ატირდა. აი, ფილმებში რომ ხდება ხოლმე, ზუსტად ისე, ჩაირთო სევედიანი მელიდიაც. სინამდვილეში, ეს მარიამის მობილური ტელეფონის ზარი იყო, მაგრამ ქალს სიცივისა და უსუსურობისგან რეალურობის განცდა უკვე დაკარგული ჰქონდა.

— ჩემ წინ მანქანა შეჩერდა. უფრო სწორად, ნელა ჩამიარა, მერე გაჩერდა. მერე უკან დაიხია და ჩემ წინ დადგა. ფეხებთან არ ვიცი, რა მანქანა იყო, წარმოდგენა არ მაქვს. მუქი ფერი მახსოვს მხოლოდ. არ ვიცი, რაზე მითხრეს თუ არა, ალბათ შემომთავაზეს, დაბრძანდითო ან დაჯექით, — არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მანქანის კარი გაიღო და მეც იქიდან გადმოფრქვეულ სითბოს შევყევი.

...მანქანაში ჩავსა. გამარჯობაც თქვა, მაგრამ ტირილი არ შეუწყვეტია. მძღოლმა გათბობა ჩართო და მანქანა ნელა დაძრა. ეს აშკარად, მზრუნველობის გამოხატულება იყო: ვიღაც უცნობი, გაურკვეველი ასაკის, არცთუ სიმბათიური მამაკაცი მასზე ზრუნავდა.

— მივხვდი, რომ სირცხვილი იყო ასე, ტირილ-ტირილით უცხო კაცთან ერთად მგზავრობა, მაგრამ ვერ გავჩერდი. ასე ვიტყვი ბაგებამდე. გზაში მხოლოდ ის მითხრა, თქვენი ტელეფონი რეკავს და ხომ არ უპასუხებთო? — არა-მეთქი, — ამოვიზღუტე.

ჰო, ამას ქმარს არ მოუყვება, მაგრამ —

იმ კაცმა მანქანა გააჩერა, ბოდიში მოიხადა, უკანა სავარძლიდან პორტფელი გადმოიღო, იქიდან ქალაქის ხელსახოცები ამოიღო... ჭიქა, წყალი... წყალი დააღვინა, სახე გაუმშრალა ატირებულს. როცა სახეს უმშრალებდა, მარიამმა იგრძნო, რომ კაცი ამას სულშეგუბებული აკეთებდა.

— ბაგებთან მითხრა, — სველი ხართ, გაცივდებით, ბარემ სახლამდე მიგიყვანთო. იმან რა იცოდა, ჩვენ რომ აქვე ვცხოვრობთ და ფეხითაც იოლად მივიდოდით, მაგრამ ისე ვიყავი დაუსტებელი, რომ მაღლიერებით მივიღე მისი შემოთავაზება.

არც ეს უნდა უთხრას ქმარს — ის ამას ვერ გაუგებს: მარიამს წამით მოეჩვენა, რომ ეს უცხო კაცი ღმერთმა გამოუგზავნა ჯილდოდ და ამ ჯილდოზე უარი არ უნდა ეთქვა.

— სხვათა შორის, წვიმამ მოიმბაჭა. იმ კაცს რომ არ წამოვეყვანე, მართლა არ ვიცი, რა მემწელებოდა. სადარბაზომდე მომიყვანა. სახელი მკითხა, გვარი. მითხრა, ჩემი ელასელი ცხოვრობს თქვენს კორპუსშიო. ჰო, ნატალი. ხომ იცნობ ნატალის?..

თითქოს ყველაფერი მოუყვა. არც არაფერი მოუტყუებია. მხოლოდ გამომშვიდობების სცენა... არც ამის მოყოლა იქნება ჭკვიანური. საკუთარი სახლი რომ დაინახა, მარიამის დაბინდული გონება კიდევ უფრო დაიბურა და მიხვდა, გული მისდიოდა. ის კაციც მიხვდა ამას. გადმოვიდა მანქანიდან, ხელი მოჰკიდა მარიამს და მანქანიდან გადმოსვლაში დაეხმარა. მერე, მას ფეხზე დგომა რომ გაუჭირდა, მესამე სართულამდე ხელში აყვანილი აიყვანა. იქ, კართან ჩამოსვა. გასაღები გამოართვა, კარი გააღო... მაგრამ სახლში არ შესულა. არც უცდია. მართლა ასე იყო. მარიამმა არ იცის, ეს მისი დამსახურებაა თუ იმ უცხო კაცის, მაგრამ იმ დღეს ეს უცნაური შესხვედრა ნამდვილად მარიამის ბინის ზღურბლთან დამთავრდა. ერთ რაღაცას დამალავს კიდევ მარიამი ამ შესხვედრიდან, ამას საკუთარ თავსაც არასოდეს გაუმხელს: როდესაც კაცმა წასვლა დააპირა, მარიამმა მოაბრუნა, თვალეში ახედა ქვემოდან ზემოთ (იმიტომ, რომ ის ძალიან მაღალი იყო), თითის წვერებზე აინია და ტუჩებში აკოცა. ისე, ვნების გარეშე, მაღლიერების ნიშნად. და კარი მიხურა.

— სულ ეგ იყო?

— იკითხა ქმარმა.

— ჰო, ყველა-

ფერი მოგიყვები. მერე საღამოს შენ დარეკე და გაბრაზდი, ბევრი რომ არაფერი ვიცოდი იმდღევანდელი პოლიტიკური მოვლენებიდან. მითხარი, რომ სამშობლოს ბედი არ მაინტერესებს, რომ უინიციატივო ვარ, რომ დროს ვფლანგავ, რომ სულ არ მესმის შენი ტკივილი... რაღა უნდა მეთქვა?! სასწრაფოდ დავურეკე არჩილს და ვთხოვე, შენთან დაერეკა მოსკოვში, იმდღევანდელი ამბების მოსაყოლად.

„მგონი, საკმარისია, მარიამ, მეტი აღარაფერი თქვა!“ — გაიფიქრა ქალმა. გამარჯვებულის განცდა დაეფულა. ვითომ სასწაული მოხდა და მისმა ვერებამ ნაყოფი მოიტანა?..

— მარიამ, ვუწვიარ, რომ მარტო გტოვებ ხშირად, ეს მეც არ მინდა, მაგრამ ეტყობა, არც ისეთი ძლიერი ვარ, როგორც მომეხსოვება. ახლა ჩვენი მეგობრები მოვლენ წუთი-წუთზე. არ მინდა შენი წვალეზა, მინდა, რომ დაისვენო და ეს დასვენება სასჯელად არ მოგეჩვენოს. წავიდეთ და შენ რომ ცხელი ვაშლის ღვეზელი გიყვარს, ნაყინით, ის მივირთვათ, კარგ კონიაკთან ერთად, „ფაეტონში“... მაგ კაცისთვის მართლა უნდა მეთქვა მადლობა — მე რომ უნდა დაგხმარებოდი, იმ მომენტში რომ დაგეხმარა.

— ახლა გამატარებ? — ჰკითხა მარიამმა. კაცს გაეცინა.

— ჰო, გაიარე; ვიცი, რომ შემოვლა არ გიყვარს. დროზე მოემზადე.

თითქოს ისე განვითარდა მოვლენები, მარიამს თავი კარგად უნდა ეგრძნო. ქმარს ბოდიში არ მოუხდია, თუმცა რაღაც სინანულის მსგავსი ნამდვილად გამოხატა. ალბათ საბოდიშოდაც არა აქვს საქმე. რა ქნას, წვალობს, რაც შეუძლია. ეს პოლიტიკით „უგზო-უკვლო“ ინტერესიც — მისი კომპლექსია. მოქალაქეობა როცა შეიცვალა, ამას რჯულის უარყოფასავით განიცდიდა, მაგრამ საქართველოს მოქალაქედ რომ დარჩენილიყო, მაშინ საქმესა და ოჯახს შორის გადებული ხიდი უნდა აფეთქებინა. ამას მხოლოდ თავისუფალი მიმოსვლისთვის ვაკეთებო, — უთხრა მარიამს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ვერსია თავდაცვით დაიჯერა ან გამართლებად ვერ მიიღო...

ვანიკო მოვიდა, თავის დაბალ და მსუქან ცოლთან ერთად. იმ გოგოს, თვალები გამუდმებით სიხარულით რომ უციმციმებს, ტასიკო კი არა, ანა ჰქვია, მაგრამ მართლაც ჰგავს ბატ ტასიკოს ცნობილი ქართული მულტიფილმიდან. მერე მარიამმა ლამაზად განყობილ სუფრასთან რამდენჯერმე იგრძნო, რომ ქმარი ისე უყურებდა, როგორც მრავალი წლის წინ, შეუღლებამდე — სურვილით. ჰოდა, მარიამი ბედნიერი იყო. ვიღაც უცნობი კაცის მოულოდნელმა მოწონებამ, არ შემინდებდა და, სახელსაც დაარქმევს ამას, — ვნებამ, ლტოლვამ, — ქმარი დაუბრუნა?! ჰოდა, მარიამის დანიშნულებაც გაიკვავა: ის სიყვარულისთვის არის გაჩენილი.

გგონიათ, ეს ძალიან მცირე მიზეზია ბედნიერებისთვის?.. აბა, ჰკითხეთ მარიამს!

ნოველაში იხილეთ: **2 პოსტარი** **19 თებერვალიდან**

306 როგორ მოაზრდებთ კადრებს

ბრძოლა ბაის პიროვნები

I WANT YOU FOR U.S. ARMY NEAREST RECRUITING STATION

რაგონს უხდინა ამერიკელი სამხედროებს

ბანკოპრობლემალი მთავრდება

რუსი დიპლომატების წყალობაზე ამერიკელები

ბანკოპრობლემალი მთავრდება პაროზი „პარკავი“

ყველაზე კაცური მუსიკალი არა მარტო მთავრდება მთავრდება



მსხიობი, როგორც ქალაქს არ ენდობა

მსახიობი ბიძინა მახარაძე აღიარებს, რომ წიგნების კითხვა სტუდენტობის შემდეგ დაიწყო: „მანამდე უნივერსული ვიყავი, ფეხბურთის შესახებ თუ წავიკითხავდი რამეს, თორემ სხვა არაფერი მაინტერესებდა“. ახლა ყველაზე ხშირად იუმორისტულ ნაწარმოებებს კითხულობს, გატაცებულია ფილოსოფიითაც. მისთვის განსაკუთრებით საინტერესო ნივთებს ნაშრომებია. მწერლებიდან ყველაზე მოაზროვნედ ტოლსტოის მიჩნევს, უყვარს ბლზაკიც.



„დაოჯახებული ვიყავი, ახლა ჯი მეუღლე აღარ მყავს“

თამუნა კვიციანიძე

პრუდიპის მკითხველი

— ნაკითხულ ნაწარმოებებს ხელმეორედ თუ ვუბრუნდებით?
 — რა თქმა უნდა! მაგალითად, ხშირად ვუბრუნდები ნიციშეს ნაშრომებს და „დათა თუთაშხიას“, „ბიბლია“ კი ჩემი სამაგიდო წიგნია.
 — პოეზია არ გიყვარს?
 — მიყვარს და მაინტერესებს კიდევ. ლექსი იუმორთან ახლოს არის და ორივე მაშინაა კარგი, როცა ყოფითობაზე მალა დგას.
 — ბატონო ბიძინა, საშუალება რომ გქონდეთ, მეგობრად რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს აირჩევდით?
 — სიამოვნებით ვიმეგობრებდი რემარკის „სამი მეგობრის“ გმირებთან, ქართველი პერსონაჟებიდან კი დათა თუთაშხიასთან ვიმეგობრებდი.
 — მასთან მეგობრობა რთული არ იქნებოდა?
 — ჩემთვის — არა, დათასთვის კი ნამდვილად რთული იქნებოდა.
 — ასეთი რთული ხასიათი გაქვთ?
 — პროფესიით იუმორისტი ვარ, მაგრამ ცხოვრებაში ცოტა არ იყოს, მოსაწყენი ადამიანი გახლავართ.
 — „სხვისი შური და სიხარბე გულში არ შეუშვას, ესენი ორივე ეშმაკის კიბის საფეხურები არიან, — დედის ეს დარიგება სიცოცხლის ბოლომდე მემასსოვრება“, — რომელი ქართველი მწერლის მოგონებებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?
 — გრიგოლ რობაქიძის, არა?
 — ცდებით. ამ სიტყვებს აკაკი წერეთლის მოგონებებში ვკითხულობთ. რომელი ქართველი მოქანდაკე მუშაობდა როდენთან?
 — ვერ გიპასუხებთ.
 — იაკობ ნიკოლაძე, რომელ ქალაქში იწარმოდა 10 მცნების ქვა, რომელიც უფალმა მოსეს გადასცა?
 — იერუსალიმში, სოლომონის მიერ აგებულ ტაძარში. როგორც ვიცო, სულ 15 მცნება იყო, მაგრამ ტაძრის დარბევის შემდეგ, 5 მცნება დაიკარგა.
 — ვის ეკუთვნის გამონათქვამი: „გვარდია კვდება, მაგრამ არ ნებდება“?

— მე ეს გამონათქვამი რუსულად მასსოვს.
 — მაგრამ ავტორი რუსი არ არის.
 — ნაპოლეონი, არა?
 — დიახ. მუსლიმანთა რომელი სალოცავია აგებული იმ კლდეზე, საიდანაც, გადმოცემით, მუჰამედი სამოთხეში ავიდა?
 — არ ვიცი.
 — მიგანიშნებთ, იგი იერუსალიმის ყველაზე ლამაზ ნაგებობად, არქიტექტურის შედევრად არის მიჩნეული.
 — მაინც ვერ გიპასუხებთ.
 — ომარის მეჩეთი. დაწერეთ 100 ორი ნულის გარეშე.
 — როგორ? (ფიქრობს) ა! ეშმაკურ ჩანაფიქრს მიგიხვდით. სწორი პასუხია — ასი.
 — რა ერქვა სვეტილელ დალაქს?
 — სახელიც ჰქონდა? არ ვიცი.
 — ფიგარო. დაასახელეთ 3 რიცხვი, რომელთა ჯამი და ნამრავლი ერთმანეთის ტოლია.
 — 1, 2, 3.
 — დაასახელეთ სრუტე, რომელიც ხმელთაშუა ზღვას ატლანტის ოკეანესთან აკავშირებს.
 — ბოსფორი.
 — ცდებით, გიბრალტარის სრუტე. რა ჰქვია კათოლიკურ წირვას?
 — არ ვიცი.
 — მესა. რომელი ქვეყანაა ბეისბოლის სამშობლო?
 — აშშ.
 — ხეზე 15 მწვერი იჯდა და 5 გაფრინდა. რამდენი დარჩებოდა?
 — არც ერთი, მათ რალაც დააფრთხოდა.
 — არა, ბატონო ბიძინა, მწვერი ხეზე არ ჯდება.
 — ა! „არა შეჯდა მწვერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. ჩავიჭერი.
 — ცნობილია, რომ მეფის რუსეთში კატორღელებს წვერ-ულვაშს მხოლოდ ცალ მხარეს ჰპარსავდნენ. რატომ?
 — არ ვიცი.
 — გაქცევის შემთხვევაში, ადვილად რომ ეცნოთ. ვინ იყვნენ ქრისტესთვის სახარების ავტორები: მათე, მარკოზო, ლუკა და იოანე?
 — მონაფეხები იყვნენ. სხვათა შორის, მე ნაკითხული მაქვს ფილოსოფოსის — ოშოს ნაშრომი, რომელშიც ის სახარება განხილული, რომელიც „ბიბლიაში“ არ შევიდა. სულ 9 სახარება იყო.



— რომელი იყო უთავო მხედარი მან რიდის ამავე სახელწოდების რომანიდან — მორის მუსტანგერი, ჰენრი პოინდექსტერი თუ ზებულონ სტუმპი?

— არ ვიცი.

— ჰენრი პოინდექსტერი. ვისი პროექტით აშენდა სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟი?

— რასტრელის. სწორად მახსოვს?

— დიას, ეს 1754-1762 წლებში მოხდა. რომელი ქვეყნის გვარდიელებს აქვთ პატივი, დაიცვან პაპის რეზიდენცია ვატიკანში?

— შვეიცარიის.

— ეს მასიობი 1987 წელს, 46 წლის ასაკში, საექტაკლ „ფიგაროს ქორწინების“ თამაშისას, სცენაზე გარდაიცვალა.

— ანდრეი მირონოვი.

— მოლაპარაკე თუთიყუშებს ყველაზე ხშირად, რას ასწავლიან?

— რა ვიცი, ალბათ, გინებას ასწავლიან. თუთიყუში მეც მყავდა, მაგრამ ვერაფერი ვასწავლე, არ დამელაპარაკა (*იციხის*).

— ყველაზე ხშირად, მათ სახლის მისამართს ასწავლიან. რა ჰქვია წარმოდგენის დაწყების წინ მაყურებლის წინაშე ცირკის მსახიობების ერთობლივ გამოსვლას?

— პარად-ალე.

— „ეჰ! მაგას ბერია თუ დაიჭერს“, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ვლადიმერ ბარქიამ, როცა მატჩის წინ ამ ფეხბურთელის ვარჯიში ნახა. რომელ ფეხბურთელზეა ლაპარაკი?

— პელეზე. როცა პელე მოსკოვში ჩავიდა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში 5 ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა. გიორგი სიჭინავას დაავადეს, პელე „ჩაეკეტა“ და მას დახმარებას ვორკონიც გაუწევდა. პირველ ტაიმში სიჭინავამ ბევრი ირბინა, მეორე კი თქვა: მის დევნას აზრი არა აქვს, მაინც ვერ „გვეტავო“ და თამაში თავდამსხმელის პოზიციაზე გააგრძელა. ამ მატჩის შემდეგ, პელეს ჰკითხეს, — საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან, ყველაზე მეტად, რომელი ფეხბურთელი მოგეწონა? მან სიჭინავა დაასახელა. ბარქიას გამონათქვამი ალბათ, სწორედ ამ მატჩიდან მოდის.

— გალების ტერიტორიაზე რომელი სახელმწიფოა დაარსებული?

— ზუსტად არ მახსოვს, მგონი, ბელგიაა.

— ცდებით, საფრანგეთია. რა ჰქვია ბადმინტონის ბურთს?

— (*ფიქრობს*) ვიცოდი, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ.

— ვოლანი. „გაზაფხულის თქეში უშაპუნებს ფანჯრებს/ ყველა აივანი გადმოჰკიდეს ჩანჩქერს/ და მეზობლის გოგოც გაიხარებს მაშინ/ წვიმის ასაღებად გავარდება კარში/ რომ სვალ უფრო კარგად თმები ზიზზიმებდეს/ რომ სვალ უფრო კარგად მე ვერ ვიძინებდე.“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— მუსრან მაჭავარიანის პოეზიას ჰგავს. წვიმაზე მის მიერ დაწერილი არაერთი ლექსი წამიკითხავს.

— ამ სტროფების ავტორი შოთა ნიშნიანიძეა. ადამიანის რომელ გრძნობას უწოდა შექსპირმა „მწვანეთვალეობა ურჩხული“?

— სავარაუდო პასუხებს ვერ მეტყვი.

— სიყვარულს, ეჭვიანობას, შურს თუ მრისხანებას?

— ალბათ, ეჭვიანობას.

— დიას. თავად თუ ხართ ეჭვიანი?

— ეჭვიანი ვიყავი მაშინ, როცა მიყვარდა. სიყვარულს ეს გრძნობა ყოველთვის თან ახლავს. ჰიტლერს ევა ბრაუნი სიგიჟედე უყვარდა, ყველა ახირებას უსრულებდა, მაგრამ სახლში ჰყავდა ჩაკეტილი, არ ენდობოდა. ისე, ქალის ნდობა არც შეიძლება!

— ცუდია, ასე რომ ფიქრობთ. რომელ კუნძულზე მომხდარ აჯანყებას ეხება ქართული ფილმი — „ჯვარცმული კუნძული“?

— ტექსელზე მომხდარს.

— რომელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ფილმისთვის — „მიმინო“?

— გია ყანჩელმა.

— სპორტის რომელ სახეობაში ტარდება უიბლდონის ტურნირი?

— ჩოგბურთში.

— 1872 წელს, თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის გახსნის შემდეგ, ერთ-ერთი უბნის ტერიტორია 2 ნაწილად გაიყო. რკინიგზის აღმოსავლეთ ნაწილში მუშახელი მიწებს უნებართვოდ იკავებდა და სახლდებოდა. რა ეწოდება ახლა ამ უბანს?

— ნაძალადევი.

— თამაშის დაწყებისას, რამდენი პაიკია საქადრაკო დაფაზე?

— 8 პაიკი.

— დარწმუნებული ხართ?

— ერთ მოთამაშეს 8 პაიკი ჰყავს, ასე არ არის? (*პაუზის შემდეგ*) ჰო! საქადრაკო დაფაზე თავს 16 პაიკი იყრის.

— ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, რამდენი სამეფო ჩამოყალიბდა?

— 7.

— ეს ციფრი საიდან მოიტანეთ, არ ვიცი. სულ სამი სამეფო იყო: ქართლის, კახეთის და იმერეთის. რა არის ტანკა?

— არ ვიცი.

— იაპონური პოეზიის უძველესი ჟანრია.

— ა, 3-სტრიქონიან ლექსებს რომ წერენ?

— დიას. ჭოროხი, მტკვარი, ენგური, თერგი — ამათგან, რომელი მიეძინება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე?

— (*ფიქრობს*) ენგური.

— ზღაპრები გიყვართ?

— ცოტა ზღაპარი მაქვს წაკითხული და ეს ძალიან ცუდია. ზღაპარში ამა თუ იმ ერის შესახებ ბევრი ინფორმაციაა.

— „ასფურცელა“, „სამი გოჭი“, „კომბლე“, „ნითელქუდა“ — რომელ ზღაპარში არ ფიგურირებს მგელი?

— ვერ გიპასუხებთ.

— „ასფურცელაში“. ინდოეთის ოკეანის აუზში რომელია ყველაზე დიდი ზღვა?

— არ ვიცი.

— არაბეთის ზღვა. ისინი 12 წლის განმავლობაში 2 უდიდეს სახელმწიფოს მეთაურობდნენ. მმართველობის პირველი 2 წელი ქვეყნების გაძლიერებას მოჰდომეს, შემდეგი 6 წელი კი ერთმანეთთან სასიკვდილო ბრძოლას. ორივე ერთსა და იმავე წელს, ერთსა და იმავე თვეს გარდაიცვალა, ოღონდ — 18 დღის სხვაობით. დაასახელეთ ეს 2 პიროვნება.

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებთ.

— ჰიტლერი და რუზველტი. ცოლის შერთვაზე რომელმა ბერძენმა ფილოსოფოსმა თქვა...

— (*მანყვეტინებს*) ვიცი, რაც უნდა თქვა, მაგრამ ამ სიტყვების მთქმელს ვერ ვიხსენებ.

— თქვენ რომელ გამონათქვამს გულისხმობთ?

— ერთ-ერთ ბრძენ ფილოსოფოსს უთხრეს: ეს რა პატარა ცოლი მოგიყვანიაო! იმანაც, უპასუხა: — ბოროტებიდან ყველაზე პატარა ბოროტება შევარჩიეო.

— ქალებზე რა ცუდი წარმოდგენა გქონიათ! მე სოკრატეს ერთ-ერთ გამონათქვამზე გეკითხებოდით...

— (*მანყვეტინებს*) სოკრატემ თქვა: „მოიყვან, ინანებ, არ მოიყვან, მაინც ინანებ“. მას მეც ვეთანხმები. დაოჯახებული ვიყავი, ახლა კი მეუღლე აღარ მყავს, ე.ი. ორივე მდგომარეობა მიყვია.

— ამ პროდუქციამ XIX-XX საუკუნეებში 8 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მიიღო. ვინ იყო ის ქართველი მწარმე, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია?

— დავით სარაჯიშვილი.

— დაბოლოს, დაასრულეთ აინშტაინის ცნობილი გამონათქვამი: „მე არასდროს ფიქრობ მომავალზე, ის ისედაც...“

— „...ნათელია“.

— „...სწრაფად მოდის“.



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული
მანიტხვალისათვის
(ა ი თ ხ ვ ა ბ ი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვები სხანარ გაგაქცეთ თვალი

- რომელი მუსიკალური ინსტრუმენტის კლავიატურას ჰქვია „მანუალი“?
- გიორგის ინგლისურად ჯორჯი ჰქვია, ფრანგულად — ჟორჟი, იტალიურად — ჯორჯო, ესპანურად — ?
- რა არის „ტონზურა“?
- საიდან წამოდგება იტალიელი მხატვრის, ჯორჯონეს მეტსახელი?
- ბულგარეთის ქალაქ გაბროვოს მცხოვრებლები განთქმულნი არიან სიძუნწით. მათზე დაცინვით ამბობენ, რომ ისინი, ღამობით საათებს აჩერებენ, რათა მექანიზმი არ გაცვდეს, კატებს კი კუდებს აჭრიან... რატომ?
- რატომ ეძახიან ჯიბის ქურდები შარვლის უკანა ჯიბეს „ჩუ-ჟოს“?
- რა არის „შკვალი“?
- დაასახელეთ ილია რეპინის განთქმული ტილო, რომელსაც იგი 13 წლის განმავლობაში ქმნიდა.
- დაასახელეთ ტიბეტელთა ერთადერთი შინაური ცხოველი.
- 1801 წელს, კოპენჰაგენის ნავსადგურის სიახლოვეს დანიისა და ინგლისის ფლოტებს შორის გამართული ბრძოლის დროს, ინგლისელებს ცუდად წაუვიდათ საქმე. მოხუცმა ადმირალმა პარკერმა, რომელიც ინგლისურ ფლოტს ფორმალურად ხელმძღვანელობდა, თავის გემებს ბრძოლის შეწყვეტის ნიშანი მისცა. რატომ არ შეწყვიტა ბრიტანულმა ფლოტმა ბრძოლა?
- რომელი ქალაქი მიიჩნევა ინდური კინემატოგრაფიის ცენტრად?
- ვის ეკუთვნის სიტყვები: „მე მძულს დალლილი მთავრობა“?


ანექლოცენი

ექიმი მოშეს ამშვიდებს:
— ასეთი ჯანმრთელობის პატრონი თქვენი სიდედრის დამარხვასაც მოესწრებით, თქვენი სიმამრისასაც, თქვენი ცოლისძმისასაც, თქვენი ცოლისდისასაც...
— მოიცა, მოიცა, ექიმო! ამდენი ხალხის დასამარხი ფული სად უნდა ვიშოვო, დაგენაცვლე?!

განცხადება: „ძვირფასო თანამოქალაქეებო! გაცნობთ, რომ ზოოპარკიდან გაიქცა ენოტი. მნახველებს გთხოვთ, ზოოპარკის საღაროში 10 შეკელი გადაიხადოთ.“

გურული თანამშრომლის დაკრძალვაზე კახეთში ჩავიდა. მშობლიურ კუთხეში მწირ ქელებს მიჩვეული, სადაც ხალხს ძირითადად, ფხლით, სოკოთი, მწნილითა და ლობიოთი უმასპინძლებიან, გაკვირვებული დასცქეროდა სუფრაზე დახვავებულ ხორაგს. ქელების დასასრულს კარგად გამაძლარმა და კახური ღვინით შეზარხოშებულმა გურულმა კმაყოფილებით ჩაილაპარაკა: — ა, ძამა, სად უნდა კვდებოდეს ხალხი!..

— ნუხელ ნატამასთან ეგდებ? — ეჩხუბება ცოლი ქმარს.
— რომელ ნატამასთან? — მიამიტად ეკითხება ქმარი.
— რომელთან და ბაკურიანში რომ გაიცანი!
— ცდები, ძვირფასო, ბაკურიანში გალინა გავიცანი!



— ბიჭებო, ხვალ ჩვენთან ვქეიფობთ — ლუდიც იქნება, თევზიც...
— გოგოები?
— გოგოებს უკვე მოველაპარაკე, არ მოვლენ!

ებრაელს შეხვედრაზე აგვიანდება. მანქანას ვერსად აყენებს და ღმერთს ევედრება, ოღონდ ახლა დამაყენებინე მანქანა და სინაგოგაში ვივლი, ცოდვებს მოვინანიებ, მხოლოდ სიკეთეს გავაკეთებ, გაჭირვებულებს დავეხმარებო. უცებ, გვერდითა მანქანა გაიყვანეს.
— ღმერთო, აღარ შეწუხდე, ადგილი გათავისუფლდა.

მიხოს ინსპექტორი აჩერებს:
— რატომ გადაკვეთეთ ღერძულა ხაზი?
— მა, ქვეშ ხომ არ გავძვრებოდი?!

დედა ბავშვს აძინებს:
— დაიძინე, დედიკო, უკვე გვიანია. აი, ხომ ხედავ, ტელევიზორში დეიდებმა ტანსაცმელი უკვე გაიხადეს.





გურული ტილების წამალს ყიდის.
 — რაფრა უნდა მეიხმაროს კაც-
 მა ეს? — ეკითხება რაჭველი.
 — რაფრა და დაიჭერ ტილს,
 შეაყრი თვალეში და გააცხებს სულს.
 — თუ დავიჭირე, გავყვულვ, ბარემ!
 — კი, მასეც შეიძლება!

ჭიჭიკიას სიდედრი მოუკვდა და
 კუბოს არჩევს.
 — რას მირჩევთ, რომელი კუბო
 ჯობია? — ეკითხება დურგალს.
 — საერთოდ, გამძლეობით „ცინკ-
 ის“ ჯობია, მაგრამ თქვენი სიდედრის
 ჯანმრთელობისთვის მაინც, ხისას
 გირჩევთ — ეკოლოგიურად სუფთაა.

ცოლი მძიმედ ოხრავს:
 — როგორ მომწყინდა ყვე-
 ლაფერი. გავაკეთებდი რაიმე უცნ-
 აურს, ორიგინალურს; იმას, რაც
 ოდესღაც მხოლოდ ახალგაზრდობა-
 ში თუ გამიკეთებია.
 — ძალიან კარგი... მიდი, ერთი,
 შარვალი დამიუთოე.

— თვალი რატომ გაქვს ჩალურ-
 ჯებული?
 — საყვარელი ქალის ღირსება
 დავიცავი.
 — ვის ეჩხუბე?
 — ცოლს!

არასრულწლოვანთა განყოფილე-
 ბაში პატიმრის დედა ჩვენებს ამ-
 ლევს:
 — მე და ჩემი ქმარი შვილს მკაც-
 რად ვზრდიდით. აბა, საიდან უნდა
 გვცოდნოდა, რომ იმ ფულით, რო-
 მელსაც სიგარეტისთვის, სასმელ-
 ისა და ქალებისათვის ვაძლევდით,
 ნარკოტიკებში ხარჯავდა?!

გურულები წყალტუბოში ჩავიდნენ
 დასასვენებლად. მინერალური წყლის
 აბაზანის მისაღებად ერთმა სხვებზე
 ადრე გაიხადა და წყლის ტემპერა-
 ტურის გასასინჯად, აუზში ფეხი ჩაყო.
 — მოგიხდა? — მისცვივდნენ და-
 ნარჩენები.

გურიამი სტუმრად ჩასული ქალი
 დაიხახლისს ეკითხება:
 — უკაცრავად, ესენი ტყუპი ბი-
 წები არიან?
 — არა, გენაცვალე, ერთი ბავშ-
 ვია, უბრალოდ, ძალიან ცელქია.

გახურებული ბრძოლის დროს
 სანგარში მჯდარი გურული მთელი
 ხმით გაყვირის:
 — ექიმი! ექიმი!
 — დაჭრილი ხარ? — მივარდა
 მედლა.
 — არა, მარა რო დევიჭრა, სა
 გეძიო მერე?

— რატომ სვამ კონიაკს?
 — სასარგებლოა, სისხლძარღვებს
 აფართოებს!
 — მეორე დღეს რომ ვინროვდება?
 — ვინ აცლის დავინროვებას?!


გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული
მაითხველისათვის

(პასუხები)

1. ორგანიზმისა და კლავესინის კლავიატურას.
2. ხორხე.
3. ასე ჰქვია საქოჩრეს, რომელსაც კათოლიკე სასულიერო პირები ტრადიციულად იპარსავენ.
4. იტალიელი ფერმწერი ჯორჯო ბარბარელი და კასტელფრანკო ძალზე მაღალი იყო და მისი მეტსახელიც — ჯორჯონე (დიდი ჯორჯო) აქედან წარმოდგება.
5. რათა ზამთარში, ბინაში მათი შემგებებისა კარი სწრაფად მიხურონ და სახლიდან სითბო არ „დაიკარგოს“.
6. საფულის ამოცლა ამ ჯიბიდან უფრო ადვილია.
7. ხანმოკლე ქარიშხალი.
8. „ზაპოროჟიელი კაზაკები წერ-ილს სწერენ თურქეთის სულთანს“.
9. იაკი.
10. ადმირალ ნელსონს, რომელიც ფაქტობრივად, ამ ფლოტს ხელმძღვანელობდა, უკან დახევა არც უფიქრია. მას უსინათლო თვალთან ჰქონდა მიტანილი ჭოგრიტი და გაიხახოდა, — წმინდანებს ვფიცავ, ვერავითარ ნიშანს ვერ ვხედავო. მან ბრძოლა განაგრძო და საბოლოოდ, გაიმარჯვა კიდევ.
11. ბობბეი. აქ ყოველდღიურად, ორი ფილმს უშვებენ.
12. უინსტონ ჩერჩილს.

ჩვენი ფოსტო მალანაა





ჰოროსკოპი

18-24 თებერვალი

ფაჩა:

ამ კვირაში ახალ იდეებს განახორციელებთ. კოლეგებისა და საყვარელი ადამიანების მიმართ ზედმეტად კრიტიკული ნუ იქნებით. გამონახეთ დრო დასვენებისა და ვარჯიშისთვის.

კუჩრე:

საცხოვრებელი სახლის კეთილმოწყობით იქნებით დაკავებული. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად. მთელი კვირის მანძილზე მეგობრებთან ერთად, გართობა გელით.

ტყუპი:

ამ კვირას დასახული მიზნების განხორციელებას შეძლებთ. მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა, რომელიც თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის.

კირჩხიბი:

კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად. შეეცადეთ, თქვენს საქმეს ერთდროულად არ შეეჩიოდეთ. კვირის ბოლოს მატერიალური კეთილდღეობა გელით.

ლომი:

ენერჯის მოზღვავეებას იგრძნობთ, რაც იდეების განხორციელების საშუალებას მოგცემთ. პარტნიორებზე კარგი შთაბეჭდილება რომ მოახდინოთ, გადანყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით.

ქაფში:

შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდებათ, მაგრამ ეს საიდუმლოდ უნდა შეინახოთ. კარგი იქნება, თუ პირად ცხოვრებაზეც ნაკლებად ილაპარაკებთ. დასვენების დღეები შინ გაატარეთ.

სასწორი:

კარგი პერიოდია ძველი კონტაქტების აღსადგენად, სასიყვარულო პარტნიორის მოსახსენებლად და მასთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. დასვენების დღეები მეგობრებს დაუთმეთ.

მირიანდი:

საქმეებს წარმატებით მოაგვარებთ, თუ არ აჩქარდებით და ყველა წვრილმანს ყურადღებით მოეკიდებით. მთელი კვირა რომანტიკული შეხვედრები გელით.

მშვიდდობისა:

ოჯახის წევრებთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ. კარგი პერიოდია სწავლის დასაწყებად, ცოდნის გასაღრმავებლად. მეგობრების დახმარებით ახალ საინტერესო საქმიანობაში ჩაერთვებით.

თხრი:

ნუ მიენდობით სხვას, საკუთარ ინტუიციას დაყრდნობით იმოქმედეთ. ამ კვირაში უამრავ ადამიანს გაიცნობთ. გირჩევთ, მეგობრებსა და ნათესავებზე ჭორაობისგან თავი შეიკავოთ.

მეწყობი:

ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში, ხშირად შეხვდით მეგობრებსა და საყვარელ ადამიანს. კარგი პერიოდია ახალი ცხოვრების დასაწყებად, ქორწინებისთვის.

თევზი:

ბიზნესგეგმები შეადგინეთ, მაგრამ მათ განხორციელებას ნუ იჩქარებთ. კარგი პერიოდია დასვენებისა და რელაქსაციისათვის, მომავალი კვირიდან კი ახალი იდეების განხორციელება გელით.

კატარა გენიოსოები

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან



4 წლის გოჩა რაზმაძეს ფრიადოსანი ძმა ჰყავს, მეზობლის ბიჭები კი სულ დასცინიან და ერთსა და იმავეს უმეორებენ: — შენი ძმა ოროსანია, ოროსანიაო!

გოჩა იხტიბარს მაინც არ იტყვს და ამაყად ამბობს:

— ოროსანი კია, მაგრამ მაინც, ხუთოსანია!



4 წლის გიორგი სულმენაშვილი ბიცოლას ეკითხება:

— ახლა მიკი-მაუსმაც უნდა დაიძინოს?

— არა, — პასუხობს ბიცოლა.

— ჩვენთან რომ ლამდება, ამერიკაში მაშინ თუნდება და ახლა მიკი-მაუსი იღვიძებს.

— ჰო, — ჩაფიქრდა გიორგი. — ამერიკაში სხვანაირი საქართველო ყოფილა.



5 წლის გვანცა ბლიაძემ დედიკოს ვაშლი მიურბენინა, რომელსაც წითელი ხალები ჰქონდა და გაკვირვებულმა ჰკითხა: — დედიკო, დედიკო, ამ ვაშლს ბატონები ჰყავს და უნდა გავრეცხო?



3 წლის თიკო ქორქია მონათლული არ არის. ერთხელ, ბებოს გულზე ჩამოკიდებული ჯვარი შენიშნა და გაოცებულმა ჰკითხა: — ბებო, შენ განათლებული ხარ?



4 წლის გვანცა და 2 წლის გიორგი ბარამიძეებს ბაბუა საგმირო

ამბებს უყვება. მან ლაპარაკში გიორგი სააკაძე ახსენა...

— სააკაძე კი არა, სააკაშვილი, ბაბუ, — შეუსწორა გვანცამ.

— ქო, — დაემოწმა დას პატარა ძამიკოც.



პატარა მანანა კობახიძე თავის უმცროს, ცისფერთვალება ძმას ეკითხება:

— თემო, შენ ახლა ყველაფერს ცისფრად ხედავ, არა?



ძლიერმა ქარმა ოთახში კარი მიაჯახუნა და მაგიდიდან ფურცლები გადმოყარა. პატარა გვანცა დედას ეუბნება:

— დედიკო, ნახე, ქარი ჩხუბობს და რამხელა ზაურ-აურია.



საფიქრო კროსვორდი

შ	ე	ნ	ა	რ	შ	ე	მ	ც	ლ	ა	რ	ხ	ა	რ	ა	რ	ჩ	ე	ვ	ა	ნ	შ	ი
რ	მ	ა	ა		შ	კ	ე	შ	ო	ა	ი	ე	კ	ი	ა	ვ	მ	ი			გ	რ	ი

შეგთქვამთ წესი: უბასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოსწინს შემთხვევაში გამოუქვამთ ბულ უფრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავეთ.

ლის მწარმოებელი ფირმა; ბ. კარტოფილის სამშობლო; რ. სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; ჩ. კვაშალი — ბუ, ნიკლაური — არწივი, ტატიშვილი — წრუნუნა, ბალაშვილი — ?; ე. ჩხირზე ჩამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; ვ. ქალის პირბადე; ა. ცელქი, მოუსვენარი; ნ. მაჰმადიანთა ლოცვა; შ. გემბანის საწმენდი ჯოხი; ი. ფარული, ოდნავ შესამჩნევი დაცინვა.

შ. მონაფე; ე. კანის ანთებითი დაავადება; ნ. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; ბ. მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); რ. ოლიმპიელი ღმერთების დედა ბერძნულ მითოლოგიაში; შ. ხის ან რკინის წვეტიანი ღერო, რომლითაც მწვანე წვავენ; ე. ციმბირის დამპყრობ კახაკთა მეთაური; მ. ახალი ზელანდიის ძირძველი მოსახლეობა; ც. მატყუარა, უქნარა; დ. ზღაპრული ურჩხული; ა. ქვითკირის სამარე; რ. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; ხ. ადგილი, რომელიც მხედველობის არეშია მოქცეული; ბ. დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მყოფი ამა თუ იმ დარგის სპეციალისტ-კონსულტანტი; რ. სპორტული ტანისამოსისა და ფეხსაცმ-

წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
 შ. ჟიგული; შ. უნიათო; რ. რუფიმი; ნ. ნეი; ა. არმანდო; ლ. ლეონიდე; ი. იაზონი; ბ. გივი; ზ. ზნე; ბ. ავრორა; ს. სტიმული; ა. ანკარა; შ. ურანოსი; კ. კურიერი; ე. ენგური; თ. თეირანი; ე. ეშხი; ს. სკალპი; ო. ოქრო; ა. არიადნე; რ. როდინი; ჩ. ჩხა; ე. ენდრო; ვ. ვაგონი; ა. არენდა; ნ. ნობათი; ი. იტალია; ა. აკორდი.

გამოქვეყნებული უფრედებში იკითხება: გიჟი მოზვერი კარგი ხარი დაღბაპაო

იაკონური სენსაცია
სუდოკუ
 „გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	5	9	2	6	7	3	1	8
6	3	8	9	1	4	5	2	7
2	7	1	8	3	5	6	4	9
7	8	4	6	5	1	9	3	2
1	2	3	4	7	9	8	5	6
5	9	6	3	8	2	1	7	4
3	1	2	7	9	8	4	6	5
9	6	7	5	4	3	2	8	1
8	4	5	1	2	6	7	9	3

1	4	3	9	8	5	2	7	6
9	2	8	7	6	1	4	5	3
7	5	6	2	4	3	9	8	1
6	1	9	8	5	4	3	2	7
8	3	5	1	7	2	6	9	4
4	7	2	6	3	9	8	1	5
2	9	4	3	1	7	5	6	8
5	6	7	4	2	8	1	3	9
3	8	1	5	9	6	7	4	2

5	3	6	1	2	4	9	7	8
1	7	9	8	5	6	2	3	4
8	2	4	3	9	7	6	1	5
3	6	1	4	7	5	8	2	9
7	4	8	9	1	2	3	5	6
9	5	2	6	3	8	1	4	7
6	9	5	2	4	1	7	8	3
4	1	3	7	8	9	5	6	2
2	8	7	5	6	3	4	9	1

* მარტივი

7			6		8	
	6		2		5	9
		9		1	4	
		7		5		8
		6		1	9	7
2				8	9	
		4	1		6	
5		2		6		3
	3		2			5



** საშუალო

3			2			9	
9			8			1	
	1		9			3	7
	2		5			6	
6			1	9		2	
	5			6		9	
7	4			3		8	
	9		5			1	
5			9			6	


*** რთული

	1		8				3
	9		5				
2			7				6
	8			3			1
		2	6	7		3	
3			4			6	
5				1			9
			4			3	
7			6			4	

ფოტოკუჩიონები



635/6



„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

ნიგნების სერია



რჩეულ ფერმწერებზე - ბედევრები და ისტორიები

ვლიმბტი

8-დენი 4 თაბუარვლაშლა

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მუთხვეუცისთვის სხეუციაუჩი ფასი 15 ლახი!

I. II. და III ნიშანი - ვანგოგო, გოგენი და მოწა ნიშნის მაღაჭიბაში უკვა ბაჟიღვაჟია!



„კვირის პალიტრის“ ნელმოძვერთა საყურადღებოდი წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვაჭი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერვის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ